ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2021 წლის გეგმა		საკასო შესრულება	
	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
შემოსავლები	1 128 769,6	5 000,0	1 146 914,0	5 000,0

დასახელება	2021 წლის გეგმა		საკასო შესრულება	
	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
გადასახადები	718 169,6	0,0	736 080,7	0,0
გრანტები	210 932,6	5 000,0	201 131,6	5 000,0
სხვა შემოსავლები	199 667,4	0,0	209 701,8	0,0
ხარჯები	**999 920,1**	**4 000,0**	**968 333,0**	**4 000,0**
შრომის ანაზღაურება	73 951,6	0,0	69 145,2	0,0
საქონელი და მომსახურება	149 355,8	0,0	141 247,6	0,0
პროცენტი	4 366,5	0,0	4 366,5	0,0
სუბსიდიები	410 112,7	0,0	409 111,2	0,0
გრანტები	1 315,7	0,0	1 250,5	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	154 374,1	0,0	153 327,6	0,0
სხვა ხარჯები	206 443,5	4 000,0	189 884,3	4 000,0
საოპერაციო სალდო	**128 849,5**	**1 000,0**	**178 581,0**	**1 000,0**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**183 548,7**	**1 000,0**	**158 392,5**	**1 000,0**
ზრდა	255 733,5	1 000,0	239 561,2	1 000,0
კლება	72 184,9	0,0	81 168,7	0,0
მთლიანი სალდო	**-54 699,2**	**0,0**	**20 188,5**	**0,0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-69 577,4**	**0,0**	**5 315,2**	**0,0**
ზრდა	0,0	0,0	5 315,2	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	5 315,2	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	69 577,4	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	69 477,4	0,0	0,0	0,0
სესხები	100,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	**-14 878,2**	**0,0**	**-14 873,3**	**0,0**
ზრდა	0,0	0,0	4,9	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,2	0,0
საშინაო	0,0	0,0	4,7	0,0
კლება	14 878,2	0,0	14 878,2	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	14 878,2	0,0	14 878,2	0,0
ბალანსი	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები

2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 70,353.2 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)


დასახელება	2021 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	**1 201 097,6**	**1 228 087,6**	**102,2%**
შემოსავლები	1 128 769,6	1 146 914,0	101,6%
არაფინანსური აქტივების კლება	72 184,9	81 168,7	112,4%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	143,2	0,0	0,0%
ვალდებულებების ზრდა	0,0	4,9	
გადასახდელები	**1 270 531,8**	**1 222 772,4**	**96,2%**
ხარჯები	999 920,1	968 333,0	96,8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	255 733,5	239 561,2	93,7%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	
ვალდებულებების კლება	14 878,2	14 878,2	100,0%
ნაშთის ცვლილება	**-69 434,2**	**5 315,2**	


2021 წელს ფულადი სახსრების (ნაშთის) გამოყენებამ შეადგინა 69,434.2 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ - 5,315.2 ათასი ლარი.

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 201,097.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 228,087.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.2%.

ათასი ლარი






სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი:



I შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1 128,769.6 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 146,914.0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 101.6% და მთლიანი შემოსულობების - 93.4% შეადგინა.



I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 736,080.7 ათასი ლარი და 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 617,311.9 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 118,768.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული[1], მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 216,906.5 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 171,167.1 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 28,580.8 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 17,158.7 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2020 წლის ფაქტი – 187,920.3 ათასი ლარი) შედარებით 28,986.2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის[2] (2020 წელს მიღებულია 144,022.0 ათასი ლარი).


---

[1] 1. 2020 წელს ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიერ, ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, დაწესდა შეღავათები ქონების გადასახადის ნაწილში (გადავადდა 1 ნოემბრამდე), ხოლო ტურიზმის სექტორი წლის ბოლომდე გათავისუფლდა ქონების გადასახადის გადახდისაგან (ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა);


2. დღგ-ს ზრდა გამოწვეულია 2021 წელს ეკონომიკური ზრდის შედეგად, განახლებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების გათვალისწინებით;

[2] იხილეთ შენიშვნა 1[1]

ათასი ლარი



ათასი ლარი



დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 519,174.1 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2020 წლის ფაქტი - 429,391.5 ათასი ლარი) შედარებით 89,782.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული[3].

II გრანტები


საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 201,131.6 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 199.7 ათასი ლარი (ევროკავშირიდან მიღებული გრანტი - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი

[3] იხილეთ შენიშვნა 1[2]

განვითარებისათვის“; 2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების N6024-GEO ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ); სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 200,931.9 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 460.0 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 175,000.0 ათასი ლარი (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; მაგისტრალური წყალსადენის კვანძების მოწყობის (მუხრან მაჭავარიანის და მარშალ გელოვანის გამზირი) სამუშაოები, ვაშლიჯვარი-ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები, შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლებით გამაგრების სამუშაოები, თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში შუქნიშნის ძველი ობიექტების ახლით ჩანაცვლების ან ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, სატრანსპორტო დეტექტორების, ვიდეოკამერების, საგზაო კონტროლერების და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის სამუშაოები: ვაკის პარკის სარეაბილიტაციო, ზღვის უბნის პარკის მოწყობის და ვარკეთილის II მ/რ-ში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და რ. ხომლელის ქუჩის მიმდებარედ არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბაგა-ბაღების და სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; პროექტირების, ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, ისტორიული სადარბაზოების და მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები), ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 25,471.9 ათასი ლარი (თბილისის

ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების (II ფაზა) ფარგლებში ავტობუსების და მასთან დაკავშირებული სერვისის შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად, რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობის მიზნით, მშენებლობისათვის აუცილებელი საშენი მასალების შესყიდვისა და მომსახურების საავანსო ვალდებულებების ნაწილი).

ათასი ლარი



III სხვა შემოსავლები


საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 199,667.4 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 209,701.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 105%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2020 წლის ფაქტი – 142,405.2 ათასი ლარი) შედარებით 67,296.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადათ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე[4] და სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებზე[5] მოდის. მათ შორის:

[4] 2020 წელს „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებით შეიზღუდა ეკონომიკური საქმიანობა (სათამაშო ბიზნესი) საგანგებო მდგომარეობის ვადით, გარდა აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომსახურების მხოლოდ ელექტრონული ფორმით მიწოდებისა.

[5] თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამების განთავსების ნებართვის განკარგვაზე გამოცხადდა აუქციონი, რის შედეგად ბიუჯეტში ერთჯერადად მიღებული იქნა 34,8 მლნ ლარი.

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 9,737.2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (19,468.3 ათასი ლარი) შედარებით 9,931.1 ათასი ლარით ნაკლებია[6].

ათასი ლარი



დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მისაღები შემოსავლების გეგმა განსაზღვრულია 200.0 ათასი ლარის ოდენობით.

რენტის სახით მობილიზებულია 6,057.7 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 4,258.2 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,799.5 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 95,479.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (91,905.0 ათასი ლარი) 103.8%-ია. მათ შორის:


სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 13,301.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (11,500.0 ათასი ლარი) 115.7%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 12,351.1 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 950.2 ათასი ლარი.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან მიღებულია 1.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (5.0 ათასი ლარი) 30.6%-ია.

[6] 2020 წელს ნაშთის სახით ბიუჯეტის ანგარიშებზე თვეში საშუალოდ იყო 180,0 მლნ ლარი, ხოლო 2021 წელს თვეში საშუალო ნაშთი შეადგენს 104,3 მლნ ლარს.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 40.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (50.0 ათასი ლარი) 80.8%-ია.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 36,689.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (31,000.0 ათასი ლარი) 118.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (4,534.2 ათასი ლარი) შედარებით 32,154.9 ათასი ლარით მეტია[7]. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: წამახალისებელი გათამაშებიდან მიღებულია 5,235.2 ათასი ლარი (14.3%), სათამაშო აპარატებიდან - 22,397.4 ათასი ლარი (61%), სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან - 9,056.6 ათასი ლარი (24.7%):



დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 42,629.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (48,000.0 ათასი ლარი) 88.8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (48,139.0 ათასი ლარი) შედარებით 5,509.8 ათასი ლარით ნაკლებია[8].

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 2,713.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,100.0 ათასი ლარი) 246.7%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (3,638.0 ათასი ლარი) შედარებით 924.1 ათასი ლარით ნაკლებია.

[7] იხილეთ შენიშვნა 4.


[8] პანდემიის პერიოდში შემცირდა მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა.

სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლიდან მიღებულია 103.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (300.0 ათასი ლარი) 34.6%-ია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 1,187.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,950.0 ათასი ლარი) 60.9%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,174.1 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 13.5 ათასი ლარი.


სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 49,965.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (51,000.0 ათასი ლარი) 90.8%-ია და 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (43,322.7 ათასი ლარი) შედარებით 6,643.2 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 32,632.9 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 3,325.7 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 4,810.8 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 600.4 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 698.8 ათასი ლარი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 636.0 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 313.4 ათასი ლარი, დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის - 663.9 ათასი ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში (BUS LINE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის - 821.2 ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 5,462.9 ათასი ლარი.

ათასი ლარი




ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 47,273.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (40,462.4 ათასი ლარი) 116.8%-ია. მათ შორის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 357.1 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 4,535.6 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 2,736.2 ათასი ლარი, შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 69.7 ათასი ლარი, სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 38,093.9 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 1,617.3 ათასი ლარი.

<u>**არაფინანსური აქტივების კლებიდან**</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 81,168.7 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 14,046.1 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 634.6 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 66,488.0 ათასი ლარი.




ათასი ლარი



<u>ფინანსური აქტივების კლებიდან</u> მისაღები შემოსავლების გეგმა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრულია 143.2 ათასი ლარით.


ათასი ლარი




<u>ვალდებულებების ზრდის</u> სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 4.9 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების და საგარეო - აქციები და სხვა კაპიტალის სახაზინო კოდებზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ


2021 წელს **გადასახდელების** შესრულების 96%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის (96%) ტოლია, ხოლო თანხობრივად (2020 წელთან შედარებით) დახარჯულია 142,217.0 ათასი ლარით მეტი.




ათასი ლარი



ათასი ლარი



ათასი ლარი




2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 270,531.8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 222,772.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.2%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 999,920.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 968,333.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.8%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 79.2%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 255,733.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 239,561.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.7%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 19.6%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14,878.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 14,878.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1.2%-ია.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 73,951.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 69,145.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.5%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 7.1%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 149,355.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 141,247.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.6%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 14.6%-ია.

„პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4,366.5 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 4,366.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.5%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 410,112.8 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 409,111.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 42.2%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 136,330.5 ათასი ლარი;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის და ხელოვნების სკოლების სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა და მასწავლებელთა ხელშეწყობა, სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების დაფინანსება და სხვა ღონისძიებები - 3,442.0 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 80,338.5 ათასი ლარი;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 155,035.4 ათასი ლარი;
- გამწვანებული ტერიტორიების (პარკები, სკვერები) მოვლა პატრონობის ღონისძიებები - 13,000.0 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 4,926.3 ათასი ლარი.

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,315.7 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,250.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 95%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს.

„გრანტების" მუხლით ძირითადად დაფინანსებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროს ხარჯები, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სსიპ-ების ხელშეწყობის ხარჯები სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად და ქალაქ ბათუმში, 2021 წლის 8 ოქტომბერს, 26 მაისის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა თანადგომისა და მხადაჭერის მიზნით გაწეული ხარჯები;

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 154,374.1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 153,327.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.3%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 15.8%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- კომუნალური სუბსიდირება - 6,244.5 ათასი ლარი;
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში - 41,731.1 ათასი ლარი;


- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია - 6,049.1 ათასი ლარი;
- ტრანსპლანტაცია (ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია) – 8,943.3 ათასი ლარი;
- დაავადებათა სკრინინგი (ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტალური, ფარისებრი ჯირკვლის სკრინიგი) – 1,852.8 ათასი ლარი;
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 1,174.8 ათასი ლარი;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 5,039.2 ათასი ლარი;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება - 619.3 ათასი ლარი;
- მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება - 19,423.9 ათასი ლარი;
- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება - 33,283.2 ათასი ლარი;
- თბილისის ათ რაიონში დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები - 7,081.8 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში - 2,040.9 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 12,366.7 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება - 3,546.4 ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 206,443.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 189,884.3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 92%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 19.6%-ია.


„სხვა ხარჯების” მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - რეკონსტრუქციის და ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოები - 44,117.4 ათასი ლარი.

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მშენებლობა - აღდგენის ღონისძიებები - 92,832.6 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები - 39,541.7 ათასი ლარი;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელთა ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული მოსწავლეების წახალისების ღონისძიებები - 2,637.6 ათასი ლარი.



ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708 - დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 79,358.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (87,172.6 ათასი ლარი) 91%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 6.6%-ს შეადგენს. მათ შორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 64,646.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (72,131.3 ათასი ლარი) 89.6%-ია;

✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4,366.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 10,345.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,674.7 ათასი ლარი) 96.9%-ია.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 1,553.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 911.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 58.6%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს. მათ შორის ამ მუხლში გათვალისწინებულია წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, სააღსრულებლო ბიუროს საინკასო დავალებით, სახაზინო ანგარიშიდან სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ჩამოჭრილი თანხები.

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 354,919.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 344,443.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 28.5%. მათ შორის:

✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 338,700.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (349,055.3 ათასი ლარი) 97%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 5,743.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,863.8 ათასი ლარი) 97.9%-ს შეადგენს.

◙ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 168,931.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 161,440.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13.4%. მათ შორის:

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 84,336.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (88,192.7 ათასი ლარი) 95.6%-ია;

✓ ჩამდინარე წყლების მართვის დაფინანსებამ შეადგინა - 3,485.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,500.0 ათასი ლარი) 99.6%-ია;

✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 73,618.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (77,238.5 ათასი ლარი) 95.3%-ს შეადგენს.

◙ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 253,166.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 244,931.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 20.3%. მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 101,287.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (106,016.6 ათასი ლარი) 95.5%-ს შეადგენს;

✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 43,760.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (44,779.8 ათასი ლარი) 97.7%-ს შეადგენს;

✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 3.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (6.0 ათასი ლარი) 58.3%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 29,761.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (30,207.7 ათასი ლარი) 98.5%-ს შეადგენს;

✓ გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალური მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 6,742.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,989.3 ათასი ლარი) 96.5%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 63,375.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (65,167.1 ათასი ლარი) 97.3%-ს შეადგენს.

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 24,671.6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 24,604.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2%. მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 2,768.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2,816.7 ათასი ლარი) 98.3%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 21,835.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (21,854.9 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს.

◙ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 60,866.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 52,173.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 4.3%. მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 15,439.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (19,264.0 ათასი ლარი) 80.1%;

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 32,690.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (35,867.0 ათასი ლარი) 91.1%-ს შეადგენს;

✓ ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 2,341.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,767.7 ათასი ლარი) 62.2%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1,703.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,967.9 ათასი ლარი) 86.5%-ს შეადგენს.

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 171,851.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 168,650.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 14%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 145,190.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (147,584.6 ათასი ლარი) 98.4%-ს შეადგენს;

✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 279.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (280.0 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;

✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 32.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (42.2 ათასი ლარი) 77%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 23,147.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (23,944.5 ათასი ლარი) 96.7%-ს შეადგენს.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 132,521.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 131,381.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 10.9%. მათ შორის:


✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 3,613.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,669.1 ათასი ლარი) 98.5%-ს შეადგენს;

✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 416.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (444.4 ათასი ლარი) 93.8%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 42,813.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (43,081.9 ათასი ლარი) 99.4%;

✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 8,315.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8,436.7 ათასი ლარი) 98.6%;


✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 76,222.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (76,888.9 ათასი ლარი) 99.1%-ს შეადგენს.



სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 13,736.4 ათასი ლარიდან გადარიცხულია 13,390.8 ათასი ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 2,123.8 ათასი ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 54.4 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიებები) ხარჯების ასანაზღაურებლად - 221.0 ათასი ლარი, მოქალაქეთა სწავლის დასაფინანსებლად - 3.0 ათასი ლარი, 2021 წლის საახალწლო კონცერტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად - 407.3 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის ღონისძიებების განსახორციელებლად ორგანიზაციების ხელშეწყობა - 52.2 ათასი ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად აფეთქება და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების და ლიფტები მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, დაზარალებული მოსახლეობის ქირის, სასტუმროს და სხვა ხარჯები - 1.627,5 ათასი ლარი, სასაჩუქრე კალათების შეძენა სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის - 52.4 ათასი ლარი, საქართველოში ახალი კორონა ვირუსით COVID-19 გამოწვეული დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად – 6,216.0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, გ. ლეონიძის ქ.#13-ის მიმდებარედ (ს/კ 01.20.01.117/072) ფორმირებული მეწყერის სალიკვიდაციო გადაუდებელი ღონისძიების - პროექტირებისა და სამუშაოების განხორციელების მიზნით - 1.999,1 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო პროექტის მიხედვით, წიგნებისა და პრესის რეალიზაციისთვის სტენდების შესყიდვა და მონტაჟის მიზნით - 134.1 ათასი ლარი, ქალაქ ბათუმში, 2021 წლის 8 ოქტომბერს, 26 მაისის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა თანადგომისა და მხადაჭერის მიზნით - 500.0 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)



ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2021 წელს გამოყოფილი და გადარიცხული თანხები

(ლარი)

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	სულ გადარიცხული (ორშაბათისთვის)
საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01)				**2 000 000,00**	**1 999 058,25**
1	*1-536*	*10.08.2021*	*ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, გ. ლეონიძის ქ.№13-ის მიმდებარედ (ს/კ 01.20.01.117/072) ფორმირებული მეწყერის სალიკვიდაციო გადაუდებელი ღონისძიების - პროექტირებისა და სამუშაოების განხორციელების მიზნით*	2 000 000,00	1 999 058,25
კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10)				**30 351,97**	**30 351,97**
2	*1-111*	*02.03.2021*	*2021 წლის 23 თებერვალს, ძლიერი ქარის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონში, პ. იაშვილის ქუჩა №2-ში და ჯანჯღავას II ჩიხი №11-ში*	13 342,06	13 342,06

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გასაცემლების)
			მდებარე საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღსადგენად		
3	1-317	27.05.2021	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონში, 2021 წლის 18 მაისს, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა №2-ში მდებარე ორსართულიან საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად შენობის დაზიანებული სახურავის აღსადგენად,	17 009,91	17 009,91
კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13)				**284 571,87**	**260 630,27**
4	1-379	17.06.2021	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონში, 2021 წლის 17 მაისს, თოიძის ქუჩა №60-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩამონგრეული კედლის აღდგენის მიზნით, კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად,	100 330,99	100 330,99
5	1-556	31.08.2021	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონში, 2021 წლის 10 აგვისტოს, ძლიერი ხანძრის შედეგად, თოიძის ქუჩა №41-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის, დაზიანებული სახურავისა და სხვა ელემენტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების მიზნით	184 240,88	160 299,28
კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17)				**299 498,96**	**295 945,47**
6	1-447	09.07.2021	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონში, ვარკეთილის 3, მე-3ა მ/რ, №327ბ კორპუსში ახალი სამგზავრო ლიფტის სამონტაჟო სამუშაოების დაფინანსების მიზნით	99 398,94	95 845,45
7	1-635	04.11.2021	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონში, სოფელ ნასაგურში 2021 წლის 23 სექტემბერს ძლიერი ქარისა და სეტყვის შედეგად, საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების ასანაზღაურებლად,	200 100,02	200 100,02
კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18)				**88 262,63**	**85 658,45**
8	1-771	03.12.2021	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონში, 2021 წლის 28 ნოემბერს, ხანძრის შედეგად, ორთაჭალის ქუჩა №3-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, დაზიანებული სახურავისა და სხვა ელემენტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების მიზნით,	88 262,63	85 658,45
კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19)				**8 000,00**	**8 000,00**
9	1-583	29.09.2021	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში კორპუსი №4-ში, 2021 წლის სექტემბრის თვეში ძლიერი ქარის შედეგად, დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების ასანაზღაურებლად,	8 000,00	8 000,00
ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01)				**3 918 979,00**	**3 918 979,00**
10	1-296	20.05.2021	ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად, ქალაქ თბილისში, მცირე და საშუალო ზომის სარესტორნე ბიზნესისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით	620 000,00	620 000,00
11	1-334	02.06.2021	ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად, ქალაქ თბილისში, მცირე და საშუალო ზომის სარესტორნე ბიზნესისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით	1 195 000,00	1 195 000,00
12	1-384	18.06.2021	ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად, ქალაქ თბილისში, მცირე და საშუალო ზომის სარესტორნე ბიზნესისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით	70 000,00	70 000,00
13	1-397	24.06.2021	კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული	1 640 679,00	1 640 679,00

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გასაცემლად)
			კრიზისის დასაძლევად, ქალაქ თბილისში, ელექტრონულიმუსიკისა და საკლუბო ინდუსტრიის წარმომადგენლების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით		
14	1-486	28.07.2021	ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად, ქალაქ თბილისში, მცირე და საშუალო ზომის სარესტორნე ბიზნესისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით	10 000,00	10 000,00
15	1-502	29.07.2021	ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად, ქალაქ თბილისში, ბავშვთა გასართობი ცენტრებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით	315 000,00	315 000,00
16	1-531	02.08.2021	კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად, ქალაქ თბილისში, ელექტრონულიმუსიკისა და საკლუბო ინდუსტრიის წარმომადგენლების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით	63 300,00	63 300,00
17	1-695	19.11.2021	ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად, ქალაქ თბილისში, მცირე და საშუალო ზომის სარესტორნე ბიზნესისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ჩაბას ჯაზ როკ კაფესათვის“ (ს/ნ 205219654)	5 000,00	5 000,00
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09)				**70,00**	**0,00**
18	1-841	22.12.2021	2019 წლის 19 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონში, დ. გურამიშვილის გამზ. №30-ში მდებარე №2 კორპუსში, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო, დაზარალებული მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინა №28-ში დაზიანებული მოძრავი (საყოფაცხოვრებო) ნივთების ღირებულების დადგენის მიზნით, საექსპერტო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	70,00	0,00
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15)				**115 535,08**	**115 535,08**
19	1-88	19.02.2021	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონში, 2021 წლის 2 თებერვალს, წმინდა გარბარეს უბანი №125-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული სახურავის აღსადგენად	115 535,08	115 535,08
სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09)				**3 168 096,85**	**2 878 731,05**
20	1-3	18.01.2021	მოქალაქე მარიამ ლომიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10 000,00	9 999,99
21	1-7	22.01.2021	მოქალაქე დავით თათეშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	12 000,00	11 999,98
22	1-8	22.01.2021	მოქალაქე ეკა კობახიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	14 208,92	14 208,92
23	1-9	22.01.2021	ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის ტარიელ ფუტკარაძის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	230,00	230,00
24	1-10	22.01.2021	საქართველოს სახალხო არტისტის ალექსანდრე ხომერიკის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	785,00	785,00
25	1-16	22.01.2021	მოქალაქე ნინო ტიკარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 400,00	2 400,00
26	1-18	26.01.2021	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) გარდაცვლილი თანამშრომლის (ოლეგი ჩიტაძე)	5 000,00	5 000,00

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გათვალისწინებული	სულ სულ შესრულება (გასაცემად დამტკიცებული)
			ოჯახისათვის ფინანსური დახმარება		
27	1-19	26.01.2021	საქართველოს სახალხო და დამსახურებული არტისტის თეიმურაზ ქევხიშვილისა და ცნობილი თეატრმცოდნის, პროფესორის დალი მუმლაძის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	955,00	955,00
28	1-20	26.01.2021	მოქალაქე შორენა ჭკადუასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 000,00	3 000,00
29	1-21	26.01.2021	მოქალაქე ჟანა ხალატიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 000,00	3 000,00
30	1-22	26.01.2021	მოქალაქე გაბრიელ ქავთარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 283,94	1 283,94
31	1-23	26.01.2021	მოქალაქე ანა ბოკუჩავასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	7 600,00	7 600,00
32	1-28	28.01.2021	მოქალაქე აკაკი წერეთელისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 100,00	1 100,00
33	1-29	28.01.2021	ცნობილი ქართველი პოეტის ზაურ მოლაშხიას დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	230,00	230,00
34	1-31	28.01.2021	შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ: 206267494) გარდაცვლილი თანამშრომლის ლევან მარგიშვილის ოჯახისათვის ფინანსური დახმარება	5 000,00	5 000,00
35	1-32	28.01.2021	მოქალაქე ვახტანგ თოფურიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4 000,00	4 000,00
36	1-34	28.01.2021	მოქალაქე მზიური მახარაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	900,00	900,00
37	1-36	28.01.2021	მოქალაქე ანასტასია ღვინაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4 406,00	4 406,00
38	1-37	28.01.2021	მოქალაქე გიორგი თოფურიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 803,45	1 803,45
39	1-40	01.02.2020	მოქალაქე იზაბელა ემბორგისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30 000,00	30 000,00
40	1-43	05.02.2021	მოქალაქე ანდრია ქორიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	26 000,00	25 999,97
41	1-44	05.02.2021	მოქალაქე მარიამ აბაზაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 760,00	2 760,00
42	1-45	05.02.2021	მოქალაქე ნიკოლოზ კოტორაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 340,00	2 340,00
43	1-46	05.02.2021	მოქალაქე ქეთევან გამეზარდაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 300,00	2 300,00
44	1-47	05.02.2021	სსრკ-ის სამგზის ჩემპიონის რაგბში, ევროპის ვიცე-ჩემპიონის, 1985 წელს სსრკ-ის საუკეთესო თავდამხსმელის ტიტულის მფლობელის, ქუთაისის „აია“-ს გუნდის ვეტერანი მორაგბისა და ქალაქ ქუთაისის საუკეთესო რაგბისტის ბესარიონ ლილუაშვილისათვის ფინანსური დახმარება.	3 000,00	3 000,00
45	1-48	05.02.2021	მოქალაქე ანა ებილაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15 371,37	15 371,37
46	1-49	05.02.2021	მოქალაქე გარბარე ჯაჯანიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	7 000,00	7 000,00
47	1-51	05.02.2021	ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და მეცნიერის გიორგი ოთხმეზურის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 230,00	1 230,00
48	1-53	05.02.2021	მოქალაქე ლელა გიგოლაშვილისათვის სამედიცინო	5 000,00	5 000,00

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გაცემული თანხები)
			მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად		
49	1-54	05.02.2021	გარდაცვლილი, ცნობილი ქართველი საესტრადო მომღერალისა და მსახიობის, თემურ წიკლაურის ოჯახისათვის ფინანსური დახმარება	5 000,00	5 000,00
50	1-58	10.02.2021	მოქალაქე დავით ამაშუკელისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	732,00	732,00
51	1-59	10.02.2021	მოქალაქე გურამ პაპუაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	732,00	732,00
52	1-66	11.02.2021	ქალაქ თბილიში 2019 წლის 20 ივნისის აქციაზე დაზარალებულ მოქალაქე დემეტრე ნაყოფიასათვის საზღვარგარეთ მკურნალობის გაგრძელების მიზნით ფინანსური დახმარება	30 000,00	30 000,00
53	1-68	12.02.2021	მოქალაქე დავით ონიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	950,00	950,00
54	1-69	12.02.2021	მოქალაქე თეონა შულაიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10 000,00	10 000,00
55	1-70	12.02.2021	მოქალაქე მანანა კუპატაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 200,00	1 200,00
56	1-71	12.02.2021	მოქალაქე გიორგი დვალიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20 000,00	20 000,00
57	1-77	16.02.2021	მოქალაქე დავით ჭელიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	6 500,00	6 500,00
58	1-78	16.02.2021	მოქალაქე ნიცა ეზიეშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 390,00	1 347,00
59	1-79	16.02.2021	მოქალაქე ვაჟა რობაქიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 900,00	1 900,00
60	1-80	16.02.2021	მოქალაქე გოგი ტუღუშისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	8 000,00	8 000,00
61	1-86	19.02.2021	მოქალაქე იოანე იმნაიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 000,00	2 000,00
62	1-87	19.02.2021	მოქალაქე მაია ნაცვლიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 500,00	1 500,00
63	1-89	19.02.2021	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) გარდაცვლილი თანამშრომლის (ვახტანგი ჯოლბორდი) ოჯახისათვის ფინანსური დახმარება	5 000,00	5 000,00
64	1-90	19.02.2021	მოქალაქე ნინო მჭედლიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 500,00	2 500,00
65	1-94	23.02.2021	მოქალაქე გიორგი გამყრელიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 500,00	1 500,00
66	1-95	23.02.2021	მოქალაქე ლარისა ხუციშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 000,00	3 000,00
67	1-96	23.02.2021	მოქალაქე ლანა ავალიანისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15 000,00	14 999,99
68	1-97	23.02.2021	მოქალაქე კახა ჯაველიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 000,00	2 000,00
69	1-100	25.02.2021	მოქალაქე ნიკოლოზ ხარაიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4 000,00	4 000,00
70	1-101	25.02.2021	მოქალაქე ვახტანგ ფხოველიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5 000,00	5 000,00
71	1-102	25.02.2021	მოქალაქე ელენე ხუხიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 000,00	3 000,00
72	1-103	25.02.2021	მოქალაქე ელგუჯა ქობულაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 000,00	1 000,00
73	1-104	26.02.2021	მოქალაქე კარლი ჯაფარიძისათვის საზღვარგარეთ	25 000,00	24 999,99

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	სასამართლოს შესრულებაზე (გაუქმებაზე) მიღებული
			სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად		
74	1-109	02.03.2021	მოქალაქე ნინო მაღლაკელიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15 000,00	14 995,92
75	1-112	02.03.2021	მოქალაქე ალექსანდრე ყანჩაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯის ასანაზღაურებლად	950,00	950,00
76	1-113	02.03.2021	მოქალაქე ნათელა გაგნიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 321,00	2 321,00
77	1-114	02.03.2021	ცნობილი ქართველი მომღერლის ბადრი დოიჯაშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	9 700,00	9 700,00
78	1-115	02.03.2021	მოქალაქე ნიკოლოზ ჩახვაშვილისათვისს სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4 600,00	4 600,00
79	1-116	02.03.2021	მოქალაქე ლუკა კანდელაკისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	930,00	930,00
80	1-117	02.03.2021	მოქალაქე გიორგი კაშიასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20 000,00	18 928,77
81	1-118	04.03.2021	მოქალაქე ლიანა კუკანიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 000,00	3 000,00
82	1-119	04.03.2021	მოქალაქე რუსუდან მორჩილაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30 000,00	29 653,21
83	1-123	11.03.2021	მოქალაქე სალომე ელიკაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯის ასანაზღაურებლად	2 800,00	2 800,00
84	1-124	11.03.2021	მოქალაქე ბესიკ რუხაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	6 000,00	2 890,75
85	1-130	12.03.2021	მოქალაქე ანა კერესელიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15 000,00	15 000,00
86	1-131	12.03.2021	მოქალაქე მარიამ რევაზიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	900,00	900,00
87	1-134	12.03.2021	მოქალაქე ირმა ბარათაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4 500,00	4 499,97
88	1-135	16.03.2021	მოქალაქე გიორგი მუშკიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებ	2 600,00	0,00
89	1-138	16.03.2021	მოქალაქე ანასტასია გაბიტაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 100,00	2 100,00
90	1-139	16.03.2021	მოქალაქე ლია ყანჩაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 000,00	1 000,00
91	1-140	16.03.2021	მოქალაქე თამარა ოთხმეზურისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 500,00	2 500,00
92	1-141	16.03.2021	მოქალაქე არაშ რაჰიმისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 200,00	3 200,00
93	1-145	18.03.2021	მოქალაქე სალომე რურუასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 101,00	1 101,00
94	1-146	18.03.2021	მოქალაქე ტრისტან აბუაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 423,00	1 423,00
95	1-149	18.03.2021	მოქალაქე ვიქტორ ლალიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	946,00	946,00
96	1-150	18.03.2021	მოქალაქე ფატიმა ოდიშარიასათვის ფინანსური დახმარება	4 000,00	4 000,00
97	1-151	18.03.2021	მოქალაქე სანდრო გერძენიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 800,00	1 775,00
98	1-154	19.03.2021	მოქალაქე გიორგი ქორიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 400,00	2 400,00
99	1-155	19.03.2021	მოქალაქე მარი მაჩაიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 200,00	1 200,00
100	1-156	19.03.2021	მოქალაქე ალექსანდრე კიკნაძისათვის სამედიცინო	2 285,00	2 285,00

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გაანაღდებული)
			მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად		
101	1-161	22.03.2021	მოქალაქე მანანა როგაქიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	12 500,00	12 500,00
102	1-162	22.03.2021	მოქალაქე მიმოზა სარჩიმელიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 700,00	1 700,00
103	1-163	22.03.2021	მოქალაქე იზაბელა კაჭარავასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 000,00	2 000,00
104	1-165	23.03.2021	მოქალაქე თამაზ ხითაროვისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5 340,00	5 340,00
105	1-169	26.03.2021	მოქალაქე ჯულიეტა ჯიოშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 000,00	1 000,00
106	1-171	30.03.2021	მოქალაქე თამარ ქუფარაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 400,00	3 400,00
107	1-173	30.03.2021	მოქალაქე გიორგი მირიანაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	800,00	800,00
108	1-174	30.03.2021	მოქალაქე კახა ნადარეიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 000,00	3 000,00
109	1-175	30.03.2021	მოქალაქე იზოლდა ბუქურისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 000,00	1 000,00
110	1-176	30.03.2021	მოქალაქე მნათობი ვაშაკიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	828,00	828,00
111	1-178	30.03.2021	მოქალაქე გიორგი მარგიევისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 000,00	2 000,00
112	1-181	01.04.2021	მოქალაქე დავით მაღლაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	9 000,00	9 000,00
113	1-182	01.04.2021	მოქალაქე ნინო ხოფერიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	6 000,00	6 000,00
114	1-183	01.04.2021	მოქალაქე მარინა ქობალავასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4 500,00	4 500,00
115	1-185	01.04.2021	მოქალაქე კონსტანტინე მაჭარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15 000,00	15 000,00
116	1-187	01.04.2021	მოქალაქე მალხაზ დახუდარიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4 950,00	4 829,00
117	1-188	01.04.2021	მოქალაქე მაყვალა ბუთხუზისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 000,00	3 000,00
118	1-189	06.04.2021	მოქალაქე ლალი სტურუასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 000,00	2 000,00
119	1-190	06.04.2021	მოქალაქე თამაზ კუპრაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	900,00	900,00
მიმდებარედ, ნუცუბიძის პლატო 5 მ/კ 3-5-7 კორპ, ვაჟა-ფშაველას 6 კვ 37კორპუსი, ქავთარაძის N47, ვაჟა-ფშაველას 6 კვ 19 კორპ, უჩანეიშვილის მე3 ჩიხი, ნუცუბიძის 1 მ/კ კორპ 12 შიდა ეზო, ჭავჭავაძის 1 შესახვევი. საჯაიას ქუჩა. ხეჩინაშვილის კლინიკა, ვაჟა-ფშაველას 3 კვ 10 კორპ, ყიფშიძის ქ.N14, რამიშვილის N2, თამარაშვილის N8, ბანძელაძის ქუჩა (სკოლა ათასწლეულის მიმდებარედ), მარუხის ქუჩა, მინდელის ქუჩა N7, შატბერაშვილის ქუჩა, ღოღობერიძის შესახვევი (ჟვანიას ქუჩის ბოლო), ჭავჭავაძის N33 ეზო, პოლიტკოვსკაიას N9, N39, N41, N51, N59, ლორთქიფანიძის ქუჩა, წყნეთი რობაქიძის ქუჩა, ჟვანიას ქუჩა N28, წყნეთი თევდორე მღვდლის ქუჩა და თევდორე მღვდლის 1 და 3 ჩიხები, ჟვანიას ქუჩა, ახალდაბის ქუჩა N3-დან გაგრის ქუჩის N19-მდე, ნუცუბიძის 2 მ/რ 8 კორპ, ბანძელაძის ქუჩა (სტადიონთან მისასვლელი გზა), საშა იოსელიანის და წმინდა ვასილისკოს ქუჩები, ასათიანის და კაპანელის ასასვლელი ქუჩები, ნუცუბიძის 1 მ/რ კორპ. 17, თევდორე მღვდლის ქუჩის ბოლო მონაკვეთი, პოლიტკოვსკაიას N47, სოფ თხინვალა ლეო კვაჭაძის შესახვევი, აგარაკები შუა მინდვრის ქ, ფერმწერთა ქუჩა 1 შესახვევი, ჩხიკვაძის N10-ში, ვაჟა ფშაველას 1კვ კორპ N19, კაპანელის ქ. N5, სოფ. თხინვალა თამარ მეფის ქუჩა, თხინვალა ვირსალაძის ქუჩა, ხოლო გზის ორმული შეკეთება - 6 600 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: თავხელიძის N1, ნადირაძის N6, აბაშიძის N47, თამარაშვილის N11, 41, 80, ჭავჭავაძის 75/7, მამასახლისოვის N5, ფალიაშვილის 34 (პანდუსი), ვაჟა-ფშაველას 1 კვ. 4 კორპ მიმდებარედ, ყიფშიძის N10, 14-ის მიმდებარედ, ჭავჭავაძის N24, ავთო ვარაზის ქუჩა. 4 მ/კ 55 კორპ მიმდებარე სტადიონთან, ნუცუბიძის 4 მ/კ. კორპ 10ა მიმდებარედ, არაყიშვილის N22, ჭავჭავაძის N83, ტაბიძის N60-64, ჭავჭავაძის N 74, რაზმაძის N7, 52, , ციციშვილის N1 შესახვევი, ნუცუბიძის 4/მრ N4, 5, 9 და 38 კორპუსები, თხინვალას ქუჩა, ვაჟა-ფშაველას 2 კვ 27 კორპუსი, კაპანელის ქუჩა 5 კორპუსი, ნუცუბიძის 4 მ/რ-5 მ/რ-ების დამაკავშირებელი მონაკვეთი, ნუცუბიძის 1 მ/რ კორპუსი 16, ნუცუბიძის 4 მ/რ 1 კორპუსი (კაპანელის ქუჩა), ნუცუბიძის 1 მ/რ ბედიას ქუჩა, ნუცუბიძის 4 მ/რ 102 საჯარო სკოლასთან, ქუთათელაძის ქუჩა, ნუცუბიძის 1 მ/რ 8 კორპუსი, ამაშუკელის N33, წყნეთი ქეთევან წამებულის ქუჩა, წყნეთი გურამიშვილის ქუჩა, მარი ჯანის ქუჩა, თხინვალას გზა ავალიანი ქუჩა, მუხაძის ქ

N8. ამასთან, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოწესრიგდა გზების 64.9 ათასი კვ.მ, მათ შორის: მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 45.8 ათასი კვ.მ, ხოლო პერიოდული ორმოული შეკეთების სამუშაოები - 19.1 ათასი კვ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2021 წლის განმავლობაში მოწესრიგდება შიდაკვარტალური გზები, ქუჩები და ეზოები 51472 კვ.მ, კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდება 18390 კვ.მ-ს გზას.

მიღწეული მაჩვენებელი - მოწესრიგდა შიდაკვარტალური ქუჩები, ეზოები, და გზები 70000 კვ.მ. მათ შორის: გზების კაპიტალური შეკეთება 17100 კვ.მ, მიმდინარე შეკეთება 46300 კვ.მ, ხოლო პერიოდული ორმოული შეკეთებითი სამუშაოები განხორციელდა 6600 კვ.მ.

01 01 13 გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 7,635.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 7,516.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შიდაკვარტალური გზების მიმდინარე და ორმული შეკეთება 15262,6 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქ.18, დავით სარაჯიშვილის 1 ჩიხი 1, დავით სარაჯიშვილის N9, სოფ.დიღომი დიდგორის ქ. N23, N31, მამია ალასანიას ქ. N36, გრ.ფერაძის ქ. N3, დიდი დიღომი მე-2 მ/რ. კ. 27ა, ბერბუკის ქ. N1, ტყვარჩელის ქ.N5, ფარნავაზ მეფის ქ.N18ა, ნ. ბურისა და ი. რაინგესის ქუჩის კვეთასთან, გ. კარტოზიას ქ.N1, N7, ისაკაძის ქ. N27, N33, N51, კოსტავას ქ. N73, N75, ტაშკენტის ქ.N23, ყაზბეგის გამზ. N29ა, შარტავას ქ. N45, შევარდენიძის ქ. N11, ცაგარელის ქ.N34-36, მიროტაძის ქ. (სპორტის სასახლესთან), მიროტაძის ქ. N2, ბურძგლას და

ტანძიის ქუჩის კვეთა, ლვოვის ქ.N4, ანტონოვსკაიას ქ. N9ბ, ოთხიათასი მესხის ქ.N9, მ. ლორთქიფანიძის ქუჩა, პეკინის ქ. N24, თამარ მეფის მე-5 ჩიხი 1, აღმაშენებლის ქ.N53, ბერიტაშვილის ქ. N11, საირმის ქ. N2, N9, N88, ალექსიძის ქ.N11, ფანასკერტელ-ციციშვილის ქ.N11-14 კორპ. შორის, სოფ.დიღომი აღმაშენებლის ქ.N58-60-62, ჯანო ბაგრატიონის ქ.N2ა, ნიკო ბურის ქუჩა, სოფ.დიღომი ვახტანგ სონღულაშვილის ქ.1 შესახვევი, დიდი დიღომი გიორგი ბრწყინვალეს ქ.N24, ნუცუბიძის ქ.N14-16, იაკობ რაინეგსის ქ.N92, ოსკარ შმერლინგის ქ. N88, ყაზბეგის გამზირი N27, N41, ზაქარიაძის ქ. N7, დოლიძის ქ. N5, N107, ოსეთის ქ. 37-ს მიმდ, კორპუსის ეზოებში (ბმა-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე) ასფალტობეტონის მოწყობა - 13 512,5 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: კარტოზიას ქუჩა N1, N3, N5, N7-ის შორის ჩიხები, ცინცაძის ქუჩა N40, N42, პეტრე იბერის ქუჩა N4, სოფ. დიდი დიღომი დავით აღმაშენებლის ქუჩა N58-60-62-64, კანდელაკის ქუჩა N6, იოსებიძის ქუჩა N60, კოსტავას ქუჩა N75, შარტავას ქუჩა N35, ყაზბეგის გამზირი N1, გზებზე და ქუჩებზე ასფალტობეტონის მოწყობის სამუშაოები - 89 391,5 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: ნ.დგებუაძის ქუჩა, სოფ.დიღომი გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, ნასიძის ქუჩა, სოფ.დიღომი გიორგი ბრწყინვალეს II შესახვ. 14-16-მდე მონაკვეთი, დიდი დიღომი ექვთიმე ხელაძის ქუჩა, პიმენ ყურაშვილის II ჩიხი, ტაშკენტის და ისაკაძის ქუჩის კვეთიდან დავითაშვილის ქუჩის დასაწყისამდე, მირიან მეფის ქ. N35, აბულაძის ქუჩა, სოფ.დიღომი ვაჟა ფშაველას ქუჩის მე-2 ჩიხი, სამაჩაბლოს ქუჩა, გოდერძი ჩოხელის ქუჩის მე-3 ჩიხი, იოსებ კვაჭაძის ქუჩა, რჩეულიშვილის და რენე შპერლინგის ქუჩები, სოფ.დიღომი კვირაცხოვლის, ვაჟა ფშაველას და მამუჩაშვილის ქუჩები, დიდი დიღომი დავარის და ასმათის ქუჩები, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქუჩები, სოფ.დიღომი დიდგორის ქუჩა მე-2 შესახვევი, აქვსენტი ნაჭყებიას ქუჩა და ჩიხები, ანდრონიკაშვილის ქუჩა, დიდი დიღომი ფრედერიკ მონპერეს, ვეფხისტყაოსნის ნინო აბშიძე-ორბელიანის ქუჩები და სოფ. დიღომი ვაჟა ფშაველას ქუჩა, მოხრეშვის სამუშაოები - 9 372 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: დიდი დიღომი მაქს ტილკეს ქუჩა, მონპერეს ქუჩიდან ბარონ დე ბაიას ქუჩამდე, სოფელი დიღომი გაბრიელ ათონელის ქუჩა და ძველი ვეძისის ქუჩა. ამასთან, გაწეულია 200 ცალი

მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების (ბოწკინტები) შეძენა-მონტაჟისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წლის განმავლობაში ჩატარდა 10138 კვ.მ-ზე გზების მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები, 1332 კვ.მ-ზე მოხრეშვის სამუშაოები, 12031,8 კვ.მ-ზე ეზოებში ასფალტობეტონის დაგების სამუშაოები, 64203,3 კვ.მ-ზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2021 წლის განმავლობაში ჩატარდება: 15 920 კვ.მ-ზე გზების მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები, 9 407 კვ.მ-ზე მოხრეშვის სამუშაოები, 12 751 კვ.მ-ზე ეზოებში ასფალტობეტონის დაგების სამუშაოები, 61 989 კვ.მ-ზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 15 262,60 კვ.მ-ზე გზების მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები, 9 372 კვ.მ-ზე მოხრეშვის სამუშაოები, 13 512,5 კვ.მ-ზე ეზოებში ასფალტობეტონის დაგების სამუშაოები, 89 391,50 კვ.მ-ზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018-2020 წელს ადაპტირებულია გზები 4 მისამართზე: ქუთათელისა და თოფურიძის, არჩილ მეფის და ფანასკერტელის ქუჩები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ადაპტირებული იქნება მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქუჩა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

01 01 14 გზების მოვლა შეკეთება ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3,810.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,677.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 86793 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ქ

წამებულის გამზირი N63-ეზო, ქ წამებულის გამზირი N25-ეზო, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი მე-3 შესახვევი კორპუსი N4, ციხისძირის ქ N14, ციხისძირის ქ N45, მოსკოვის გამზირი ბენზინგასამართი სადგურიდან ყოფილ ხორცკომბინატამდე, ლეხ კაჩინსკის ქ N1,ნავთლუღის მე-13 ქუჩა და ნავთლუღის 1-ლი დასახლება მე-8 შესახვევი, ნავთლუღის დასახლება მე-8 შესახვევი, კონსტანტინე ერისთავის ჩიხი, ვარკეთილის მე-4 მ/რ მე-3 კვ კორპუსი N2, ლობჟანიძის ქ, წულუკიძის მე-4 შესახვევი კორპუსი N5-7, წულუკიძის მე-4 შესახვევი კორპუსი N4, წულუკიძის მე-4 შესახვევიდან შანდორ პეტეფის ქუჩამდე, აწყურის ქუჩა, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N143, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N145, ბერი გაბრიელ სალოსის მე-7 შესახვევი კორპუსი N10, შირაქის ქუჩა N14, ონიანის ქუჩა, დ კვაჭანტირაძის ქ N22, მ. მშველიძის ქუჩიდან ვ/უბნის მე-2 მ/რ კორპუსი N13-მდე, წულუკიძის მე-3 შესახვევი კორპუსი N6, ვ/უბნის დასახლება ბ/ბაღი N182 მიმდებარედ, ვ/უბნის დასახლება კორპუსი N12, ვ/უბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N6, ბერი გაბრიელ სალოსის მე-5 შესახვევი, ახალუბნის 1-ლი ჩიხი, ახალუბნის ქუჩა, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი კორპუსი N141-ის ეზო, წინანდლის ქ N9, მარტყოფის მე-2 შესახვევი, ვ/უბნის N12-13-ის მიმდებარედ, ნავთლუღის ქ N2, ნ მუსხელიშვილის ქუჩა, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N100-102-104, ბერი გაბრიელ სალოსის მე-3 შესახვევი კორპუსი N4, ნავთლუღის ქ კორპუსი N6-ის ეზო, კ. ერისთავის ქ N5, მაჭრის შესახვევი, ლობჟანის ქ N2-ის მიმდებარედ, ალადაშვილის შესახვევი მარტყოფის ქუჩიდან ერისთავის ქუჩამდე, იუნკერების ქ N1, ბზიფის ქუჩა, ყვარლის ქუჩა კორპუსი N101 ეზო, არტურ ლაისტის ქუჩა კორპუსი N3-4, ყვარლის ქ კორპუსი N88, ანდღულაძის ქუჩა, ვ/უბნის დასახლება კორპუსი N23, ბერი გაბრიელ სალოსი გამზირი კორპუსი N165, ქურხულის ქ N4, არტურ ლაისტის ქ კორპუსი N3-4, რუსუდანის შესახვევი, ყვარლის ქ მე-6 შესახვევის მიმდებარედ, ე ონიანის ქუჩა, პაპიაშვილის ქუჩა გუჯარეთის 1-ლი ქუჩიდან გუჯარეთის მე-2 ქუჩამდე, სამგორის დასახლება კორპუსი N28-28ა-29 მიმდებარედ, კახეთის გზატკეცილი კორპუსი N7, ონიანის ქუჩა, რომან გვენცაძის ქ N31, მელაანის მე-2 შესახვევი, სულაქველიძის ქ, კასპის ქუჩა, ლეხ კაჩენსკის ქუჩა N11-ის ეზო, ვ/უბნის მე-2 მ/რ კორპუსი N14, ციხისძირის 1-ლი გასასვლელი და მე-3 ჩიხი, გუდარეხის ქუჩა, კახეთის გზატკეცილი კორპუსი

N8,36, გუდარეხის ქ N119, წულაძის ქ N22, გუდარეხის გასასვლელი, მოსკოვის გამზირი კორპუსი N1-ის ეზო, ნადარეიშვილის ქუჩიდან სამგორის ქუჩამდე, მარტყოფის შესახვევი N28-ის მიმდებარედ, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N53-ის მიმდებარედ, 300 არაგველების მე-2 შესახვევი N3, ვ/უბნის მე-4 მ/რ მე-3 კვ კორპუსი N7, ქ წამებულის ქ N61, ვარკეთილის მე-4 მ/რ მე-3 კვ კორპუსი N7, გუჯარეთის ქ N19ა, 1-ლი გუჯარეთის ქ, ვ/უბნის 1-ლი მ/რ კორპუსი N15. ამასთან, გაწეულია დეფექტური აქტებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა 79 873.12 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებულია - 52 ობიექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მიმდინარე შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდება 79825 კვ.მ გზას და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები 10283 გზას, სულ 90108 კვ.მ, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის განსაზღვრულია 15 ადაპტირებული ობიექტის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 86793 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებულია - 67 ობიექტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაგეგმილზე ნაკლები მოცულობის გზის საფარის მოწყობის სამუშაოების განხორციელება, განაპირობა მოსახლეობიდან მოთხოვნის შემცირებამ.

01 01 15 გზების მოვლა შეკეთება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 8,175.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 8,087.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 139544 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ვარკეთილი 3, 4 მ/რ კორპ №401-ის ეზოში, მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთებები ჩაუტარდა ჭიჭინაძის №23ბ, ვარკეთილის 1მ/რ კორპ №35-ს, ზ/პლატო კორპ №51-ის მიმდებარედ კახეთის გზატკეცილისა და ასლანიშვილის ქუჩის კვეთაზე, ალ. ჯაფარიძისა და არჩილ მეფის ქუჩებს, კაპიტალურად შეკეთდა ემირ ბურჯანაძისა და ნაკადულის ქუჩების მე-2 შესახვევები, ერეკლე მეორის ქუჩა გახოკიძის ქ. კორპუსი №50ა-ს მიმდებარედ, თაყაიშვილის ქ. №41-№54 -ის მიმდებარედ, დავით ყიფიანის ქუჩა და I შესახვევი, იალნოს, ხევსურეთისა და რკინიგზის ქუჩები, ოცხელის ქუჩა №30-№32-ის მიმდებარედ და ა. შ. მრავალწლიანი ხელშეკრულებით გრძელდება ამილახვარის ქუჩა №1 დან №13-ის ჩათვლით, გუდამაყრის ქუჩის, ქინძმარაულის I ჩიხის, ესენინისა და ბანეთიშვილის ქუჩების მოწყობის სამუშაოები. დასრულდა მრავალწლიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჭავჭავაძის, გოგებაშვილის, კაკლიანის, სავანის ქუჩისა და შესახვევების კაპიტალური შეკეთება. ამასთან, გაწეულია დეფექტური აქტებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა 101603 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები, მათ შორის გათვალისწინებულია ადაპტირება სხვადასხვა საჭიროებისათვის.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოწესრიგდება გზების 96468 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები მათ შორის გათვალისწინებული იქნება ადაპტირება სხვადასხვა საჭიროებისათვის.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 139544 კვ.მ (მათ შორის 1235 კვ.მ ტროტუარი) ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები, მათ შორის გათვალისწინებულია ადაპტირება სხვადასხვა საჭიროებისათვის.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ტენდერებიდან და შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული

ეკონომიების ხარჯზე, შესაძლებელი გახდა დამატებითი მოცულობის სამუშაობის განხორციელება.

01 01 16 გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონი გამგეობა

2021 წლის გეგმა - 2,750.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,690.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შეკეთდა 468139,3 კვ.მ. გზის საფარი (ორმული შეკეთება) შემდეგ მისამართებზე: გორგასალის ქ. N61-დან კრწანისის ქუჩის N3-ის ჩათვლით, გულუას ქუჩა, სოხუმის ქუჩა, ორთაჭალის ქ. N32 და III ჩიხი, რუსთავის გზატკეცილი N44,N237,N16, N 12,N14, N263, N159, სოლომონ მეორის ქ. N3, კრწანისის II შესახვევი და ჯაფარიძის ქუჩის კვეთა, კუფტინის ქ.N7-12, ღოღობერიძის ქუჩა N69, ფონიჭალა 3 კორ. N3,7,9,14,15,16,17,18,19,20,25,26,28,91, ნაკაშიძეების ქუჩა, დადიანის I შესახვევი 9, გორგასლის ქ. N13, N41, N19, ორთაჭალის ქ. N19, ვაგზლის ქ. 57ა, N44, N76, სოფელი ფონიჭალა აღმაშენებლის I ჩიხი, დადიანის I გასასვლელი, სოფელ ჭალაში შესასვლელი ბეიბუთოვის ქუჩა, მარნეულის ქ. N37-N43, კრწანისის ქ.-N16, ჟორდანიას ქუჩა, ორთაჭალის მე-3 ჩიხი, გრიშაშვილის ქ.41-52, თელეთის ქუჩა, ორთაჭალის ქ.N10,12,88, ცურტაველის ქ. N9,22,2/4, ეფრემ მცირის ქუჩა, ხანძთელის ქუჩა, ხარფუხის ქუჩა, ბააზოვის ქუჩა, ნაკაშიძეების ქუჩა, მეფისაშვილის ქუჩა, ქუმსიაშვილის ქუჩა, ჩიკვაიძის ქუჩა, წალკის ჩიხი, თუმანიანის ქ.N5,15, საბატონის ქ.N26, რუსთავის გზატკეცილი, ჭავჭავაძის ქუჩა და ჩიხი, ღოღობერიძის ქ.N2, ვაგზლის ქ.N72, გულბანის და აღმაშენებლის ქუჩები, ტაბიძის I შესახვევი, ორთაჭალის ქუჩა N3, 118,90,.ლომინაძის ქუჩა(ეკლესიასთან), კალანდაძის ქუჩა, ორთაჭალის ქ. №100გ -100ვ და სხვა ორმული შეკეთებები, მარნეულის ქუჩაზე განხორციელდა გზის კაპიტალური შეკეთება - 8600 კვ.მ, ხოლო ქვაფენილი დაიგო - 2147,9 კვ.მ გრიშაშვილი-ცურტაველის და გორგასალის ქუჩებზე, ორთაჭალა N77 კორპუსთან და ნარიყალას ტერიტორიაზე. ასევე,

დაფარულია 2018 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტის მიზნით დაკავებული 2.5% - 18.5 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შეკეთდა 54 951.79 კვ.მ ასფალტის საფარი და დაიგო 1 278.4 კვ.მ ქვაფენილი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეკეთდება - 44929 კვ.მ ასფალტის საფარი (მიმდინარე, კაპიტალური) და 2667 კვ.მ. ქვაფენილი.

მიღწეული მაჩვენებელი - შეკეთდა 55413 კვ.მ ასფალტის საფარი (მიმდინარე, კაპიტალური) და დაიგო 1 2147,9 კვ.მ ქვაფენილი.

01 01 17 გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 4,415.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,412.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 8403.1 კვ.მ დაზიანებული ასფალტის საფარის ორმოული შეკეთების სამუშაოები: მაყაშვილის 31-ის მიმდებარედ; ამაღლების გასასვლელი და გ. ნიშნიანიძის ქუჩა; გ. ტაბიძის ქ. N21-ის ეზო; ამაღლების შესახვევი N4-ის ეზო; ზუბალაშვილების ქ. N12; ზანდუკელის ქ.N3, N12 და N24ა-ს ეზო; მაჭავარიანის ქ. N1 და N8-ის ეზო; არსენას ქ. N28 - ის ეზო; წავკისი, ბაღდავაძის, ჯოხაძის ქუჩები და მიმდებარედ არსებული (უსახელო) ქუჩა; ქუჩიშვილის შესახვევი; ლადო ალექსი-მესხიშვილის ქუჩაზე; გ. რჩეულიშვილის V ჩიხი; გ. ახვლედიანის ქუჩა; ნ. ჟვანიას ქუჩა; გ. რჩეულიშვილის ქუჩის პერიმეტრი; ძმ. ზუბალაშვილების ქუჩა, გრიბოედოვის ქ. N34-ის მიმდებარედ; ვუკოლ ბერიძის ქ. N2-ის ეზო; გიგაურის ქ. N13-ის მიმდებარედ; წავკისი; თინა წავკისელის ქუჩა; ერისთავ-ხოშტარიას ქ. N31; ზანდუკელის ქუჩა N3; ამაღლების ქ. N3; უკლებას ქუჩა N 3-ის ეზოები; გ. ჭანტურიას ჩიხი N6; გალის ქ. N17-ის მიმდებარედ; გოგებაშვილის ქ. N10-ის მიმდებარედ; ჟვანიას ქუჩა N4-ის

მიმდებარედ. 703.4 კვ.მ ქვაფენილის დაზიანებული საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები: გ. ტაბიძის ქუჩა; დიმ. ყიფიანის ქ. N38; დ. სარაჯიშვილის ქ. N15; კოტე მესხის ქ. N30-ის მიმდებარედ; 9 აპრილის ქუჩა N 3/5 - ის მიმდებარედ; ტარიელის ქუჩა N1 -ის მიმდებარედ; ბარნოვის ქუჩის პერიმეტრზე; ნიშნიანიძის ქუჩა; თერგის ქუჩა; ალ. ჭავჭავაძის ქუჩა; შინდისის ქუჩა; ალ. შენგელიას ქუჩის პერიმეტრზე; ამაღლების ქ.N3-ის მიმდებარედ; გრიბოედოვის ქუჩის პერიმეტზე. 653.47 კვ.მ ასფალტის დაზიანებული ქვაფენილის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები: ჩატარდა ამაღლების გასასვლელში და გ. ნიშნიანიძის ქუჩის პერიმეტრზე და 43069.3 კვ.მ ასფალტის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები: ვ. პეტრიაშვილის ქუჩა; წავკისი - ბაღდავაძის და ჯოხაძის ქუჩების მიმდებარე მონაკვეთი; ვაჩნაძის და შენგელიას ქ. N5-ის მიმდებარედ; აბაშიძის ქ.N6-ის მიმდებარედ; ლ. გუდიაშვილის ქ.N5-ის მიმდებარედ; წავკისი - რუსთაველის ქუჩა N1 -დან N31-მდე; ტაბახმელა - თამარ მეფის ქუჩა; შინდისი - მერაბ კოსტავას ქუჩა N11-დან N22-მდე, ოქროყანა, გ ზონა (ნაკვ.1/8)-ის მიმდებარედ და მირიან მეფის I შესახვევში, წავკისში - ჭავჭავაძის ქუჩაზე (ჩიხებით). ამასთან, გაწეულია დეფექტური აქტებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალდეური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 15125.1 კვ.მ ასფალტის საფარს, კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 33621.75 კვ.მ ასფალტის საფარს, ახალი ქვაფენილი მოეწყო 1211.86.კვ.მ-ზე და ქვაფენილის დაზიანებული საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 715.65 კვ.მ-ზე. სულ შეკეთდა 50674.36 კვ.მ გზის საფარი. მოეწყო 5 ადაპტირებული ობიექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 8403.1 კვ.მ ასფალტის საფარს; კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდება 43069.3 კვ.მ ასფალტის საფარს; ახალი ქვაფენილი მოეწყობა 1356.87 კვ.მ-ზე. სულ შეკეთდება 52829.27 კვ.მ გზის საფარი; განსაზღვრულია 5 ადაპტირებული ობიექტის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

01 02 ტრანსპორტის განვითარება დაფინანსებულია 263,872.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 271,690.3 ათასი ლარის 97.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

01 02 01 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2021 წლის გეგმა - 28,006.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 20,193.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,790.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 72.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა გაუმჯობესებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო საშუალებების მოწესრიგებული მოძრაობა, თბილისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მომსახურეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოწკინტები, შუქდამბრუნებელი, დაზიანებული ლითონის ძელებიანი ზღუდარები, ბარიერები და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი, მოვლა - შენახვა და საექსპლუატაციო სამუშაოები, კერძოდ: დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 5397 საგზაო ნიშანი (მ.შ. 2678 ერთეული არსებულ დგარზე), 877 ერთეული ახალი საგზაო ნიშნის დგარი, 184 ცალი შუქდამბრუნებელი საგზაო მარკერი, 82 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე (ანტივანდალური ტექნიკური თვისებების მქონე), 60 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი და 7 ცალი გზის გამყოფი ბუფერი; ადგილმდებარეობა შეეცვალა 143 ერთეულ საგზაო ნიშანს (მათ შორის 34 ცალ საგზაო ნიშანს დგართან ერთად), შეკეთდა (გასწორდა) 82 ცალი საგზაო ნიშანი (მათ შორის 61 ერთეული დგართან ერთად); შეძენილ იქნა და დამონტაჟდა 3975 ცალი ბოწკინტი (მათ შორის 1059 ცალი ნარინჯისფერი, 85

ცალი ყვითელი, 20 ცალი შავი, 7 ცალი წითელი და 587 ცალი მწვანე ფერის (750 მმ. სიმაღლის) ევათინის მოქნილი „EVA" ახალი ბოწკინტი), 6 ცალი ლითონის ზღუდარის შუქამრეკლი ელემენტი; ხილვადობის გაუმჯობესების მიზნით მსუბუქი ფორმით გადაიბელა 61 ცალი მწვანე ნარგავი; შეძენილი იქნა 50 ცალი (თეთრი და წითელი ფერის) პლასტმასის თვალამრიდი, წყლის ჩასხმის ფუნქციით; დემონტაჟი გაუკეთდა და დასაწყობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე არსებულ დაზიანებულ 14 მგზავრთა მოსაცდელ ჯიხურს, სხვადასხვა მიზეზით მწყობრიდან გამოსულ 661 ერთეულ საგზაო ნიშანს (მათ შორის 163 ერთეულს დგართან ერთად), 37 დაზიანებულ უსაფრთხოების სფერულ სარკეს, 92 გრძ.მ დაზიანებულ ზღუდარს და 1132 დაზიანებულ ბოწკინტს; გაირეცხა-გასუფთავდა 8 ცალი საგზაო ნიშანი და 493 ცალი ბოწკინტი - საერთო ჯამური ღირებულებით 1,362.5 ათასი ლარი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საავტომობილო მოძრაობის შეზღუდვის მიზნით დამონტაჟდა 387 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი მდგრადი ბოწკინტი - 133.6 ათასი ლარი;

დედაქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემის მოვლა-შენახვა და ექსპლუატაციის სამუშაოები, კერძოდ: შეიცვალა შუქნიშნის 142 მოდული, ასევე შეიცვალა (CMM) RE2209 კონფლიქტების მეხსიერების მოდული 1 ცალი და (OSM) RE2218 ძალოვანი არხების მოდული 1 ცალი, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილ იქნა შუქნიშნის 74 ობიექტზე, 15 ობიექტზე დამონტაჟდა 118 შუქნიშანი (მ.შ. 8 ცალი ქვეითთა შუქნიშანი qv.1, qv.2 და 8 ცალი სატრანსპორტო შუქნიშანი TI 200), სხვადასხვა კვეთის 5146 გრძ.მ ქსელური კაბელი, განხორციელდა 67 ცალი შუქნიშნის დგარის მონტაჟი და 17 ცალი შუქნიშნის დგარის დემონტაჟი-დასაწყობება, ვიდეომეთვალყურეობის სისტემისთვის Milestone Care Plus (XProtect Corporate) ლიცენზიის მოწოდება და საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის BARCO OVL-815 (3X9) ვიდეოკედელის 27 კუბი ფილტრის შეცვლა (რომელიც შედგება 54 ფილტრისგან), საპროექციო ნაწილის პროფილაქტიკური და ტექნიკური მომსახურება - საერთო ჯამური ღირებულებით 1,269.5 ათასი ლარი,

ასევე, დაფარულია 2020 წლის №01 02 01 02/9 ხელშეკრულებით გაფორმებული საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული შუქნიშნების და მათი მოწყობილობების მოვლა-შენახვა-ექსპლუატაციის სამუშაოები-100.1 ათასი ლარი;

თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში შუქნიშნის ძველი ობიექტების ახლით ჩანაცვლების ან ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, სატრანსპორტო დეტექტორების, ვიდეოკამერების, საგზაო კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით-დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის სამუშაოების ფარგლებში დამონტაჟდა შუქნიშნის 37 ახალი ობიექტი, ხოლო არსებული 4 შუქნიშნის ობიექტის დემონტაჟი და დასაწყობება ღირებულებით - 5,413.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 3,062.1 ათასი ლარი);

თბილისის ქუჩებზე და მაგისტრალებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით ქალაქის მაშტაბით მოეწყო 1 944 გრძ.მ. ბორდიური, ი. სუხიშვილის, დ. ალექსიძის, ს. თაყაიშვილის და ერთიანობის მებრძოლთა ქუჩებზე განხორციელდა 19 ცალი ამაღლებული ზებრა გადასასვლელის (1 198 კვ.მ), 4 ცალი კუნძულის და 20 ცალი პანდუსის მოწყობა. ასევე, მოეწყო მცირე ინფრასტრუქტურის პროექტირება/ მშენებლობა/ რეაბილიტაცია/ რეკონსტრუქციის შემდეგი სამუშაოები: მარჯვენა სანაპიროსა და „ვეფხი და მოყმის“ ძეგლის მიმდებარედ ველობილიკის პანდუსებს ჩაუტარდათ დემონტაჟი, თამარაშვილის ქუჩაზე არსებულ კუნძულებს ჩაუტარდათ მოდერნიზაცია (სავალი ნაწილის გაგანიერება), სააკაძის დაღმართსა და კრწანისის მოედანზე დაზიანებულ კუნძულებს ჩაუტარდათ აღდგენითი სამუშაოები (სავალი ნაწილის გაგანიერება), მოსკოვის გამზირზე, ელდარის, პატარიძის, ფეიქართა, ქუჩებზე, თამარ მეფის გამზირისა და წინამძღვრიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე მოეწყო პანდუსები, მოსკოვის გამზირზე მოეწყო საოჯახო ნარჩენების ურნების ე.წ. ჯიბეები, ვარკეთილში სესილია თაყაიშვილის ქუჩაზე არსებულ ქვეითთა ამაღლებულ გადასასვლელებთან მოეწყო სანიაღვრე ცხაურები, ელექტროსადენების ჩასაწყობად მოეწყო ქვაბული, ჩატარდა ელექტრო გადამცემი ხაზის მოწყობის სამუშაოები, კუპრაძისა და ლიბანის ქუჩებზე მოეწყო 432 კვ.მ. ტროტუარი და 158 კვ.მ ქვეითთა ბილიკი, ლიბანის ქუჩაზე ქვეითებისათვის მოეწყო 20 კვ.მ. კიბე-

მოაჯირით (მ.შ. სამუშაოს ხარისხობრივი დაცვის უზრუნველსაყოფად დაკავებულ იქნა 5%), შესრულებული სამუშაოების საერთო ჯამური ღირებულება - 468.4 ათასი ლარი (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 291.3 ათასი ლარი);

შეძენილ იქნა და 481 ლოკაციაზე დამონტაჟდა, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის 2938.25 გრძ.მ. ხელოვნური დაბრკოლებები (ბორცვები) - ღირებულებით 254.0 ათასი ლარი,

ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნის ამომცნობი ვიდეოკამერის ვიდეოანალიტიკურ პროგრამა ISS SecureOS-ში ეფექტურად ფუნქციონირებისთვის განხორციელდა 10 ცალი სერვერის შეძენა - ღირებულება 407.5 ათასი ლარი;

ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვარში განხორციელდა 5 ცალი ინდივიდუალური პროექტირების საინფორმაციო საგზაო ნიშნისა და მისი საყრდენი კონსტრუქციის სამონტაჟო სამუშაოები, ერთს გაუკეთდა დემონტაჟი დგარიანად და დასაწყობდა, 3 მაჩვენებელზე მოხდა ისრებისა და ასოების კორექტირება, 1 ცალს ჩაუტარდა ადგილმონაცვლეობა - ღირებულებით 222.2 ათასი ლარი;

დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დატანილი იქნა 87063.12 კვ.მ. ჰორიზონტალური (19937.69 კვ.მ-თერმო პლასტით, 26453.75 კვ.მ-ცივი პლასტით), და 40671.68 კვ.მ აკრილის საღებავით) საგზაო მონიშვნები, წაიშალა 4231.95 კვ.მ. აკრილის, თერმო და ცივი პლასტის საგზაო მონიშვნა - ღირებულებით 6,049.0 ათასი ლარი (მათ შორის შპს თბილსერვის ჯგუფი - 1,500.0 ათასი ლარი (ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა - 61059.21კვ.მ. (40077.8კვ.მ - აკრილის საგზაო საღებავით, 12706.64 კვ.მ - ცივი და 8274.69 კვ.მ თერმო პლასტით), წაიშალა 2793.25 კვ.მ თერმო და ცივი პლასტი, 816.5 კვ.მ აკრილის საღებავით);

სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისა და მონიტორინგის სამსახურებისთვის, პანდემიისგან გამოწვეული საჭიროებებიდან გამომდინარე შეძენილ იქნა 5 ცალი ვიდეოთვალი, 5 ცალი ყურსასმენი და 5 ცალი კომპიუტერთან დამაკავშირებელი USB Bluetooth ადაპტერი - ღირებულება 12.9 ათასი ლარი;

განხორციელდა საბურთალოს რაიონის სტატიკური მოდელის დამუშავება ალ. ყაზბეგის გამზირსა და პ.ქავთარაძის ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის განცალკავებული ზოლების სატრანსპორტო კვანძების, გაჩერებების დიზაინის შექმნა და პროექტირების შედგენის მომსახურება - ღირებულებით 408.8 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში - სრული ქუჩების“ (Complete streets) და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გზების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შემუშავების“ ფარგლებში, განხორციელდა ტრანზიტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის განცალკავებული ზოლების, დერეფნების დაგეგმარება პროექტირება, სატრანსპორტო მოდელისა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების მონაცემების შესავსებად სატრანსპორტო კვლევა კერძოდ: განხორციელდა 1 184 349 კვ.მ ქუჩების დიზაინის საპროექტო სამუშაოები, 1 115 366 კვ.მ ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა და 99 გზაჯვარედინის/კვანძის მოდელირება - ღირებულებით 1,282.0 ათასი ლარი, ქალაქის ავტოტრანსპორტის მოძრაობის ანალიზისა და ვიზუალიზაციის პროექტის ფარგლებში შექმნილი ვებ-გვერდის (საიტის) შესყიდვა (პროექტი წარმოადგენს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ გადაწყვეტას, რომელიც უზრუნველყოფს დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავებას, ანალიტიკას და მონაცემთა ვიზუალიზაციას (data visualization)) - ღირებულებით 17.9 ათასი ლარი,

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლებისა და დერეფნების დასაგეგმად საჭირო ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის მომსახურება განხორციელდა 499 999.94 კვ.მ არსებულ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის სამუშაოებს 64 მისამართზე შესრულებული სამუშაოს ღირებულებით 29.4 ათასი ლარი,

განხორციელდა ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების სპეციალური საშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების ადგილისთვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის განსაზღვრული საცნობი ნიშნების შესყიდვა ღირებულებით 11.3 ათასი ლარი. ასევე, გარე გამოყენების 65 ცალი უწყვეტი კვების სისტემის და ვიდეო დაკვირვების

კამერებისათვის ელ. კაბელების (შეძენა/მონტაჟი/დემონტაჟი თანმდევი მომსახურებით) გაყვანის მომსახურების შესყიდვა - 228.4 ათასი ლარი (მ.შ კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 64,1), ავტობუსის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა - 8,8 ათასი ლარი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), ავტობუსის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად ხელშეკრულების თანახმად მოხდა წინასწარი ანგარიშსწორების გაცემა 1,903.2 ათასი ლარი (მ.შ. კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 781.1 ათასი ლარი), ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში სამართალდარღვევებისას ელექტრონული საჯარიმო ქვითრების აღსრულების მიზნების უზრუნველსაყოფად, ჰიბრიდული საფოსტო მომსახურების პროგრამული უზრუნველყოფა - 13.8 ათასი ლარი, განხორციელდა 150 ცალი ვიდეოთვალთვალის კამერების, ჰაუსინგის (ვიდეო კამერის გარე გამოყენების კორპუსი), მოწყობილობების მონტაჟის და 12 თვის განმავლობაში ტექნიკური მომსახურების შესყიდვა ღირებულებით - 583.2 ათასი ლარი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი);

წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რამოდენიმეჯერ ჩატარდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების შემოწმება - დათვალიერება. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი წერილები დაეგზავნათ მიმწოდებელ კომპანიებს და შესაბამის სამსახურებს შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებულია შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტები,

დედაქალაქის მასშტაბით პარკირებისთვის, მათ შორის ტაქსებისათვის, პერიოდულად მიმდინარეობს ახალი ადგილების გამოვლენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება. კერძოდ, მიმდინარე პერიოდში შერჩეული იქნა 6 ლოკაცია, სადაც მოეწყო დამატებით 15 ადგილი ტაქსების პარკირებისთვის. ასევე, 37 ლოკაციაზე მოეწყო ელექტრო დამტენები და დედაქალაქის მასშტაბით - 3 260 ადგილი ზონალური პარკირებისთვის. ასევე, თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელდა ლითონის კონსტრუქციის ველო პარკირების მოწყობის სამუშაოები - ღირებულება 13.5 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2020 წელს დამონტაჟდა 3611 ახალი სტანდარტული საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 3272 ცალი ბოწკინტი, 35 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, შეიცვალა შუქნიშნის 193 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 147 ობიექტზე, დამონტაჟდა 247 ცალი შუქნიშანი, მზის ენერგიაზე მომუშავე 6 მოციმციმე შუქნიშანი, 32 ცალი ხმოვანი სიგნალი-შუქნიშანი უსინათლოებისათვის, 15595,72 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი, ხოლო დემონტაჟი გაუკეთდა სხვადასხვა მიზეზით დაზიანებულ 2497 გრძ.მ ზღუდარს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამონტაჟდება 5000 ცალი საგზაო ნიშანი, 185 ცალი (მათ შორის 50 ცალი მზის ენერგიაზე მომუშავე მოციმციმე და 45 ხმოვანი სიგნალი შუქნიშნები (უსინათლოებისათვის)) შუქნიშნის მონტაჟი, 550 ცალი ბოწკინტი, 200 გრძ.მ. ლითონის ძელებიანი ზღუდარი, 35 ცალი ანტივანდალური სფერული სარკე.

მიღწეული მაჩვენებელი - დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 5397 საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 4362 ცალი ბოწკინტი, 60 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი და 7 ცალი გზის გამყოფი ბუფერი, 82 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, შეიცვალა შუქნიშნის 142 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 74 ობიექტზე, დამონტაჟდა 118 ცალი შუქნიშანი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია ერთკომპონენტიანი (აკრილი) საღებავით 37328,9 კვ.მ და ცივი და თერმო პლასტით 27743,89 კვ.მ საგზაო მონიშვნა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 87 063,12 კვ.მ. ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა; წაიშალა 4 231.95 კვ.მ. აკრილის, თერმო და ცივი პლასტის საგზაო მონიშვნა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, განხორციელდა 31 ცალი კუნძულის, 58 პანდუსის, 5 ცალი ტროტუარის, 9 ცალი

ქვეითთა ამაღლებული გადასასვლელების და 9 ცალი ავტობუსის მოსაცდელი ჯიხურების მოედნის მოწყობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 100 ცალი მგზავრთა მოსაცდელის, 1280 გრძ.მ ბორდიურის, 3000 კვ.მ ქვეითთა გადასასვლელის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, განხორციელდა 4 ცალი კუნძულის, 20 პანდუსის, 1 944 გრძ.მ. ბორდიურის, 432 კვ.მ ტროტუარის და 158 კვ.მ ქვეითთა ბილიკის, 19 ცალი ამაღლებული ზებრა გადასასვლელის (1198 კვ.მ) მოწყობა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ავტობუსის გაჩერებებზე 100 ცალი მგზავრთა მოსაცდელის მოწყობის სამუშოებზე გადახდილია ავანსი, ხოლო სამუშოები განხორციელდება 2022 წელს.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წლის განმავლობაში დამონტაჟდა შუქნიშნის 71 ახალი ობიეტი (სატრანსპორტო დეტექტორების, ვიდეოკამერების, საგზაო კონტროლერების და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა). ასევე, სატრანსპორტო ნაკადების უსაფრთხო გადაადგილებისთვის საჭიროა სანომრე ნიშნის ამომცნობი ვიდეოკამერებისა და სათანადო სერვერების მოწყობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შუქნიშნის 10 ახალი ობიექტის (სატრანსპორტო დეტექტორების, ვიდეოკამერების, საგზაო კონტროლერების და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა), 150 ცალი ვიდეოთვალთვალის კამერის და 10 ცალი სერვერის შეძენა

მიღწეული მაჩვენებელი - დამონტაჟდა შუქნიშნის 37 ახალი ობიექტი (სატრანსპორტო დეტექტორების, ვიდეოკამერების, საგზაო კონტროლერების და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა), შეძენილ იქნა 150 ცალი ვიდეოთვალთვალის კამერა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნის ამომცნობი ვიდეოკამერის ვიდეოანალიტიკური პროგრამა ISS SecureOS-ში ეფექტურად ფუნქციონირებისთვის 10 ცალი სერვერი.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ხელოვნური უსწორმასწოროობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი - 4 594,50 გრძ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი - 3000 გრძ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი **-** ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი - 2938.25 გრძ.მ.

01 02 02 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2021 წლის გეგმა - 71,008.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე დიზაინით, კომფორტული სალონით და თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობების ბაზაზე ტექნიკურად საიმედოდ აღჭურვილი საქალაქო ტრანსპორტით (ვაგონები, ავტობუსები) მგზავრთა გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტით სახით, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2019 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული სასესხო შეთანხმების საფუძველზე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კოპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, „თბილისის ავტობუსების პროექტის“ ფარგლებში (ავტობუსების და მასთან დაკავშირებული სერვისის შესყიდვა) 2 ერთეული „ლეპტოპი ავტობუსების დიაგნოსტიკისა და გამოცდისათვის“ და 100 ერთეული BMC მარკის 12 მეტრიანი გაზზე მომუშავე ავტობუსის და მგზავრთა მთვლელი ავტომატური სისტემისა და ავტოტექმომსახურების სერვისის შესყიდვისას გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი - 18,244.4 ათასი ლარი. პროექტის ფარგლებში 2020-2021 წწ საანგარიშო პერიოდში სულ განხორციელდა 226 ერთეული ავტობუსის შესყიდვა;

„თბილისის ავტობუსების პროექტის“ ფარგლებში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ აგრძელებს საავტობუსო პარკის განახლებას და დედაქალაქის უზრუნველყოფას ახალი სამგზავრო საშუალებებით. 2021 წლის

11 ივნისს შპს "ჯი თი გრუპთან" გაფორმებულ იქნა 21 289 768,20 ევროს ღირებულების №0300/10/103 ხელშეკრულება, რის საფუძველზეც დედაქალაქის მოსახლეობას დამატებით მოემსახურება 180 ერთეული 8 მეტრიანი ახალი M3 კატეგორიის დიზელის ძრავზე მომუშავე საქალაქო ავტობუსი. ხელშეკრულებით განსაზღვრული საავანსო ვალდებულების დაფარვის მიზნით გადახდილია 18,000.0 ლარი, ხოლო დარჩენილი დავალიანების დაფარვის მიზნით თბილისის სატრანსპორტო კომპანიას დეკემბერში გადაერიცხა 28,764.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში მოწოდებული იქნა 180 ერთეული ISUZU-ს მარკის ავტობუსი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 აპრილის N21.430.484 განკარგულების თანახმად, 2021 წლის 27 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და შპს „ჯი-თი მოტორს“ შორის გაფორმებული (10 081 948,32 ევრო (დღგ ჩათვლით)) ხელშეკრულების ფარგლებში დასრულდა 300 ერთეული M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა. ხელშეკრულებით განსაზღვრული საავანსო ვალდებულების დეფიციტის და დამატებული ღირებულების გადასახადის უზრუნველსაყოფად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 5 აგვისტოს N21.1086.1218 განკარგულების საფუძველზე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ დაფინანსდა კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით 5,995.6 ათასი ლარის ოდენობით,

აღსანიშნავია, რომ მგზავრთა მეტროსადგურებში მოცდის დროის შემცირებისა და მათი გადაადგილების მომსახურების ეფექტურობისა და საიმედოობის გასაუმჯობესებლად, მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოძველებული ვაგონების განახლება-მოდერნიზების მიზნით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ (ს/ნ 202886788) თანხის გადარიცხვის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 21 დეკემბრის N20.1536.1898 განკარგულების ფარგლებში, 2021 წლის 24 მარტს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და სს „ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალს“ შორის გაფორმდა 14,503.9 ათასი ლარის

ღირებულების №0300/30/054 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც სარემონტო ქარხნის მიერ განხორციელდა 13 ერთული ემა 81-717 M ტიპის მეტროს სათაო ვაგონის (საქარხ. N0258, 0275, 8830, 8766, 0304, 0237, 0257, 8780, 10140, 0272, 10085, 0240, 0273), 7 ერთეული ემა 81-714 M სერიის (საქარხ. N 0740, 0775, 0853, 11115, 0780, 0777, 11118) შუა ვაგონის კაპიტალური შეკეთება. ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური დავალების შესაბამისად განხორციელდა ვაგონებზე დამონტაჟებული ნაწილების (თვალწყვილების, საკისრების, ვაგონის ურიკის ჩარჩოს და სხვა) შეცვლა. გარდა ამისა, მიმდინარეობდა წინა წელს დაწყებული მეტროსადგურ - „გოცირიძის“ რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის, მეტროსადგურების: ვაგზლის მოედანი N1, ვაგზლის მოედანი N2 და მარჯანიშვილის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის აუცილებელი კვლევითი და მეტროსადგურ "ვარკეთილის" - არქიტექტურული და ინტერიერის დიზაინპროექტის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს საშუალო შეკეთება-მოდერნიზაცია ჩაუტარდა 16 ერთეულ ემა-81-717M სერიის მეტროს სათაო ვაგონს და 12 ერთეულ ემა-81-714M ტიპის შუალედური ვაგონს, შეძენილია M2 კატეგორიის 300 ავტობუსი, გადახდილია „თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში“ შეძენილი M3 კატეგორიის 126 ავტობუსის, დამატებული ღირებულების გადასახადი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეძენილი იქნება თანამედროვე ევროპული სტანდარტების ახალი 8 მეტრიანი 180 ერთეული ავტობუსი, „თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში“ დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა.

მიღწეული მაჩვენებელი - საშუალო შეკეთება-მოდერნიზაცია ჩაუტარდა 13 ერთეულ ემა-81-717M სერიის მეტროს სათაო ვაგონს და 7 ერთეულ ემა-81-714M ტიპის შუალედურ ვაგონს, შეძენილია თანამედროვე ევროპული სტანდარტების ახალი 8 მეტრიანი 180 ერთეული ავტობუსი, გადახდილია „თბილისის

ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში“ M3 კატეგორიის 100 ავტობუსის შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადი.

01 02 05 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2021 წლის გეგმა - 155,035.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მგზავრთა მომსახურების ხარისხის ამაღლება, სატრანსპორტო კომპანიის ფუნქციონირების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია სრულყოფილი ფუნქციონირების (მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დაფარვა, მიმდინარე ვალდებულებების და სხვა ხარჯების უზრუნველსაყოფად) მიზნით, სუბსიდიის სახით - 103,355.8 ათასი ლარის ოდენობით,

ასევე, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის და „სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 ავტობუსების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 ოქტომბრის N20.1256.1553 განკარგულების შესრულების მიზნით, დაფინანსდა ბიუჯეტიდან - 51,679.6 ათასი ლარით, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 7,878.6 ათასი ლარით, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულია M2 კატეგორიის 465 ავტობუსი

(ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 351 ერთეული) რეისები ხორციელდება 79 ხაზზე, M3 კატეგორიის 160 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 132 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 16 ხაზზე) ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა გადამყვანი კომპანიები (M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ინტეგრირებულ სისტემაში სრულად ჩართვა იგეგმება 2022 წლის 1 თებერვლისთვის), კერძოდ:

M3 კატეგორიის ავტობუსებით (სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით) მგზავრთა გადამყვანი შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია - 10,461.5 ათასი ლარით ბიუჯეტის სახსრებით, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 5,548.5 ათასი ლარით,

M2 კატეგორიის ავტობუსებით (სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელი იურიდიული პირები - 41,218.3 ათასი ლარით (ბიუჯეტის სახსრები), ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 2,330.1 ათასი ლარით, მათ შორის: შპს კაპიტალ გრუპი - 7,077.3 ათასი ლარი (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 215.0 ათასი ლარი), შპს თბილ ლაინი – 18,774.4 ათასი ლარი (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 372.2 ათასი ლარი), შპს თბილ ქარი - 5,187.4 ათასი ლარი (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 1,282.8 ათასი ლარი) და შპს ფაბლიქ ქარი – 10,179.2 ათასი ლარით (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 460.1 ათასი ლარი). M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ინტეგრირებულ სისტემაში სრულად ჩართვა იგეგმება 2022 წლის 1 თებერვლისთვის.

აღსანიშნავია, რომ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების თანახმად, 2020 წლის 28 ნოემბრიდან - 2021 წლის 8 თებერვლამდე, 8 თებერვლიდან - 21 თებერვლამდე (შაბათი კვირა) და 14 აგვისტოდან 13 სექტემბრამდე შეჩერებულ იქნა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირება (მათ შორის მეტროპოლიტენი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში 2020 წლის ბოლოსთვის ჩართულია: M2 კატეგორიის 100 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 85 ერთეული), რეისები ხორციელდება 17 მარშრუტზე; M3 კატეგორიის 126 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 98 ერთეული), რეისები ხორციელდება 11 მარშრუტზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2021 წლის ბოლომდე იგეგმება ინტეგრირებულ სისტემაში მთლიანობაში M2 კატეგორიის 1000 ერთეულის ჩართვა, ყოველდღიურად 774 ერთეულის მოძრაობა და 163 მარშრუტზე რეისების შესრულება; M3 კატეგორიის 8 მეტრიანი ავტობუსისთვის 35 ახალი მარშრუტის გაშვება მთლიანად და რეისების შესრულება, სადაც ჩართული იქნება 400 ერთეული, ხოლო 12 და 10 მეტრიანი ავტობუსისთვის 29 მარშრუტის გაშვება, სადაც ჩართული იქნება 460 ერთეული.

მიღწეული მაჩვენებელი - რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა გადამყვანი კომპანიები: M2 კატეგორიის 465 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 351 ერთეული) რეისები ხორციელდება 79 ხაზზე; M3 კატეგორიის 160 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 132 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 16 ხაზზე).

01 02 08 საბაგირო ტრანსპორტის განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2021 წლის გეგმა - 17,639.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზის მშენებლობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფარულია რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობის მიზნით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“, შპს „DOPPELMAYR Seilbuhnen“ და შპს „დაგის“ შორის გაფორმებული

ხელშეკრულებების ფარგლებში, მშენებლობისათვის აუცილებელი საშენი მასალების და მომსახურება შესყიდვა - 17,435.3 ათასი ლარი (მათ შორის საქართველოს მთავრობის 27.04.2021წ N632 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი - 4,000.0 ათასი ლარი). ასევე, "რიყე-ნარიყალას" საბაგიროს შეუფერხებელი და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და სს „leitner“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა - 204.4 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - განსახორციელებელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან - მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობა.


მიღწეული მაჩვენებელი - მრავალწლიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები.


❖ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

ათასი ლარი



ათასი ლარი





02 01 საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 44,779.8 ათასი ლარი დაფინანსდა 43,760.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 22,949.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 97.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა-რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულებულია შემდეგი სამუშაოები:

თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები: საბურთალოს რაიონში - მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ, კერძოდ მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მხარეს (ლოკაცია 1) რკ/ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები; მ.მაჭავარიანის ქუჩის და ს.კ. 01.10.11.001.124 ის მიმდებარედ ფერდის დამჭერი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები (III ეტაპი, პკ. 14+60- დან პკ. 15+40-ის ჩათვლით); მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ

გელოვანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ, კერძოდ პკ 7+20-ზე (დ-1500მმ-იანი რკ/ბეტონის კოლექტორის სათავისთან) რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილზე (ნაკვეთი N03/027-ის მიმდებარედ) საყრდენი კედლის მოწყობისთვის (ბეტონის ბლოკებით) სამუშაოები, ვაკის რაიონში - წყნეთის გზატკეცილზე (ნაკვეთი N03/027-ის მიმდებარედ) საყრდენი კედლის მოწყობისთვის (ბეტონის ბლოკებით) სამუშაოები; ვ.თოფურიას ქუჩა N12-ში ფერდის დამცავი საყრდენი კედელის (ბეტონის ბლოკებით) მოწყობა; წყნეთის გზატკეცილზე, სატყეო ტერიტორია (ნაკვეთი N03/027-ის მიმდებარედ) საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; გლდანის რაიონში - ავჭალა 2-ის დასახლება, ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე ფერდის დამცავი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები (I მონაკვეთი და II მონაკვეთი), შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლებით გამაგრების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები, ავჭალა 2, სულხან საბა ორბელიანის ქუჩაზე რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, გოგიაშვილის ქუჩაზე (პენიტენციური დაწესებულების მიმდებარედ) დამეწყრილი მონაკვეთის რკ/ბეტონის საყრდენი კედლით გამაგრების სამუშაოები; კრწანისის რაიონში - სოფელი ფონიჭალა, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე (სასაფლაოს მიმდებარედ), გრუნტის დამჭერი რკინა ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები;

თბილისის, მასშტაბით სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები: გლდანის რაიონის ტერიტორიაზე (ავჭალაში) დ. აბაშიძის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები (სამუშაო ეტაპი I, II), მაგისტრალური წყალსადენის კვანძების მოწყობის (მუხრან მაჭავარიანის და მარშალ გელოვანის გამზირი) სამუშაოები; ნაძალადევის რაიონში - ე.მანჯგალაძის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები; ჩუღურეთის რაიონში - მამარდაშვილის ქუჩა N8-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები; საბურთალოს რაიონში - (სოფ. დიღომი) ვაჟა-ფშაველას ქუჩა N53-ის მიმდებარედ სადრენაჟე მილის მოწყობის სამუშაოები, (სოფ. დიღომი) ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, დიდ დიღომში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე ამორტიზირებული სანიაღვრე ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, დიდი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N16-ის მიმდებარედ სანიაღვრე

ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სამგორის რაიონში - აკეთის, ელენე მეტრეველის ქუჩის (ნავთლუღის II დასახლება) და მიმდებარე ჩიხების სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები, კერძოდ გამშვები სათავისიდან K - 1/9 ჭის ჩათვლით (I და II ეტაპის სამუშაო); ლორთქიფანიძის მე-4 და მე-6 (ყოფილი კაიროს დასახლება) ქუჩებზე წყალმომარაგების ქსელის, სარეაბილიტაციო სამუშაოები;

თბილისის ხიდების და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაცია: სარაჯიშვილის ხიდზე მოაჯირების სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელი დიღომი, თეთრი გიორგის ქუჩისა და სოფლის სასაფლაოს დამაკავშირებელ გზაზე მდებარე ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის მე-12 კმ-ის გადასახვევზე მდებარე გზაგამტარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ასევე, განხორციელდა ვაკის რაიონში - მზიურის პარკში მდებარე საბაგირო გზის სადგურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები, საბურთალოს რაიონში, - ვაშლიჯვარი-ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე მეწყერ საწინააღმდეგო ღონისძიებები;

მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: ვაკის რაიონში - უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები, დაბა წყნეთში, გ.ლეონიძის ქუჩა N13-ის მიმდებარედ (ს/კ01.20.01.117/072) ფორმირებული მეწყერის სალიკვიდაციო გადაუდებელი ღონისძიებები; წყნეთი-ბეთანიის საავტომობილო გზის მარცხენა ფერდობზე ე.წ. ახალდაბის „დიდი“ მეწყრული სხეულის არეალში, განვითარებული გეოდინამიკური პირობების გართულებების სალიკვიდაციო სამუშაოები; საბურთალოს რაიონში - მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ, კერძოდ მარშალ გელოვანის გამზირის მხარეს (ლოკაცია 2) (ასევე მიწისქვეშა გადასასვლელის მოწყობა) რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ (კერძოდ: პკ 10+00 დან პკ 11+50 - მდე) დამეწყრილი უბნის რკ/ბეტონის საყრდენი კედლით გამაგრების სამუშაოები; ჩუღურეთის რაიონში - ივერთუბნის დასახლების კანალიზაციის ქსელის მიწისქვეშა სატუმბო სადგურის მოწყობის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 ხიდს, განხორციელდა 9 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება ორ ხიდს და გზაგამტარს; მოხდება 10-მდე საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა ორ ხიდს და ერთ გზაგამტარს; განხორციელდა 11 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ქალაქის მასშტაბით მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 21 სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია ჩაუტარდება 15-მდე ობიექტს.

მიღწეული მაჩვენებელი - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 ობიექტს.

02 02 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 10,138.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 9,901.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების ამაღლება და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა. თბილისის მოქალაქეთა გაუმჯობესებული საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება–გაძლიერების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: გლდანი: გლდანის I მკ.რ. მე-2 კორპუსში მდებარე შენობა-ნაგებობის აივნის დემონტაჟის სამუშაოები; ნაძალადევის რაიონი - დ.გურამიშვილის გამზირი N70, კორპ. N1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-

გაძლიერების სამუშაოები; ც.დადიანის ქუჩა N148-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ზესტაფონის ქუჩა N18, კორპ. N4-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ზღვის უბნის დასახლება, მე–3 მ/რ, მე–3 კვარტალი, კორპუსი N43-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; მთაწმინდის რაიონი - ნიკოლაძის ქუჩა N5ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; პ.ინგოროყვას ქუჩა N7, კანცელარიის მიმდებარედ გადახურული ფილის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ს.ჯანაშიას ქუჩა N2, შენობა-ნაგებობის ფასადის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები; კ.კეკელიძის ქუჩა №10-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონი - ვარკეთილი-3 მასივი,1კვ. Nდ-კორპუსში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპ. N409-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები (II ეტაპის სამუშაო); ვარკეთილი IV მ/რ, III კვ. კორპ. N7-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი 3, მე-2 მკ.რ. კორპუსი N21-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი 3, მე–3ა მიკრო რაიონი, კორპ. N332-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ქინძმარაულის შესახვევი N15-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი 3, მე–3 ა მ/რ, კორპუსი N340-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; საბურთალოს რაიონი - ნუცუბიძის I მიკრო რაიონი, კორპ. N17-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ჟ. შარტავას ქუჩა N18-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; დიდი დიღომი, მე-3 მ-რ. კორპუსი №11-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვაშლიჯვარი II ზონა, კორპ. N6-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; თ.იოსებიძის ქუჩა N59-ში

მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; დიდი დიღომი, მე-3 მ-რ. კორპუსი №24-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ჩუღურეთის რაიონი - ლ.პასტერის ქუჩა N7-ში, მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ისნის რაიონი - ვაზისუბნის მე-3 მიკრო რაიონი, II კვ. კორპ. N15-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვაზისუბნის მე-4 მიკრო რაიონი, I კვ. კორპ. N11-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები (I ეტაპის სამუშაოები); ვაზისუბნის IV მ-რ. II კვარტალი, კორპუსი N11-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ნავთლუღის 6-2-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; მოსკოვის-გამზირი, 4 კვ. კორპ. N4-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ალ.წულუკიძის ქუჩა N22-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვაზისუბნის მე-4 მიკრო რაიონი, I კვ. კორპ. N11-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები (II ეტაპის სამუშაო); ვაკის რაიონი - ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა №4-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ი.ჭავჭავაძის გამზირი №54-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ნუცუბიძის ფერდობი IV მ-რ. კორპუსი N17-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები;

მიმდინარე პერიოდში ხორციელდება და უახლოეს პერიოდში დასრულდება სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ისნის რაიონი - სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა N4-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, შორაპნის ქუჩა N13-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონი - ვარკეთილის 3 მასივი, 10 კვარტალი, კორპუსი N „ვ“-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვაკის რაიონი - ნუცუბიძის IV მ-რ. მე-3 კვარტალი, კორპუსი N35-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-

აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები. ამასთან, სასამრათლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გაწეულია 108.2 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 33 შენობა-ნაგებობას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდება 40-მდე შენობა-ნაგებობას.

მიღწეული მაჩვენებელი - გამაგრება-გაძილიერების სამუშაოები ჩაუტარდა 33 შენობა-ნაგებობას.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე მსგავსი ტიპის სამუშაოების განხორციელებისას ხშირია სახელშეკრულებო ეკონომიები, ვინაიდან საპროექტო ორგანიზაცია ავარიული შენობების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების პროექტირებისას ითვალისწინებს ისეთი ტიპის სამუშაოებს, რომელთა აუცილებლობა შესაძლებელია შეიქმნას უშუალოდ სამუშაოების წარმოებისას. ამასთან, მიმდინარე წელს გამაგრება ჩაუტარდა მოცულობით კორპუსებს.

02 03 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები დაფინანსებულია 6,064.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 6,255.8 ათასი ლარის 96.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 322.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 290.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 90.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა შემდეგი ობიექტისათვის: სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმდა საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულება: კრწანისის რაიონში - გია გულუას ქუჩა N4 მიმდებარედ არსებული კოლექტორის (ე.წ. „ტაბახმელას ხევი) ტექნიკური მდგომარეობის შესახებ; ისნის რაიონში - ქეთევან დედოფლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მონაკვეთი 1) პკ 0+00-დან პკ 16+80-მდე საპროექტო დოკუმენტაციის სანიაღვრე ქსელის ექსპერტიზის მომსახურების შესახებ; ვაკის რაიონში - უჩანეიშვილის ქუჩა N8-ის მიმდებარედ ფერდის დამჭერი რ/კ ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის მომსახურების შესახებ, ლორთქიფანიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ მდგომი მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის (ს.კ. 01.14.03.042.068) ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის შესახებ, დაბა წყნეთი, გ.ლეონიძის ქუჩა N13-ის მიმდებარედ (ს.კ. 01.20.01.117.072) ფერდის ჩამოშლის მიზეზების დადგენის მომსახურების შესახებ, ლორთქიფანიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.03.040.314) ფერდის ჩამოშლის მიზეზების დადგენის მომსახურების შესახებ, (წყნეთის გზატკეცილი) N01.14.09.004.157 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ მეწყრულ პროცესზე საექსპერტო მომსახურების შესახებ და ასევე, რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; შეშელიძის ქუჩაზე, N01.11.12.022.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების სრულად შეფასების მომსახურების შესახებ; საბურთალოს რაიონში - მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის არეალში (კერძოდ პკ 10+00 და პკ 11+30 მიმდ.) ფერდის ჩამოშლის მიზეზების დადგენის მომსახურების შესახებ; სოფელი ახალდაბის ტერიტორიაზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის ექპერტიზის მომსახურების შესახებ; საექსპერტო მომსახურება ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV

მ/რ. I კვ. კორპუსი N13-ის მიმდებარედ არსებული ფერდის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; ისნის რაიონში, ქეთევან დედოფლის გამზირზე, სანიაღვრე ქსელის სარეაბილიტაციო ნაწილზე ექსპერტიზის მომსახურების შესახებ; ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილი I გასასვლელი N15-ის მიმდებარედ საავტომობილო გზის სავალი ნაწილის ჩამოშლის თაობაზე ექსპერტიზის მომსახურების შესახებ; შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლებით გამაგრების შესრულებული სამუშაოები (პროექტთან, სამშენებლო ნორმებთან და წესებთან შესაბამისობა და შესრულებული სამუშაოების დადგენა); ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის და ნ. ყიფშიძის (ნ. საჯაიას ქუჩის მიმდებარედ) ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკური დავალებით განსაზღვრული კვლევები და მათ საფუძველზე შედგენილი კონცეპტუალური პროექტის მომსახურება; მთაწმინდის რაიონში, პ.მელიქიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; ვაკის რაიონში, თაყაიშვილის, ნაფარეულის, ერისთავის და ბაზალეთის ქუჩებზე ზედაპირული წყლების მოცილების მიზნით ახალი სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; ვაკის რაიონში, გ.დანელიას ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის (თბილისი-ნაფეტვრების დამაკავშირებელი გზის) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (პირველი ეტაპის - უნივერსიტეტის ქუჩისა და ზ.ჯაფარიძის ქუჩის კვეთიდან გ.დანელიას ქ.N37-მდე მონაკვეთის სრული რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკური დავალებით განსაზღვრული კვლევები და მათ საფუძველზე შედგენილი პროექტი); დიდუბის რაიონში, შალიკაშვილის სახელობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო კვლევის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საჭირო სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა.

მიღწეული მაჩვენებელი - საჭირეობისამებრ მომზადებული იქნა სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია.

02 03 02 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

2021 წლის გეგმა - 5,933.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,773.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, ლაბორატორიული კვლევების დროულად მომზადება და შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებელი, სპეციალური ლაბორატორიული ახალი მანქანა–დანადგარების შეძენის შედეგად გაუმჯობესებული და თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების (საკუთარი სახსრებიდან - 1.4 ათასი ლარი) ხარჯები. ასევე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით საგამოცდო ლაბორატორიისთვის შეძენილ იქნა ბეტონის, ბლოკის, ბორდიულების, ფილების გამოსაცდელი წნეხი, მილსადენებისა და სანიაღვრე არხების შიდა ზედაპირის შესამოწმებელი მოწყობილობის კომპლექტი და საოფისე ტექნიკა, ხოლო ა/ბეტონის ნიმუშების (კერნი) ამოსაჭრელი მისაბმელი დანადგარის შესაძენად გადარიცხულია ავანსი. მიმდინარე პერიოდში ლაბორატორიის მიერ ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ანგარიში: ზედამხედველობა განხორციელდა 1931 ობიექტზე. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 882, ხოლო გამგეობების ობიექტი – 1049,

ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ–ბეტონის ნარევის კვლევა – 410, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 359 კერნი, სისქეების რაოდენობა - 5722 ცალი, ტკეპნის კოეფიციენტი - 6520 დარტყმა,

წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ დასრულებულია სამუშაოები 154 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 34, ხოლო გამგეობების ობიექტი – 120,

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 817 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 583, გამგეობების ობიექტი – 198, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტი – 36,

ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი განყოფილების მიერ მომზადებულია 896 დასკვნა ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი - 472 დასკვნა, ხოლო გამგეობების ობიექტი - 424 დასკვნა,

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები გამგეობების 1828 ობიექტზე, აქედან: სამშენებლო ობიექტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 1399, ლიფტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 372 და აღდგენა-გამაგრების ობიექტები - 57,

ობიექტების მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ მიმდინარეობს ტექ.ზედამხედველობის სამუშაოები 73 ობიექტზე, აქედან: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ობიექტები – 54 (მ.შ. მიმდინარე - 18), ქალაქ თბილისის მუნიციპალური მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტები - 5 (მ.შ. მიმდინარე - 4), გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტები - 4 (მ.შ. მიმდინარე - 3), გამგეობების ობიექტები – 3, ცენტრპოინტის ობიექტები - 7.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი -100%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული დაგეგმილი მაჩვენებელი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ლაბორატორიული კვლევის პერიოდია 5 დღე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 30,207.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 29,761.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს „თბილსერვის ჯგუფი“ მომსახურეობას (ექსპლოატაციას) უწევს დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს, ახორციელებს საყრდენი ბოძებისა და სანათების მონტაჟის სამუშაოებს. საანგარიშო პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია 134857 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 118965 სანათი, მხატვრული მინათება – 15892 სანათი. ასევე, მიმდინარე პერიოდში დამონტაჟდა (მოეწყო) - 1,533 განათების ბოძი და 4,362 ახალი სანათი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ექსპლოატაცია გაეწია 131359 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 116880 სანათი, მხატვრული მინათება – 14479 სანათი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ექსპლოატაცია გაეწევა 134 857 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 118 965 სანათი, მხატვრული მინათება – 15 892 სანათი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 3,500.0 ათასი ლარი დაფინანსდა 3,485.0 ათასი ლარით. გეგმის 99.6%.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელების გამართული ფუნქციონირება ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად, შიგ გავლით, სპეც. ტექნიკის გამოყენებით - CCTV ვიდეო კამერით, ე.წ. ვიდეოთვალით) – 220,519.1 მეტრი; სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმამიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და საკონტროლო ჭების გაწმენდა – 31,615 ცალი; კიუვეტების გაწმენდა – 48,318 გრძივი მეტრი; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც. ტექნიკის გამოყენებით – 142,199 მეტრი; დაზიანებული ცხაურების, გვერდმიმღებების ხუფების და ყრუ ხუფების შეცვლა – 690 ცალი; გვერდმიმღების ხუფები - 107 ცალი; გაუქმებული ჭების შევსება ბალასტით - 21 მ3; რ/ბ ფილა (ორმაგი არმირებით, ოთხკუთხა თუჯის ჩარჩო-ხუფით ან ცხაურით) – 96 ცალი; ჭის ჩარჩო-ხუფი ან ცხაური - 106 ცალი; ახალი ჭის მოწყობა თუჯის ჩარჩო-ხუფით, ჩარჩო-ცხაურით, გვერდმიმღებით - 37 ც; რ/ბ რგოლები დ=1000მმ - 29 მეტრი; მილები - 671.3 მეტრი; დაზიანებული რ/ბ კოლექტორის შეკეთება - 8.10 კუბ.მ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა..

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის გამართულად ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 07 ღონისძიებების უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2021 წლის გეგმა - 7,501.5 ათასი ლარი დაფინანსდა 5,898.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 78.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა, სხვადასხვა ღონისძიებების ტექნიკური გამართულობა და ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება, ახალი ობიექტები, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლები, მემორიალები, საფლავები, საქართველოში მოღვაწე ხელოვანების ჩართულობის ზრდა კულტურულ სივრცეში და მათი საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სახელმწიფო დროშების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დროშების და დაბრენდილი დროშების შესყიდვა, სახელმწიფო დროშების განთავსება, შეცვლა და ჩამოხსნა, P4 ტიპის გარე გამოყენების (Outdoor) ეკრანით მომსახურება, საკონცერტო და სხვადასხვა ღონისძიებებისათვის საჭირო ინვენტარით, პროფესიონალური გახმოვანების საკონცერტო აპარატურით, სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების აპარატურით, სხვადასხვა სცენებით, სასცენო კონსტრუქციებით, ტრიბუნებით, პლატფორმებით, საგრიმიორებით, კოშკებით, დეკორაციებით ბეგ-რაუნდის კონსტრუქციებით, გენერატორით მომსახურება, სადღესასწაულო, სარიტუალო ყვავილებისა და თაიგულებით მომსახურება, სხვადასხვა ტიპის ნაბეჭდი ბანერების და წებოვანი ფირების (სტიკერი) (გაკვრა-ჩამოხსნა) შესყიდვა, დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად, შემზღუდავი ჯებირების მოწყობა და ალაგება, ბიოტუალეტებით მომსახურება, კარვების მოწყობის მომსახურება და სხვა. ასევე, გაწეულია მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟის (6 მისამართი), გმირთა მოედანზე მდებარე, ომში დაღუპულ გმირთა მემორიალზე 2 გვარის ამოტვიფრვის ხარჯები, მზიურის პარკში ხელოვნურ ტბასა და პარკურის მოედანს შორის არსებულ კუნძულზე ჰიპოპოტამის ქანდაკების განთავსება, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე „კუს“ არიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის (ქანდაკება) განთავსება, დიმიტრი ყიფიანის არქიტექტურულ - მხატვრული კომპოზიციის (ბიუსტი) თბილისის

მუნიციპალური საკრებულოს მისივე სახელობის დარბაზში განთავსება, ძველი აეროპორტის შესასვლელის მიმდებარე ტერიტორიიდან ბესარიონ ქებურიას არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის (ძეგლი) შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოფრენის დარბაზსა და ახალ ავტოსადგომს შორის არსებულ ტერიტორიაზე გადატანისა და სკულპტურული კომპოზიციის პირვანდელი სახით აღდგენა-რესტავრაციის მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ თითოეულ ღონისძიებას საშუალოდ 5000 ადამიანი ესწრება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობის ზრდა - 6000 ადამიანი.

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებაზე დამსწრე - 10 000 ადამიანი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეული იყო მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სხვადასხვა ტიპის ტექნიკური აღჭურვილობით მომსახურების ხარისხის კონტროლი, ჩატარებული ღონისძიებების ტექნიკური გამართულობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - ყველა ჩატარებული ღონისძიება ტექნიკურად სრულად გამართული იყო და შენარჩუნდა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დამონტაჟდა 4 მემორიალური დაფა, დამზადდა და განთავსდა 1 მონუმენტი, განხორციელდა 3 ძეგლის კვარცხლბეკის სარესტავრაციო სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობის ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - განთავსდა და დამონტაჟდა 6 მემორიალური დაფა, დამზადდა და განთავსდა არქიტექტურულ მხატვრული (ქანდაკება) კომპოზიცია და 1 ძეგლი, განთავსდა 1 ბიუსტი, განხორციელდა 1 ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მემორიალური დაფების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია შემოსული განაცხადებების რაოდენობაზე, ხოლო ახალი ძეგლების და მონუმენტების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ძეგლების საუკეთესო ესკიზების შესარჩევ კონკურსებზე.

4.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მერიის მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში ხელოვნების სფეროს დაახლოებით 700-დე ცნობილი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას, მინიმუმ 100 დამწყებ ხელოვანს და სპარტაპერს ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთონ მერიის მიერ განხორციელებულ და მხარდაჭერილ ღონისძიებებში და წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედება, ხელნაკეთი ნივთები და სხვა პროდუქცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და შესაძლებლობის შემთხვევაში რაოდენობის ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებებში ჩართული - 1 000 ხელოვანი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეული იყო მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით.

02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 60,860.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 59,188.6 ათასი ლარის 78.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 09 01 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 5,448.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,368.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან, ქალაქის იერსახის გალამაზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა

სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურება, თბილისის მასშტაბით გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანის სამუშაოები, კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები, ქუჩების დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟი) - 7812 ცალი, დგარიანი მანიშნებელი - 95 ცალი, მანათობელი (დგარიანი) აბრები - 10 ცალი, ბიოგრაფიული დაფა - 6 ცალი, თბილისის მასშტაბით დაზიანებული კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები (ბორდიურები - 1722.96 გრძ/მ; ქვაფენილი/ფილა -12587.42 მ2; ლითონის მოაჯირები - 490.26 მ; თუჯის ბოძკინტის მოწყობა - 4929 კგ; პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 8807 კგ; ლითონის ფურცლების მონტაჟი - 34307.40 კგ; ლითონის მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 5 859.42 კგ).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა მშვიდობის ხიდის, გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, თბილისის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ფარგლებში მოეწყო 31955 კვ.მ ქვაფენილი და 1300 გრძ/მ ლითონის მოაჯირი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2021 წელს განხორციელდება გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, თბილისის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები (მოეწყობა 40000 კვ.მ-დე ფილა/ქვაფენილი და1200 გრძ/მ-მდე ლითონის მოაჯირი).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, თბილისის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ფარგლებში მოეწყო 12587.42 კვ.მ ფილა/ქვაფენილი და 490.26 გრძ/მ ლითონის მოაჯირი (მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა

ზომის მილკვადრატით - 5859.42 კგ), თუჯის ბოძკინტის მოწყობა - 4929 კგ, ბორდიურები - 1 722.96 გრძ/მ.

02 09 09 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური ინსპექცია

2021 წლის გეგმა - 153.0 ათასი ლარი დაფინანსდა 125,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 82.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ლიკვიდირებული უკანონო მშენებლობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: შენობა-ნაგებობის მონოლითური გადახურვის დემონტაჟი, შენობა-ნაგებობის გადახურვის კონსტრუქციის დემონტაჟი, მონოლითური ფილის დემონტაჟი, შენობა-ნაგებობის რკინა-ბეტონის კედლების დემონტაჟი, სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლის დემონტაჟი, რკინა-ბეტონის საძირკვლის დემონტაჟი, უსახური ჯიხურების, ნაგებობების, მარტივი ტიპის კონსტრუქციების დემონტაჟი, მიწის სამუშაოების ტექნიკით წარმოება მთლიანობაში 3434,59 კვ.მ. ასევე, მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დემონტაჟი - 1657 გრძ.მ, დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე - 806.3 კუბ.მ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდა 3630 კვ.მ

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 5180 კვ.მ სადემონტაჟო სამუშაოები

მიღწეული მაჩვენებელი - სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდა 3434,59 კვ.მ და 1657 გრძ.მ.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს გატანილი და განთავსებული იქნა დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები 2380 კუბ.მ

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა 820 კუბ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - გატანილი და განთავსებული იქნა დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები 806,3 კუბ.მ

02 09 10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 6,243.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,119.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის, ნიადაგის მოჭრა-მოსწორების, ნოყიერი ნიადაგის ნაზავით შევსების, სხვლა-ფორმირების, დამუშავება-გატანის მომსახურება (დამუშავდა 1952 ხე-მცენარე), გამწვანებულ და დასასვენებელ ტერიტორიებზე სარწყავი სისტემებისა და სასმელი სოკოების მომსახურება, საკანალიზაციო სისტემის მიმდინარე სამუშაოები (2 მისამართი), სკვერის მოწყობის სამუშაოები (8 მისამართი), მინი სკვერების მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით (15 მისამართზე მიმდინარეობს), სკვერებსა და დასასვენებელ ტერიტორიებზე განთავსებული ფურნიტურის შეკეთების სამუშაოები (42 მისამართი), საპარკე სკამის შესყიდის ხარჯი (35 ცალი), ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები (12 მისამართი), დასასვენებელი პავილიონის (ფანჩატური) მონტაჟის სამუშაოები (3 მისამართი), ახალი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი), 22 მისამართზე სპორტული მოედნების მიმდინარე რემონტი, 1 მისამართზე ხორციელდება შენობის ავარიული ელემენტების გამაგრებითი სამუშაოები, ბეტონის კიბეების და ბილიკების მოწყობა, გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა (46 მისამართი), დამონტაჟდა 707.61 გრძ. მეტრი ლითონის მოაჯირები (11 ლოკაციაზე), მრავალწლიანი ხელშეკრულების ფარგლებში 6 მისამართზე დაწყებულია შშმ პირთა საცხოვრებელ სახლის

სადარბაზოებში გადასაადგილებელი ელექტრო პანდუსების მოწყობა, გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (8 ოჯახი), 13 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო და საექსპერტიზო მომსახურების ხარჯები - 24.5 ათასი ლარი და დაფარულია შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული 2,5% - 17.0 ათასი ლარი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 30.4 ათასი ლარი, 2021 წლის 23 თებერვალს, ძლიერი ქარის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონში, პ. იაშვილის ქუჩა №2-ში და ჯანჯღავას II ჩიხი №11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების და 18 მაისს, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა №2-ში მდებარე ორსართულიან საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად შენობის დაზიანებული სახურავის აღსადგენად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და სპორტული ობიექტების რაოდენობა სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. 2020 წელს 18 მისამართზე მოეწყო მცირე სკვერი (საბავშვო ატრაქციონებით), 13 მისამართზე დასრულდა სკვერის მოწყობის სამუშაოები, 6 მისამართზე მოეწყო დასასვენებელი პავილიონი, ერთ მისამართზე მოეწყო ახალი, ხოლო 29 მისამართზე შეკეთდა სპორტული მოედანი, 16 მისამართზე დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 18 სკვერს, მოეწყობა 2 ახალი სპორტული მოედანი და დამონტაჟდება სპორტული ტრენაჟორების 17 კომპლექტი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 41 სკვერს; 1 მისამართზე მოეწყო ახალი და 22 მისამართზე შეკეთდა სპორტული მოედანი; 12 მისამართზე დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს 3 მისამართზე მოეწყო კანალიზაციის ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 5 მისამართზე მოეწყობა ახალი საკანალიზაციო ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - 1 მისამართზე მოეწყო და 1 მისამართზე მიმდინარეობს (გარდამავალი ხელშეკრულება) კანალიზაციის ქსელი მოწყობის სამუშაოები.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 1100 კუბ.მ საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 376 კუბ.მ საყრდენი კედელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 332 კუბ.მ საყრდენი კედელი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 15 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 40 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 8 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

5.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას უწევს 20 ჰექტრამდე გამწვანებულ ტერიტორიას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა). 2020 წელს განხორციელდა 200000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 3 303 ხის გადაბელვა და სხვლა ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 200-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა, 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა და 1500 ხის სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 31952 ხის გადაბელვა და სხვლა ფორმირება.

02 09 11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 4,677.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,265.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების სხვლა-ფორმირების გადაბელვის, დაჭრა-დამუშავება-გატანის, მოჭრისა და კუნძების ამოღების სამუშაოები (4415 ძირი), გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის, დეკორატიული ბუჩქების მიწოდება (166 ერთეული), დარგვა და მოვლა-პატრონობის სამუშაოები, სკვერებში

არსებული შადრევნებისა და წყლის დეკორატიული ნიჟარების მოვლა-პატრონობის (მათ შორის კომუნალური) ხარჯები, რაიონის იერსახის მოწესრიგების სამუშაოები (38 მისამართი), საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების (10 მისამართი) და გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები (14 მისამართი), ქუჩის გზაგამყოფი ზოლის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი), სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელი კიბეების მოწყობის სამუშაოები (4 მისამართი), მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა-მონტაჟის ხარჯი (302 საბაღე სკამი), სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები (24 მისამართი), გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების შესყიდვა (11 კომპლექტი), კალათბურთის/ფეხბურთის ფარის მოწყობის სამუშაოები (7 მისამართი), გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (14 ოჯახი), 13 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და საპროექტო დოკუმენტაციების შედგენის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 6 ახალი სკვერი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 სპორტულ მოედანს, 11 მისამართზე დამონტაჟდა გარე გამოყენების ფიტნეს სპორტული ტრენაჟორები, მოეწყო 10 კომპლექტი კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 4 ახალი სკვერი და რეაბილიტირებული იქნება 4 ერთეული სკვერი, 7 ობიექტზე მოეწყობა სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 7 ახალი სკვერი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 17 სპორტულ მოედანს.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის სამუშაოები შესრულდა 7 მისამართზე - 3859 გრძ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 2030 გრძ.მ. ახალი სანიაღვრე, წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 10 მისამართზე - 499.61 გრძ.მ.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 14 მისამართზე 864.5 კუბ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 22 ობიექტზე 1044,32 კუბ.მ. ახლის მოწყობა და 5 ობიექტზე 814,30 კვ.მ საყრდენი კედლის აღდგენა/რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 14 მისამართზე 734.24 კუბ.მ.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 99 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება 60 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 14 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

5. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დაირგო 358 ერთეული სხვადასხვა სახეობის ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 14 ჰექტარ ფართობზე (19 მისამართი), ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 4504 ძირი, მოიჭრა - 649 ძირი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2050-მდე ძირის და 150 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიების სხვლა ფორმირება, 100 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი ნერგების შეძენა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 166 ერთეული სხვადასხვა სახეობის ბუჩქი და ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 15.6 ჰექტარ ფართობზე, ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 3273 ძირი, მოიჭრა - 653 ძირი).

02 09 12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 4,080.6 ათასი ლარი დაფინანსდა 3,984.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირების, კუნძების ამოძირკვისა და დამუშავება-გატანის სამუშაოები, ნერგების შეძენა-დარგვა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, ახალი სკვერების (8 მისამართი) მოწყობისა და არსებული სკვერების (100 მისამართი) აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (მათ შორის დასრულდა აკაკი წერეთლის სახელობის პარკის სრული რეაბილიტაცია (10000 კვ.მ)), წყლის სოკოების მოვლა-პატრონობის მათ შორის კომუნალური ხარჯები, ახალი ფიტნეს ტრენაჟორების შეძენა/მონტაჟის სამუშაოები (2 მისამართი), არსებული სპორტული მოედნების (48 მისამართი) აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, ახალი მოაჯირების და ბოძკინტების (25 მისამართი, 1456.85) და არსებული ლითონის დეკორატიული უსაფრთხოების მოაჯირების (13 მისამართი, 431გრძ.მ) მოწყობის სამუშაოები, სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები (2 მისამართი, 706.54 გრძ.მ), თევდორე მღვდლის ქუჩა N13-ში მდებარე შენობის გამაგრება გაძლიერების სამუშაოები, დ. აღმაშენებლის სახელობის ხეივნის და ს.ახმეტელის ქუჩის კუთხეში არსებული ნაგებობისთვის ელექტროენერგიის ხარჯები, სახელმწიფო დროშის შეძენის ხარჯები, დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნაწილობრივი დემონტაჟის, დროებითი გამაგრების ღონისძიებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ელექტრო პანდუსის მოწყობა (დამონტაჟდა 3 პანდუსი), დ. აღმაშენებლის გამზ. N171-ში (კერძო საკუთრება) აფეთქების შედეგად დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გაწმენდისა და პრევენციული კონსერვაციის სამუშაოები, 10 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული 267 ერთეული პარკი, სკვერი და სპორტული მოედანი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს დასვენებისა და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად, მათ შორის 2020 წელს რეაბილიტირებული იქნა 44

ერთეული სკვერი და 46 ერთეული სპორტული მოედანი, მოეწყო 12 ახალი სკვერი და 2 სპორტული ტრენაჟორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 10 ახალი სკვერი და ერთი ახალი მოედანი, რეაბილიტირებული იქნება 10 სკვერი და 8 სპორტული მოედანი, მოეწყობა 2 სპორტული ტრენაჟორი.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნა არსებული 100 ერთეული სკვერი და 8 ერთეული სპორტული მოედანი, მოეწყო 8 ახალი სკვერი და 2 სპორტული ტრენაჟორი.

2. საბაზისო მაჩვენებელი: 2020 წელს მოეწყო და შეკეთდა 15 მისამართზე 1475.3 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეკეთდება და მოეწყობა 1751 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 2 მისამართზე 706.5 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის დარგვები, სხვლა-ფორმირება, თიბვა). 2020 წელს განხორციელდა 1904-მდე ძირი მცენარის და 167 891 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, დაირგო 357 ძირი ხემცენარე და ბუჩქი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2000-მდე ძირი მცენარის დარგვა და 167891 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 167 891 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, დაირგო 551 ძირი ხემცენარე და ბუჩქი.

02 09 13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3,834.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,755.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი), კიევის ქუჩა N1-ში, დგებუაძის ქუჩა N8-ში, უზნაძის ქუჩა N107-ში და წმ. ნიკოლოზის ქუჩა N9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ეზოებში წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების აღდგენა-რეაბილიტაციაზე და მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, შენობა-ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები (128 მისამართი), საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, არსებული სკვერებისა და სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, ც.დადიანის ქუჩა N7-ის (ორ ლოკაციაზე) და ნორიოს აღმართი N54-ის მიმდებარედ ახალი სკვერის, ხოლო ჩანჩიბაძის ქუჩა N5-ის მიმდებარედ ახალი კალათბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები, გედევანიშვილის ქუჩა N17-ის მიმდებარედ ფიტნეს-ტრენაჟორების შეძენა-მინტაჟი, გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა, ფორმირება, მოჭრა, დამუშავება-გატანა, ხე-ბუჩქოვანი მცენარეების შეძენა-დარგვა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), მოაჯირეებისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების, კიბეებისა და ბეტონის ფილების მოწყობის სამუშაოები (35 მისამართზე), მცირეფასიანი ქუჩის ავეჯის (სანაგვე ურნები და საპარკე სკამები) და 10 ცალი საჩრდილობელის განთავსება თანამდევი მონტაჟით, მოძრაობის შემზღუდავი ბარიერის (70 ცალი ბოძკინტი) მოწყობის სამუშაოები, დ.აღმაშენებლის გამ. N142-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ავარიული საცხოვრებელი სახლის დაზვერვის გაწმენდის და პრევენციული კონსერვაციის სამუშაობი, აჭარის ქ. #10 -ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პარაპეტის აღდგენისა და რბილი სახურავის მოწყობის სამუშაოები, 4 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია - 100.3 ათასი ლარი 2021 წლის 17 მაისს, თოიძის ქუჩა №60-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩამონგრეული კედლის აღდგენის მიზნით, კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად, ხოლო 2021 წლის 10 აგვისტოს,

ძლიერი ხანძრის შედეგად, თოიძის ქუჩა №41-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის, დაზიანებული სახურავისა და სხვა ელემენტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების მიზნით გაწეულია 160.3 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 6 ახალი სკვერი და 3 მისამართზე სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი, განხორციელდა 35 სკვერის, 22 სტადიონის და 11 სპორტული ტრენაჟორის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 3 ახალი სკვერი, 1 ახალი სპორტული მოედანი და 1 მისამართზე სპორტული ტრენაჟორი, განხორციელდება 50 სკვერის და 23 სტადიონის რეაბილიტაცია (მათ შორის: ბმა-ს საკუთრებაში არსებული 1 სპორტული მოედანი).

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 3 ახალი სკვერი, 1 სპორტული მოედანი და 1 მისამართზე სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი, განხორციელდა 44 სკვერის, 23 სტადიონის რეაბილიტაცია (მათ შორის: ბმა-ს საკუთრებაში არსებული 1 სპორტული მოედანი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 44 ახალი საყრდენი კედელი 3 330 კუბ.მ და 7 მისამართზე სანიაღვრე ქსელი (190 გრძ.მ), განხორციელდა 3 მისამართზე 210 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 2 065 კუბ.მ ახალი საყრდენი კედელი და 82.5 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი, შეკეთდება 320 გრძ.მ. წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 30 ახალი საყრდენი კედელი 2 069 კუბ.მ და 1 მისამართზე სანიაღვრე ქსელი (14 გრძ.მ), განხორციელდა 4 მისამართზე 257.5 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის აღდგენა-რეაბილიტაცია და მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2020 წლის განმავლობაში სხვადახვა უბნების მიხედვით გაზიფიცირდა 80 ოჯახი, მათ შორის 2020 წელს გაზიფიცირდა 2 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება 8 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მომართვიანობის არ არსებობა.

4.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა) უწევს 18 000 კვ.მ. გამწვანებულ ტერიტორიას, 2020 წელს დარგულია 82-მდე ძირი ხე და განხორციელდა 1301 ძირი ხის გასხვლა-ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 100-მდე ძირის ხის დარგვა და 1308 ძირი ხის გასხვლა- ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დარგულია 32 ძირი ხე და განხორციელდა 1122 ძირი ხის გასხვლა-ფორმირება.

02 09 14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 5,062.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,951.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები (2140 ძირი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), მცირეფასიანი საპარკე სკამების შესყიდვა-მონტაჟი (286 სკამი), სკვერების მოწყობა/შეკეთება/აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები (82 მისამართი), საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები (5 მისამართი), სპორტული მოედნების მოწყობა, შეკეთება/აღდგენა-რეაბილიტაცია-მიმდინარე ფრაგმენტული სამუშაოები (14 მისამართი), წყალსადენ-კანალიზაციის სანიაღვრე ქსელის მოწყობა (2 მისამართი), კიბეების მოწყობა (6 მისამართი), ახალი ღობეების მოწყობა (673 გრძ.მ), 15 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 10 ახალი სკვერი და 10 ახალი ფიტნეს ტრენაჟორი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 არსებულ სკვერს და 7 არსებულ სპორტულ მოედანს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 6 ახალი სკვერის და 3 ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, რეაბილიტაცია ჩუტარდება 2 არსებულ სპორტულ მოედანს და 4 არსებულ სკვერს.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 5 ახალი სკვერი და 3 ახალი სპორტული მოედანი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 არსებულ სკვერს და 2 არსებულ სპორტულ მოედანს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 770 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 7 მისამართზე მოეწყო 536 კუბ.მ საყრდენი კედელი, 5 მისამართზე განხორციელდა ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 673 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 5 მისამართზე - 356 კუბ.მ საყრდენი კედელი, 2 მისამართზე მოეწყობა 459 გრძ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 9 მისამართზე (მათ შორის 3 მისამართზე გარდამავალი ტენდერით არის გათვალისწინებული) განხორციელდება ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 673 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 5 მისამართზე მოეწყო 356 კუბ.მ საყრდენი კედელი, 2 მისამართზე მოეწყო 459 გრძ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 6 მისამართზე განხორციელდა ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მომართვიანობიდან გამომდინარე გაზიფიცირდა 3 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით 10 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საგარანტიო ვადის ფარგლებში ვერ მოესწრო შესრულებული სამუშაო აქტის წარმოდგენა.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 218 750 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები ჩაუტარდა 2850 ძირ ხეს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2180-მდე ძირის და 218 750 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიების სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 218 750 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები ჩაუტარდა 2140 ძირ ხეს.

02 09 15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 6,517.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,451.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვისა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), სკვერებში წყლისა და ელექტროენერგიის ხარჯები, სკვერების წყალმომარაგების სისტემაზე ახალ მომხმარებლებად მიერთება (4 მისამართი), ახალი სკვერების მოწყობა (3 მისამართი) და არსებული სკვერების აღდგენა-რეაბლიტაცია-ფრაგმენტული შეკეთებითი სამუშაოები (124 მისამართი), სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები (14 მისამართი), საყრდენი კედლების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები (10 მისამართი - 788კუბ.მ.), პეკინის ქუჩა #41გ-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული საკანალიზაციო და წყლის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები, მერაბ კოსტავას ქ. #75-ში სანიაღვრე ქსელის (2300 გრძ.მ) აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების აღდგენის სამუშაოები (17 მისამართი), დეკორატიული ღობეების

შეძენა მონტაჟი (14 მისამართი), ცინცაძის ქ.#85-ის მიმდებარედ კიბეების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები, შშმ პირებისათვის ლიფტების და ამწე პლატფორმების მონტაჟი (4 მისამართი), 10 ეკლესია-მონასტრის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 10 ახალი სკვერი და დამონტაჟდა 7ც ახალი ფიტნეს ტრენაჟორის კომპლექტი, განხორციელდა 14 მისამართზე სკვერებისა და 28 მისამართზე სპოტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია და 50 სკვერში დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 3 ახალი სკვერი, განხორციელდება 1 მისამართზე სკვერისა და 14 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, 200 სკვერში მოხდება დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 3 ახალი სკვერი, განხორციელდა 1 მისამართზე სკვერისა და 14 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია და 123 სკვერში დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა 6 მისამართზე სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის, 8 მისამართზე 1130 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 6 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია, მოეწყო 650 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 1 მისამართზე სანიაღვრე ქსელის, 10 მისამართზე 894 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 2 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია, მოეწყობა 887 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1 მისამართზე სანიაღვრე ქსელის, 10 მისამართზე 788 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 2 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია, მოეწყო 565 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წლის განმავლობაში დამონტაჟებულია შშმ პირებისათვის 5 ცალი ამწე პლატფორმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება შშმ პირებისათვის 4 ცალი ამწე პლატფორმის დამონტაჟება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა 2602 ძირის სხვლა ფორმირება და 870 ათას კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 8395-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 320 ათასი კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 4400 ძირის სხვლა ფორმირება და 320 ათასი კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

02 09 16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 6,280.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,202.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების გადაბელვა-გასხვლა და მოჭრა (2418 ხე), გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (მათ შორის ბალახის თიბვა) და გამწვანებულ ზოლებში გარე სანათების მიმდინარე შეკეთება, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთება, საყრდენი კედლების მიმდინარე შეკეთება (6 მისამართი), სპორტული მოედნების (8 მისამართი) და სკვერების (37 მისამართი) მოწყობა-რეაბილიტაცია, სარკინიგზო მაგისტრალის ქვეშ მიწისქვეშა გადასასვლელის მოწყობა, დაზიანებული შენობა-ნაგებობის კონსტუქციების დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების, არსებულ სკვერებში, სპორტულ და საბავშვო გასართობ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (133

მისამართი), სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია (2 მისამართი), სოციალურად დაუცველი 8 ოჯახის საცხოვრებლის გაზიფიცირება, დაზიანებული კიბე-პანდუსის შეკეთება (11 მისამართი), 1 მისამართზე შშმ პირისთვის მოეწყო ადაპტირებული ლიფტი, დაიდგა საჩრდილობელი ფანჩატური-ტრენაჟორით (4 მისამართი), 30 ერთეული საბაღე სკამი და 22 ერთეული სანაგვე ურნა, შშმ პირებისათვის მოეწყო ადაპტირებული ლიფტი (1 მისამართი), 8 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საინჟინრო-საპროექტო და საექსპერტო მომსახურების, დეფექტური აქტების შედგენის და სხვა ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს რაიონის ტერიტორიაზე მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა 56 სკვერი, 6 სპორტული მოედანი და 15 ერთეული ფიტნეს-ტრენაჟორი ფანჩატურით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 17 სკვერს და 21 სპორტულ მოედანს, დამონტაჟდება 15 ფიტნეს-ტრენაჟორი ფაჩატურით.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა 37 სკვერი, 8 სპორტული მოედანი და 4 ერთეული ფიტნეს-ტრენაჟორი ფანჩატურით.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაკლები სამუშაოების განხორციელება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ და სამუშაოთა მოცულობის ზრდამ.

2.საბაზისო მაჩვენებელი – 2020 წელს მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა - 1782 გრძ.მ სანიაღვრე, წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება - 1170 გრძ.მ სანიაღვრე, წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა - 860 გრძ.მ სანიაღვრე და კანალიზაციის ქსელი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაკლები სამუშაოების განხორციელება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ და სამუშაოთა მოცულობის ზრდამ.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 7 ერთეული (400 კუბ.მ) საყრდენი კედელი და მოეწყო 6 ერთეული პანდუსი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 8 ერთეული (334 კუბ.მ) საყრდენი კედელი და მოეწყობა 8 ერთეული პანდუსი

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებულ იქნა 6 ერთეული (295 კუბ.მ) საყრდენი კედელი და მოეწყო 11 ერთეული კიბე პანდუსი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს გაზიფიცირრებულია სოციალურად დაუცველი 7 ოჯახი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება სოციალურად დაუცველი 15 ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 8 ოჯახი.

5.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას უწევს 50 000 კვ.მ გამწვანებულ ტერიტორიას (რგვები, სხვლა ფორმირება და თიბვა)

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 12237-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 2418-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სხვლა-ფორმირების სამუშაოების განხორციელება გამოიწვია ნაკლებმა მომართვიანობამ.

02 09 17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 9,999.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 9,993.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების მოჭრა და ფორმირება,

ბალახის თიბვასა და სკვერების მოვლა-პატრონობა, სპორტული მოედნების (10 მისამართი) და სკვერების (19 მისამართი) მოწყობა (მათ შორის დასრულდა მრავალწლიანი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სკვერების მოწყობის სამუშაოები), შშმ პირებისათვის ლიფტების მოწყობა (5 მისამართი), სოციალურად დაუცველი ოჯახების გაზიფიცირება (86 ოჯახი), სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა (24 მისამართი), საყრდენი კედლისა და მოაჯირების მოწყობა, 14 ეკლესიის ფინანსური დახმარება, გაწეულია სკვერებში სათვალთვალო კამერების მოხმარებული ელექტრო ენერგიის ხარჯები, დასრულდა მუხაძის ქუჩაზე კორპ 6/2-ის მიმდებარედ გაზის ბუნებრივი ვენტილაციისათვის შენობის მოწყობა, მე-3 მასივი, მე-4 კვარტალი (შუამთის ქ14) შემომფარგლავი ღობის მოწყობა, ვარკეთილი 3 მე-3 მ/რ 312 კორპუსიდან - N179 საჯარო სკოლამდე არებულ სკვერში წყალმომარაგების გამანაწილებელ სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების და ვარკეთილი 3, 3ა მ/რ კორპუსი 327 -ში სამგზავრო ლიფტისათვის სამფაზიანი ელექტრომრიცხველის მონტაჟის სამუშაოები. ასევე, გაწეულია საპროექტო სამუშოების და სხვა ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 95.8 ათასი ლარი ვარკეთილის 3, მე-3ა მ/რ, №327ბ კორპუსში ახალი სამგზავრო ლიფტის სამონტაჟო სამუშაოების დაფინანსების მიზნით, ხოლო სოფელ ნასაგურში 2021 წლის 23 სექტემბერს ძლიერი ქარისა და სეტყვის შედეგად, საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების ასანაზღაურებლად - 200.1 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 23 სკვერი და 11 სპორტული მოედანი, მიმდინარეობს 5 სკვერის და 3 სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2021 წელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 24 სკვერი და 11 სპორტული მოედანი

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 15 სკვერი და 8 სპორტული მოედანი, გრძელდება 4 სკვერის და 2 სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2022 წელს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო სანიაღვრე ქსელი 8 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 25 მისამართზე და წყალსადენის ქსელი 2 მისამართზე

დაგეგმილი მაჩვენებელი - 16 მისამართზე მოეწყობა საკანალიზაციო, 3 მისამართზე წყალსადენის და 6 მისამართზე სანიაღვრე ქსელი

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო სანიაღვრე ქსელი 9 მისამართზე და საკანალიზაციო ქსელი 15 მისამართზე.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 31 ოჯახი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით 75 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება

მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე განხორციელდა 86 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მოსახლეობის მხრიდან გაზრდილი მომართვიანობა.

02 09 18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 4,602.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,076.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 88.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მიტოვებული სამშენებლო ნარჩენების სანქციონირებელ ნაგავსაყრელზე გადაყრა, რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა მცირე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (72 მისამართი), გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების დამუშავება-გატანა, სკვერებისა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), ავარიული სახლების წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების სამუშაოები (37

მისამართი), სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია (3 მისამართი) სკვერის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები (10 მისამართი), მორწყვისა და ნიჟარებიდან სასმელი წყლის ხარჯები, წყალსადენ-კანალიზაციის (წყალარინება) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები (4 მისამართი), გრიშაშვილის ქუჩის მიმდებარედ 300 არაგველის სახელობის სკვერში სავარჯიშო სივრცის (ტრენაჟორები) მოწყობის სამუშაოები და ამავე სკვერში მარადიული ცეცხლის ბუნებრივი აირის ხარჯები, ორთაჭალის ქN76-ის მიმდებარედ ფერდის კეთილმოწყობის სამუშაოები, დროებითი ღობეების მოწყობა/დემონტაჟის სამუშაოები (16 მისამართი), სანიაღვრე-სადრენაჟე ქსელის მოწყობის სამუშაოები (3 მისამართი), წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად ქსელზე მიერთების ღირებულება (9 მისამართი), კიბისა და ბილიკის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები (3 მისამართი), წყლის დასალევი სოკოს (4 ცალი) შეძენა, საპარკე სკამების შეძენა-მონტაჟი (100 ცალი სკამი), გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (1 ოჯახი), სულგულაძის ქუჩა N10-ის, კრწანისის I ჩიხი N1-ის მიმდებარედ და გრიშაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ გრუნტის დამჭერი კედლის და ბაზოვის ქუჩა #10-ის მიმდებარედ კლდეზე ლითონის დამცავი ბადეების მოწყობის სამუშაოები, ვირსალაძის ქN10-ში შშმ პირისათვის პანდუსის მოწყობა, 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები, 2020 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტიის მიზნით დაკავებული 2.5% - 95.1 ათასი ლარი და სხვა. ამასთან ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 85.7 ათასი ლარი 2021 წლის 28 ნოემბერს, ხანძრის შედეგად, ორთაჭალის ქუჩა №3-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, დაზიანებული სახურავისა და სხვა ელემენტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა 12 მისამართზე ახალი სკვერის მოწყობა, 4 მისამართზე სკვერისა და 2 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 5 ახალი სკვერისა და 2 სპორტული მოედნის მოწყობა, 2 კომპლექტი სპორტული ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი, 3 არსებული სკვერისა და 3 სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 7 მისამართზე ახალი სკვერისა და 1 მისამართზე 1 ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, დამონტაჟდა 2 სპორტული ტრენაჟორი, 3 მისამართზე სკვერისა და 2 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა 640 გრძ.მ სანიაღვრე ქსელის, 506 გრძ.მ კანალიზაციის ქსელის და 680 კუბ.მ საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 900 გრძ/მ სანიაღვრე და კანალიზაციის ქსელი, საყრდენი კედელის მოწყობა- რეაბილიტაცია განხორციელდება 334 კუბ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 815 გრძ.მ სანიაღვრე და კანალიზაციის ქსელის და 60 კუბ.მ საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია.

3.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (დარგვა, სხვლა-ფორმირება) უწევს 25000 კვმ გამწვანებულ ტერიტორიას, 2020 წელს განხორციელდა 1275-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 257 ძირის მოჭრა-გატანა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1907-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 30 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1207-მდე ძირის სხვლა-ფორმირება, 154 ძირის მოჭრა-გატანა, ჩატარებულია 30 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

02 09 19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3,961.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,896.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის

ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: შენობის გამაგრების სამუშაოები (1 მისამართი), დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, ავარიული ელემენტების აღდგენის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები, გრუნტის დამჭერი რკინა-ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები (10 მისამართი, 427.64 კუბ.მ), სკვერის მოწყობა/შეკეთება/რეაბილიტაციის სამუშაოები (18 მისამართი) და სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები (4 მისამართი), შადრევან-აუზების ექსპლოატაციისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოები (4 მისამართი), გამწვანებული ტერიტორიების მოვლის და ხეების სხვლა-ფორმირების ხარჯები, ხე-მცენარეების ნერგებისა და ბუჩქების შესყიდვა, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა-მონტაჟის ხარჯი (100 საბაღე სკამი), წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების აღდგენა-შეკეთება-რეაბილიტაციისა და საკანალიზაციო მილების გაწმენდის სამუშაოები (14 მისამართი, 861.5 გრძ.მ), ბესიკის ქუჩა №14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის რემონტის სანებართვო მოსაკრებლის და შეკეთების ხარჯები, ქვეითად მოსიარულეთა ზონების შეკეთების სამუშაოები (30 მისამართი), შშმ პირებისათვის პანდუსების მოწყობა (10 მისამართი), სხვადასხვა ქუჩებზე დამონტაჟდა 220 ცალი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერი, 298.7 კვ.მ-ზე მოაჯირების მოწყობა შეკეთების სამუშაოები, გაზიფიცირების სამუშაოები (1 მისამართი), 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და სხვა. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 8.0 ათასი ლარი ტაბახმელაში კორპუსი №4-ში, 2021 წლის სექტემბრის თვეში ძლიერი ქარის შედეგად, დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული 51 ერთეული პარკი, სკვერი და სპორტული მოედანი ვერ აკმაყოფილებს

მოსახლეობის მოთხოვნებს დასვენებისა და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად, 2020 წელს რეაბილიტირებული იქნა 14 სკვერი და 7 სპორტული მოედანი, მოეწყო ერთი ახალი სკვერი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 6 სკვერი და 4 სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნა 18 სკვერი და 4 სპორტული მოედანი.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 544 გრძ.მ სანიაღვრე და შეკეთდა 1833 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეკეთდება 750 გრძ.მ. წყალკანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - შეკეთდა 861.5 გრძ.მ წყალკანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოეწყო 1051 კუბ.მ ახალი და შეკეთდა 585.5 კუბ.მ საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და შეკეთდება 1120 კუბ.მ. საყრდენი კედელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და შეკეთდა 427.64 კუბ.მ საყრდენი კედელი.

4. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში გასული წლების განმავლობაში, როგორც საგზაო ისე კეთილმოწყობითი სამუშაოების დროს შშმპ-სათვის მოეწყო 12 პანდუსი, რომლითაც ასევე სარგებლობენ ბავშვიანი ქალები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 10 ობიექტზე პანდუსი

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

5. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა), 2020 წელს განხორციელდა 2500-მდე ძირი მცენარის და 150 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2500-მდე ძირი მცენარის და 150 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

2021 წლის გეგმა - 55,884.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 51,844.5 ათასი ლარით (მათ შორის სპეციალური კაპიტალური ტრანსფერი - 44,379.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 92.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა, უძრავი ქონების ღირებულების ზრდა, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ფუნქციონირების ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 586.6 ათასი ლარი). ასევე, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გაწეულია 694.6 ათასი ლარი. გარდა ამისა, სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მიმართულებებზე:

ფონდზე რიცხული ობიექტების დაცვით უზრუნველყოფის ხარჯები, ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) და მასთან დაკავშირებული თანმდევი ხარჯები (სულ გამოყვანილია სიით 420 ოჯახი, მათ შორის: ორბელიანის მოედანზე არსებული სახლებიდან - 60 ოჯახი, გუდიაშვილის მოედანზე არსებული სახლებიდან - 146 ოჯახი, წინამძღვრიშვილის N1-დან - 77 ოჯახი, ჯავახიშვილის N14-დან - 11 ოჯახი, ყავლაშვილის N3-11-დან - 5 ოჯახი, ერეკლეს მოედანი N6-7 – 13 ოჯახი, რომის N4 – 29 ოჯახი, ანტონ კათალიკოსის - 12 ოჯახი, თაბუკაშვილის N46 – 20 ოჯახი, ლაღიძის N2 – 39 ოჯახი, სხვადასხვა ობიექტებიდან - 8 ოჯახი), ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის ნივთების გადაზიდვა დაცულ საწყობში (სულ განხორციელდა 594 რეისი) სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში თანმდევი ხარჯები.

ცხრილში *წარმოდგენილია საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) მიზნით, ბინებიდან გამოყვანილი ოჯახების შესახებ ინფორმაცია თვეების მიხედვით*

#	მისამართი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	აბესაძის ქუჩა	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	12
2	აბო თბილელის ქუჩა	45	45	45	45	45	45	45	45	45	45	45	45

3	ათონელის ქუჩა	12	12	12	12	12	12	0	0	0	0	0	0
4	ანტონ კათალიკოსის ქუჩა	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	12
5	ახოსპირელის ქუჩა	24	24	24	24	23	23	23	23	23	23	23	23
6	ბოტანიკურის ქუჩა	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
7	გოგირდის შესახვევი	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
8	გუდიაშვილის მოედანი	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	0	0
9	ერეკლე მეორეს მოედანი	13	13	13	13	13	13	13	13	13	13	13	13
10	ლერმონტოვის ქუჩა	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20
11	ორბელიანის ქუჩა	19	19	19	19	19	19	19	19	19	19	19	19
12	რომის ქუჩა	27	27	27	27	27	28	29	29	29	29	29	29
13	საიათნოვას ქუჩა	19	19	19	19	19	19	19	19	19	19	19	19
14	სამღებროს ქუჩა	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
15	ფურცელაძის ქუჩა	29	29	28	28	28	29	29	29	29	28	7	7
16	ყავლაშვილის ქუჩა	5	5	5	5	5	4	0	0	0	0	0	0
17	წინამძღვრიშვილის ქუჩა	77	77	76	76	76	76	76	76	76	76	76	76
18	ჯავახიშვილის ქუჩა	10	10	10	10	10	10	10	11	11	4	5	5
19	ჯიბლაძის ქუჩა	17	17	17	18	18	18	18	18	18	18	18	18
20	თაბუკაშვილის ქუჩა N46	8	12	15	18	18	18	20	20	20	20	20	20
21	ლაღიძის ქუჩა N2	13	14	23	25	25	25	26	26	26	26	38	39
	ჯამი	**378**	**383**	**393**	**399**	**398**	**399**	**387**	**388**	**388**	**380**	**368**	**369**

კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში ანაზღაურებულია 44,379.4 ათასი ლარის სამუშაოები, მათ შორის:

პროექტირების მიმართულებით საპროექტო სამუშაოები დასრულდა შემდეგ ქუჩებზე: რომის N4-ში და ერეკლე მეორის მოედანი N7-ში,

მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ფურცელაძის ქ. N16-ში,

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები: წინამძღვრიშვილის N1-ზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, ორბელიანის N19-23, რომის N4-ზე, ფურცელაძის N30-32-34-ზე, თაბუკაშვილის N46, ერეკლე მეორის N6-7, ანტონ კათალიკოსის N30-32-34 და სხვა ობიექტებზე,

ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დასრულდა ჯავახიშვილის N14, ათონელის 17, 18, 21, 31, ათონელის N29 - ში 2 სადარბაზოს და ათონელის N23 - ში 3 სადარბაზოს, ხოლო გრძელდება დავით აღმაშენებლის N111 სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები,

მუზეუმების რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარეობს აბრეშუმის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები,

სარეკრეაციო ზონების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სკუდიერის ქუჩის და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, ასევე მხატვრების პავილიონების მოწყობის სამუშაოები, დასრულდა ისტორიული განაშენიანების დაცვისა და რეგულირების ზონაში მდებარე ბაღების, სკვერების, პარკების და სხვა რეკრიაციული ზონების სარეაბილიტაციის სამუშაოები.

გარდა ამისა, 2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების №6034-GEO თანახმად, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში გაწეულია 662.4 ათასი ლარი, მათ შორის მდინარე მტკვარზე საზოგადოებრივი და ტურისტული სატრანსპორტო მომსახურების განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურებისათვის გადახდილი დღგ - 430.4 ათასი ლარი, ხოლო 232.0 ათასი ლარი - პროექტის ფარგლებში ინდივიდუალურ კონსულტანტებზე გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო 2000 საცხოვრებელი სახლი, მ.შ. 1700 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თანმდევი ქუჩების, რეკრიაციული ზონების და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით,

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 15 საცხოვრებელ სახლს, მათ შორის 13 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, 2 არასაცხოვრებელ ფართს, ერთ მუზეუმს, 6 სადარბაზოს, 1 რეკრიაციულ ზონას.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 12 საცხოვრებელ სახლს, მათ შორის 7 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, დასრულდა ფურცელაძის N16, სადარბაზოების და რეკრიაციული ზონის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაგეგმილ სამუშაოებზე, კერძოდ, სახლებზე გაიზარდა

შესრულების ვადები. ასევე, გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები გუდიაშვილის მოედანზე მიმდებარე სახლებზე და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ. ღირებულება შეადგენს-2000-2500 ლარს, ხოლო კომერციული საოფისე ფართის 1 კვ.მ. ღირებულება - 2500-3000 ლარს,

დაგეგმილი მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ ფართის ღირებულება შეადგენს 4000-4500 ლარს, ხოლო კომერციული და საოფისე ფართის 1კვ.მ ღირებულება - 4500-5000 ლარს,

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში 2020 წლის განმავლობაში მოეწყო რამდენიმე ადაპტირებული ობიექტი. მათ შორის: 3 ქუჩა ტროტუარით და გადასასვლელებით, ავტომობილების გასაჩერებელი ადგილებით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში 2021 წლის განმავლობაში მოეწყობა რამდენიმე ადაპტირებული ობიექტი კვლევის შედეგების საფუძველზე.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო რამდენიმე ადაპტირებული ობიექტი. მათ შორის: სკუდიერის ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისტორიული განაშენიანების დაცვისა და რეგულირების ზონაში მდებარე ბაღებში, სკვერებში, პარკებში და სხვა რეკრიაციულ ზონებში.

02 11 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური, ვაკის რაიონის გამგეობა.


2021 წლის გეგმა - 500,0 ათასი ლარი, დაფინანსდა 433.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 86.6%-ია.


დაგეგმილი შუალედური შედეგები: სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების შექმნა.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქონების მართვის

სააგენტოდან წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, სტიქიის შედეგად დაზარალებული ერთი პირისგან გამოსყიდული იქნა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ხოლო ვაკის რაიონის გამგეობის მიერ გაიცა ფინანსური დახმარება 2015 წლის 13-14 ივნისს სტიქიის შედეგად დაზარალებული გიორგი ჩიქოვანის საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციისათვის.

❖ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება







03 01 გამწვანების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 77,238.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 73,618.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 34,949.9 ათასი ლარი), რაც გეგმის 95.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე ხმელი და ხმობადი ხეების სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოიჭრა 10900 ხმელი და ხმობადი ხე, ჭრები განხორციელდა თბილისის ცენტრალურ უბნებში, ვაკის პარკისა და კუს ტბის მიდებარე ფერდობებზე, წყნეთის გზატკეცილზე, ბაგებში უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ, ამოღებულია 722 კუნძი ახალი მცენარეების დარგვის მიზნით,

თბილისის მასშტაბით გამწვანების თარგებში შეტანილია 12147 კუბმ. ნოყიერი მიწა, მოჭრილ და გატანილ იქნა 7159 კუბმ. ძველი საფარი და ინერტული მასა, მოიჭრა და პლანირება განხორციელდა 12092 კვმ. ფართობზე, დაირგო 90000 ძირი ზამთრის და ზაფხულის 160 000 ძირი ზაფხული ყვავილი, ჰიდროთესვის პრინციპით თბილისის მასშტაბით პარკებსა და გამწვანების თარგებში დაითესა

212000 კვმ. ბალახი და დაიგო 11000 კვმ. რულონური გაზონი, თბილისის ზღვის მიმდებარედ, ზ. წერეთლის მონუმენტის - „საქართველოს მატიანეს“ მომიჯნავედ არსებულ 6.45 ჰა ფართობზე განხორციელდა მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების სამუშაოები, დაირგო სხვადასხვა სახეობის 10 765 (1.5 მ სიმაღლის) ნერგი, დასარგავ ორმოებში შეტანილ იქნა 180 კუბმ. მიწის ნოყიერი ნაზავი, განხორციელდა ამ ნერგების მოვლა პატრონობა - მორწყვა, ჯამების მოწყობა-გაფხვიერება, სასუქის შეტანა, განხორციელდა წინა წლებში დარგული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, კუს ტბის მიმდებარე ფართობზე (5.6 ჰა) და ჟინვალის ქუჩის მიმდებარე ფართობზე (5.4 ჰა), მოვლა-პატრონობა (მორწყვა, სასუქის შეტანა, ჯამების მოწყობა, წამლობა) ჩაუტარდა 17060 ნერგს,

სამსახურის მიერ ჩაბარებულ იქნა (სანერგეში განთავსდა) 48315 მცენარე, მათ შორის 41607 დეკორატიული ბუჩქი (მათ შორის მცირე ზომის ბუჩქი) და 6708 დეკორატიული ხე,

კახეთის გზატკეცილის და ევროპის ქუჩის შუა ზოლში არსებული გამწვანებული ტერიტორიის აღდგენა-მოწყობის სამუშაოების ფარგლებში, კახეთის გზატკეცილის შუა ზოლში გადამუშავდა 3882 კვმ. ტერიტორია, 5518 კვმ. ფართობზე გაიშალა გეოტექსტილი და 331 კბმ. მარმარილოს დეკორატიული ქვა,

ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის სამუშაოები განხორციელდა 12.8 ჰა ფართობზე, მათ შორის: წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ 6 ჰა ფართობზე, განთავსდა საინფორმაციო დაფა, მოეწყო ღობე, ფართობი გაიწმინდა ეკალბარდებისაგან (600 კვმ) და ნიადაგის აჩიჩქვნა 8-10სმ განხორციელდა 2500 კვმ. ფართობზე, წყნეთის სატყეოში, მანგლისის გზატკეცილის მიმდებარედ 6.8 ჰა ფართობზე, განთავსდა საინფორმაციო დაფა, საქონლისაგან დაცვის მიზნით მოეწყო ღობე, ფართობი გაიწმინდა ეკალ-ბარდებისაგან (2000 კვმ) და ნიადაგის აჩიჩქვნა (8-10სმ) განხორციელდა 22500 კვმ. ფართობზე,

დეკორატიული სანაგვე ურნა (262 ერთეული) განთავსდა შემდეგ ლოკაციებზე: ლ. კაჩინსკის ქუჩა #13-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში - 10 ერთეული, ზ. ფალიაშვილის ქუჩა #38-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში (გეგეშიძის სკვერი) - 19 ერთეული, ი. ჭავჭავაძი სგამზირი #49ა-ს მიმდებარედ - 3 ერთეული, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N47-49 კორპუსებს შორის არსებულ

სკვერში - 13 ერთეული, მარჯანიშვილის ხიდსა და ელბაქიძის დაღმართის მიმდებარედ არსებულ გიგა ლორთქიფანიძის სახელობის სკვერში - 16 ერთეული, ლელვთახევის ტერიტორიაზე - 5 ერთეული, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ გელოვანის სკვერში - 29 ერთეული, დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე - 13 ერთეული, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ჯავახეთის ქუჩის კვეთაზე არსებულ რიგის სკვერსა და მიმდებარე ბულვარში - 79 ერთეული, მ. თამარაშვილის გამზირზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში - 13 ერთეული, ი. გრიშაშვილის ქN29-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (საპატრულო პოლიციასთან) - 4 ერთეული, ჟიული შარტავას ქN17-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში - 15 ერთეული, ვეტერანთა დასვენებისა და კულტურის პარკში - 2 ერთეული, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე - 2 ერთეული, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N160-ის მიმდებარე ტერიტორიაზე - 8 ერთეული, ქეთევან წამებულის გამზირზე მეფე ფარნავაზის სახელობის სკვერში - 8 ერთეული, გოთუას სახელობის სკვერში - 12 ერთეული, მეტრო ავლაბრის მიმდებარე ტერიტორიაზე - 11 ერთეული დეკორატიული სანაგვე ურნა,

,,თბილისის“ წარწერის მქონე თუჯის საპარკე სკამი (50 ერთეული) განთავსდა შემდეგ გამწვანებულ სივრცეებში: ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, პარკი მზიურის მიმდებარედ - 20 ერთეული, რუსთაველის გამზირი #10-ის მიმდებარედ (01.15.05.047.005) – 2 ერთეული, ი. ჭავჭავაძის გამზირი #49ა-ს მიმდებარედ – 4 ერთეული, ორბელიანის მოედანზე, ორბელიანის სახელობის სკვერში – 2 ერთეული, მ. თამარაშვილის გამზირზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში - 1 ერთეული, ევროპის ქუჩაზე მდებარე საპატრულო პოლიციის ეზოში (აეროპორტთან)– 2 ერთეული, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე - 5 ერთეული, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე - 2 ერთეული, ორბელიანის მოედანზე, ორბელიანის სახელობის სკვერში - 5 ერთეული, თავისუფლების მოედანი, პუშკინის სახელობის სკვერში - 7 ერთეული,

ხის დასაჯდომით ლითონის საპარკე სკამი (188 ერთეული) და ლითონის საპარკე სკამი (100 ერთეული) განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ გელოვანის სკვერში - 45 ერთეული, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ჯავახეთის ქუჩის კვეთაზე არსებულ

რიგის სკვერსა და მიმდებარე ბულვარში - 132 ერთეული (მათ შორის 56 ერთეული ლითონის საპარკე სკამი), ფაღავას ქუჩის დასაწყისში (მეტროსადგურ ,,ავლაბართან“) მდებარე სკვერში - 14 ერთეული, ქეთევან წამებულის გამზირი, ფარნავაზ მეფის სახელობის სკვერში - 17 ერთეული, გაბრიელ სალოსისი გამზირი #49-ის მიმდებარე სკვერში - 16 ერთეული, კ. ხეთაგუროვის სახელობის სკვერში - 20 ერთეული, მარჯანიშვილის ხიდსა და ელბაქიძის დაღმართის მიმდებარედ არსებულ გიგა ლორთქიფანიძის სახელობის სკვერში - 18 ერთეული, ლეღვთახევის ტერიტორიაზე - 5 ერთეული, ტექსელის სახელობის სკვერში - 19 ერთეული, ნ. ბარათაშვილის სახელობის სკვერში - 2 ერთეული,

რკალისებრი სახელურით საპარკე სკამი (186 ერთეული) განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ვერის ბაღში - 1 ერთეული, მ. თამარაშვილის გამზირზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში - 26 ერთეული, ი. გრიშაშვილის ქ N29-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (საპატრულო პოლიციასთან) - 4 ერთეული, გლდანის მე-6 მიკრო რაიონში, კორპუსი 7-ის მიმდებარედ არსებულ პარკში - 2 ერთეული, დიღმის მასივში, ტექსელის სახელობის სკვერში - 6 ერთეული, ვარკეთილის I მ/რაიონი, კორპუსი 2-ის და კორპუსი 8-ის მიმდებარე ტერიტორიაზე - 4 ერთეული, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N160-ის მიმდებარე ტერიტორიაზე - 17 ერთეული, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის - 18 ერთეული, მეტროსადგურ ,,ავლაბარსა“ და ეკლესია ,,ეჩმიაიდინს" შორის არსებულ სკვერში - 21 ერთეული, დიღმის მასივი, ტექსელის სახელობის სკვერში - 32 ერთეული, ვახტანგ გორგასალის ქუჩაზე არსებულ სკვერში - 33 ერთეული, თემქა-მუხიანის გადასასვლელის მიმდებარედ - 18 ერთეული, ლ. ქიაჩელის ქუჩა N7-სა და მ. ჯავახიშვილის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებულ სამაის სახელობის სკვერში - 4 ერთეული,

საბავშვო ატრაქციონი (31 ერთეული) დამონტაჟდა შემდეგ მისამართებზე: საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ჯავახეთის ქუჩის კვეთაზე არსებულ რიგის სკვერსა და მიმდებარე ბულვარში - 25 ერთეული, დასახლება ვარკეთილი-3, III ა მ/რ, N325 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერში - 1 ერთეული, ვახტანგ გორგასალის ქუჩაზე არსებულ სკვერში - 1 ერთეული, გლდანის მე-6 მიკრო რაიონი, კორპუსი 7-ის მიმდებარედ არსებულ

პარკში - 1 ერთეული, დავით აღმაშენებლის გამზირი 123, ჯ. კახიძის სახელობის სკვერში - 1 ერთეული, ვარკეთილის II მ/რ-ში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და რ. ხომლელის ქუჩის მიმდებარედ არსებული პარკში - 2 ერთეული,

გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა (21 ერთეული) დამონტაჟდა შემდეგ მისამართებზე: საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ჯავახეთის ქუჩის კვეთაზე არსებულ რიგის სკვერსა და მიმდებარე ბულვარში - 7 ერთეული, ხოლო რ. ხომლელის ქუჩის მიმდებარედ არსებულ პარკში - 3 ერთეული, გლდანის რაიონი, მე-6 მ/რნი, მე-15 კორბუსის მიმდებარე ტერიტორიაზე - 4 ერთეული, ვარკეთილი 3, III მიკრო რაიონი, სუხიშვილის ქუჩაზე არსებულ სკვერში - 4 ერთეული, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკში - 3 ერთეული,

გამწვანებულ ტერიტორიებზე სარწყავი სისტემის ქსელის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები ჩატარდა 26 მისამართზე, მათ შორის: რიგის სკვერის მიმდებარე ბულვარი, ნუცუბიძის ფერდობი მე-4 მ/რ კორპ 1, წერეთლის მონუმენტი "საქართველოს მემატიანე", გლდანის ხიდებთან არსებულ კუნძულზე და შუა გამყოფ ზოლში, ჟინვალის ქუჩის მიმდებარედ, კარტოზიას ქ (შეჭრა), თაყაიშვილის ქუჩა, მარშალ გელოვნის გამზირი (შეჭრა), მუხაძის ქუჩის შუა გამყოფი ზოლი, მუხაძის ქუჩაზე არსებული კუნძულები, გმირთა მოედანზე არსებულ საყვავილე ქოთნებში, ისთ ფოინთის მიმდებარე კუნძულები, ვეფხი და მოყმეს ძეგლთან არსებული კუნძული, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი, ბელიაშვილის ქუჩაზე არსებული კუნძული (შეშელიძის კვეთა), ბაგრატიონის ძეგლის მიმდებარედ არსებული კუნძულები, ალექსიძის ქ, 24 სკოლის მიმდებარედ, ბელიაშვილის ქ, ვაკის პარკის მიმდებარედ, თაყაიშვილის ქ, ვაკის პარკი, გულუას ქ, თბილისი ზღვა სანატარიუმ ქართლის მიმდებარედ,

გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა: ვაჟა ფშაველას გამზირზე არსებული გელოვანის სახელობის სკვერის, რიგის სკვერის, ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკის და გლდანის მე-6 მიკრო რაიონში, მე-7 კორპუსის მიმდებარედ არსებული პარკის რეაბილიტაცია.

ნაწილობრივ განხორციელდა რიგის სკვერის მიმდებარედ არსებული ბულვარის რეაბილიტაცია,

ასევე, დაფინანსდა შპს ეკოსერვის ჯგუფი - 17,414.2 ათასი ლარის ოდენობით და განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

თბილისის პარკებში (ვაკის პარკში, ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკში, პარკი მზიურში, ვერის ბაღში, 9 აპრილის სახელობის ბაღში, დედაენის ბაღში, 9 მარტის ბაღში, პირველი რესპუბლიკის ბაღში, რიყის პარკში, ვარკეთილის სკვერში (ვარკეთილი-3, I მიკრო რაიონი), ვარკეთილის სკვერში (ვარკეთილი-3 IIIა მიკრო რაიონი, N325 კორპუსის მიმდებარედ), რიგის ბაღში, ვეტერანთა კულტურის და დასვენების პარკში, გლდანის პარკებში (მე-5, მე-6 და მე-8 მიკრო რაიონში), დიღმის ტყე-პარკში და ურბანულ ზონებში არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე განხორციელდა აგრო-ტექნიკური ღონისძიებები: მცენარეების და ნერგების დარგვა, ხე-მცენარეების გამაგრება (ჭიგოებით), მცენარეების ჯამების მოწყობა/გაფხვიერება, ბალახის გათიბვა, დაფოცხვა, გაზონისა და ახალგაზრდა ხე-მცენარების/ბუჩქების მორწყვა, დაზიანებული სარწყავი სისტემის აღდგენა, მინერალური და ორგანული სასუქის შეტანა, ტერიტორიის გამარგვლა, ხე-მცენარების და ბუჩქების დეკორატიული სხვლა-ფორმირება, ზეხმელი და დაზიანებული მცენარეების ამოღება, ჰიდროთესვისთვის ნიადაგის მომზადება, თარგების მომზადება მულჩირებისთვის და მულჩის შეტანა, ნარჩენების გატანა, მცენარეების შეწამვლა (ფოთლითკვება) სხვადასხვა მისამართებზე/ლოკაციებზე, რეტერატების (საზოგადოებრივი ტუალეტი) მოვლა-პატრონობის ღონისძიებები და სხვა,

სამღერეთის ქუჩა N3-ში მდებარე სანერგეში ჩატარდა სანერგე ტერიტორიის დასუფთავება ქვა-ღორღისაგან და ტერიტორიიდან გატანა სამი ჯერადობით, სანერგეში არსებული მცენარეების მორწყვა ორმოცდაცამეტი ჯერადობით, სათბურში არსებული მცენარეების მორწყვა ორმოცჩვიდმეტი ჯერადობით, ქოთნებში არსებული მცენარეების გამარგვლა სარეველებისაგან შვიდი ჯერადობით, სანერგეში არსებულ ხე-მცენარეებზე ამონაყრის მოცილება ერთი ჯერადობით, სათბურის ტერიტორიის დასუფთავება ექვსი ჯერადობით. თბილისის ზღვა სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ არსებული, სანერგის

ტერიტორიის დასუფთავება. ცარიელი კონტეინერების ამოღება და დასაწყობება ოთხი ჯერადობით, არსებული თხრილების აღდგენა განახლება ხუთი ჯერადობით, გრუნტში არსებული მცენარეების მორწყვა ოცდაცხრა ჯერადობით, სანერგეში არსებული მცენარეებზე ამონაყრის მოცილება და ძირების აფხვიერება ერთი ჯერადობით, გრუნტში არსებულ მცენარეებზე ჯამების მოწყობა ორი ჯერადობით, სანერგეში არსებული მცენარეების გამარგვლა, მცენარეების ჩალაგება ქოთნებში. შემდგომ ქოთნების ჩალაგება არსებულ თხრილებში, მიწის მიყრა და მიტკეპნა ხუთი ჯერადობით. სანერგის ტერიტორიის გაწმენდა ეკალ-ბარდებისაგან ოთხი ჯერადობით, ქალაქის სხვადასხვა ლოკაციიდან ამოტანილი დაზიანებული მცენარეების დარგვა გრუნტში და მორწყვა შესაბამისი ჯერადობით,

ქალაქ თბილისის ზღვის სანატორიუმ „ქართლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ანასხლავი ტოტის გადამუშავების შედეგად მიღებული იქნა 99.5მ3 მზა კომპოსტი და 374.55 მ3 ნახევარფაბრიკატი კომპოსტი, აგრეთვე, წარმოებული იქნა 160.36 მ3 მზა მულჩი, რომლის 27 მ3 გადაეცა ურბანულ ზონებში არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობის სამსახურს, 47,6 კუბ.მ - პარკების მოვლა-პატრონობის სამსახურს. ხოლო, მწვანე ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე შეტანილი იქნა 20,7 კუბ.მ. ამავე სამსახურის მიერ წითელის მულჩის წამოებისათვის გამოყენებული იქნა 63,61 კუბ.მ. ამასთან, წარმოებულია 295,40მ3 წითელმულჩი,

განხორციელდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დავალების (შპს „გრინსერვისი+“-თან და შპს „მწვანე ნერგებთან“ გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში) შესაბამისად, დარგული ხე-მცენარეების აგროტექნიკური სამუშაოების ინსპექტირება, დარგული და გახარებული წიწვოვანი მცენარეების აღწერა და ფაქტიური რაოდენობის დადგენა (ინვენტარიზაცია),

ქალაქ მასშტაბით სხვადასხვა მისამართებზე განხორციელდა 3172 ერთეული ხის მოჭრა, 12084 ერთეული ხის სხვლა-ფორმირება, 294 ერთეული ავარიული ხის დამუშავება, 57 ერთეული ხის კუნძების ამოღება,

ქალაქ ტერიტორიაზე შპს ეკოსერვის ჯგუფის მოვლა-პატრონობაში არსებული შადრევნების ოცდასამი ჯერადობით მორეცხვა-დასუფთავება, შადრევნის ელექტრო სისტემებზე აღმოიფხვრა პერიოდული შემოწმების შემდეგ აღმოჩენილი 54 გაუმართაობა, შადრევნებზე არსებულ 40 ტუმბო-ძრავზე მოხდა საკისრების შეპოხვა (მათ შორის 14 აგრეგატზე - დაზიანებული საკისრების ახლით ჩანაცვლება), სასმელი წყლის 95 სოკოს ფორმის წყაროზე შეიცვალა დაზიანებული ეკონომიური მოხმარების ონკანები და 28 სხვადასხვა მისამართზე მოხდა დაზიანებული მილების აღდგენა, სრულად შეიცვალა დაზიანებული და ამორტიზებული ერთი ერთეული სასმელი წყლის სოკოს ფორმის წყარო, შადრევნის წყლით მომარაგების და დაცლის სისტემებზე აღმოიფხვრა 14 დაზიანება, 10 ლოკაციაზე შეიღება შადრევნის ავზები და დეტალები, ნოემბერ-დეკემბერში შადრევნები გამოირთო და მომზადდა ზამთრის სეზონისთვის,

ქალაქ თბილისის პარკებში და ურბანულ ზონებში არსებულ გამწვანებულ თარგებში სარწყავ სისტემების სხვადასხვა მისამართზე განხორციელდა სარწყავ სისტემებზე სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები: გაიმართა (შეკეთდა) 1896 ერთეული დაზიანებული კვანძი და 1357 გრძივი მეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილი ჩანაცვლდა ახლით,

გარდა ამისა, კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში (ფაქტი - 34,949.9 ათასი ლარით დაფინანსდა: ვაკის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები (დასრულდა), ნაწილობრივ დასრულდა ზღვის უბნის პარკის მოწყობის და ვარკეთილის II მ/რ-ში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და რ. ხომლელის ქუჩის მიმდებარედ არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დაირგო 7164 ძირი მაღალტანოვანი ხე, 34 513 ძირი დეკორატიული ბუჩქი, 15 000 ბალახოვანი ბუჩქი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაირგვება 7136 ძირი დიდი ზომის ხე და 31686 ძირი ბუჩქი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 6708 ძირი მაღალტანოვანი ხე, 41607 ძირი დეკორატიული ბუჩქი (მათ შორის მცირე ზომის ბუჩქი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მწვანე სივრცეებში განთავსდა ახალი საპარკე ფურნიტურა 538 ერთეული სკამი და 297 ერთეული ურნა, 61 ერთეული სათამაშო ატრაქციონი და 19 ერთეული სავარჯიშო მოწყობილობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მწვანე სივრცეებში განთავსებული ახალი საპარკე ფურნიტურის რაოდენობა 600 სკამი და 300 ურნა, 50 ერთეული სათამაშო ატრაქციონის და გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

მიღწეული მაჩვენებელი - მწვანე სივრცეებში განთავსდა 524 ერთეული სკამი და 262 ერთეული ურნა, 31 ერთეული სათამაშო ატრაქციონი და 21 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ფერდობებზე ტყის ფართობის მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების პროექტი ფარგლებში დაირგო 7164 ნერგი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განახლდება 5.7 ჰა ფართობის ტერიტორია, დაირგვება 7600 ნერგი.

მიღწეული მაჩვენებელი - განახლდა 6.4 ჰა ფართობის ტერიტორია, დაირგო 10765 ძირი ნერგი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 პარკს და 4 სკვერს, განხორციელდა 2 ახალი პარკის მოწყობის სამუშაოები და ერთი საქალაქო პარკის რეაბილიტაციის ნაწილი, ერთი შუა გამყოფი ზოლის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2021 წელს მოწყობილი/აღდგენილი სარეკრეაციო სივრცეების ფარგლებში განხორციელდება 2 პარკის და 1 სკვერის რეაბილიტაცია, 1 გამწვანებული ბულვარი, 1 საქალაქო პარკის რეაბილიტაცია, 1 ახალი პარკის მოწყობის ნაწილი, 1 შადრევნების კასკადის რეაბილიტაციის ნაწილი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

5.საბაზისო მაჩვენებელი - ეკოსერვის ჯგუფი მოვლა პატრონობას უწევს გამწვანებულ ტერიტორიებს: შადრევნები 47, სოკოს ფორმის სასმელი წყარო 62, საქალაქო პარკი 13, სკვერი 79.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია არსებული გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი 19, სკვერი 83, შადრევანი 57, სოკოს ფორმის სასმელი წყარო 86.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

03 02 დასუფთავების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 88,192.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 84,336.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო პოლიგონის პრობლემური საკითხების მოწესრიგება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები, ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები, დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები, თოვლცვენის დროს მარილის დაყრის სამუშაოები და სხვა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა დასუფთავების სამუშაოები - 12 340 951 კვ.მ, შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები - 5 508 017 კვ.მ, სკვერების ტერიტორიის დასუფთავება - 3 601 896 კვ.მ, ხევებისა და ფერდობების დასუფთავება - 2 001 200 კვ.მ, მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავების სამუშაოები - 12 930 კვ.მ, ქალაქის ქუჩებზე დაიყარა 3 348.9 ტონა ტექნიკური მარილი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი იქნა 393 643.1 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. შეძენილ იქნა 2,632.6 ათასი ლარის ღირებულების 3500 ცალი სხვადასხვა ზომის ნაგავშემკრები კონტეინერი (მათ შორის 500 ცალი - 50 ლიტრიანი, 500 ცალი - 120 ლიტრიანი, 500 ცალი - 240 ლიტრიანი და 1000 ცალი - 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი, 1000 ცალი - 1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი). ასევე, გაწეულია საგრანტო ხელშეკრულების (C43348/842/60811) ფარგლებში თბილისის მყარი მუნიციპალური ნარჩენების სტრატეგიის შემუშავების საკონსულტაციო მომსახურების (თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ნარჩენების პრევენციისა და რეციკლირების სხვადასხვა

სცენარების შემუშავება და მათი მდგრადობის შეფასება (გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური გავლენის შეფასება) ხარჯები - 142.7 ათასი ლარი, ხოლო საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2018 წლის 27 ნოემბერს, გაფორმებული „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის შესახებ“ სასესხო შეთანხმების ფარგლებში სპეცტექნიკის შესაძენად გადარიცხულია 1,222.8 ათასი ლარი.

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველთვიურად სუფთავდება 23 464 994 კვ.მ ტერიტორიის ფართობი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 7,515.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7,683.7 ათასი ლარის 97.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 03 01 თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი

2021 წლის გეგმა - 4,500.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,492.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ეროვნული და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლება და აღდგენა, როგორც ტყვეობის პირობებში, ისე ბუნებაში, მსოფლიოს და ადგილობრივი ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით, საერთაშორისო დონის ზოოპარკის ეტაპობრივი მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების (საკუთარი სახსრებიდან - 1,085.1 ათასი ლარი) ხარჯები (მათ შორის ცხოველების კვების, ვეტერინარული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, ავტომანქანების შეძენის და სხვა). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

ცხოველების ქცევისა და ცხოვრების ნირის შესაბამისად, განხორციელდა ჯიხვების, დომბების, კეთილშობილი ირმებისა და ნიამორების ვოლიერების

რეაბილიტაცია; თბილისის ზღვის მიმდებარედ ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, მოიხრეშა და დაბეტონდა ვოლიერებთან მისასვლელი გზები, დასრულდა ვოლიერის „აფრიკული სავანა“ მშენებლობის პირველი ეტაპი; ბათუმის ზოოპარკიდან ჩამოყვანილი იქნა ცხოველები (აქსისები, გარნები და ხალებიანი ირემი), ხოლო ბაქოს ზოოპარკიდან განხორციელდა ემუებისა და ხონთქრის ქათმების და სისხლის განახლების მიზნით 3 სული კეთილშობილი ირემის ჩამოყვანა; ყოველდღიურად ხორციელდებოდა ცხოველების მოვლა და მათზე დაკვირვება, კვების რაციონის შერჩევა-დაზუსტება, ვეტექიმების მიერ ცხოველებზე დაკვირვება და, საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა;

ზოოპარკი აქტიურად თანამშრომლობს ევროპის აკვარიუმებისა და ზოოპარკების ასოციაციასთან (EAZA) და არის ამ ასოციაციის წევრობის კანდიდატი. ასევე, აქტიურად თანამშრომლობს ზოოლოგიური ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემასთან (ZIMS) და არის ამ სისტემის წევრი;

სამეცნიერო კუთხით მოეწყო მივლინება შავი ზღვის ძუძუმწოვართა შესწავლის პროგრამის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, საქართველოში განხორციელდა ე.წ. ზურმუხტის ქსელის (ევროპის ველური ბუნებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების ქსელი) ერთ-ერთი ტერიტორიის, კერძოდ, ბორჯომ-ხარაგაული 2-ის შეფასება, გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული შესაბამისი სამსახურების მიერ, ზოოპარკში შემოყვანილ იქნა ჩამორთმეული და ბუნებაში ნაპოვნი ცხოელები და ფრინველები. მათ შორის: კაკაჩა, ფსოვი, ბუ და ა.შ. განხორციელდა ჩამორთმეული ცხოველების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის მიზნით შესაბამისი ვეტერინარული მომსახურება;

სასწავლო ცენტრში სკოლის მოსწავლეთათვის ჩატარდა ,,ურბანული ფრინველებისადმი“ მიძღვნილი ტრეინინგი და პერიოდულად ცხოველებისათვის ხორციელდებოდა ცხოველთა ყოფის გამდიდრების ღონისძიებები (ენრიჩმენტი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ვოლიერები და ნაწილობრივ მოწყობილია ინფრასტრუქტურა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალი ვოლიერების პროექტირება, მშენებლობა და არსებული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა ვოლიერის „აფრიკული სავანა“ მშენებლობის პირველი ეტაპი, განხორციელდა ჯიხვების, დომბების, კეთილშობილი ირმებისა და ნიამორების ვოლიერების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების ზოოპარკში გამრავლება, წითელი ნუსხის ცხოველების - ნიამორების, კეთილშობილი ირმებისა და ჯიხვების რიცხოვნობის ზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გამრავლების მიზნით ცხოველებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, ცხოველთა არსებული კოლექციების გამდიდრება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩამოყვანილია 3 სული კეთილშობილი ირემი, აქსისები, გარნები, ხალებიანი ირემი, ემუები და ხონთქრის ქათმები; გაიზარდა ჯიხვების (3 სული) და კეთილშობილი ირმების (2 სული) რაოდენობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკი და სასწავლო ცენტრი ფუნქციონირებს როგორც ახალ, ასევე ძველ ტერიტორიაზე

დაგეგმილი მაჩვენებელი - ცხოველთა არსებული კოლექციის შენარჩუნება და გამრავალფეროვნება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, სასწავლო ცენტრში საგანმანათლებლო წრეებისა და სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულ იქნა ზოოპარკის შეუფერხებელი ფუნქციონირება და ცხოველთა კოლექცია, საგანმანათლებლო ცენტრი ფუნქციონირებდა შეფერხებებით.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდპანდემიის გათვალისწინებით ზოოპარკის სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრი სრულფასოვნად არ ფუნქციონირებდა.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 120372 ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა - 300000 ვიზიტორი.

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა - 217640 ვიზიტორი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვიზიტორთა შემცირებული რაოდენობა გამოწვეულია გლობალური პანდემიის შედეგად.

03 03 02 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

2021 წლის გეგმა - 3,183.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,023.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 95%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შენარჩუნებული, მოვლილი, განახლებული მცენარეთა კოლექციები და დეკორატიული უბნები, წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობა, დამთვალიერებელთა და შემოსავლების გაზრდილი ოდენობა, მოწესრიგებული და განახლებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების (საკუთარი სახსრებიდან - 1,111.3 ათასი ლარი) ხარჯები. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 17.9 ათასი ლარი. ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

შენარჩუნებული, მოვლილი, განახლებული მცენარეთა კოლექციები და დეკორატიული უბნების ღონისძიების ფარგლებში: სისტემატურად ხორციელდება ძირითადი ტურისტული მარშრუტების, გზების, ბილიკების მოვლა-დასუფთავება (დაახლოებით 6,5-7 კმ), ყოველდღიურად ხორციელდება მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთებზე მოვლა-დასუფთვების სამუშოები (50 ჰა ფართობის მოვლა), როგორც არსებული კოლექციების შესანარჩუნებლად, ასევე მის გასაფართოვებლად

(ჩატარდა ბაღის ორჯერადი კომპლექსური წამლობა), მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა არსებული კოლექციების მერქნიან მცენარეთა შეფასება-აღწერა, სისტემატურად ტარდებოდა აგროტექნიკური სამუშაოები - მერქნიან მცენარეთა სხვლა-ფორმირება, ნიადაგის განოყიერება და სხვა. ბაღის იშვიათი, საკოლექციო ეგზემპლარებიდან თესლის, სანერგე მასალის შეგროვება შემდგომი გამრავლების მიზნით; 15ჰა-ზე მოხდა ზეხმელი, დაავადებული და ამორტიზებული მერქნიანი მცენარეებისაგან ტერიტორიის გაწმენდა (სულ 280 ერთეული), წვერხმელი ხეების სხვლა-ფორმირება, ცალკეული მონაკვეთების ქაოსური ამონაყარისაგან გაწმენდა; მცენარეთა ყოველწლიური განახლების მიზნით ბაღის ტერიტორიაზე დაირგო 40450 ერთეული ერთწლიანი მცენარე; გამდიდრდა ყვავილოვან-ბალახოვანი დეკორატიული მცენარეების კოლექცია მას შეემატა 109 სახეობა და ჯიში, აქედან ყვავილოვან გაფორმებაში დარგულია 12-მდე ახალი ჯიში. ტროპიკულ ორანჟერეას შეემატა 8 ახალი სახეობა; ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექციის რაოდენობისა და განახლებული მცენარეთა კოლექციის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 400 ერთეული მერქნიანი მცენარის ეტიკეტირება და დოკუმენტირება; ბაღის მერქნიან მცენარეთა კოლექციის განახლება-გამდიდრების მიზნით კოლექცია გამდიდრდა 40-მდე ახალი სახეობით; ბაღის საპარკე სივრცესა და საკოლექციო ნაკვეთებზე დასარგავად შესყიდულია 50 სახეობისა და ჯიშის მერქნიანი მცენარის 271 ზრდასრული ნერგი, რომელთა დარგვაც მოხდება 2022 წლის პირველ კვარტალში. ბაღის სხვადასხვა ნაწილში ნერგების ნაწილი გადაირგო ბოტანიკური ბაღის სანერგედან; ბაღის მცენარეთა ცოცხალი კოლექციების შევსების და გამდიდრების მიზნით დათესილია 93 მერქნიანი სახეობის თესლი. მათგან აღმოცენდა - 55 სახეობის. განხორციელდა ორწლიანი ნათესარების გადარგვა (300-ზე მეტი ეგზემპლარი). მათგან ბაღის სანერგე მეურნეობის სასკოლო განყოფილებას, შემდგომი განვითარებისათვის, გადაეცა 9 სახეობის 55 ეგზემპლარი დაფესვიანებული მცენარე;

შეუფერხებელი და წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობის ფარგლებში: გამოიცა 20 სამეცნიერო პუბლიკაცია (მათ შორის 16 - ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში, 4 - უცხოენოვან რეცენზირებად სამეცნიერო

გამოცემაში). მათ შორის ორი სამეცნიერო პუბლიკაცია უშუალოდ წითელი ნუსხის სახეობის შესახებ (ქართული ნუში) და კოლხური წყალიკრეფიას გამრავლების შესახებ, რომლის რეინტროდუქციაც განხორციელდა ბუნებაში, ხოლო წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავების ფარგლებში შეფასდა წითელი ნუსხის 11 სახეობა, რაზედაც მომზადდა შესაბამისი ანგარიში. ასევე, მომზადდა 5 სახეობის მცენარეზე გამრავლების პროტოკოლი; საანგარიშო პერიოდში შეუფერხებლად მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება, განხორციელდა 6 სამეცნიერო პროექტი, რომლებსაც ახორციელებენ ბაღის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები. მათ შორის 2021 წელს დასრულებულია 2 პროექტი, რომელთა შედეგები ასახულია ბაღის წლიურ სამეცნიერო ანგარიშში;

მოწესრიგებული და გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით: ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო ახალი მარშრუტების გახსნა გადაიდო 2022 წელს. მიმდინარეობს ბავშვთა მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 12 მარტის N21.290.337 განკარგულების საფუძველზე, შეჩერდა ახალი ადმინისტრაციული და ლაბორატორიული კორპუსის (ახალი ბოტანიკური ცენტრის) მშენებლობა, ხოლო მომზადდა მშენებლობის პროცესში ჩამოჭრილი ფერდის გამაგრების პროექტი და მიმდინარეობდა მუშაობა შენობის სახეცვლილი (შემცირებული) ფორმით დასრულების პროექტის მიმართულებით; ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელდა ბავშვთა მოედნის სრული რეაბილიტაცია - რეკონსტრუქცია; სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ვარდების საკოლექციო ნაკვეთის რეაბილიტაციის ფარგლებში მომზადდა არსებული პროექტის მოდიფიკაციის გენგეგმა, საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც ტენდერი და სამუშაოების შესრულება იგეგმება 2022 წელს; მდ. წავკისის წყლის მიმდებარე ტურისტული მარშრუტის გაყოლებაზე არსებული დამცავი მოაჯირების მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა ავარიული მდგომარეობა, მათი შეცვლის მიზნით და ვიზიტორთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მომზადდა სატენდერო

წინადადება; ასევე, მიმდინარე პერიოდში საჭიროებიდან გამომდინარე, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა: ბაღის ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს და მცირე მექანიზაციას, ტერიტორიაზე არსებულ სარწყავ სისტემას, წყალსაქაჩ სადგურებს, სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სიტემებს, არსებულ სამეთვალყურეო, დაცვის სისტემას, არსებული შენობების ინტერნეტით უზრუნველყოფის მოწყობილობებს, კომპიუტერულ ტექნიკას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ძირითადი ტურისტული მარშრუტების (გზების, ბილიკების) 6,5-7 კმ. პერიმეტრის მოვლა; მოვლილი და შენარჩუნებული საკოლექციო ნაკვეთები (50 ჰა ფართობი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 250 ცალი, განახლებულია მცენარეთა კოლექცია - 30 სახეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 300 ცალი, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 30 სახეობა.

მიღწეული მაჩვენებელი - ეტიკეტირებული და დოკუმენტირებულია - 400 მერქნ. ხე, დაემატა - 40 ახალი სახეობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მცენარეთა ყოველწლიური განახლების მიზნით დარგულია 35000-მდე ერთწლოვანი მცენარე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 40000-მდე ერთწლოვანი მცენარის დარგვა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 40450 ერთწლოვანი მცენარე.

4.საბაზისო მაჩვენებელი - წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 6 ცალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 3 ცალი.

მიღწეული მაჩვენებელი - სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 20 ცალი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვერ მოხერხდა ერთიანი კრებულის გამოცემა პანდემიის გამო, შესაბამისად გამოქვეყნდა ავტორების ინდივიდუალური პუბლიკაციები.

5.საბაზისო მაჩვენებელი - წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 5 სახეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია წითელი ნუსხის 7 სახეობის შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 3 სახეობა.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა 5 სახეობის პროტოკოლი/შეფასდა 11 სახეობა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საველე-საექსპედიციო სამუშოების განმავლობაში, წარმოიშვა შესაძლებლობა დამატებით ტაქსონების შესწავლის.

6.საბაზისო მაჩვენებელი - საკონსერვაციო აქტივობებისა და პროგრამების რაოდენობა და კონსერვაციული ღირებულება - 4 სამეცნიერო პროექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 4 სამეცნიერო პროექტი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 6 სამეცნიერო პროექტი, საიდანაც დასრულდა 2 პროექტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 4 პროექტის განხორციელება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

7.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 68861 ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა - 300000 ვიზიტორი.

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა - 171036 ვიზიტორი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვიზიტორთა შემცირებული რაოდენობა გამოწვეულია გლობალური პანდემიის შედეგად.


8.საბაზისო მაჩვენებელი - ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 1 სარეაბილიტაციო პროექტი (ბავშვთა მოედნის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია).


მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

❖ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა


ათასი ლარი



ათასი ლარი



	ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება	ბიზნესის სტიმულირება	თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა	მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა	თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში	ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია	თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები	ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარება
2019 წლის ფაქტი	411,0	555,9	690,4	49,8	450,5	24,1	141,0	49,7
2020 წლის ფაქტი	364,7	888,6	140,2	35,2	31,1	6,3	6,7	0,0
2021 წლის ფაქტი	678,5	4 962,6	579,7	25,8	14,6	148,6	12,1	0,0



04 01 ბიზნესის სტიმულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 5,067.9 ათასი ლარი დაფინანდა 4,962.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში გაწეულია ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მომსახურების ხარჯები (ევროკავშირის გრანტის თანადაფინანსება); ჩატარდა სემინარი - „ბიზნეს გეგმა საერთაშორისო სტანდარტებით“ (ევროკავშირის გრანტის თანადაფინანსება); ბიზნეს აქსელერატორ სპარკისა და „სტარტაპ გრაინდის“ ინიციატივით ჩატარდა ტრეინინგი და "Capstine Ventures Georgia"-ს ფონდის პრეზენტაცია (ევროკავშირის გრანტის თანადაფინანსება); მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, გამოფენა-გაყიდვა „თბილისური ბაზარის“ ფარგლებში

მოეწყო: საახალწლო გამოფენა-გაყიდვა „თბილისის საშობაო ბაზარი“ და „გაუსინჯე თბილისს გემო“ (ევროკავშირის გრანტის თანადაფინანსება); მოეწყო შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან; ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში შეიქმნა 11 ბიზნეს გეგმა, რომლის საფუძველზე ფუნქციონირება დაიწყო რვა საწარმომ; განხორციელდა სპარკის ბრენდ ბუქის შესაბამისად ფეისბუქ პოსტების დიზაინების სამაგალითო ფრეიმების შემუშავება და მომზადება;

ბიზნეს აქსელერატორ სპარკის ორგანიზებით ჩატარდა: მცირე და საშუალო ბიზნესის გადასამზადებლად ტრენინგების ციკლი - ბიზნეს გეგმა საერთაშორისო სტანდარტებით, რომლის ფარგლებშიც საუკეთესო მონაწილეები კომპანია BDO-სთან თანამშრომლობით ამუშავებდნენ ბიზნეს გეგმებს. ჩატარდა ტრენინგის 7 ნაკადი, ჯამში 105-მდე ბიზნესმა მიიღო მონაწილეობა; ტრენინგების ციკლი სოციალური მედიის მართვა ბიზნესისთვის, ჯამში 3 ნაკადი, რომელშიც 50 -მდე ბიზნესმა მიიღო მონაწილეობა; მცირე და საშუალო ბიზნესის და სტარტაპების განსავითარებლად სხვადასხვა მიმართულების ტრენინგების და ვორკშოპების ციკლი: მარკეტინგული გეგმა საერთაშორისო სტანდარტებით, ონლაინ მაღაზიის შექმნის ტრენინგი, შრომის უსაფრთხოება, ინვესტორებთან ურთიერთობა და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება; 2021 წელს ბიზნეს აქსელერატორმა სპარკი, დაიწყო პროექტი Go To Global, რომლის ძირითადი ამოცანაც არის ადგილობრივი სტარტაპ ეკოსისტემის ხელშეწყობა, საერთაშორისო კერძო დაფინანსებაზე წვდომის გაზრდა, გლობალური პროექტების განხორციელება, უცხოური ინვესტიციებით ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში წვლილის შეტანა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 6 საერთაშორისო ღონისძიება 3 ფიზიკურ სივრცეში, 3 ონლაინ. შეხვედრებს ჯამში 300 -ზე მეტი სტარტაპის დამფუძნებელი, ინვესტორი თუ ბიზნესის დაწყების მსურველები დაესწრნენ; განხორციელდა სტუდენტური აქსელერაციის პროგრამა (SparkZ), სხვადასხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით (თიბისი სტარტაპერი, თიბისის IT აკადემია, GITA) რომელშიც ჩართული იყო საქართველოს მასშტაბით ყველა უნივერსიტეტის სტუდენტები (ძირითადი ნაკადი თსუ, BTU, ღია

უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, ბათუმის უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი), რომლის ამოცანაც სტუდენტური ბიზნეს იდეების ხელშეწყობა და განვითარებაა. გამარჯვებული გუნდი პროექტი „სტუმრობა“, განაგრძობს თავის იდეაზე მუშაობას და უკვე სატესტოდ არიან ბაზარზე გასული თავიანთი პროდუქტით; არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, ბიზნესის გამოწვევებზე საპასუხოდ, დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრების ციკლი ბიზნეს პროცესების გაციფრულების მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სტარტაპების (Payze, B2C, Signify, კერნელი, ehotelspace, kovzy) წარმომადგენლებმა გააზიარეს თავიანთი გამოცდილება და გამოწვევები ბიზნესის გაციფრულების მიმართულებით; სპარკის ოფიციალურ Facebook გვერდზე ჩატარდა 16 ლაივ შეხვედრა, 16 სხვადასხვა ინდუსტრიის ლიდერი სპიკერების მონაწილეობით, ისეთ თემებზე როგორიც არის: ციფრული მარკეტინგის გამოწვევები, იდეის გაზიარების მნიშვნელობა, როგორ გავაკეთოთ სტარტაპი გლობალურ ბაზარზე? Etsy.com ხშირად დასმული კითხვები და ა.შ თემები, რომლებიც ორიენტირებულია ბიზნესის განვითარებასა და მათთვის სხვადასხვა გამოცდილების გაზიარებაზე; საერთაშორისო სტრატეგიიდან გამომდინარე და ევროკავშირის გრანტის ფარგლებში არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე შემუშავდა საიტის accelerate.ge ინგლისური ვერსია, დაემატა ბლოგების ნაწილი, რომლის ამოცანაც სამეწარმეო ეკოსისტემის ხელშეწყობა და სასარგებლო ინფორმაციის აკუმულირებაა. ასევე, დაემატა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი სპარკის მეგობარ მენტორებთან შეხვედრის დაჯავშნის შესაძლებლობა, ჯამში სპარკის საიტზე შესაძლებელია 24 მენტორთან კონსულტაციის გავლა, მათ შორის საერთაშორისო მენტორებთან.

ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 3,919.0 ათასი ლარი, ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად, ქალაქ თბილისში, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით დახმარება გაეწია მცირე და საშუალო ზომის სარესტორნე ბიზნესს, ბავშვთა გასართობი ცენტრებს, ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო ინდუსტრიის წარმომადგენლებს (მათ შორის არტისტებს და მომუშავე პერსონალს).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ბიზნეს აქსელერატორი, ხოლო 2020 წელს შეიქმნა 15 ბიზნეს-გეგმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 12-15 ბიზნეს გეგმის შექმნა.

მიღწეული მაჩვენებელი - შეიქმნა 11 ბიზნეს-გეგმა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კომპანია BDO-ს მიერ 2021 წელს შეირჩა - 17 ბიზნეს პროექტი, საიდანაც საბოლოოდ ბენეფიციარების და BDO-ს თანამშრომლობის ფარგლებში დაიწერა - 11 ბიზნეს გეგმა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - ევროკავშირის გრანტის ფარგლებში, მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ბიზნეს აქსელერატორის მიერ, 2019 წლიდან მუდმივად ხდება კონსულტაციების გაწევა დამწყებ და მოქმედ მეწარმეთათვის მათთვის საინტერესო თემებზე. 2020 წელს ჩატარდა 48 დამხმარე ტრენინგი და ვორქშოპი, სადაც 600-მდე მსურველმა მიიღო მონაწილეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სავარაუდოდ 120 მეწარმის გადამზადება.

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში ტარდებოდა ტრენინგების ციკლი და ვორქშოპები, სადაც მეწარმეთა გადამზადების რიცხვმა 160-ს გადააჭარბა.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლიდან ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, პერმანენტულად ტარდება გამოფენა-გაყიდვები, რომელშიც მონაწილე ქალი ბიზნესმენების წილი მუდმივად იზრდება. 2020 წელს ჩატარდა 6 მასშტაბური გამოფენა-გაყიდვა და ღონისძიება Startup Week.

დაგეგმილი მაჩვენებელი - წლის განმავლობაში დაახლოებით 15 ერთეული გამოფენა-გაყიდვის და 4-ჯერ ინოვაციური კონკურსის ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში გამოფენა-გაყიდვები ჩატარდა მასშტაბურად და სრულად.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ინოვაციური კონკურსი ვერ ჩატარდა.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2007 წლიდან თბილისის მერია ორგანიზებას უწევს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმის ჩატარებას, სადაც მონაწილეობას იღებენ და გამოცდილებას გვიზიარებენ საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები/მომხსენებლები, ღონისძიება იმართება წელიწადში ერთხელ და ეთმობა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ თემას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ფორუმის წარმატებით ჩატარება, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე მისი ცნობადობის და მნიშვნელობის ამაღლება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმი ვერ ჩატარდა.

04 03 თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 12.1 ათასი ლარი, დაფინანდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა (მოსახლეობა, პოტენციური ინვესტორი და ტურისტი) თბილისის ეკონომიკის, ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ; შემუშავებული სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კვლევა "საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების" შესახებ და დაიბეჭდა თბილისის შესახებ საპრომოციო მასალები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩვენებელი - სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება საინვესტიციო კატალოგების და ტურისტული ბროშურების მომზადება და მათი მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის. 2020 წელს დაიბეჭდა 10000 ცალი

ტურისტული რუკა და 3000 ტურისტული ბროშურა, რომელიც მიეწოდა დაინტერესებულ პირებს.

დაგეგმილი მაჩენებელი - არსებული ბაზის შენარჩუნება და განახლება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაიბეჭდა 2500 ცალი ტურისტული რუკა და მიეწოდა დაინტერესებულ პირებს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ბიზნეს აქსელერატორის მიერ, 2019 წლიდან მუდმივად ხდება კონსულტაციების გაწევა დამწყებ და მომქმედ მეწარმეთათვის მათთვის საინტერესო თემებზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სავარაუდოდ 120 გადამზადებული მეწარმე.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური პირობებიდან გამომდინარე დაგეგმილი შეხვედრები ვერ ჩატარდა.

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 15.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 14.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის წევრობა სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციებში; საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა "Delice Network"-ის საწევრო გადასახადი (თბილისი არის სხვადასხვა მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო ტურისტული ასოციაციის წევრი (Delice Network, ECM, EBD, WTCF, Nordic Tourism)). თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო მასშტაბის სხვადასხვა ონლაინ თემატურ ღონისძიებებში, რის შედეგადაც მოხდა ინფორმაციის გაცნობა თბილისის საინვესტიციო პროდუქტებისა და ბიზნეს გარემოს შესახებ ბალტიისპირეთის ქვეყნების

საინვესტიციო ბაზარზე, კომუნიკაცია დამყარდა პოტენციურ პარტნიორებთან და ასევე, შეხვედრები შედგა საინვესტიციო კომპანიების წარმომადგენლებთან.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისი არის ECM, EBD, WTCF საერთაშორისო ასოციაციების წევრი. საერთაშორისო ასოციაციების მიერ გავრცელებულ პრესრელიზებსა და სხვა საინფორმაციო მასალებში მოხდა თბილისის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი და Covid 19 - სგან უსაფრთხო მიმართულების პოპულარიზაცია.

დაგეგმილი მაჩენებელი - საგრანტო და თანადაფინანსებულ პროექტების ხელმისაწვდომობა.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 2 ონლაინ ღონისძიება ბალტიისპირეთის ქვეყნების ტურისტულ ბაზარზე თბილისის ტურისტული პოტენციალის გაცნობისა და კერძო სექტორის მხარდაჭერის მიზნით.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 10-მდე ეკონომიკური და საინვესტიციო ფორუმებში მონაწილეობა, თბილისის შესახებ მასალები გაგზავნილია 30-მეტ ქვეყანაში (ე.წ. News Letter). 2020 წელს თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 2 საერთაშორისო ღონისძიებაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ 5 საინვესტიციო პაკეტის გაცნობა საერთაშორისო ბაზრისთვის.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 2 საერთაშორისო ღონისძიება თბილისის საინვესტიციო პოტენციალის საერთაშორისო ბაზარზე გაცნობის მიზნით.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მსოფლიო მასშტაბით არსებული ეპიდემიოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, საერთაშორისო გამოფენები/ფორუმები/ კონფერენციები ჩატარდა შეზღუდული რაოდენობით.

04 07 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსებულია 25.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 25.8 ათასი ლარის 100%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

04 07 05 საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 25.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სისტემის გამართული ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილია ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის საწევრო გადასახადი და საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის 2021 წლის განმავლობაში გაგრძელების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის (ESBA) გაგრძელება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამის გამართული ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 591.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 579.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში ეკო-ტურიზმის განვითარების მიმართულებით შესაძლებლობების გამოვლენა, ახალი ტურისტული ინფტასტრუქტურის (მანიშნებლები, საკემპინგე ადგილები და სხვა) შექმნა, საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე თბილისის შესახებ ცნობადობის ამაღლება, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური ტრენინგების ჩატარება, ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება „ეკო-ტურისტული და საფეხმავლო მიმართულებები“ და „Welcome to Georgia - ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების“ კონფერენცია, მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა ეკო-ტურისტულ ბილიკებზე, თბილისის შესახებ საპრომოციო მასალები განთავსდა საერთაშორისო მედია პლატფორმებზე, მომზადდა "თბილისის გიდის" ელ. ვერსია, განახლდა თბილისის შესახებ VR აპლიკაცია. ასევე, გადახდილია „Nordic tourism ollective“ - სკანდინავიის ქვეყნების ტურისტულ გაერთიანებაში გაწევრიანების საწევრო გადასახადი, „ევროპის ქალაქების მარკეტინგის“ და „საუკეთესო ევროპული მიმართულებების“ საწევრო გადასახადი, ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით თბილისში ვიზიტის ხარჯი. გარდა ამისა, ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის უნარ-ჩვევების და სერვისის გასაუმჯობესებლად ჩატარდა თემატური სემინარები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული 3 შესწავლილი მარკირებული და ინფრასტრუქტურულად მოწყობილი ბილიკები და საკემპინგე ადგილები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეიქმნება 2 საკემპინგე ადგილი და 2 ბილიკი, რომელთა კონკრეტული ლოკაციები გამოიკვეთება შესწავლის შემდეგ.

მიღწეული მაჩვენებელი - შეიქმნა 2 ახალი ტურისტული ბილიკი, საკემპინგე ადგილები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისი გაწევრიანდა 3 საერთაშორისო ორგანიზაციაში ECM, EBD, WTCF.

დაგეგმილი მაჩვენებელი - თბილისის გაწევრიანება არანაკლებ 2 საერთაშორისო ორგანიზაციაში.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისი გაწევრიანდა 2 ახალ ასოციაციაში: Nordic Tourism Collective და ETOA.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი და ბიზნესის განვითარებისათვის განხორციელდა 8 სასწავლო კურსი (მათ შორის 5 პროფესიული ტრენინგი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება მინიმუმ 8 თემატური ტრენინგი

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა10 პროფესიული ტრენინგი

4. საბაზისო მაჩვენებელი - მხარი დაეჭირა 5 თემატური ღონისძიების ორგანიზებას/თანაორგანიზებას, მონაწილეობა იქნა მიღებული 10-მდე საერთაშორისო გამოფენა/ფორუმში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება თბილისის მერიის მიერ არანაკლებ 5 ღონისძიების ორგანიზება/თანაორგანიზება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 4 ღონისძიება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - Covid 19-ის ეპიდემილოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, საერთაშორისო გამოფენები არ ჩატარებულა.

04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 152.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 148.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის გაზრდა და დაინტერესებული ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლების ინფორმირებულობა, შემუშავებული საინვესტიციო პროექტები, შემუშავებული მხარდაჭერის პროგრამები იდენტიფიცირებული პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორებისთვის.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარდა: ჰიბრიდული ღონისძიება/მცირე ფორუმი-საქმიანი და ბიზნეს მარცხის შესახებ, „ჰიბრიდულ ღონისძიება - მცირე ფორუმი ინვესტიციების მოზიდვის და ბიზნესის განვითარების შესახებ“, ღონისძიება "ანგელოზი ინვესტორების ვიზიტი თბილისში" და "საქმიანი ბიზნეს-მარცხები".

ასევე, გაწეულია ლიეტუვის რესპუბლიკის ხელოვნების ქარხანა "LOFTAS"-ის წარმომადგენლების ვიზიტის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - წინა წლებში ჩატარდა 10-ზე მეტი შეხვედრა, როგორც ინდივიდუალურად პოტენციურ ინვესტორებთან, ასევე ჯგუფურად სექტორების გათვალისწინებით, ჩატარდა 2 სამუშაო შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 10-ზე მეტი ინდივიდუალური შეხვედრა პოტენციურ ინვესტორთან, 3 შეხვედრა სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციასთან, 3 სექტორული შეხვედრა კომპანიის წარმომადგენლებთან.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - წინა წლებში მონაწილეობა მიღებული იყო 5-ზე მეტ საერთაშორისო ბიზნეს ფორუმში და 2018-2019 წლებში შემუშავდა 3 პროექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა მიღებული იყო 2 საერთაშორისო ბიზნეს ფორუმში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული ეპიდემილოგიური სიტუაციიდან გამომდინარე ყველა დაგეგმილ ბიზნეს ფორუმებში მონაწილეობა ვერ იქნა მიღებული.

3. საბაზისო მაჩვენებელი - საინვესტიციო სექტორების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში იდენტიფიცირებულია 5 პრიორიტეტული სექტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 5 პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორის მხარდასაჭერად შემუშავებული მინიმუმ 2 პროგრამა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, დაწესებული შეზღუდვების და ცვალებადი საინვესტიციო გარემოდან გამომდინარე მხარდამჭერი პროექტები არ განხორციელდა.

04 12 ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2021 წლის გეგმა - 733.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 678.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ტერიტორიების კვლევითი, განვითარებისა და მართვის დოკუმენტების არსებობა; კვლევითი, ანალიტიკური და საპროექტო დოკუმენტის არსებობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქალაქგეგმარებითი არეალის, ეკონომიკური, ეკოლოგიური და შრომითი პირობების გაუმჯობესებისათვის ხელშეკრულების თანახმად, ქალაქთმშენებლობითი კვლევებისა და საპროექტო ტერიტორიის რევიტალიზაციის კონცეფციის შემუშავებისათვის, შემუშავებულ იქნა ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის კონცეფცია და აღნიშნულის ფარგლებში მიმდინარეობს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებისთვის შემდეგი ეტაპების განხორციელება. ასევე, 2021 წლის 24 სექტემბერს გაფორმდა N01.02.01.02-26 ხელშეკრულება ა(ა)იპ სენი-(CENN) კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევების და მართვის მექანიზმების შემუშავების მომსახურებაზე. აღნიშნული კვლევების მიზანია: დატბორვის, წყალშემკრები აუზისა და ტბის მკვებავი არხების არეალის საზღვრების დაზუსტება; მოსალოდნელი საფრთხეების შესარბილებელი ღონისძიებების, ტბის წყლით მომარაგებისთვის საჭირო ბუნებრივი ციკლის დაცვისა და მართვის რეკომენდაციების მომზადება საკვლევ არეალში წყალშემკრები ხევების დაცვის ზუსტი ბუფერების დადგენა; წყალშემკრებ აუზში მიწისქვეშა წყლის ზედაპირის (მოდელის) განსაზღვრა და ლისის ტბის ფსკერის ბათიმეტრიული კვლევა. გათვალისწინებულმა კვლევითმა და საპროექტო გადაწყვეტებმა ხელი უნდა შეუწყოს ტერიტორიაზე თავმოყრილი განსხვავებული ინტერესების დაბალანსებას, ასევე - არეალის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ღირებულების, ბუნებრივი ფასეულობებისა, ეკოსისტემის დაცვის მექანიზმების

შემუშავებას და მათ შემდგომ განვითარებას. მიმდინარე პერიოდში საბოლოო დოკუმენტაცია სააგენტოში უკვე წარდგენილია და შესაბამისი ექსპერტების და სამსახურების კომენტარების მიღების შემდეგ, მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და კვლევის დასრულებულად გამოცხადება.

მიღწეული უშუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დასრულდა ვარკეთილის III მასივის (72ჰა), სივრცით-ტერიტორიული განვითარების დოკუმენტაციის შემუშავების მეორე ეტაპის სამუშაოები (სულ დაგეგმილია 4 ეტაპი) და ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევების და მართვის მექანიზმების შემუშავების მეორე ეტაპი (სულ დაგეგმილია 4 ეტაპი).


დაგეგმილი მაჩვენებელი - ერთი კვლევითი და სივრცით-ტერიტორიული მართვის დოკუმენტის შემუშავება და ერთი კვლევითი, ანალიტიკური და საპროექტო დოკუმენტების შემუშავება/დაზუსტება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემუშავებულია ელიავას ბაზრობის რევიტალიზაციის კონცეფცია; გაფორმდა ხელშეკრულება ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევების და მართვის მექანიზმების შემუშავებაზე.


- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება**

ათასი ლარი





05 01 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 39,541.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 39,994.1 ათასი ლარის 98.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:




05 01 08 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 4,460.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრყელი/ქანობიანი სახურავისა (54716 კვ.მ) და წყალსაწრეტი მილების (4262 გრძ.მ 84 მისამართი) შეკეთების სამუშაოები, შიდა წყალ-კანალიზაციის ქსელების შეკეთება (6363 გრძ.მ. 47 მისამართი), ლიფტის მოწყობის სამუშაოები (34 მისამართი), საერთო სარგებლობის კიბეების შეკეთება (24 მისამართი), სადარბაზოს შიდა რემონტი (1 მისამართი), მეტალის კარის მონტაჟი (18 მისამართი), სადარბაზოს შესასვლელების გადახურვა (7 მისამართი), კიბის მოაჯირის შეკეთება (1 მისამართი), პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (10 მისამართი). ასევე, გაწეულია 78 ობიექტისთვის დეფექტური აქტების და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 325 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 160 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული განცხადებიდან დაკმაყოფილდა 223 განცხადება.


05 01 09 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3,007.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,995.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის (45 ობიექტი 6855.37 გრძ.მ) მიმდინარე შეკეთების სამუშაოები, ლიფტების მიმდინარე რემონტის (38 სადარბაზო) და რეაბილიტაციის სამუშაოები (12 სადარბაზო), შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (2 მისამართი), შენობის ბრტყელი (14368 კვ.მ - 50 სადარბაზო) და ქანობიანი (3409.4 კვ.მ - 12 სადარბაზო) სახურავების შეკეთება, წყალსაწრეტი მილების (3732 გრძ.მ - 72 სადარბაზო) შეკეთება, სადარბაზოს სენსორული სანათების მონტაჟი (18 სადარბაზო), ლითონის კარის მონტაჟის სამუშაოები (40 სადარბაზო), საერთო სარგებლობის აივნების (1 სადარბაზოში 20 კვ.მ) და სადარბაზოს შესასვლელის გადახურვის სამუშაოები (2 ობიექტი, 29.5 კვ.მ). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 461 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 209 განაცხადი ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 300 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 230 განცხადება.


05 01 10 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 4,384.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,364.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შიდა წყალ-კანალიზაციის ქსელების (33 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების (24 მისამართი) შეცვლა-შეკეთება, შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავის შეცვლა – შეკეთება (34 მისამართი), ლიფტის მიმდინარე (20 მისამართი) და კაპიტალური (8 მისამართი) შეკეთებითი სამუშაოები, საერთო სარგებლობის კიბეების შეკეთება (12 მისამართი), სადარბაზოს შიდა რემონტის (7 მისამართი) და კარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (26 მისამართი), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (10 მისამართი). ასევე, გაწეულია კაპიტალური გამაგრების არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტების მომზადება (5 მისამართი) და დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 230 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 150 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული განცხადებიდან დაკმაყოფილდა 159 განცხადება.

05 01 11 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3,789.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,651.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავის

შეკეთებითი სამუშაოები (6220 კვ.მ - 17 მისამართი), ლიფტების შეკეთება (12 მისამართი), შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (23 მისამართი), საერთო სარგებლობის სადარბაზოსა და ჭიშკრის მიმდინარე შეკეთება (28 მისამართი), საერთო საგებლობის კიბეების და აივნის მიმდინარე შეკეთება (21 მისამართი), საცხოვრებელი კორპუსის კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები (24 მისამართი). ასევე, გაწეულია 85 მისამართზე დეფექტური აქტების შედგენისა და 28 საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ექსპერტიზის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 665 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 177 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 651 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 148 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის არ განხორციელება. ასევე, დაკმაყოფილდა იმ ამხანაგობების

განცხადებები, რომელთა საერთო სარგებლობის ქონება უფრო მძიმე, სავალალო და ავარიულ მდგომარეობაში იყო.


05 01 12 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 4,260.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,217.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა (35 მისამართი 15225 კვ.მ) და წყალსაწრეტი მილების (17 მისამართი 2417 გრძ.მ) შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (28 მისამართი), ლიფტების შეკეთება (36 მისამართი), სადარბაზოს შიდა რემონტი (35 მისამართი), პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (6 მისამართი), საერთო სარგებლობის კიბეების შეკეთება (10 მისამართი), საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (1 მისამართი). ასევე, გაწეულია ლიფტების დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 768 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 221 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 896 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 169 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.


05 01 13 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3,856.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,849.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა (21 მისამართი - 9277,56 კვ.მ) და წყალსაწრეტი მილების შეკეთება (7 მისამართი), ლიფტების შეკეთების (71 მისამართი) სამუშაოები, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (19 მისამართი), სადარბაზოს რემონტი (17 მისამართი) და ჭიშკრების შეკეთება (6 მისამართი), პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (4 მისამართი), საერთო სარგებლობის კიბეების შეკეთება (2 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 371 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 177 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 765 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 147 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით. ასევე, წყალკანალიზაციის მიმართულებით სამუშაოები ხორციელდებოდა მხოლოდ დატბორილ სარდაფებში, ხოლო ლიფტების მიმართულებით - მხოლოდ გაჩერებული და უმოქმედო ლიფტების აღდგენა/შეკეთება ხორციელდებოდა.


05 01 14 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 4,490.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,333.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავის და წყალსაწრეტი მილების შეკეთება (53 მისამართი), შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის სამუშაოები (38 მისამართი), ლიფტების მიმდინარე შეკეთება (16 მისამართი) საერთო სარგებლობის ჭიშკრის ან/და სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი (20 მისამართი), სადარბაზოს შიდა და თაღების მიმდინარე შეკეთება (35 მისამართი), საერთო სარგებლობის ხის, ქვისა და ლითონის კიბეების აღდგენის სამუშაოები (15 მისამართი), ე/წ „თბილისურ ეზოებში“ აივნების აღდგენა (1 მისამართი), შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (12 მისამართი), სენსორული სანათების მონტაჟი (15 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და საპროექტო ხარჯთაღრიცხვების მომზადების ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 234 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 207 განცხადება

დაგეგმილი მაჩვენებელი - შესაძლებლობის ფარგლებში შემოსული განცხადებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 246 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 225 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა პირობებს.

05 01 15 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 5,189.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,182.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავების შეკეთება (97 მისამართი), შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (61 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (46 მისამართი) და სართულშუა ნაპრალების (11 მისამართი) რეაბილიტაცია, ლიფტების შეკეთება-აღდგენა (42 მისამართი), სადარბაზოს კიბეების შეკეთება (17 მისამართი), სადარბაზოს კიბეების შეკეთება (17 მისამართი), სადარბაზოს კარებების მონტაჟი (13 მისამართი), შენობის კაპიტალური გამაგრება (1 მისამართი), სადარბაზოების შიდა რემონტი (17 მისამართი), სენსორული სანათების მონტაჟი (13 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადების ხარჯები, წინა წელს ავარიული სახლის გამაგრებაზე შესასრულებელი და მიმდინარე წელს

დასრულებული სამუშაოების ღირებულება - 35.9 ათასი ლარი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 115.5 ათასი ლარი, 2021 წლის 2 თებერვალს, წმინდა ბარბარეს უბანი №125-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული სახურავის აღსადგენად.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 819 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 293 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შესაძლებლობის ფარგლებში შემოსული განცხადებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 808 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 309 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილების შენატანის განუხორციელებლობით.


05 01 16 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 2,667.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,603.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: საცხოვრებელი სახლების ქანობიანი/ბრტელი სახურავის (8046 კვ.მ - 34 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების შეკეთება (11 მისამართი), ლიფტების შეკეთების (9 მისამართი) სამუშაოები, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (24 მისამართი), საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (10 მისამართი), სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (2 მისამართი), საერთო სარგებლობის ჭიშკრის (9 მისამართი), აივნების (1 მისამართი) და კიბეების (15 მისამართი) მოწყობა, სენსორული სანათების მონტაჟი (9 მისამართი), თაღების რემონტი (4 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 120 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 116 განაცხადი ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 123 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 108 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.

05 01 17 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3,890.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,884.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავებისა და წყალსაწრეტი მილების შეკეთების სამუშაოები (95 მისამართი), სამგზავრო და სატვირთო ლიფტების აღდგენა/შეკეთების სამუშაოები (23 მისამართი), შენობების ლითონის და ქვის კიბეების, ჭიშკრის და სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟისა და შეკეთება/რესტავრაციის სამუშაოები (32 მისამართი), შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების სამუშაოები (27 მისამართი), საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების, თაღების, აივნების და კიბეების (ხის, ქვის) შეკეთების სამუშაოები (21 მისამართი), სადარბაზოს სენსორული სანათების მონტაჟი (107 წერტილი), საცხოვრებელი სახლების კაპიტალური გამაგრების

სამუშაოები (7 მისამართი). ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის და დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 270 განცხადებიდან დაკმაყოფილდა სრულად, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.


მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 250 განცხადებიდან დაკმაყოფილდა სრულად.

❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა


ათასი ლარი



ათასი ლარი



	საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება	სხვა დანარჩენი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	სამედიცინო, სხვა სოციალური საჭიროებების და სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები	კომუნალური სუბსიდირება	უფასო სასადილოები თ მომსახურება	სასწრაფო სამედიცინო დახმარება
2019 წლის ფაქტი	62 800,0	42 420,9	37 538,3	8 027,9	17 997,2	36 544,3
2020 წლის ფაქტი	37 492,5	47 402,3	37 273,5	6 591,2	17 798,8	0,0
2021 წლის ფაქტი	33 283,2	54 368,6	42 668,6	6 244,5	19 423,9	0,0



06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 24,604.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 24,671.6 ათასი ლარის 99.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 01 02 დაავადებათა სკრინინგი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ეროვნული სკრინიგ ცენტრი

2021 წლის გეგმა - 2,255.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,206.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაავადებათა ადრეული გამოვლენის საშუალებით ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტული და ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, თბილისში რეგისტრირებული პირების (მ.შ. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც სსიპ – ,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი) შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები: ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცებში, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა 25-70

წლის ჩათვლით ასაკის ქალებში. ასევე, გაწეულია ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის ფილიალის რემონტისთვის - 240.0 ათასი ლარი, ხოლო ცენტრის თანამშრომელთა წახალისებისთვის - 114.0 ათასი ლარი.

ცხრილი N1. ანაზღაურებულ შემთხვევათა ჯამური რაოდენობა და ანაზღაურებული თანხა დაწესებულებების მიხედვით:

დაწესებულების დასახელება	თვე	შემთხვევათა რაოდენობა					ანაზღაურებული თანხა
		ძუძუს კიბოს სკრინინგი	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	პროსტატის კიბოს მართვა	კოლორექტული კიბოს სკრინინგი	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მარვა	
ა(ა)იპ. "ეროვნული სკრინინგ ცენტრი"	2020 წლის დეკემბერი (11-31)	1855	1806	302	402	979	83 236
	იანვარი	1358	1184	331	352	1231	70 022
	თებერვალი	3397	3179	491	704	1786	150 809
	მარტი	3644	3267	581	1078	1641	160 151
	აპრილი	3432	3115	504	775	1608	151 204
	მაისი	2853	2567	379	580	1561	128 080
	ივნისი	3593	3889	551	1061	2042	175 595
	ივლისი	3490	4233	398	724	2163	174 239
	აგვისტო	2500	2300	320	457	1338	112 959
	სექტემბერი	2222	2194	412	556	1516	108 628
	ოქტომბერი	3293	2594	412	676	1622	140 889
	ნოემბერი	3354	2666	376	685	1666	145 055
	ჯამი	**34991**	**32994**	**5057**	**8050**	**19153**	**1 600 867**
სს მეგა-ლაბი	2020 წლის დეკემბერი		71				742
	იანვარი		65				650
	თებერვალი	1	109				1 100
	მარტი		194				1 988
	აპრილი	1	202				2 046
	მაისი	2	149				1 526
	ივნისი		203				2 030
	ივლისი	1	163				1 656
	აგვისტო		67				670
	სექტემბერი		95				966
	ოქტომბერი		134				1 340
	ნოემბერი		211		1		2 136
	ჯამი	**5**	**1663**		**1**		**16 850**
სსიპ თსსუ ლაბორატორია	2020 წლის დეკემბერი		1				10
	იანვარი		1				10
	თებერვალი		6				60
	მარტი		14				140
	აპრილი		20				200
	მაისი		12				120
	ივნისი		20				216
	ივლისი		3				30
	აგვისტო		3				30
	სექტემბერი		3				30
	ოქტომბერი		14				140
	ნოემბერი		12				120
	ჯამი		**109**				**1 106**

შპს ივანე ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი	2020 წლის დეკემბერი					10	175
	იანვარი					30	622
	თებერვალი					52	1 009
	მარტი					41	810
	აპრილი					45	880
	მაისი					51	990
	ივნისი					49	974
	ივლისი					43	1005
	აგვისტო					11	225
	სექტემბერი		2			28	644
	ოქტომბერი		2			40	908
	ნოემბერი					85	1 764
	ჯამი		**4**			**485**	**10 006**

შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი	2020 წლის ნოემბერი	87	46	5	3		2 044
	2020 წლის დეკემბერი	15	15	2	3		576
	იანვარი	40	19	7	3		932
	თებერვალი	94	31	15	1		2 108
	მარტი	136	46	16	5		3 368
	აპრილი	98	41	11	3		2 332
	მაისი	99	34	8	3		2 091
	ივნისი	138	39	11	1		2 977
	ივლისი	112	46	3	4		2 582
	აგვისტო	56	32		1		1 309
	სექტემბერი	46	25		4		989
	ოქტომბერი	135	46		1		2 802
	ნოემბერი	211	94		4		4 833
	ჯამი	**1267**	**514**	**78**	**36**		**28 943**

შპს დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრი	2020 წლის დეკემბერი					19	419
	თებერვალი					34	642
	მარტი					56	1 179
	აპრილი					35	684
	მაისი					25	459
	ივნისი					41	849
	ივლისი					34	692
	აგვისტო					43	923
	სექტემბერი					39	819
	ოქტომბერი					36	891
	ნოემბერი					49	1 078
	ჯამი					**411**	**8 635**

შპს N8 სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი	მარტი		18				185
	აპრილი		7				70
	მაისი		4				40
	ივნისი						
	ივლისი						
	აგვისტო		11				115
	სექტემბერი		9				95
	ოქტომბერი		9				95
	ნოემბერი		8				80
	ჯამი		**66**				**680**

შპს დიაბეტ, ენდოკრინ და გულ-ფილტვის დაავადებ ცენტრი-დიაკორი	2020 წლის დეკემბერი					21	508
	იანვარი					20	460
	თებერვალი					16	375
	მარტი					22	622
	აპრილი					29	609
	მაისი					13	223
	ივნისი					23	486
	ივლისი					24	550
	აგვისტო					10	378
	სექტემბერი					17	369
	ოქტომბერი					9	151
	ნოემბერი					23	679
	ჯამი					**227**	**5 410**

შპს აკ ვ.ივერ სახ ენდოკრინ-მეტაბოლ.დიეტოლოგ ცენ."ენმედიცი"	2020 წლის დეკემბერი		1	12	1	9	407
	იანვარი			3		6	175
	თებერვალი		3	4		20	542
	მარტი		9	10		20	655
	აპრილი		8	5	4	33	991
	მაისი		6	2	2	30	751
	ივნისი		10	6	1	50	1 323
	ივლისი		3	5		25	646
	აგვისტო			5		4	145
	სექტემბერი		1	2		12	328
	ოქტომბერი		9	5		21	578
	ნოემბერი		10	8	3	27	978
	ჯამი		**60**	**67**	**11**	**257**	**7 519**

შპს კორტექსი	2020 წლის დეკემბერი					8	198
	იანვარი		1			2	45
	თებერვალი					5	161
	მარტი					8	330
	აპრილი		2			11	232
	მაისი		1			17	448
	ივნისი		8			57	1 471
	ივლისი		10			37	1 028
	აგვისტო		1			3	86
	სექტემბერი		2			20	448
	ოქტომბერი		4			54	1 572
	ნოემბერი		12			33	985
	ჯამი		**41**			**255**	**7 004**

შპს "მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა"	2020 წლის ნოემბერი	21	38	2		63	2 044
	2020 წლის დეკემბერი	21	55	2		11	1 252
	იანვარი	9	38			32	1 277
	თებერვალი	56	20	3		137	3 852
	მარტი	65	51	1	4	92	3 869
	აპრილი	48	78	5	1	118	4 147
	მაისი	46	32	4	1	67	2 837
	ივნისი	50	21	1	4	94	3 348
	ივლისი	32	34			80	2 855
	აგვისტო	5	7	5		24	732
	სექტემბერი	10	9	4		50	1 326

	ოქტომბერი	42	12	4	2	67	2 338
	ნოემბერი	79	43	2	2	77	3 684
	ჯამი	**484**	**438**	**33**	**14**	**912**	**33 561**

შპს MEDGE	მარტი					22	530
	აპრილი					17	382
	მაისი					4	70
	ივლისი					2	48
	აგვისტო					10	240
	სექტემბერი					12	236
	ოქტომბერი					11	238
	ნოემბერი					6	144
	ჯამი					**84**	**1 888**

შპს MEDHOUSE	2020 წლის დეკემბერი		2			2	114
	იანვარი		11			5	204
	თებერვალი		9			24	678
	მარტი		7			17	454
	აპრილი		17			19	682
	მაისი		8			19	563
	ივნისი		15			11	358
	ივლისი		11			15	556
	აგვისტო		10			8	394
	სექტემბერი		13	1		12	408
	ოქტომბერი		8	2		10	314
	ნოემბერი		11	1		12	473
	ჯამი		**122**	**4**		**154**	**5 198**

შპს დავით მეტრეველის სამედიცინო ცენტრი	2020 წლის დეკემბერი					27	718
	იანვარი					15	351
	თებერვალი					48	1 304
	მარტი					40	1 149
	აპრილი					71	1 804
	მაისი					25	699
	ივნისი					67	1 841
	ივლისი					44	1 136
	აგვისტო					10	240
	სექტემბერი					50	1 346
	ოქტომბერი					38	1 083
	ნოემბერი					32	776
	ჯამი					**467**	**12 447**

შპს მზერა	თებერვალი		1				10
	მარტი		2				20
	აპრილი		7				70
	მაისი		1				74
	ივლისი		3				30
	სექტემბერი		6				65
	ოქტომბერი		2		3		91
	ნოემბერი		7		1		82
	ჯამი		**29**		**4**		**442**

შპს "თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი"	2020 წლის დეკემბერი	11	6				264
	იანვარი	19	6				364
	თებერვალი	29	8				558

	მარტი	54	13				1 110
	აპრილი	43	12				872
	მაისი	17	10				411
	ივნისი	73	11				1412
	ივლისი	46	14				982
	აგვისტო	10	3				223
	სექტემბერი	22	7				430
	ოქტომბერი	9	13				279
	ნოემბერი		9				90
	ჯამი	**333**	**112**				**6 995**

სს ,,ქ. თბილისის მოზრდილთა 26-ე პოლიკლინიკა"	2020 წლის დეკემბერი					3	46
	იანვარი					8	166
	თებერვალი					12	210
	აპრილი					13	251
	მაისი					3	59
	ივნისი					28	593
	ივლისი					17	386
	აგვისტო					8	226
	სექტემბერი					13	286
	ოქტომბერი					9	151
	ნოემბერი					12	266
	ჯამი					**126**	**2 640**

შპს „სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი სამგორი მედი“	2020 წლის დეკემბერი			2		9	173
	იანვარი					18	263
	თებერვალი		2	9		22	553
	მარტი		11	7		30	853
	აპრილი		6	7		32	774
	მაისი		4	2		11	244
	ივნისი		6			27	725
	ივლისი		4	2		15	344
	აგვისტო		3			7	150
	სექტემბერი		1	6		21	451
	ოქტომბერი		1			22	399
	ნოემბერი		3			15	422
	ჯამი		**41**	**35**		**229**	**5 351**

შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“	2020 წლის დეკემბერი		4				40
	თებერვალი					17	304
	მარტი		2			31	742
	აპრილი		16			26	669
	მაისი		4			20	514
	ივნისი		6			16	411
	ივლისი		7			26	556
	აგვისტო		1			10	198
	სექტემბერი		1			7	152
	ოქტომბერი		4			21	427
	ნოემბერი		5			25	591
	ჯამი		**50**			**199**	**4 604**

შპს "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"	2020 წლის დეკემბერი	42	29	19	9	42	2 412
	იანვარი	40	21	10	7	55	2 365
	თებერვალი	73	36	23	25	112	4 734

	მარტი	93	68	18	25	148	6 359
	აპრილი	74	78	24	14	141	5 999
	მაისი	99	54	12	17	123	5 736
	ივნისი	112	75	21	28	130	6 526
	ივლისი	85	51	19	17	100	4 864
	აგვისტო	32	15	8	5	51	2 012
	სექტემბერი	59	31	10	4	81	3 440
	ოქტომბერი	72	35	25	15	88	4 161
	ნოემბერი	60	45	17	22	98	4 422
	ჯამი	**841**	**538**	**206**	**188**	**1169**	**53 030**

შპს "ულტრამედი"	2020 წლის დეკემბერი		7	6		19	580
	იანვარი		6	12		22	644
	თებერვალი		2	9		22	648
	მარტი		13	8		29	964
	აპრილი		5	11	2	54	1 487
	მაისი		13	10		28	929
	ივნისი		11	2	1	30	879
	ივლისი		6	6		28	747
	აგვისტო		4			7	208
	სექტემბერი		10	6		23	659
	ოქტომბერი		3	5	2	23	764
	ნოემბერი		8	5		16	513
	ჯამი		**88**	**80**	**5**	**301**	**9 022**

სს "კ.ერისთავის სახ ექსპერიმენტ და კლინიკ ქირურგიის ერ ცენტრი და მისი ფილიალი „ახალი სიცოცხლე“	2020 წლის დეკემბერი	11	8	4			334
	იანვარი	4	1	3	2		132
	თებერვალი	6	4	27	3		402
	მარტი	20	6	9	1		454
	აპრილი	47	26	19	3		1 352
	მაისი	9	5	8	2		361
	ივნისი	22	5	7	4		494
	ივლისი	12	3	5	3		320
	აგვისტო	7	4	12	1		273
	სექტემბერი	5	6	6			211
	ოქტომბერი	2		8	2		117
	ნოემბერი	1		6			79
	ჯამი	**146**	**68**	**114**	**21**		**4 529**

შპს თბილისის ცენტრალური საავადმყოფო	2020 წლის დეკემბერი					12	325
	თებერვალი					1	11
	მარტი					12	210
	აპრილი					4	57
	მაისი					4	44
	ივნისი					10	289
	ივლისი					10	328
	აგვისტო					9	280
	სექტემბერი					5	217
	ოქტომბერი					9	177
	ჯამი					**76**	**1 938**

სს ჯერარსი	მაისი		6				60
	ივნისი		4				45
	ჯამი		**10**				**105**

ა(ა)იპ "ზერძნული ფონდი ჰიპოკრატე"	2020 წლის დეკემბერი	1	14	6		43	1 265
	იანვარი	3	5	6		45	912
	თებერვალი		11	8		70	1 563
	მარტი	30	33	14		84	2 598
	აპრილი	29	20	8		73	2 330
	მაისი	6	16	2	1	57	1 419
	ივნისი	19	28	9	1	94	2 549
	ივლისი		23	9	2	41	1 118
	აგვისტო		10	7		39	831
	სექტემბერი		20	6	1	53	1 182
	ოქტომბერი		12	11		36	975
	ნოემბერი	23	16	11		52	1 739
	ჯამი	**111**	**208**	**97**	**5**	**687**	**18 481**

შპს ჰოლდინგი 23 პოლიკლინიკა	2020 წლის დეკემბერი					11	238
	იანვარი					20	419
	თებერვალი		2			27	618
	მარტი					18	434
	აპრილი		4			28	582
	მაისი		2			27	633
	ივნისი		4			31	721
	ივლისი					4	57
	აგვისტო					8	179
	სექტემბერი					20	469
	ოქტომბერი		1			25	571
	ნოემბერი					31	666
	ჯამი		**13**			**250**	**5 587**

ჯამი	**ჯამი**	**38178**	**37168**	**5771**	**8335**	**25442**	**1 852 838**

დანართი N2: ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების ერთეულის პროგრამული კოდები და ღირებულებები:

№	მომსახურების დასახელება	ერთეულის პროგრამული კოდი	ერთეულის ღირებულება
1.1.	ძუძუს კიბოს სკრინინგი ძუძუს ფიზიკალური გასინჯვა და მამოგრაფიული გამოკვლევა (2 რადიოლოგის მიერ წაკითხვით)	2000020	25
1.2.	ძუძუს კიბოს სკრინინგი –ძუძუს ულტრაბგერითი გამოკვლევა ბიოფსიური მასალის აღების გარეშე	2000021	6
1.3.	ძუძუს კიბოს სკრინინგი –ძუძუს ულტრაბგერითი გამოკვლევა ბიოფსიური მასალის აღებით	2000022	10
1.4.	ძუძუს კიბოს სკრინინგი: ციტოლოგიური კვლევა	2000023	10
2.1.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, პაპ-ტესტის ჩასატარებლად ნაცხის აღება	2000024	10
2.2.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – პაპ - ტესტის ჩატარება ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით	2000025	10
2.3.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი :კოლპოსკოპია საჭიროების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღებით	2000026	15
2.4.	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი: კოლპოსკოპიისას აღებული ბიოფსიური მასალის ჰისტოლოგიური კვლევა	2000027	26
3	პროსტატის კიბოს მართვა – სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლევა	2000028	9

4.1.	კოლორექტული კიბოს სკრინინგი – ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOBT ან უფრო მაღალი სტანდარტით) ჩატარება	2000029	7
4.2.	კოლორექტული კიბოს სკრინინგი –კოლონოსკოპია საჭიროების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღებით	2000030	57
4.3.	კოლორექტული კიბოს სკრინინგი –კოლონოსკოპიისას აღებული ბიოფსიური მასალის ჰისტოლოგიური კვლევა	2000031	26
5.1.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა – ულტრაბგერითი გამოკვლევა	2000032	11
5.2.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა – ულტრაბგერით გამოკვლევა და ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა	2000033	24
5.2.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა – ულტრაბგერითი გამოკვლევა, სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევა და ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა	2000034	41
5.3.	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სრული მართვა – ულტრაბგერითი გამოკვლევა, სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობა, ბიოფსიური მასალის აღება და ციტოლოგიური კვლევა	2000035	65

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წლის განმავლობაში ჩატარდა 86333 კვლევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 102325 კვლევის ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 114894 კვლევა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაფიქსირდა მაღალი მომართვიანობა.

06 01 03 გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „ქ.თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“

2021 წლის გეგმა - 561.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ავადობის პრევენცია, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა/პრევენცია, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, ეპიდემიოლოგიურ კონტროლთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებები: გადამდებ დაავადებათა (მ.შ. ინფექციური და პარაზიტული) აქტიური და პასიური

ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში მათი დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა, ინფექციების გავრცელების შეზღუდვების ღონისძიებების განხორციელება, დაავადებულთან კონტაქტში მყოფი რისკის ჯგუფის კონტიგენტის გამოვლენა და მათი პრევენციულ მკურნალობაში, შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება, საჭიროების შემთხვევაში დეზინფექცია - დეზინსექცია, იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა, სამედიცინო საგანმანათლებლო საქმიანობა, გადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, დაავადებათა მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის, რეკომენდაციების მიცემა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის დედაქალაქის მაშტაბით.

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში აქტიური/პასიური ეპიდზედამხედველობის ფარგლებში აღირიცხა ცხრილი N1-ში მითითებული ნოზოლოგიები:

ცხრილი N1:

ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა
მწვავე დუნე დამბლა მწვავე პოლიომიელიტი/ გიენ-ბარეს სინდრომი	0	მალარია	2
წითელა	0	ლეიშმანიოზი	11
წითურა	0	ექინოკოკოზი	38
ყივანახველა	1	ფასციოლოზი	10
ყბაყურა	0	ამებიაზი	4
ტუბერკულოზი	270	ტრიქინელოზი	0
ბაქტ.მენინგიტი	24	სიფილისი	608
ტუბ.მენინგიტი	9	სიფილისი ორსულებში	46
მენინგიტი გამოწვეული hemophilusinfluenzaB	0	გონორეა	158
ვირ.მენინგიტი	0	ქლამიდიოზი	355
მენინგოკოკცემია	1	საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	41
N. meningitides-ით გამოწვეული მენინგიტი	0	ნოზოკომიური პნევმონია	311
streptococcuspneumonae –თ გამოწვეული მენინგიტი	0	ნოზოკომიური ბაქტერიემია, სეფსისი	118
streptococcuspneumonae –თ გამოწვეული ინფქცია	0	ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია	37
ენტეროჰემორაგიულიეშერიხიოზი	9	15-49 წ.ქალთასიკვდ.	26
სალმონელოზი	66	0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილი	28

შიგელოზი	56	სხვა ვირუსული ჰეპატიტები	2
ბოტულიზმი	1	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი A	1
სავ.ინფ.წარ.დიარეა	792	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B	1
სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა	692	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	205
სოკოთი მოშხამვა	30	ჰეპატიტი C	151
ჯილეხი	1	მწვავე ჰეპატიტი E	0
ბრუცელოზი	8	სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	1
აივ –შიდსზე ტესტირებული	63508	ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელება	0
მ. შ. აივ– შიდსზე ტესტირებული ორსულები	8503	ჰანტავირუსით გამოწვეული ინფექცია	4
ლაიმის დაავადება	105	დენგეს ცხელება	0
ტულარემია	0	Q ცხელება	4
ჩუტყვავილა	116	ლეპტოსპიროზი	12
ქუნთრუშა	21	აცრისშემდგომი უჩვეულო რეაქციები და გართულებები	238
ცოფისრისკის მქონე ექსპოზიცია	13567	შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი	6

2021-2022 გრიპის სეზონი დაიწყო 2021წ 1 ოქტომბრიდან და სრულდება 2022წ. 20 მაისს. 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (40-52 კვირა), თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპის მსაგავსი დაავადებების 21052 ამბულატორიული და 1795 ჰოსპიტალური შემთხვევა. სულ 2021 წელს (იანვარი - 20 მაისი და ოქტომბერი - 31 დეკემბერი) დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპის მსაგავსი დაავადებების 37434 ამბულატორიული და 2692 ჰოსპიტალური შემთხვევა. 12 ოქტომბრიდან მიმდინარეობს გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 2021-2022 წლის გრიპის სეზონისთვის განსაზღვრულ ყველა რისკჯგუფში. სულ აცრილია 60441 თბილისის მოქალაქე, აცრები გრძელდება.

საანგარიშო პერიოდში კორონავირუსის ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობდა ყველა შეტყობინებას დაქვემდებარებული შემთხვევის კონტაქტირებულთა (დღეში საშუალოდ 1500-3000 კონტაქტი) ეპიდზედამხედველობა, თვითიზოლაციაში მყოფ და ცენტრში გადმოცემულ კოვიდდადებით პაციენტებთან კონტაქტში მყოფ პირებზე, დღემდე, ე.წ. ,,მიდევნება“. შესაბამისი ბრძანების და პროტოკოლის მიხედვით, ცენტრის გადამზადებული ეპიდემიოლოგები ახორციელებენ რისკის კონტინგენტში ცხვირ-

ხახის ნაცხის აღებას და სათანადოდ ტრანსპორტირებას შესაბამის ლაბორატორიამდე.

პჯრ კვლევისათვის გატესტილია ცენტრის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი, პროტოკოლით გათვალისწინებული რისკის ჯგუფის (მოხუცთა თავშესაფარი, ე.წ. ბავშვთა სახლების - შშმ პირები, ცენტრის თანამშრომლები) კონტინგენტი, მიმდინარეობს სწრაფი ანტიგენტესტების განაწილება აღნიშნულ საქმიანობაზე რეგისტრირებულ დაწესებულებებში (235 დაწესებულება).

ცენტრი ჩართულია კორონავირუსის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ეპიდჩვენებითი აცრების ორგანიზება-ვაქცინებით მომარაგებაში, მონიტორინგის პროცესებში, აცრის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენების (ე.წ. სიიშგამი) ეპიდზედამხედველობასა და ანგარიშგებაში. მიმდინარეობს ეპიდზედამხედველობაში მყოფი პირებისათვის ბიულეტენის ტოლფასი ცნობის შევსება და გადაგზავნა ჯანდაცვის სამინისტროში შესაბამისი ბრძანებისა და პროტოკოლის მოთხოვნით. ასევე, პროგრამის ფარგლებში მონაწილე ყველა სამედიცინო დაწესებულებაში ნოემბრამდე ხდებოდა PCR კვლევისთვის საჭირო კრიო სინჯარების, აპლიკატორების და სწრაფი ანტიგენტესტების განაწილება.

გრძელდება წითელას ეპიდჩვენებითი აცრების ეპიდზედამხედველობა. გოგონებში მიმდინარეობს ადამიანის პაპილომავირუსის (აპვ) საწინააღმდეგო აცრები. კერძოდ, იცრებიან 10-11-12 წლის გოგონები. მიმდინარე პერიოდში აიცრა V1-2535 გოგონა (16.1%), V2-1898 (11.8%) გოგონა. მაჩვენებელი კატასტროფულად დაბალია, რისი მიზეზიცაა - მშობლების და სამედიცინო პერსონალის მხრიდან ვაქცინისადმი უნდობლობა, ყველა პოლიკლინიკას გაეგზავნა წერილი - აცრებთან დაკავშირებულ მოვლენებზე განსახილველად და ოპერატიული გეგმის წარმოსადგენად აცრებით მოცვის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

COVID19-თან ბრძოლის პარალელურად გრძელდება C ჰეპატიტის, შიდსის სკრინინგ კვლევებისათვის, ტანდემტესტირებისათვის და ორსულთა კომბინირებული ტესტირებისთვის საჭირო მასალის - ტესტების მიღება-განაწილება სამედიცინო დაწესებულებებში და შესაბამის პროგრამაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილი იყო 80%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი ხვედრითი წილი 77.6 %.

მიღწეული მაჩვენებელი - ხვედრითი წილმა შეადგინა 78%.

2.საბაზისო მაჩვენებელი - პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინებით იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებელი 2020 წელს იყო - BCG-98%, ჰეპატიტი-97.1, ჰექსავალენტური ვაქცინა-87.3, წწყ1-93, წწყ2-77.5%, როტა 2-74.4, პნევმოკოკ..3-83%, დყტ4-34%, ოპვ3-30.3, ოპვ-4-60%, ოპვ-5-69%, დტ-36%, ტდ-74%,

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2021 წელს დაგეგმილი იყო - ბცჟ-98%, ჰეპატიტი-94, ჰექსა-94, წწყ1-96, წწყ2-91%, როტა 2-75, პნევმო 3-85%, დყტ4-95%, ოპვ3-94%, ოპვ-4-98%, ოპვ-5-85%, დტ-87%, ტდ-70%.

მიღწეული მაჩვენებელი - მიღწეულია - ბცჟ-98.4%, ჰეპატიტი-97.1, ჰექსა-87, წწყ1-90, წწყ2-76%, როტა 2-78, პნევმო 3-80.5%, დყტ4-93% ოპვ3-91%, ოპვ-4-90%, ოპვ-5-80%, დტ-82%, ტდ-67%.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წელს მონიტორინგი ჩატარდა 1005 დაწესებულებაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მონიტორინგი ჩატარდება 1200 დაწესებულებაში.

მიღწეული მაჩვენებელი - მონიტორინგი ჩატარდა 230 დაწესებულებაში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2021 წ. დასაწყისიდან, მონიტორინგი ჩატარდა დასახული გეგმის მიხედვით, კორონავირუსული ინფექციის გავრცელებისთანავე მონიტორინგი გაგრძელდა ონლაინ რეჟიმში. თითქმის ყველა ამბულატორიული და სტაციონალური მომსახურებლის მიმწოდებლებს, ვებინარის საშუალებით გაეცნო ყველა პრობლემა კოვიდთან და სათანადო ინფექციის კონტროლთან დაკავშირებით. ასევე, დაიწყო მზადება კორონავირუსული იმფექციის საწინააღმდეგო აცრების დაგეგმარებასთან და მზადებასთან დაკავშირებით.

06 01 05 გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 1,176.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,174.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხელმისაწვდომობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამკურნალო მედიკამენტები „ოკრელიზუმაბი“ და „ფინგოლიმოდი“. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები: ა) რომელთაც დიაგნოზი დასმული აქვთ მაკდონალდის კრიტერიუმების შესაბამისად და კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალის მიხედვით 0-დან 6 ქულის ჩათვლით მიენიჭათ, ბ) რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში აქვთ რეგისტრაცია, მათ შორის, ის პირები, რომლებსაც აღნიშნული 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია (თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად, პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში), გ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი მქონე მოქალაქეები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 20%-ს).

ცხრილი N1: დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

მედიკამენტის დასახელება	საანგარიშგებო თვე	დაფინანსებული ფლაკონების /აბების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
	დეკემბერი 2020	18	21 600
	იანვარი	8	91 200
	თებერვალი	8	40 800

ოკრელიზუმაბი	მარტი	10	28 800
	აპრილი	10	38 400
	მაისი	14	50 400
	ივნისი	12	74 400
	ივლისი	10	72 000
	აგვისტო	0	9 600
	სექტემბერი	11	60 000
	ოქტომბერი	4	19 200
	ნოემბერი	16	88 800
	ჯამში	**121**	**595 200**
ფინგოლიმოდი	დეკემბერი 2020	840	60 918.2
	იანვარი	588	18 829.2
	თებერვალი	756	54 272.4
	მარტი	1008	50 949.6
	აპრილი	1008	42 088.8
	მაისი	588	35 443.2
	ივნისი	840	47 996.2
	ივლისი	1092	47 626.8
	აგვისტო	588	58 702.8
	სექტემბერი	1044	56 487.6
	ოქტომბერი	580	36 550.8
	ნოემბერი	1247	69 778.4
	ჯამში	**10179**	**579 644**
სულ ჯამი			**1 174 844**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა 75.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 60 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 83 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაფიქსირდა მაღალი მომართვიანობა

06 01 06 აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 6,050.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ოჯახის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მულტიდისციპლინური გუნდის, ერთი ან საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე

სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სეანსი, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა), ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალური ოდენობა, თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში შეადგენს: 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 14 სეანსს, 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 12 სეანსს, 12-17 წლის ასაკის ჩათვლით-მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, ხოლო 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, სეანსების ოდენობის არანაკლებ ¾, სეანსების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს და თვეში ფინანსდება არაუმეტეს 1375 ბენეფიციარი. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ან ჯგუფური სეანსი, რომლის ღირებულება შეადგენს 20 ლარს და ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით

ცხრილი N1. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული და ანაზღაურებული კვლევების ჯამური რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდისათვის

მომსახურების დასახელება	წარმოდგენილი სეანსების რაოდენობა	ანაზღაურებული სეანსების რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია-01	230 118	230 118	460 2360
მეტყველების თერაპია-02	21 696	21 696	433 920
ოკუპაციური თერაპია-03	568	568	11 360
სენსორული თერაპია-04	6 506	6 506	130 120
აკადემიური უნარების განვითარება -05	19 517	19 517	390 340
ფიზიკური თერაპია - 06	16 611	16 611	332 220
ხელოვნებითი თერაპია - 07	7 440	7 440	148 800
სულ	**302 456**	**302 456**	**6 049 120**

ცხრილი N2. პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების რაოდენობა, ანაზღაურებული სეანსების რაოდენობების მიხედვით

მიმწოდებელი დაწესებულება	სეანსების რაოდენობა	ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“	116 595	530	2 331 900

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის "ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა"	20 534	102	410 680
რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები"	35 398	150	707 960
შპს „მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი"	17 051	74	341 020
ა(ა)იპ პირველი ნაბიჯი საქართველო	32 049	155	640 980
შპს ,,ფაზლი"	60 190	265	1 203 800
ვალეო 2011	20 639	99	412 780
სულ ჯამი:	**302 456**	**1 375**	**6 049 120**

***შენიშვნა:** ცხრილში შესულია 2020 წლის დეკემბრის მონაცემებიც, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული მომსახურებები ანაზღაურდა 2021 წლის ბიუჯეტიდან*

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 1230 ბავშვს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია თვეში საშუალოდ 1375 ბავშვისათვის მომსახურების გაწევა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

06 01 07 ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 5,053.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,049.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: HER2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიებზე განკურნება, HER2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე, პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა, მეტასტაზების გაჩენის პრევენცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი სამკურნალო მედიკამენტები: HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი, სიმსივნური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური

სტატუსის (N+) შემთხვევაში პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო, ბ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, სამი ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი, პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო, გ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, პროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს – 80%-ით, გარდა „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტრასტუზუმაბის დაფინანსების შემთხვევისა, როდესაც მედიკამენტი-ტრასტუზუმაბი ფინანსდება ღირებულების – 50%-ის მოცულობით (ასეთ შემთხვევაში, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს ქვეპროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 50%-ს).

ცხრილი N1: დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

ერთეულის პროგრამული კოდი	ბენეფიციარების რაოდენობა	დაფინანსებული ამპულების/აბების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ტრასტუზუმაბი	70	993	1 578 780
ტრასტუზუმაბი პერტუზუმაბი	66	1435	2 924 961
ლაპატინიბი	13	157,49	131 622,19
ფესგო	30	91	403 809
ჯამი			**5 039 172,19**

შენიშვნა: დამატებით, სახელფასო ფონდმა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შეადგინა 9.9 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წლის განმავლობაში დაფინანსდა 158 შემთხვევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაფინანსდება 208 ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 179 ბენეფიციარი.

06 01 08 ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 625.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 619.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის სპეციალურ სათემო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: მულტისისტემური ინტერვენცია 5-17 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში და აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა 18 წლის ასაკის ზემოთ მოზრდილებში.

ცხრილი N1. დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

კომპონენტის დასახელება	დაწესებულების დასახელება	საანგარიშგებო თვე	მოსარგებლეთა რაოდენობა საანგარიშგებო თვის მიხედვით	ინტერვენციების რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა	ა(ა)იპ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი	2020 წლის დეკემბერი	100		24 233,87
		იანვარი	100		24 758,1
		თებერვალი	100		24 633,9
		მარტი	100		24 379,03
		აპრილი	100		23 766,67
		მაისი	100		24 333,87
		ივნისი	99		24 508,33
		ივლისი	100		24 580,65
		აგვისტო	100		24 758,06
		სექტემბერი	100		24 816
		ოქტომბერი	99		23 991,94
		ნოემბერი	98		23 883,33
		ჯამი			**292 643,75**
ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში	შ.პ.ს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“	2020 წლის დეკემბერი	45	419	10 475
		იანვარი	45	357	8 925
		თებერვალი	45	375	9 375
		მარტი	45	436	10 900
		აპრილი	45	484	12 100
		მაისი	45	482	12 050
		ივნისი	45	470	11750
		ივლისი	45	453	11325
		აგვისტო	0	0	0
		სექტემბერი	45		11 500
		ოქტომბერი	45		11 075
		ნოემბერი	45		10 800

		ჯამი		**3 476**	**120 275**
	შპს თბილისის ფსიქიკური ჯანდაცვის კრიზისული ინტერვენციის სამსახური	2020 წლის დეკემბერი	45	540	13 500
		იანვარი	45	540	13 500
		თებერვალი	45	540	13 500
		მარტი	45	540	13 500
		აპრილი	45	540	13 500
		მაისი	45	540	13 500
		ივნისი	45	540	13 500
		ივლისი	45	540	13 500
		აგვისტო	45	540	13 500
		სექტემბერი	45	540	13 500
		ოქტომბერი	45	540	13 500
		ნოემბერი	45	540	13 500
		ჯამი		**6 480**	**162 000**
	ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია ნდობა	2020 წლის დეკემბერი	14	158	3 950
		იანვარი	11	89	2 225
		თებერვალი	15	170	4 250
		მარტი	15	169	4 225
		აპრილი	15	156	3 900
		მაისი	14	144	3 600
		ივნისი	14	168	4 200
		ივლისი	15	180	4 500
		აგვისტო	0	0	0
		სექტემბერი	15	180	4 500
		ოქტომბერი	15	180	4 500
		ნოემბერი	15	180	4 500
		ჯამი		**1774**	**44 350**
ჯამი					**619 268,75**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 170 ბენეფიციარს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი იყო მომსახურების გაწევა თვეში საშუალოდ 190 ბენეფიციარისათვის.

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 199 ბენეფიციარს.

06 01 13 ტრანსპლანტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 8,950.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 8,943.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა, განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის, თბილისში რეგისტრირებული (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი) ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის და ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე საქართველოს მოქალაქეებისათვის შემდეგი ღონისძიებები: ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები, მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია, ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პაციენტის კონდიცირება – ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა, ღვიძლის ტრანსპლანტაცია. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 177 შემთხვევა, მათ შორის: 166 - ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტის ფარგლებში, ხოლო 11 - ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტის ფარგლებში.

ცხრილი N1. დაფინანსებული შემთხვევები

მომსახურების დასახელება	რაოდენობა	თანხა
წინასატრანსპლანტაციო კვლევა	58	569 461.06
მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია	54	1 078 608.56
აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია	54	6 525 244.21
ღვიძლის ტრანსპლანტაცია	11	770 000
სულ	**177**	**8 943 313.83**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დაფინანსდა191 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი იყო 173 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 177 ბენეფიციარი.

06 02 სოციალური დაცვა დაფინანსებულია 131,384.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 132,527.1 ათასი ლარის 99.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 01 კომუნალური სუბსიდირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 6,245.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ელ-ენერგიის, დასუფთავების, წყლის კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თბილისში რეგისტრირებულ 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის/აბონენტებისათვის განხორციელდა ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების მოსაკრებელზე სუბსიდიის დარიცხვა. კერძოდ:

ცხრილი №1. საანგარიშო პერიოდში მოსარგებლე აბონენტთა რაოდენობა, მომსახურე კომპანიების მიხედვით

კომპანია	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	დეკემბერი
თელასი	17 251	17 340	14 189	48 240	51 643
თბილსერვის ჯგუფი	15 727	17 048	14 134	48 992	50 624
ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	14 585	15 549	12 786	46 270	48 984
ენერგო-პრო ჯორჯია	630	609	495	2 099	2 298

ცხრილი #2. საანგარიშო პერიოდში მომსახურე კომპანიებში გადარიცხული თანხები

კომპანია	იანვარი (ლარი)	თებერვალი (ლარი)	მარტი (ლარი)	აპრილი (ლარი)	დეკემბერი (ლარი)
თელასი	830 606.47	914 043.25	768 364.67	1 268 875.7	1 005 630.06
თბილსერვის ჯგუფი	76 940	83 106.50	68 588	237 267.5	24 5443
ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	56 735,65	60 485.61	49 737.54	182 990.3	190 536.09
ენერგო-პრო ჯორჯია	32 944.12	33 478.99	27 388.68	58 704.66	55 644.32

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა თვეში საშუალოდ 32604 ოჯახის სუბსიდირება (5 თვის განმავლობაში).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 28930 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 30959 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში).


06 02 02 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 11,318.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე. ფინანსური დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 5441 ოჯახს - 18693 ბავშვზე.



	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ოჯახი	5 502	5 236	5 274	5 323	5 369	5 390	5 457	5 495	5 515	5 550	5 572	5 608
ბავშვი	17 985	18 096	18 224	18 391	18 550	18 623	18 829	18 936	19 020	19 138	19 201	19 324

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 16870 ბავშვს, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება თვეში საშუალოდ 18864 ბავშვის დაფინანსება, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 18693 ბავშვს, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულთა ცვლილება.

06 02 04 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 1,331.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,329.6 ათსი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შშმ პირთა ჯანმრთელობის, ემოციური ფონის და საზოგადოებაში ინტეგრაციის მარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურება და ანაზღაურებული იქნა 1203 ვაუჩერის ღირებულება, რომლითაც ისარგებლა ერთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა და მინიმუმ ერთმა გამყოლმა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს გაიცა 1353 ვაუჩერი, მათ შორის 43.6% გოგონა, 56.4% ბიჭი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 1643 ვაუჩერების გაცემა, მათ შორის 37.6% გოგონა, 62.4% ბიჭი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 1641 ვაუჩერი, მათ შორის 63.1% გოგონა.

06 02 05 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება

2021 წლის გეგმა - 47.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 46.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ხანდაზმულ მოქალაქეთა მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 100 წელს მიღწეულ 46 მოქალაქეს.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დაფინანსდა 38 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 47 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია 46 ბენეფიციარს.

06 02 06 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდება დაფინანსებულია 2,162.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,186.0 ათასი ლარი) 98.9%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა უფასო სწავლება ყოველთვიურად ფინანსდება ხელოვნების სკოლებში (32 სკოლა), მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში (9 ფილიალი) და სასახლეში, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში (20 სკოლა/ცენტრი/აუზი/ფედერაცია).





	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელოვნების სკოლები	2539	2538	2545	2553	2560	2553	0	0	2530	2561	2561	2577
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები და სასახლე	1767	1721	1792	1801	1806	1803	0	0	1448	1718	1847	1854
სპორტული სკოლები და საცურაო აუზები	773	790	1085	1417	1461	1477	1059	78	901	1236	1403	1402

06 02 06 01 უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 537.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 531.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 1782 თვეში). ერთ ბენეფიციარზე სწავლების დაფინანსება თვეში ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისათვის (9 ფილიალი) შეადგენს არაუმეტეს 30 ლარს, ხოლო ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისათვის თვეში ერთ ბენეფიციარზე სწავლების დაფინანსება

განისაზღვრება შემდეგი ოდენობებთ: ა) მხატვრული კითხვა-არაუმეტეს - 25 ლარი, ბ) საგნობრივი წრეები, მუსიკალური მიმართულება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-არაუმეტეს - 30 ლარი, გ) გიტარის შემსწავლელი წრე, სპორტული მიმართულება-არაუმეტეს - 40 ლარი, დ) ქორეოგრაფიული სტუდია-არაუმეტეს - 50 ლარი. (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 1756 თვეში).

ცხრილით წარმოდგენილია გადარიცხული თანხები და ბენეფიციართა რაოდენობა.

თვე	*მიმწოდებელი*	*ბენეფიციართა რაოდენობა*	*თანხა (ლარი)*
იანვარი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	157	5 415
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1 610	48 300
თებერვალი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	124	3 750
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1 597	47 910
მარტი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	158	5435
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1 634	49 020
აპრილი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	148	5 150
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1 653	49 590
მაისი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	148	5 135
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1 658	49 740
ივნისი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	148	5 135
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1655	49 650
სექტემბერი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	1448	43 440
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები		
ოქტომბერი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	1628	48 840
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	90	3 200
ნოემბერი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	1724	51 720
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	123	4 260
დეკემბერი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	1731	51 930
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	123	4 250

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელის დაფინანსებით ისარგებლა თვეში საშუალოდ 1833 ბავშვმა, (საშუალოდ 51.4% გოგონა, 48.6% ბიჭი)

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1686 ბავშვის სწავლების დაფინანსება საშუალოდ თვეში, მათ შორის საშუალოდ 54.1% გოგონა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა თვეში საშუალოდ 1756 ბავშვის უფასო სწავლება, მათ შორის საშუალოდ 52.6% გოგონა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ბენეფიციარების რაოდენობის ცვლილება.

06 02 06 02 უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 997.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ხელოვნების სკოლებში არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ხელოვნების კონკრეტულ დარგებში განათლების დონის ამაღლების, მოზარდების ინტელექტუალური შესაძლებლობების გაღრმავების მიზნით, ხელოვნების სკოლებში უფასო სწავლება თითოეულ მოსწავლეზე თვეში არაუმეტეს 40 ლარის ოდენობით (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 2552 თვეში).

ცხრილით წარმოდგენილია გადარიცხული თანხები დაწესებულებების მიხედვით (ლარი)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 15469 ბენეფიციარს. აქედან: სამედიცინო მომსახურეობაზე და გამოკვლევაზე დახმარება გაეწია 951 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 3832 ბენეფიციარს, ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე - 4036 ბენეფიციარს, სამშენებლო მასალების შეძენაზე - 224 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია 176 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 3050 ბენეფიციარისთვის, ხოლო ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 3100 ბენეფიციარისთვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი, 100 ოჯახს გადაეცა საწვავი ხის მასალა (შეშა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 15200 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 11533 განცხადება და დახმარება გაეწია 16933 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 6 მოქალაქე).

დაგეგმილი მაჩვნებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 13374 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 9888 განცხადება და დახმარება გაეწია 15469 ბენეფიციარს.

06 02 18 11 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 1,971.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,908.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 13413 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებაზე (ოპერაციები, მკურნალობა) დახმარება გაეწია 1022 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 4846 ბენეფიციარს, ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე - 3415 ბენეფიციარს, სამშენებლო მასალების შეძენაზე - 135 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია 108 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 1827 ბენეფიციარისთვის, ხოლო ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 1835 ბენეფიციარისთვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი, 225 ოჯახს გადაეცა საწვავი ხის მასალა (შეშა). ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 62.9 ათასი ლარი ვაკის რაიონში, შალვა ნუცუბიძის პლატო, 3 მ/რ, მე-2 კვარტ. N6 კორპუსში, მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის საკუთრებაში არსებული დაზიანებული საცხოვრებელი ბინის სარემონტო ხარჯების, ახალი კორონა ვირუსით გარდაცვლილი მოქალაქის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების, 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, მეორე კატეგორიის დაზარალებული მოქალაქის

ფინანსური დახმარების და 2021 წლის 12 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის ტერიტორიაზე, ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა 28-ში ფერდის ჩამოშლის გამო, უსაფრთხოების მიზნით, ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა კორპუსი 10-ში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 17558 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 11485 განცხადება და დახმარება გაეწია 15087 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 7 მოქალაქე).

დაგეგმილი მაჩვნებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 12567 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 9792 განცხადება და დახმარება გაეწია 13454 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 41 მოქალაქე).

06 02 18 12 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 2,779.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,766.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 15967 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებაზე (ოპერაციები, მკურნალობა) დახმარება გაეწია 1647 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 5400 ბენეფიციარს, ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე - 5899 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია 108 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, 87 ოჯახს გადაეცა საწვავი ხის მასალა (შეშა), აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 1411 ბენეფიციარისთვის, ხოლო ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 1415 ბენეფიციარისთვის

შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 97.1 ათასი ლარი დიდ დიღომში 2021 წლის 30 აპრილს მოსული ძლიერი ნალექის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისათვის (12 მოქალაქე) მიყენებული ზარალის (უძრავი-მოძრავი ქონება) ანაზღაურების მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს შემოსული 17299 განცხადებიდან დაფინანსდა ბენეფიციარების მიერ სხვადასხვა სოციალურ საჭიროებებზე (დახმარებაზე) მოთხოვნილი 14058 განცხადება და დახმარება გაეწია 16005 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 10 მოქალაქე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 18741 განცხადებიდან დაფინანსდა 13153 განცხადება და დახმარება გაეწია 15979 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 12 მოქალაქე).

06 02 18 13 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 2,530.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 18607 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 1409 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 3772 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 322 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, სოციალურად დაუცველ 46 ბენეფიციარს გაეწია დახმარება სამშენებლო მასალებით, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 3904 ბენეფიციარზე, 400 ბენეფიციარს მიეწოდა შეშა, კომუნალური დავალიანების დაფარვა - 4 ბენეფიციარს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 4350 ბენეფიციარისთვის, ხოლო ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 4400 ბენეფიციარისთვის სასაჩუქრე ნობათის შეძენა. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 39.4 ათასი ლარი, 2021 წლის 26

თებერვალს ციხისძირის მე-3 გასასვლელი N4 საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის (6 მოქალაქე), 9 აპრილს ნავთლუღის ქუჩა №14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის (3 მოქალაქე), 2021 წლის 11 ივნისს გელათის ქუჩა №11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის (3 მოქალაქე), 2021 წლის 17 ოქტომბერს არმაზის ქუჩა №27/12-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებული მოქალაქის ოჯახისათვის (4 მოქალაქე), 2021 წლის 14 დეკემბერს, კახეთის გზატკეცილი, კორპუსი N34ბ-ში მდებარე ბინა N60-ში და ბინა N63-ში, ასევე, 2021 წლის 19 დეკემბერს ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N15-ში მდებარე ბინა N29-ში ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (17 მოქალაქე), დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების, დაზარალებული მოქალაქეებისათვის საკომპენსაციოდ ფინანსური დახმარების მიზნით და ახალი კორონა ვირუსით COVID-19 გარდაცვლილი მოქალაქის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - სტატისტიკიდან გამომდინარე ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 15000 განცხადება, 2020 წელს დახმარება გაეწია 19148 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 15 მოქალაქე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია 18646 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 36 მოქალაქე).

06 02 18 14 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3,638.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,634.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 24666 ბენეფიციარს. მათ შორის: სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება გაეწია 1787 ბეფეციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 3103 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია 339 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, სამშენებლო მასალით დახმარება გაეწია 24 ბენეფიციარს, 6283 ბენეფიციარს მიეცა ფინანსური დახმარება, სოციალურად დაუცველ 575 ოჯახს მიეწოდა შეშა, კომუნალური დავალიანების დაფარვა - 35 ბენეფიციარს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 6260 ბენეფიციარისთვის, ხოლო ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 6260 ბენეფიციარისთვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 61.0 ათასი ლარი, ახალი სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, ნავთლუღის მე-2 დასახლება, მე-5 ქუჩა N32-ში მცხოვრები მოქალაქის დაზიანებული ღობისა და შიდა ეზოს აღსადგენად, 2021 წლის 2 თებერვალს, წმინდა ბარბარეს უბანი №125-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში და 17 თებერვალს მე-3 მასივი, მე-X კვარტალი, 23-ე კორპუსი, ბინა N18-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისათვის (8 მოქალაქე) დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით სასტუმროს ხარჯების, 4 აპრილს ლილოს დასახლება მე-IV კვარტალი, კორპუსი 3, ბინა N1-ში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო, დაზიანებული საცხოვრებელი ბინის აღსადგენად, 2021 წლის 28 აგვისტოს მოსკოვის გამზირი, მე-Vკვარტალი, 11 კორპუსი, ბინა 3-ში, 5 დეკემბერს, აეროდრომის დასახლება, ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძის ქუჩა, I შესახვევი №10-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში და 7 ოქტომბერს ვარკეთილის ზ/პლატო, მე-II მ/რ, კორპუსი 16, ბინა N 10-ში და ბინა N4-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისათვის დაზიანებული საცხოვრებელი ბინების აღსადგენად და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით სასტუმროს მომსახურების ხარჯების, ვარკეთილი, III მასივი, I კვ, კორპ №1-ში უეცარი ნგრევის საშიშროებიდან გამომდინარე, შესაძლო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით სასტუმროს

მომსახურების ხარჯების და ახალი კორონა ვირუსით COVID-19 გარდაცვლილი მოქალაქის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - სტატისტიკიდან გამომდინარე ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 20000 განცხადება, 2020 წელს დახმარება გაეწია 22901 მოქალაქეს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 8 მოქალაქე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია 24687 მოქალაქეს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 21 მოქალაქე).

06 02 18 15 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 1,699.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,692.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 14528 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურეობაზე დახმარება გაეწია 915 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 4948 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია 139 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე - 2891 ბენეფიციარს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 2700 ბენეფიციარისთვის, ხოლო ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 2700 ბენეფიციარისთვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი, სოციალურად დაუცველ 231 ოჯახს მიეწოდა შეშა. ასევე, ორთაჭალის ქ.#3-ში ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისათვის (4 ოჯახი), დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დაკმაყოფილდა 11890 განცხადება და დახმარება გაეწია 13630 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 5 მოქალაქე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 16200 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 9128 განცხადება და დახმარება გაეწია 14528 ბენეფიციარს.

06 02 18 16 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 1,786.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,745.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 10172 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება გაეწია 719 ბენეფიციარს, მედიკამენტებით დახმარება - 4321 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 82 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 1539 ბენეფიციარს, სამშენებლო მასალების შეძენა - 1 ბენეფიციარს, 200 ოჯახს გადაეცა საწვავი ხის მასალა (შეშა), აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 1660 ბენეფიციარისთვის, ხოლო ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 1650 ბენეფიციარისთვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 6.6 ათასი ლარი, 2021 წლის 20 ივლისს ლაღიძის ქუჩა №12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის და 2021 წლის 5 დეკემბერს, მელიქიშვილის ქუჩა #6ა-ში, ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის, დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დახმარება გაეწია 11997 ბენეფიციარს (მათ შორის 85 ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან).

დაგეგმილი მაჩვენებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია 10181 ბენეფიციარს (მათ შორის 9 ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან).

06 02 20 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში დაფინანსებულია 3.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 6.0 ათასი ლარის 58.3%) შემდეგ ქვეპროგრამებზე.

06 02 20 01 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 1.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის შემოერთებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების (2 ოჯახი) წყალმომარაგების ქსელზე დაერთების საფასური.

06 02 20 02 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 5.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 50%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი 5 ოჯახის წყალსადენის ქსელზე დაერთების საფასური.

06 02 21 თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“

2021 წლის გეგმა - 1,314.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,223.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მიუსაფარი პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მემორანდუმით (პალიატიური ზრუნვა) გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისისათვის“ – 118.7 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები 1,105.1 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში თავშესაფარში იმყოფებოდა თვეში საშუალოდ 99 ბენეფიციარი. აღსანიშნავია, რომ თავშესაფრის ადმინისტრაცია, კორონავირუსის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად, ბენეფიციარებს ფსიქო-სოციალური დახმარების სხვადასხვა სერვისს სთავაზობს. მათ შორისაა არტ-თერაპია, რომლის დროსაც ბენეფიციარები, საჭიროებისამებრ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად მუშაობენ. არტ-თერაპიის ჯგუფებში, თავშესაფრის მობინადრეები, რომელთა ასაკი 35-60 წელია, ხატავენ, ძერწავენ, თიხის, ბუნებრივი და ხელოვნური მასალისაგან ამზადებენ ნივთებს.

თვე	ბენეფიციართა რაოდენობა
იანვარი	88
თებერვალი	94
მარტი	109
აპრილი	107
მაისი	100
ივნისი	99
ივლისი	99
აგვისტო	102
სექტემბერი	102
ოქტომბერი	92
ნოემბერი	99
დეკემბერი	98

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მომსახურებით (თავშესაფარი, ჰოსპისი) ისარგებლა საშუალოდ თვეში 129 ბენეფიციარმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია საშუალოდ 158 ბენეფიციარის მომსახურება (თავშესაფარი, ჰოსპისი).

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 114 ბენეფიციარმა (თავშესაფარი, ჰოსპისი).

06 02 22 სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 968.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 966.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვისათვის ოჯახის უფლებამოსილი პირის სახელზე განხორციელდა მაისის და დეკემბრის თვეების კუთვნილი ფულადი დახმარების დარიცხვა 400-400 ლარის ოდენობით. მაისის თვის კუთვნილი 400 ლარი მიიღო 1 179 შშმ ბავშვმა, ხოლო დეკემბრის - 1 202 შშმ ბავშვმა. ასევე, 34 ბავშვისათვის გაიცა 2020 წლის კუთვნილი დახმარებაც 400 ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დაფინანსდა საშუალოდ თვეში 1059 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა საშუალოდ თვეში 1210 ბენეფიციარის დაფინანსება (წელიწადში ორჯერ).

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა საშუალოდ თვეში 1191 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება.

06 02 23 ,,ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 82.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ,,ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ აუნაზღაურდა იანვარ-მარტის თვეებში შესრულებული სამუშაოს ღირებულება - 6 520 ლარი (თვეში), ხოლო აპრილი-მაისის თვეებში 7 260 ლარი (თვეში) 18.01.2021 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში №107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვისათვის (არაუმეტეს 25 ბავშვისა თვეში).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 22 ბავშვმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი იყო 24 ბავშვისათვის მომსახურების მიწოდება, საშუალოდ თვეში.

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 23 ბავშვმა

06 02 24 სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 540.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 538.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქ.თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის“ მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის, დადგენილი წესით გაიცა 2020 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება. ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 5 ბენეფიციარს (მათ შორის: ერთ პირზე გაიცა სამი თვის კუთვნილი თანხა თვეში 300 ლარი, ერთი პირზე ორი თვის კუთვნილი - თვეში 300 ლარი და სამ პირზე ერთი თვის კუთვნილი - თვეში 300 ლარი). ასევე, 2021 წლის მაისის თვის კუთვნილი დახმარება მიიღო 611 უსინათლო პირმა, აგვისტოს თვის - 600-მა, ხოლო დეკემბრის - 577 უსინათლო პირმა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ 591ბენეფიციარს, წლის განმავლობაში სამჯერ ერიცხება კუთვნილი დახმარება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა წლის განმავლობაში სამჯერ, საშუალოდ 600 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა სამჯერ წლის განმავლობაში, საშუალოდ 596 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობის ცვლილება.

06 02 25 სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 598.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 596.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა ახალშობილის შეძენისას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 771 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი, (მათ შორის: 327 ოჯახს - პირველი ან მეორე შვილის შეძენისთვის, 246 ოჯახს - მე-3 შვილის შეძენისთვის, 122 ოჯახს - მე-4 შვილის, ხოლო 76 ოჯახს მე-5 და მეტი შვილის შეძენისათვის).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დახმარება გაეწია 755 ბავშვის ოჯახს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 641 ბავშვის ოჯახის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია 771 ბავშვის ოჯახს

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობის ცვლილება.

06 02 26 შინმოვლის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 390.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 370.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უძლურთათვის შინმოვლის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000 და ქვევით სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები ოჯახებისათვის მარტოხელა, საწოლსმიჯაჭვული პირების (ბართელის უძლურების შეფასების ინდექსი ≤95) დახმარება - შინმოვლა. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე ანაზღაურებული იქნა იანვარსა და თებერვალში შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ,,დიაკვნის ევანგელურ ლუთერული

საზოგადოებისათვის“ – 31.8 ათასი ლარი, ,,საქართველოს კარიტასისათვის“ – 138.4 ათასი ლარი, „ერთად მოყვასისათვის“ – 98.6 ათასი ლარი, წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის - 86.9 ათასი ლარი და ბენეფიციართა შემფასებელი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის - 14.3 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 780 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 544 ქალი, 236 კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება საშუალოდ თვეში 762 ბენეფიციარის მომსახურება (მათ შორის საშუალოდ 533 ქალი, 229 კაცი)

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 763 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 559 ქალი, 204 კაცი).

06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 830.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 779.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შშმ პირების კულტურულ-შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯები - 34.9 ათასი ლარი. გარდა ამისა, გაწეულია 18 წლის ასაკის ზემოთ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების მომსახურებით, მომსახურების 20% თანადაფინანსება, კერძოდ: ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი - 2496 ლარი, ა(ა)იპ კავშირი ია - 1962 ლარი, ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - 483 ლარი, ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება - 2340 ლარი, ა(ა)ი.პ მშობელთა ხიდი - 1683 ლარი, ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი - 75 ლარი, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია - 354 ლარი, ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა

ასოციაცია - 4500 ლარი, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი აისი - 3642 ლარი, ა(ა)იპ ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში - 2121 ლარი, ჯამში 10 დღის ცენტრი დაფინანსდა - 19.7 ათასი ლარით. ასევე, გაწეულია სხვადასხვა ღონისძიებების ხარჯები: საგარანტიო შესრულებები (93 განცხადება) სხვადასხვა საჭიროებებისათვის - 599.1 ათასი ლარი, ხოლო საპროექტო განაცხადის საფუძველზე გაცემული დაფინანსებები - 110.4 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)ი.პ საქართველოს უსინათლოთა კავშირი - გამცილებლის მომსახურება - 16.5 ათასი ლარით, ა(ა)ი.პ საქართველოს ყრუთა კავშირი - 32.2 ათასი ლარით, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია - 15.4 ათასი ლარით, ა(ა)იპ სამართლისა და თანასწორობის ცენტრი - 41.6 ათასი ლარით, ა(ა)იპ ია - 4.7 ათასი ლარით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დაფინანსდა 112 განცხადება/პროექტი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 69 განცხადება/პროექტის დაფინანსება


მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 95 განცხადება/პროექტი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცვლილება განაპირობა მომართვიანობის ზრდამ.


- **განათლება**



ათასი ლარი



	სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა	მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა
2019 წლის ფაქტი	134 684,0	2 600,6	14 540,3	2 493,2	1 901,5	172,9
2020 წლის ფაქტი	134 317,5	3 341,4	13 072,1	2 035,4	1 186,8	659,6
2021 წლის ფაქტი	145 190,2	3 147,6	20 014,5	2 159,5	3 347,9	279,8



07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია 174,139.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 178,964.0 ათასი ლარის 97.3%-ი). მათ შორის:

07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო.

2021 წლის გეგმა - 147,584.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 145,190.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 6,012.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ახალი ბაღების მშენებლობის დასრულება, ავარიული საბავშო ბაგა-ბაღების გამაგრება ან დემონტაჟი და მშენებლობა, ბაგა-ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ვაუჩერული დაფინანსების სახით, გაწეულია 136,330.5 ათასი ლარი. მათ შორის: ბაგა–ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური ხარჯები, ინვენტარის და სხვა აუცილებელი ხარჯები. მომსახურება გაეწია სააგენტოს მიერ დაფუძნებულ 187 საბავშვო ბაგა-ბაღში 58 000-დან 61 600-მდე აღსაზრდელს (ეპიდვითარებიდან გამომდინარე წლის განმავლობაში ხდებოდა აღსაზრდელთა შემცირება/მატება). აღსანიშნავია, ისიც, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარებიდან გამომდინარე, 2021 წლის 15 იანვრიდან 28 თებერვლამდე და 2021 წლის 15 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე პერიოდში, დაკეტილი იყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ამ პერიოდში საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა კვების პროდუქტების დარიგება აღსაზრდელების კანონიერი წარმომადგენლებისთვის. ასევე, დაფინანსებულია ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები და სხვა ღონისძიებები. მათ შორის:

საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულია N155 საბავშვო ბაგა-ბაღის აღდგენა გამაგრების სამუშაოების ხარისხის გარანტიის 2,5% - 22.0 ათასი ლარი, №21-ე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობების სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხარისხის გარანტიის 2,5 % - 10.1 ათასი ლარი და ბაგა-ბაღების სახურავების სარემონტო სამუშაოების 2,5% - 12.0 ათასი ლარი;

2019 წელს დაიწყო და გრძელდება N155 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გამაგრება/რეკონსტრუქციის სამუშაოები, რისთვისაც მიმდინარე პერიოდში ანაზღაურებულია - 713.1 ათასი ლარი. ასევე, დაფარულია 2019 წელს დაწყებული და დასრულებული მუხიანის I მიკრორაიონში, N11 და N12 კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის დავალიანება - 159.3 ათასი ლარი;

2020 წელს დაიწყო და ახალი ხელშეკრულებით გრძელდება ვარკეთილის მეურნეობაში, ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას და N125 ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა, რისთვისაც მიმდინარე პერიოდში ანაზღაურებულია - 1,854.7 ათასი ლარი, მათ შორის: ვარკეთილის მეურნეობაში, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის - 1,264.4 ათასი ლარი, ხოლო N125 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის - 590.3 ათასი ლარი;

2021 წელს დაიწყო ნაძალადევის რაიონში, გუდამაყრის N4 ში N9 ბაგა ბაღის სამზარეულო ბლოკზე მე-2 სართულის დაშენების სამუშოები - 100.0 ათასი ლარი.

გრძელდება N2 ავარიული საბავშო ბაგა-ბაღის შენობის აღდგენა გამაგრებითი სამუშაოები, რისთვისაც ანაზღაურებულია 223.0 ათასი ლარი. გარდა ამისა, განხორციელდა რამდენიმე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ანაზღაურებულია - 108.2 ათასი ლარი, ხოლო არასაცხოვრებელი შენობების საექსპერტო მომსახურებისთვის გადახდილია - 9.1 ათასი ლარი;

2021 წელს გამოცხადდა ახალი ტენდერები და გრძელდება ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები, რისთვისაც მიმდინარე პერიოდში ანაზღაურებულია - 3,657.8 ათასი ლარი, მათ შორის: საინგილოს ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 497.3 ათასი ლარი, ვაზისუბანში აშოტ კურაპალატის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 657.9 ათასი ლარი, ლილოს დასახლებაში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 849.9 ათასი ლარი, ჭიჭინაძის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 206.2 ათასი ლარი, N19 ავარიული საბავშო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის

სამუშაოები - 670.8 ათასი ლარი, ნავთლუღის ქუჩა N8-ში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები - 375.1 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში ორთაჭალის N90-ში ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 400.6 ათასი ლარი.

ცხრილი1 არაფინანსური აქტივების ზრდა (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებები

№	არაფინანსური აქტივების ზრდა	2021 წელი	
		სპეციალური ტრანსფერი	საბიუჯეტო სახსრები
1	თბილისის 155 ბაგა ბაღის აღდგენა გამაგრების მიმდინარე სამუშოებზე დამატებითი სამუშაოები	596 112,28	
2	ქ თბილისის 155 საბავშვო ბაგა-ბაღის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები	125 108,26	13 899,08
3	ქ თბილისში მუხიანის 1ელ მიკრორაიონში N11 და N12 კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე საბავშვო ბაგა ბაღის მშენებლობის დასრულება	159 277,94	
4	ქ თბილისში ნაძალადევის რაიონში გუდამაყრის N4 ში N9 ბაგა ბაღის სამზარეულო ბლოკზე მე -2 სართულის დაშენების სამუშოები		100 000,00
5	ქ თბილისში ქინქლაძის ქ N24 ში მდებარე N125 საბავშვო ბაგა ბაღის მიწის ნაკვეთზე ახალი ბაგა ბაღის მშენებლობის სამუშაოები	590 335,90	
6	სამგორის რაიონში ვარკეთილის მეურნეობის რუსთაველის 18-ში მდებარე "ვარკეთილის მეურნეობა" ახალი ბაგა ბაღის მშენებლობის სამუშაოები	1 264 394,63	
7	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების (რეგისტრაციის მომსახურების საფასური) საფასური: ა(ა)იპ N104 საბავშვო ბაგა-ბაღი, ა(ა)იპ N88 საბავშვო ბაგა-ბაღი		205,00
8	ჩხეიძის 13 ში N96 ბაგა ბაღის დემონტაჟისა და ახალი ბაგა ბაღის მშენებლობის საპროექტო სახარჯაღრიცხვო დოკუმენტაცია		58 112,64
9	ქ თბილისში ავლაბარი საინგილოს ქუჩაზე საბავშვო ბაგა ბაღის მშენებლობის სამუშაოების ავანსი		497 297,73
10	ქ თბილისში აშოტ კურაპალატის ქუჩაზე ახალი საბავშო ბაგა- ბაღის მშენებლობის სამუშაოების ავანსი	657 887,25	
11	ქ თბილისში გლდანის ა მკრნ ში N 89 ბაგა ბაღის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები	45 000,00	
12	ლილოს დასახლებაში ახალი საბავშვო ბაგა ბაღის მშენებლობის სამუშაოების ავანსი	448 080,21	401 841,87
13	ქ თბილისში მდებარე N19 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის დემონტაჟისა და ახალი ბაღის მშენებლობის სამუშაოების ავანსი	458 498,58	212 350,05
14	ქ თბილისში უშანგი ჩხაიძის ქუჩა N13-ში მდებარე მე-2 ბაგა ბაღის აღდგენა გამაგრების სამუშაოები	223 031,12	
15	სამგორის რაიონში ჭიჭინაძის ქ N 1 კორპუსი N 4 ის მიმდებარედ ახალი ბაგა ბაღის მშენებლობის სამუშაოების ავანსი	206 176,00	
16	ნავთლუღის ქუჩა N8 ში ახალი ბაგა ბაღის მშენებლობის	375 140,00	
17	კრწანისის რაიონში, ორთაჭალის 90 მიმდებარედ საბავშვო ბაგა ბაღის მშენებლობის	400 616,00	

18	212 ბაგა ბაღის სარეკონსტრუქციო საპროექტო სახარჯაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების	5 055,55	
19	გლდანის მე8 მკრნ ახალი ბაგა ბაღის მშენებლობის საფასური/ შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებ ული პირგასამტეხლოდან ხელს 90-18	215 315,19	
20	ქ თბილისის ჭიაურელის ქ. #18-ში ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობის/ შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებ ული პირგასამტეხლოდან ხელშ N1	210 876,67	
21	არასაცხოვრებელი შენობები საექსპერტო მომსახურების ხარჯი	9 100,00	
22	N21 ბაგა ბაღის შენობის მე-2 და მე3 რეკონსტრუქცია აღდგენითი სამშენებლო სამუშაოები	10 138,80	
23	ბაგა-ბაღების სახურავების სარემონტო სამუშაოები	11 975,20	
	სულ	**6 012 119,58**	**1 283 706,37**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დასრულდა 4 ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა, დემონტაჟი/მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ავარიულ საბავშვო ბაგა- ბაღის შენობას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 4 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის დასრულება, დემონტაჟი/მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაცია ჩაუტარდება 5 ავარიულ საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 1 ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა, გრძელდება რამდენიმე ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის დემონტაჟი/მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ზოგიერთმა კომპანიამ ვერ მოახერხა ხელშეკრულების ვადებში სამუშაოების დასრულება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წლის ბოლოსთვის 185 ფუნქციონირებად საბავშვო ბაგა-ბაღში რეგისტრირებულია 61 100- მდე აღსაზრდელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 64 000-მდე აღსაზრდელის მიღება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბავშო ბაგა-ბაღები მოემსახურა 187 საბავშვო ბაგა-ბაღში 58000-დან - 61600-მდე აღსაზრდელს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო ნაკლები მოთხოვნა შეიქმნა

ბაღებში არსებულ ადგილებზე და არ მოხდა 61600-ზე მეტი აღსაზრდელის დარეგისტრირება.

07 02 ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა დაფინანსებულია 20,014.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 21,897.4 ათასი ლარის 91.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 02 01 ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

2021 წლის გეგმა - 42.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 32.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 77%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მომართვიანობის შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო - შემეცნებითი პროექტების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მოზარდთა განვითარების ასოციაციის პროექტი - „მედიაწიგნიერება“, რომლის მიზანია პანდემიის პირობებში საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოზარდების აქტიური მონაწილეობის და მოზარდთა სოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, ბავშვების დაცვა ონლაინ ზიანისგან, რაც შეიძლება მოიცავდეს ძალადობას, ექსპლუატაციას, კიბერბულინგსა თუ ასაკისთვის შეუსაბამო მასალაზე წვდომას, ა(ა)იპ „ფონდი ევროარტის“ პროექტი - „კოსმოკლუბი - 2020“, რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეებისა და დაინტერესებიული საზოგადოების ინფორმირება კოსმოსური კვლევების, ტექნოლოგიებისა და მეცნიერების თანამედროვე მიღწევების შესახებ, „ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის“ პროექტი - „ინკლუზიური სათავგადასავლო ბანაკი მე კარგად, შენ?“, რომლის მიზანი იყო შშმ პირებსა და ბავშვებს შეუქმნას თანაბარუფლებიანი უაბარიერო გარემო, სადაც ისინი შეძლებენ დამოუკიდებლად, თავიანთი უნარების წარმოჩენას და რეალიზებას, „ბავშვი და გარემოს“ პროექტი - „არაფორმალური საგანმანათლებლო-კულტურული და საინტეგრაციო ღონისძიებები ა/ო „ბავშვი და

გარემოს“ სამსახურების მოსარგებლე ბავშვებისთვის“, რომლის მიზანი იყო უმწეო კატეგორიის (სოციალურად დაუცველი და მიუსაფარი) ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში ფინანსდება საშუალოდ 20-მდე ღონისძიება, მონაწილე 100 სკოლა და 3000-მდე მოსწავლე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა და განხორციელდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი 4 პროექტი, მათ შორის ინკლუზიური საგანმანათლებლო პროექტები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, შემცირდა მომართვიანობა და ვერ განხორციელდა ღონისძიებები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს 13 მოსწავლისთვის დამატებითი სასწავლო წლის დაფინანსება ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მოსწავლეთა ზოგადი განათლების საფეხურის დაძლევის მიზნით დაფინანსება დამოკიდებულია მომართვიანობაზე, 2021 წელს ამ მიზნობრიობით მოსწავლეებს არ მოუმართიათ.

07 02 03 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

2021 წლის გეგმა - 18,087.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 17,640.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინფორმირებული თბილისის მოქალაქეები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოებისათვის და თბილისის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისათვის მიწოდებული ელექტრონული სერვისები, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის

ამაღლების უზრუნველყოფა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამართული ძირითადი და სარეზერვო სერვერული ინფრასტრუქტურა, საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სისტემების დანერგვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

სისტემური ანალიზის დეპარტამენტის თაოსნობით განხორციელდა ქალაქ თბილისის (ადმინისტრაციულ საზღვრებში) ურბანული ნაწილის ფოტორეალისტური 3D მოდელის შექმნის შესყიდვა და შეიქმნა თბილისის 3D მოდელის სისტემა, სადაც განთავსებულია თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული შენობა-ნაგებობების 3D მაღალი რეზოლუციის და გარჩევადობის მოდელი, შეიქმნა და იგეგმება გეოგრაფიული მონაცემების გაყიდვის მოდულის გაშვება, სადაც მოქალაქეს შეეძლება ონლაინ სერვისის გამოყენებით შეიძინოს მისთვის საჭირო ვექტორული ან რასტრული მონაცემები, მოხდა მომსახურების სააგენტოსთან ავტომობილის სახელმწიფო ნომრის ცვლილების ავტომატური ელექტრონული სერვისის აწყობა, რომელიც გამოიყენება ტაქსებისა და პარკირების სისტემაში, განახლდა დიზაინერული პროგრამა „ფიგმა“, შეძენილ იქნა Atlassian-ის Claud-ის პროგრამა და ორი ცალი მობილური ტელეფონი სააგენტოს მიერ დანერგილი ელექტრონული სერვისებისა და აპლიკაციების ტესტირების/დანერგვის მიზნით, მოხდა 17 მოდულის მოდიფიკაცია და შეიქმნა შემდეგი ახალი მოდულები: ელექტრონული განცხადებების სისტემა, ინტერაქტიული რუკის სისტემა, ადმინისტრირების სისტემა, სამგზავრო ბარათების სისტემა, ჯანდაცვისა პროგრამების სისტემა, ელექტრონული შტამპის სისტემა, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის სისტემა, თბილისის მუნიციპალური სერვისების სისტემა, თქვენი იდეა ქალაქის მერს, მოქალაქეთა დახმარების სისტემა, ადვოკატთა სისტემა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი, ელექტრო ავტომობილების დამუხტვის სადგურების სისტემა, არქიტექტურული

მომსახურების სისტემა, ვიზიტორთა საშვების მართვის სისტემა, სოციალური პროგრამების მართვის სისტემა და Atlassian-ის პროდუქტების მართვა,

პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის, გარკვეული სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, შეძენილ იქნა API-ის გარემოს და დოკუმენტაციის გუნდურად წარმოების, გაზიარების და ტესტირების პროგრამული ლიცენზია Postman Team 15 მომხმარებელზე, შეიქმნა შემდეგი ახალი მოდულები: შაბლონების მართვის სერვისი, ფოსტების სტანდარტიზებული სერვისი, ფიზიკური აუტენთიფიკაციის მოდული და UCC სისტემის გადახდის მოდული, ასევე, სააგენტოში საანგარიშო პერიოდში გატარდა და მუდმივად მიმდინარეობს არსებული ელექტრონული სერვისების გარკვეული ცვლილებები (ფუნქციონალების ცვლილება/დამატება/გაუქმება), სამუშაო პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრის და ახალი მოთხოვნების წარმოშობის შედეგად, არსებული სისტემების გაუმჯობესების მიზნით,

სისტემური ადმინისტრირების დეპარტამენტისთვის მოხდა, სერვერული ბაზების და სისტემის გამართულ ფუნქციონირების მიზნით, red hat linux server PREMIUM (Physical or virtual Nodes) 4 ლიცენზიის, Basic Support VMware -ის, Barracuda Web App Firewall 660Vx-ის *2-ის, Barracuda Spam Firewall 400 Vx-ის, Manage Engine Service Desk Plus Enterprise – Multi Language RFP-ის, Manage Engine Service password manager pro enterprise-ის, Basic Support VMware-ის, IBM Storwize V7000-ის, Check Point 5900-ის, Barracuda Spam Firewall 400 Vx-ის (BAR-SF-683337) ლიცენზიების განახლების და დომეინების უსაფრთხოების ლიცენზია - „SSL სერტიფიკატი“-ის შსყიდვა, შეიცვალა 400 აკუმლატორი სასერვეროს უწყვეტი კვების 2 მოდულში, ამავე სამსახურის მიერ განხორციელდა სასერვერო აპარატურის, პროგრამების, გაგრილების სისტემის, სახანძრო უსაფრთხოების, უწყვეტი კვების წყაროების მოვლის მონიტორინგი, გადაეწყო ცხელი ხაზის ჩაწერის რეჟიმი, აეწყო და ჩაირთო ახალი ტექნიკური ცხელი ხაზი სატელეფონო ნომრით - 1399, მოეწყო 2 ახალი სასერვერო, აიწყო ახალი ინფრასტრუქტურა და გაიმართა პროგრამულად, დაიგეგმა ინფორმაციების გადატანის გეგმა, გადმოტანილ იქნა 2,5 ტერაბაიტის ახალი ბაზები სხვა უწყებიდან,

ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ გამოსწორდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კომპიუტერულ ქსელში წარმოქმნილი 5423 ტექნიკური პრობლემა და ელექტრონულ სერვისებთან დაკავშირებით 19856 საკითხზე მოხდა კონსულტაციის გაწევა,

მომსახურების ცენტრების დეპარტამენტის გამართული ფუნქციონირების მიზნით, შეძენილ იქნა ქუმატიკის აპარატის ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერის ლიცენზიის განახლება, Qmatic Ouchestra 7 აპარატურის და Qmatic Orchestra - 7 ლიცენზიის შესყიდვა. სერვის ცენტრებში მომსახურება გაეწია 455468 მოქალაქეს, დარეგისტრირდა (შემოვიდა ფოსტით და ელექტრონულად) 249514 კორესპონდენცია და ხელზე გაიცა - 12028,

საქმისწარმოების დეპარტამენტში დარეგისტრირდა ფოსტით და ელექტრონულად შემოსული 99126 კორესპონდენცია, ხოლო ელექტრონულად გაიგზავნა - 101467 და ფოსტით - 118259 (მათ შორის მომსახურების ცენტრების მიერ ფოსტით და ელექტრონულად გაცემული კორესპოდენცია),

ცხელი ხაზის დეპარტამენტისთვის მოხდა სააგენტოში არსებული სატელეფონო მართვის სადგურისა და გამოძახებათა ცენტრის Cisco-ს პროგრამული ლიცენზიის განახლება და გაიზარდა მისი მოცულობა, განხორციელდა 527925 სატელეფონო ზარის მომსახურება,

ხარისხის კონტროლის სამმართველოს მიერ განხორციელდა: დისტანციური მომსახურების სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსული 5897 სატელეფონო ზარის მოსმენა, აქედან შეფასდა 1820 სატელეფონო ზარი და შესაბამისად, მოხდა თანამშრომელთა საქმიანობის ყოველთვიური შეფასებაც. 2021 წლის II კვარტლიდან ხარისხის კონტროლის სამმართველომ განაახლა მუნიციპალური სერვის ცენტრების მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტისა და დაკვირვების გზით და საანგარიშო პერიოდში ჯამური ვიზიტების რაოდენობამ შეადგინა 359. ასევე, განხორციელდა ზონალური პარკირების 10 საინფორმაციო პავილიონის შემოწმება და ჯამურად ვიზიტის რაოდენობამ შეადგინა 120,

მოქალაქეთა მომსახურების მიმართულებით დამუშავდა ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 11 ერთეულისთვის, კერძოდ, თითოეული ერთეულისათვის კატეგორიების

მიხედვით მომზადდა და გადაეგზავნათ ანგარიში კორესპონდენციების მოცულობის, დატვირთულობის და ვადაგადაცილებული წერილების რაოდენობის გათვალისწინებით, შემოწმდა დოკუმენტბრუნვის პროგრამაში დარეგისტრირებული განცხადებები ნომენკლატურების მიხედვით და მომზადდა არასწორი ნომენკლატურით დარეგისტრირებული განცხადებების სტატისტიკური ანგარიში,

პროფესიული განვითარების მიმართულებით კვლევის საფუძველზე მომზადდა სატრენინგო მოდულების ათეული და მოძიებულ იქნა შესაბამისი ტრენერები. ონლაინ პლატფორმა zoom-ის მეშვეობით ჩატარდა ტრენინგები შემდეგ მოდულებში: საბაზისო ტრენინგები - მენეჯერული, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება, ღირებულებები საჯარო სამსახურში, პრეზენტაციის მომზადების ტექნიკა MS პროდუქტების გამოყენებით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, კიბერუსაფრთხოება არა IT თანამშრომლებისთვის - ციფრული მონაცემების მართვა და დაცვა, მართვის ფსიქოლოგია, გუნდური შეჭიდულობა, პერსონალური მონაცემების დაცვა, ემოციური ინტელექტი, სახელშეკრულებო ურთიერთობები. აღნიშნულ ტრენინგებზე გადამზადება გაიარა თბილისის მუნიციპალიტეტის 503 თანამშრომელმა (მათ შორის ქალი-333, კაცი - 170).

გარდა ამისა, სააგენტოს საკუთარი სახსრების ფარგლებში გაწეულია დეცენტრალიზაციის რეფორმის მიმართულებით 1,783.7 ათასი ლარი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების, მივლინებები საქართველოს მუნიციპალიტეტებში, კავშირგაბმულობა, საოფისე ფართის იჯარა, საკანცელარიო საქონლის შეძენა, ტრანსპორტის (მინივენები) ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი და სხვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ 25 მოდულში ტარდება ტრენინგები და გადამზადებას გადის 2000-მდე თანამშრომელი..

დაგეგმილი მაჩვენებელი - 11 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 503 გადამზადებული თანამშრომელი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სააგენტოს 11 სერვის ცენტრში მომსახურებას გადის საშუალოდ 1500000 მოქალაქე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - სააგენტოს 11 სერვის ცენტრში 455468 მოქალაქის მომსახურება, დისტანციურად - 527925 მოქალაქე.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კორონა (COVID – 19) ვირუსით გამოწვეული პანდემიის გამო მომსახურების ცენტრებში მიმართვიანობის ნაკლებობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისის მუნიციპალიტეტის ელექტრონული სისტემების გამართული ფუნქციონირების მიზნით ყოველწლიურად ხორციელდება საშუალოდ 30 პროგრამული ლიცენზიის შეძენა/განახლება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის ურბანული ნაწილის ფოტორეალისტური 3D მოდელის შექმნა, 24 პროგრამული ლიცენზიის განახლება,

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გარკვეულ პროგრამულ ლიცენზიებზე მოთხოვნის ცვლილება.

4.საბაზისო მაჩვენებელი - ციფრული ინფორმაციის შემნახველი მასივების და სისტემების, სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შეძენა/განახლება/ ჩანაცვლება თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტის სასერვერი სისტემის შექმნა/გაფართოება/განახლების მიზნით.

დაგეგმილი მაჩვენებელი საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებული პროგრამების/ლიცენზიების შესყიდვა, სასერვეროს გამართვა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

07 02 04 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სააგენტო

2021 წლის გეგმა - 3,767.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,341.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 62.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების

დროული და სრულყოფილი ინფორმირება, სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების შესახებ მედია საშუალებებით გასული ინფორმაციის მონიტორინგი - 54.4 ათასი ლარი და თარგმანის მომსახურების ხარჯები - 13.0 ათასი ლარი.

გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ყოველდღიურ რეჟიმში მზადდებოდა დღის ამბები, რომელიც თბილისის გამგეობებისა და მერიის სამსახურების ყოველდღიურ საქმიანობას ეხებოდა,

დიზაინის მიმართულებით ამ დარგზე მომუშავე ჯგუფმა იმუშავა შემდეგ თემებზე: სკრინინგ ცენტრის ბანერი და მოხატვის ესკიზი, თბილსერვისის თანამშრომლებისთვის უნიფორმის დიზაინი, 3 მარტის და 8 მარტის მისალოცი, გაჩერებებზე გასაკრავი სტიკერი მარშუტები, მიკროავტობუსებში გასაკრავი სტიკერები („გადახდა ბარათით“, „ფეხზე დგომა აკრძალულია“), მთაწმინდის გამგეობისთვის ბანერი “ახალი მწვანე სივრცე“, ბანერი პიროტექნიკის აკრძალვასთან დაკავშირებით, სტენდი ევროპის მოედანზე განსათავსებლად- ესკიზი, სააღდგომო და ახალი წლის დღესასწაულისთვის მისალოცი ბარათები, გამგეობების მიერ დაგეგმილი სპორტული აქტივობებისთვის შტენდერები, ბანერები, სასაჩუქრე ვაუჩერები, სიგელები. მერიის სამსახურების (სატრანსპორტო, სოციალური, ჯანდაცვის, კულტურული, ახალგაზრდული, მართვისა და ეკონომიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის შესახებ) მიერ, ოთხი წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების ანგარიშის პრეზენტაციების დიზაინი (ჯამში 13 პრეზენტაცია), თბილისის მასშტაბით არსებული არქიტექტურული ძეგლების - მოზაიკების რუკა, საინფორმაციო დაფა რიგის სკვერში განსათავსებლად, გასვლითი სამუშაო შეხვედრა თემაზე - „სპორტი 1თანამედროვე ეპოქაში". ასევე, გაწეულია სხვადასხვა ღონისძიებისთვის ბანერების, რენდერების, სიგელების დამზადების და სხვა ხარჯები,

განხორციელდა მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიერ, ოთხი წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების ანგარიშის პრეზენტაციების და სხვა სატელევიზიო ეთერით გადაცემა (18 ეთერი). კამპანიების სამსახურში ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა დღის ამბების ვიდეო რგოლების დამზადება, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ/განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ასევე, დამზადდა 55 საიმიჯო, გრაფიკული და საინფორმაციო ვიდეო რგოლი,

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მედიასთან კომუნიკაცია, ინფორმაციისა და პრესრელიზების მომზადება. ასევე, მომზადდა თბილისის მუნიციპალიტეტის ყველა უწყების მედიააქტივობების და სოციალურ ქსელში განსათავსებელი ინფორმაცია, გაშუქდა და მომზადდა ბრიფინგები და კომენტარები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სატელევიზიო და რადიო ეთერში ინფორმაციის განთავსების მიზნით, 2020 წელს დამზადებულია 14 აუდიო და ვიდეო რგოლის დამზადება და განთავსდება 4 სატელევიზიო არხზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ვიდეო რგოლების დამზადება (მათ შორის 50 საიმიჯო და 5 გრაფიკული).

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წლის განმავლობაში ინფორმაცია განთავსდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობების Facebook - 33 გვერდზე და ერთ Instagram გვერდზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს პირდაპირ ეთერით გადაცემულია 15 ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პირდაპირი ეთერით გადასაცემი 22 ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - პირდაპირი ეთერით გადაცემულია 18 ღონისძიება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ინფორმაციის გავრცელების მიზნით მეტი facebook გვერდის გამოყენება.

07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 3,147.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,345.0 ათასი ლარის 94.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 03 03 მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება

2021 წლის გეგმა - 3,345.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,147.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 94.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა, მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა, ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფუნქციონირების ხარჯები. ბიბლიოთეკების გაერთიანება მოიცავს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 34 ფილიალს თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 1 ბიბლიოთეკას და თბილისის მედიათეკების გაერთიანებას (ვაკის, ვარკეთილის და ნაძალადევის ფილიალი). მიმდინარე პერიოდში გაწევრიანდა და ბიბლიოთეკის სერვისით ისარგებლა 16171 პირმა. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: დასრულდა №9 და №25 ფილიალებში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და ფილიალები აღიჭურვა ავეჯითა და ყველა საჭიროა ინვენტარით, მოეწყო წიგნების სპეციალური საცავები რკინის სტელაჟებით, ხოლო №26 ფილიალში - 1 სართულის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ვაკის მედიათეკისათვის მომზადდა გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტი და განხორციელდა თაროების შეძენა-მოწყობა, გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელობის რეაბილიტირებული ბიბლიოთეკა. განხორციელდა გაერთიანების რებრენდინგი (დამზადდა ლოგო, სავიზიტო ბარათბი, შექიმნა ბლანკებისა და კონვერტების დიზაინი). გაიმართა საყმაწვილო

ჟურნალი „იალქნის“ 1-ლი ნომრის პრეზენტაცია, პარალელურად ჩატარდა პატარებისათვის სამხატვრო კონკურსი, გაიმართა პროექტის „ვკითხულობთ ქართულს“ 4 ლექცია, რომლის მიზანია ქართული მწერლობის და მწერლების პოპულარიზაცია, ნაძალადევის ფილიალში ა(ა)იპ კინოკლუბთან თანამშრომლობით, დაიწყო პროექტის სარკმელი კინოსამყაროში განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა თეორიული სწავლებები და მოეწყო 10 ქართული თანამედროვე მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან 5 წლის ვადით გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ცენტრს გადაეცა რამდენიმე ათასი წიგნი პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაუმჯობესების მიზნით, ბიბლიოთეკის გაერთიანებაში გაგრძელდა სკოლის მოსწავლეთა ჯგუფური ვიზიტები წიგნის პოპულარიზაციის, ბიბლიოთეკის საქმიანობის და წიგნებით სარგებლობის წესების გაცნობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკების გაერთიანება (ფილიალების და მედიათეკების ჩათვლით) ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში მუშაობდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მოსაწესრიგებელია ფილიალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გასარემონტებელია და თანამედროვე ტექნიკით აღსაჭურვია სივრცეები

დაგეგმილი მაჩვენებელი - გარემონტებული და თანამედროვედ აღჭურვილი სივრცეები

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 2 ფილიალის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო 1 ფილიალში ნაწილობრივი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

07 04 პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 280.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 279.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: პროფესიული მომზადება/გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროფესიული მომზადება/გადამზადების მუნიციპალური პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“, რომელიც ითვალისწინებს თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსების განხორციელებას შრომის ბაზრის მოთხოვნად სპეციალობებში და კერძო სექტორთან თანამშრომლობით მათ დასაქმების ხელშეწყობას. პროექტი ხორციელდება სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების (სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, სსიპ „პროფესიული კოლეჯი „მერმისი“, სსიპ „პროფესიული კოლეჯი „სპექტრი“, (ა)იპ „პროფესიული კოლეჯი იკაროსი“) ბაზაზე და 30-ზე მეტი პროფესიული სპეციალობა არის წარმოდგენილი სამშენებლო, საინჟინრო, დიზაინის, სურსათის ტექნოლოგიის, ტურიზმის, წარმოების, ვეტერინარიის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, საფინანსო და ტრანსპორტის სფეროში.

ამასთან, პროგრამის ფარგლებში მოქმედებს საინფორმაციო გვერდი www.dasakmdi.ge, რომელზეც განთავსებულია ყველანაირი ინფორმაცია პროგრამის შესახებ (პროგრამების აღწერა, მომზადება/გადამზადების სპეციალობები, პროფესიული კოლეჯები, პარტნიორი კომპანიები, სარეგისტრაციო ლინკები და ვადები, ცხელი ხაზის ნომერი, შედეგების სტატისტიკა, ვიდეო სიუჟეტები და საინფორმაციო კლიპები პროგრამის შესახებ). საინფორმაციო გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საკოორდინაციო ფუნქციას კერძო სექტორს, მუნიციპალიტეტს, პროფესიულ სასწავლებლებსა და დასაქმების მსურველ მოქალაქეებს შორის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს გადამზადება გაიარა 2041 კურსდამთავრებულმა 34 სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 4 პროფესიული ორგანიზაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გადამზადებას გაივლის 900 ბენეფიციარი 30-ზე მეტი სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 4 პროფესიული ორგანიზაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - გადამზადება გაიარა 1123 კურსდამთავრებულმა 43-მდე მეტი სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 4 პროფესიული ორგანიზაცია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დამატებით დაფინანსდა პროფესიული კოლეჯების მიერ წარმოდგენილი 3 პროექტი მოქალაქეთა გაზრდილი მომართვიანობის დაკმაყოფილების მიზნით (2021 წელს მოქალაქეთა და კერძო სექტორის მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამას ახალი პროფესიული მიმართულებები დაემატა და 43-მდე გაიზარდა სპეციალობები რომელიც შეთავაზებულ იქნა მოქალაქეებისთვის მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით).

07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 3,347.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,541.3 ათასი ლარის 94.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 05 01 უწყვეტი განათლების სისტემის და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 170.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 123.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 72.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სტუდენტების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და საუნივერსიტეტო კონტაქტების განვითარების მიზნით უცხოელი პროფესორების და სპეციალისტების ვიზიტების მხარდაჭერა თბილისისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში, ქალაქში თემატურ ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა, თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლების მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „საქართველოს სტომატოლოგიურ დილერთა ასოციაციის პროექტი - ‘‘GDDA Expo2021’’, რომლის მიზანი იყო სასწავლო - საგანმანათლებლო მასტერ - კლასების ორგანიზება სტუდენტებისა და ახალგაზრდებისთვის და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობა, "ჰუმანიტარული კვლევების ცენტრის" პროექტი - „სამეცნიერო ჟურნალის და საერთაშორისო კონფერენცია „Scientia“, რომლის მიზანი იყო სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალის გამოშვება, "სტუ სტუდენტური კოალიციის’’ პროექტი -"სტუ-ის სტუდენტთა საზაფხულო სკოლა", რომლის მიზანი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში აქტიური სტუდენტების წარმოჩენა და მათთან ერთად პოსტ პანდემიურ პერიოდისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება, „ჯანმრთელობა და ქალის“ პროექტი - „სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „რადიაციული რისკების მართვის თანამედროვე მიდგომები ურბანიზებულ ზონებში (სისტემებში)“, რომლის მიზანი იყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება ურბანიზებულ ტერიტორიებზე რადიოგენური რისკების მართვისა და შეფასების შესახებ, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების ჩართულობით, პროექტი - „კირკე - საგანმანათლებლო პლატფორმის პლატფორმა“, რომლის მიზანი იყო საშემსრულებლო ხელოვნების დარგის განვითარება არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით, სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროექტი - „კონსერვატორიელები კონსერვატორისთვის“, რომელიც ითვალისწინებდა უცხოელი სპეციალისტების/პროფესორების ვიზიტების დაფინანსებას სტუდენტებისთვის ვორქშოფების და მასტერკლასების ჩატარების მიზნით საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში, სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის პროექტი - „ქალაქი და არქიტექტურა“, რომელიც ითვალისწინებდა უცხოელი არქიტექტორების ვიზიტების დაფინანსებას სამხატვრო აკადემიაში სტუდენტებისთვის ლექციების და ვორქშოფების ჩატარების მიზნით, ა(ა)იპ ფორსეტის პროექტი - „Tbilisi DataFest - თბილისის მონაცემთა საერთაშორისო ფესტივალი“, რომლის მიზანი იყო

მონაცემთა დამუშავების და კომუნიკაციის სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება სტუდენტებისთვის, საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისთვის, ჟურნალისტებისთვის და დიზაინერებისთვის, „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი - „ზამთრის სტუდენტური სკოლა 2021“, რომლის მიზანი იყო, აქტიური სტუდენტური ცხოვრების მხარდაჭერა და სტუდენტური ორგანიზაციების გაძლიერება. ასევე, ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზებისა და განხორციელების მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს საზაფხულო და ზამთრის სკოლებში, ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში მონაწილე 700 სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - საზაფხულო და ზამთრის სკოლებში ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში ჩართული 800-მდე სტუდენტი და ახალგაზრდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2020 წელს პანდემიით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე შეიზღუდა ღონისძიებების განხორციელება.

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2020 წელს სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, მოწვეული 4 უცხოელი სპეციალისტი და ლექციებში ჩართული 400 სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მოწვეული 5 უცხოელი სპეციალისტი/პროფესორი (ვიზიტი ნიდერლანდებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან და გერმანიიდან) და ლექციებში, მასტერკლასებში და ვორქშოფებში ჩართული 200 სტუდენტი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პანდემიით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე ლექცია/მასტერკლასებში მონაწილეთა რაოდენობა შეიზღუდა.

07 05 02 იურიდიული კლინიკა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ჩემი ადვოკატი

2021 წლის გეგმა - 768.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 753.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული მომსახურება, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკების ორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ ჩემი ადვოკატის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საოფისე ტექნიკის, ავეჯის და ავტომობილი შეძენის ხარჯები), ხოლო „სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკის ორგანიზების“ ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა სარეკლამო, პროპაგანდული და საინფორმაციო სახის ვიდეორგოლების გადაღების, სერთიფიკატების ბეჭდვის და საკანონმდებლო მაცნეს მომსახურების, სატელემაუწყებლო მომსახურების ხარჯები - 18.1 ათასი ლარი. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 134.2 ათასი ლარი. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

სტუდენტების პრაქტიკული სწავლების დისტანციურ ფორმატში განსახორციელებლად შემუშავდა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისი წესი. სამართლებრივი პრაქტიკის დისტანციური სწავლებისათვის შეიქმნა ინოვაციური პროექტი - ორგანიზაციაში შემოსული საქმეების მიხედვით გაკეთდა ვიდეო ქეისები, რაც ერთის მხრივ ტრენერ-ადვოკატებს საგანმანათლებლო პროცესის გამრავალფეროვნებაში ეხმარება, ხოლო მეორეს მხრივ სტუდენტს უქმნის უშუალოდ უბანზე დასწრების შთაბეჭდილებას და ეხმარება თეორიული მასალის მარტივად ათვისებაში,

იურიდიული კლინიკას სამართლებრივი დახმარების მიზნით მომართა 10 703-მა ფიზიკურმა პირმა (ცხრილი 2), ხოლო ცხელ ხაზზე განხორციელდა

დაახლოებით 9050 ზარი, მათ შორის ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია 4644 მოქალაქეს.

ცხრილი 1: *სამართლებრივი დახმარება თემატიკის მიხედვით*

დასახელება	უბნებზე მომართვიანობის მიხედვით	ცხელ ხაზი (ზეპირი კონსულტაცია)
კომუნალური	89	63
სახელშეკრულებო	905	374
სასარჩელო	1 747	464
„ატსტუპნიკები“	122	22
საოჯახო	569	105
სამემკვიდრეო	297	132
სააღსრულებო	154	63
სოციალური	1 455	763
ამხანაგობები	232	445
უძრავი ქონება	1 046	347
შრომითი ურთიერთობები	208	75
სამოქალაქო აქტები	61	87
საჯარო რეესტრი	365	161
სამეზობლო დავა	278	200
საგადასახადო-სამეწარმეო	51	84
სამშენებლო ნებართვა	645	395
ადმინისტრაციული წარმოება	747	344
ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	497	224
უკანონო მშენებლობა	819	211
რეპრესირებული (აღიარება/კომპენსაცია)	2	4
უდაო წარმოება	258	28
ბინის პრივატიზაცია	151	49
ინტელექტუალური სამართალი	5	4
სულ	**10 703**	**4 644**

ცხრილი 2: *სოციალური სტატუსიის მიხედვით მომართვიანობა*

დასახელება	რაოდენობა
სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი	1 725
პენსიონერი ასაკისა გამო	2 142
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე	68
იძულებით გადაადგილებული	383
სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და შშმ პირი	72
პენსიონერი ასაკისა გამო და შშმ პირი	58
იძულებით გადაადგილებული და შშმ პირი	12

და სხვა	6 243
სულ	**10 703**

ცხრილი 3: *სამართლებრივი დახმარების სახეები:*

დასახელება	**რაოდენობა**
ზეპირი კონსულტაცია	8 460
წერილობითი კონსულტაცია	81
სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა	21
საპროცესო დოკუმენტი	900
წარმომადგენლობა	116
განცხადება	163
ადმინისტრაციული საჩივარი	415
მატერიალურად შედგენილი დოკუმენტი	547
სულ	**10 703**

ორგანიზაცია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს ცხრა უმაღლეს სასწავლებელთან და ჯამში 141 სტუდენტი გადაამზადა, მათ შორის: მოხალისე - 86, პრაქტიკანტი - 55. სტუნდენტები და პრაქტიკისა და სტაჟირების დროს, თეორიულ ცოდნას გარდასახავენ პრაქტიკულ საქმიანობაში, უფლებიან საადვოკატო საქმიანობას და სწავლობენ მოქალაქეებთან ურთიერთობას,

დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ 2673 საქმე), წარმატებით დასრულდა 486, ხოლო მიმდინარეა 1722 საქმე, არ დაკმაყოფილდა 368, მოქალაქემ არ შეიტანა 48 სასამართლო დოკუმენტი, გამოიხმო 35, არ მიიღო წარმოებაში 5, საქმის წარმოება შეწყდა 7 საქმეზე, ხოლო განუხილველად დარჩა 2 საქმე, საკვლევი პერიოდის განმავლობაში სულ განხორციელდა 75 წარმომადგენლობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს სამართლებლივი დახმარება გაეწია 15987 მოქალაქეს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - სამართლებრივი დახმარება გაეწია 15347 მოქალაქეს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 184 სტუდენტმა (მათ შორის კაცი-43 ქალი-141).

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროფესიული პრაქტიკაში მონაწილეობას მიიღებს 370-მდე სტუდენტი.

მიღწეული მაჩვენებელი - პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 141 სტუდენტმა (მათ შორის კაცი-29 ქალი-112).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პანდემიით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე ინტერესის ნაკლებობა.

07 05 03 სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 2,603.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,471.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის უამაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათი სწავლის დაფინანსების გზით. წარჩინებული მაგისტრანტების ფინანსური წახალისება და მოტივაციის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, განხილულია სამსახურში შემოსული 3000-მდე განცხადება, რომლის საფუძველზეც მომზადდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და დაფინანსდა 2868 სოციალურად დაუცველი სტუდენტი, ხოლო წარმატებულ მაგისტრანტთა წახალისების პროგრამის ფარგლებში გაკეთდა წარმატებულ მაგისტრანტთა მონაცემთა ბაზა და სტიპენდია გადაეცა 782 სტუდენტს. დაფინანსების წესში გათვალისწინებულია სამოტივაციო მექანიზმები სტუდენტებისთვის, რომ გააუმჯობესონ აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, ვინაიდან მისაღები დაფინანსების ოდენობა დამოკიდებიულია აკადემიურ

მოსწრებაზე. აგრეთვე, სტუდენტებს საშუალება მიეცათ სურვილის შემთხვევაში სტიპენდიის თანხა დაბეგვრის გარეშე გამოიყენონ სწავლის საფასურის ასანაზღაურებლად და ჩაერიცხოთ უნივერსიტეტების ანგარიშზე, აღნიშული შესაძლებლობით ისარგებლა 284-მა მაგისტრანტმა. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 3.0 ათასი ლარი ორი მოქალაქის სწავლის საფასურის ასაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ფინანსდება საშუალოდ 1500 სოციალურად დაუცველი სტუდენტი და 282 წარმატებული მაგისტრანტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა (მ.შ. 3200 სოციალურად დაუცველი სტუდენტი და 500 წარჩინებული მაგისტრანტი).

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებული 2868 სოციალურად დაუცველი სტუდენტი და 782 წარმატებული მაგისტრანტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2021 წელს შეიცვალა დაფინანსების წესი, რომლის შედეგად დაფინანსების მიღების შესაძლებლობით ისარგებლებენ 150 000 და ნაკლები სოციალური ქულის მქონე სტუდენტები (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურებზე), ნაცვლად მანამდე არსებული 70 000 სოციალური ქულისა. შედეგად გაორმაგდა სოციალურად დაუცველი სტუდენტების მომართვიანობა, ხოლო წარმატებული მაგისტრანტების წახალისების წესში შესული ცვლილების შედეგად, გაუქმდა კვოტირება სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის, შედეგად გასამმაგდა მომართვიანობა და პროგრამით მოსარგებლე მაგისტრანტების რაოდენობა. პროგრამის მონაწილე უნივერსიტეტების სიას დაემატა სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

07 06 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე დაფინანსებულია 2,159.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,315.7 ათასი ლარის 93.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 06 01 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

2021 წლის გეგმა - 2,315.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,159.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 93.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის ამაღლება, მოზარდების დაინტერესება და დამატებითი ცოდნის საფუძვლიანი მიღება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის სხვადასხვა კულტურული საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარების, სასწავლო პროცესისთვის და დაგეგმილი ღონისძიებებისთვის შეძენილ იქნა მუსიკალური ინსტრუმენტები, კომპიუტერული ტექნიკა, ვიდეო-აუდიო აპარატურა, სასახლის დარბაზების და სამუზეუმო სივრცეებისთვის შეძენილი იქნა მაგიდები, სკამები, სავარძლები, კარადები, ჩარჩოები, კონდენციონერები, ფერწერული ნამუშევრები), გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მუზეუმს ჰყავდა ვიზიტორები და დაწესებული რეგულაციების დაცვით პლანეტარიუმში ჩატარდა ლექციები, თბილისის ახალგაზრდულმა ორკესტრმა 2021 წელს რეპეტიციები განაახლა მარტის შუა რიცხვებში, დადგენილი რეგულაციების დაცვით და სეზონის მანძილზე ჩატარდა კონცერტები ეროვნული სასახლის დარბაზებში, რუსთაველის თეატრში, წინანდლის ფესტივალზე და ონლაინ რეჟიმში, ცნობილი მუსიკოსების მიერ ჩატარდა მასტერკლასები, 2021/22 სასწავლო წლის დასაწყისისთვის შემუშავდა ახალი სასწავლო ცხრილები, სასწავლო პროცესში დაიგეგმა სწავლების შერეული მოდელი (პანდემიით დაწესებული რეგულაციების დაცვით ჩატარდა ონლაინ რეჟიმში მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება - გაჯანსაღების ღონისძიებების უმეტესი ნაწილი), განისაზღვრა მეცადინეობის ხანგრძლივობა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად შეიქმნა პროგრამები,

პროფილური წრეები, ცენტრები და სტუდიები, რამაც ხელი შეუწყო დამატებითი ცოდნის მიღებას.

საანგარიშო პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა სულ 376 ღონისძიება (ღონისძიებები ძირითადად მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში), მათ შორის: შეხვედრა/პრეზენტაცია/დისკუსია - 109, სპექტაკლი/გადაღება - 22, გასვლითი ღონისძიება - 11, საგანმანათლებლო პროექტი/ლექცია/მასტერკლასი - 78, გამოფენა - 14, კონცერტი - 18, სატელევიზიო გადაცემა/რეპორტაჟი - 69, საზაფხულო სკოლა - 3, კონფერენცია/შეკრება/ფორუმი - 5, ფესტივალი/კონკურსი/ტურნირი - 34, ვიქტორინა - 12, სიმპოზიუმი - 1.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ჩატარდა 3 ფესტივალი, მათ შორის ერთი საერთაშორისო ფესტივალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 3 ფესტივალი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს რეგისტრირებული 1669 ბენეფიციარი, მათ შორის: 294 სოციალურად დაუცველი, 7 შშმ პირი, 20 წარჩინებული მოსწავლე.


დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის 10 %-ით გაზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - რეგისტრირებული 2207 ბენეფიციარი, მათ შორის: 284 სოციალურად დაუცველი, 14 შშმ პირი, 103 მრავალშვილიანი ოჯახიდან, 25 წარჩინებული მოსწავლე.


განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პანდემიის გამო სასწავლო პროცესი და დაგეგმილი ღონისძიებების დიდი ნაწილი გაგრძელდა ონლაინ რეჟიმში. ბენეფიციართა შენარჩუნების მიზნით მიმდინარეობდა დისტანციური/ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით სასწავლო პროგრამების ადაპტირება და ახალი მეთოდოლოგიის მოძიება.

❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა


ათასი ლარი



ათასი ლარი



	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	ახალგაზრდული ღონისძიებები	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია	კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში	თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი	ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა	შემოქმედებითი თბილისი
2019 წლის ფაქტი	13 137,8	1 824,8	1 859,4	3 524,1	2 407,9	3 032,9	1 332,2	986,2	406,5	140,5	329,8
2020 წლის ფაქტი	13 257,1	3 380,5	1 833,8	3 719,2	1 956,9	1 461,0	2 061,3	116,4	388,3	51,5	569,1
2021 წლის ფაქტი	15 439,0	2 942,7	1 703,0	6 341,8	2 613,0	1 078,5	1 543,0	201,2	439,5	106,4	862,2



08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,613.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,770.7 ათასი ლარის 94.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 01 01 ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

2021 წლის გეგმა - 631.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 623.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. გაიმართა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“, კიევში

საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობა მიიღო თეატრის მსახიობმა, თეატრი ჩაერთო პროექტში „პოეტები თბილისის ქუჩებიდან“, გაიმართა პოეტისა და პერფორმერის ზურაბ რთველიაშვილის სახელობის პრემიის გადაცემის ცერემონიალი, გაიმართა წარმოდგენები ახალციხესა და ქუთაისში, შედგა პრემიერა სპექტაკლებისა „ჯადოსნური წრე“ და „მედეა და ოიდიპოსი“, მოლდოველ რეჟისორ პეტრუ ვუტკარაუსთან ერთად დაიწყო სარეპეტიციო პროცესი სპექტაკლის „პალატა #6“ შესაქმნელად. აღსანიშნავია, რომ კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით მიმდინარე პერიოდში თეატრი ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში მუშაობდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს წარმოდგენილი იქნა 62 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 7 486.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 200-მდე მიმდინარე, 6-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 25000-მდე მაყურებელი დაესწრება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 50 მიმდინარე, 2 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 3019.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მაყურებელთა სიმცირე განპირობებულია ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვებით.

08 01 02 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

2021 წლის გეგმა - 432.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 429.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩატარდა ონლაინ სპექტაკლი „არტისტი“, გაიმართა სპექტაკლები „სიყვარულის ეიფორია“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „კრიმანჭული“, „ნატვრის ხე“, „ანარეკლი“, სულ წარმოდგენილ იქნა 30 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 1500. აღსანიშნავია, რომ კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით მიმდინარე პერიოდში თეატრი ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში მუშაობდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს წარმოდგენილ 14 მიმდინარე და ერთი საქველმოქმედო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 264. **დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა 75-მდე მიმდინარე, 5-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშაულოდ 7000-მდე მაყურებელი დაესწრება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 30 მიმდინარე, 1 ლაივ პრემიერა (ონლაინ მაყურებელი - 2200), მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 1500.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მაყურებელთა სიმცირე განპირობებულია ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვებით.

08 01 03 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი

2021 წლის გეგმა - 912.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 772.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ

მოღვაწეებთან, თანამშრომლობითი პროექტების შექმნა, პროფესიული განვითარება და ახალი პროფესიების შემოსვლა შემოქმედებით სფეროში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის ფუნქციონირების და ნაწილობრივ თეატრალური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ხარჯები. ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ფესტივალის მოსამზადებელ სამუშაოებში, რომელიც მოიცავდა მოძიებულ და განსაზღვრულ პარტნიორებს, გაფორმებულ ხელშეკრულებებს, სპონსორების მოძიების პროცესს, მზადებას არტ მარკეტისათვის, მოლაპარაკებებს პარტნიორებთან, ფესტივალის საერთაშორისო პროგრამის მონაწილეებთან და სხვა. რიგ შემთხვევებში საჭირო გახდა სამუშაოების თავიდან განხორციელება, თარიღების ცვლილება, მოლაპარაკებების ხელახლა გამართვა. შედეგად განისაზღვრა ფესტივალის პარტნიორები, დასრულდა საერთაშორისო პროგრამის ცხრილი, ფესტივალის საერთაშორისო პროგრამის მონაწილეებთან ლოჯისტიკის, ტექნიკურ, ფინანსურ და სხვა საკითხებზე შედგა შეტანხმება, 2021 წელს პროგრამას დაემატა ვორქშოპები და ტრეინინგები თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით. ამასთან ერთად, დიზაინერებთან აქტიური მუშაობით დასრულდა ფესტივალის ვიზუალური სახის და ვებ-გვერდის ცვლილება. მიუხედავად სირთულეებისა სამუშაო პროცესი არ შეწყვეტილა ზაფხულში და შესაძლებელი გახდა სრული პროგრამის გადატანა ნოემბერში. ქართული სპექტაკლების პროგრამა გადაინაცვლებს მომავალი წლის მაისში, ხოლო საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა 2 კონცერტი, 3 არტ ინსტალაცია ფილმით და განხორციელდა 13 ვორქშოპი/ტრენინგი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 10-მდე მოწვეული დასის მიერ 15-მდე სპექტაკლის, 35-მდე ქართული დასის მიერ 20-მდე სპექტაკლის და 10-მდე ვორქშოპი/ტრენინგის განხორციელება.

მიღწეული მაჩვენებელი - წარმოდგენილ იქნა 2 კონცერტი, 3 არტ ინსტალაცია ფილმით და განხორციელდა 13 ვორქშოპი/ტრენინგი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განპირობებულია ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვებით და ფესტივალის განხორციელების თარიღებში ცვლილებების შეტანით.

08 01 05 სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი

2021 წლის გეგმა - 472.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 470.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების და შენობის იჯარის ხარჯები. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, სარეპეტიციო პროცესი ნაწილობრივ მიმდინარეობდა ონლაინ და ჩატარდა ონლაინ სპექტაკლები „ერთი კაცის ნაამბობი“, „პარტახი“ და „ქვრივები“. გაიმართა სპექტაკლების პრემიერა „ცილინდრი“, „ორი მსახიობისთვის“ და სატელევიზიო პრემიერა სპექტაკლის „ერთი კაცის ნაამბობი“. გარდა ამისა, ჩატარდა მცირე სარემონტო სამუშაოები (შეიღება სცენის კედლები და ამფითეატრი, მოწესრიგდა სანტექნიკა). აღსანიშნავია, რომ კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით მიმდინარე პერიოდში თეატრი ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში მუშაობდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს წარმოდგენილი იქნა 8 მიმდინარე და ერთი განახლებული საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 575.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 80-მდე მიმდინარე და 2 საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშაულოდ 2500-მდე მაყურებელი დაესწრება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 34 მიმდინარე, 4 საპრემიერო სპექტაკლი, 2 ლაივ პრემიერა (ონლაინ მაყურებელი - 6000), 1 სატელევიზიო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 1250.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მაყურებელთა სიმცირე განპირობებულია ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვებით.

08 01 08 სამეფო უბნის თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სამეფო უბნის თეატრი

2021 წლის გეგმა - 321.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 316.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, სარეპეტიციო პროცესი მიმდინარეობდა ონლაინ და ჩატარდა ონლაინ სპექტაკლები „დილის ტრაგედიები“ და ხმა ქართველი ქალისა“. ახალი პროექტისათვის შეიქმნა 30 მოკლე პიესა და მომზადდა სცენა (სცენის ტექნიკური და სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები), კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით განხორციელდა სპექტაკლის - „მსახურთა შემოდგომა“ პრემიერა, ხოლო ისრაელის საელჩოსთან ერთად პროექტი - „Trulove Ltd”, საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში თეატრი იმყოფებოდა ქალაქ

ერევანში, ისრაელის საელჩოს და ბაკურ სულაკაურის გამომცელობასთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა 5 თანამედროვე ებრაული პიესის პრეზენტაცია, თეატრის და ბიდგოშცის თეატრის მსახიობების მონაწილეობით პოლონეთში გაიმართა ჩვენება „არაფერი ჩვენ შესახებ უჩვენოდ“, კომპანია „ქამელეონთან“ თანამშრომლობით გაიმართა ფრანგი დრამატურგის ბერნარდ მარი კოლტესის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საჯარო ლექცია. გარდა ამისა, განხორციელდა სცენის ტექნიკური რეაბილიტაციის (სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები) და ჩრდილოეთ კედელზე არსებული ბზარის შეკეთება-გამაგრების სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით მიმდინარე პერიოდში თეატრი ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში მუშაობდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს წარმოდგენილი იქნა 21 მიმდინარე და 2 საქველმოქმედო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2232.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 120-მდე მიმდინარე, 3-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშაულოდ 14000-მდე მაყურებელი ესწრება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 16 მიმდინარე, 2 საპრემიერო სპექტაკლი, 4 ლაივ პრემიერა, 11 სპექტაკლი ღია ცის ქვეშ (მაყურებელი - 800), სულ მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 1600.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მაყურებელთა სიმცირე განპირობებულია ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვებით.

08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები, სკოლების, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი,

2021 წლის გეგმა - 3,457.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,942.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 85.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება, კულტურის მიმართულების ღონისძიებების განხორციელება, გამოცდილების შეძენა, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის დაინტერესება, ხელოვნების სკოლების და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის განვითარება, შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (N20 და N19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით (თვეში საშუალოდ - 277 მოსწავლე), N28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე (თვეში საშუალოდ - 157 მოსწავლე), ჰ.გონაშვილის N29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით (თვეში საშუალოდ - 101 მოსწავლე) და ალიოზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის ბაზაზე საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე (კაპელა) მოსწავლეთა უფასო სწავლება (თვეში საშუალოდ - 150 მოსწავლე), გრძელდება ხელოვნების სკოლების (33 სკოლა/კოლეჯი/სტუდია/ გიმნაზია, 660 მოსწავლე) სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსება, ამასთან, გაწეულია ხელოვნების სკოლების (30 სკოლა), ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის და ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ მოხმარებული კომუნალური, დასუფთავების, ინტერნეტის და ბუღალტრული პროგრამის უზრუნველყოფის ლიცენზიის გაგრძელების ხარჯები, ხოლო ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად - 840.1 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლის ჩასაბერ საკრავთა ორკესტრის მოსწავლეთა

ბათუმში გამართულ ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად სასტუმროში განთავსების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოსწავლეთა რაოდენობა თვეში საშუალოდ 1387 მოსწავლე (მ.შ. – 750 გოგო, 677 - ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 727 (მ.შ. 280 - გოგო, 477 - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 470 გოგო, 190 ბიჭი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - თვეში საშუალოდ 1345 მოსწავლე (მ.შ. – 775 გოგო, 570 - ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 685 (მ.შ. 290 - გოგო, 395 - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 485 გოგო, 175 ბიჭი).

08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 1,543.0ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,599.0 ათასი ლარის 96.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 03 10 ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

2021 წლის გეგმა - 149.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 124.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 82.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გამოფენები, აქციები, შეხვედრები და კონკურსები, ბავშვთა, მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების ჩართულობა, საზოგადოების დაინტერესება და მათი ზოგადი განათლების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია გალერეას ფუნქციონირების ხარჯები. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ღონისძიებები არ განხორციელებულა, ხოლო ონლაინ მეცადინეობის პროცესი მიმდინარეობდა 10 მოსწავლესთან.

08 03 12 მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ "მუზეუმების გაერთიანება"

2021 წლის გეგმა - 1,449.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,419.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში, მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: მიმდინარეობდა თბილისის მუზეუმების გაერთიანების სოციალურ ქსელებში გრძელდება გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ნარატივებისა და თემების გამოყენებით საინფორმაციო-შემეცნებითი და ზოგადსაგანმანათლებლო ციფრული კამპანიები, სოციალურ ქსელებში ფონდებისა და კოლექციებისათვის შეძენილ იქნა სხვადასხვა ტიპის ეპოქალური და ტიპოლოგიური ნივთები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში დაიგეგმა ერთობლივი კონფერენციების და სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება, მუზეუმების კვირეულის ფარგლებში ჩატარდა 14 საგანამანათლებლო პროგრამა და ესწრებოდა 140 მონაწილე. ასევე, გაფორმდა მემერანდუმი ა(ა)იპ „არტ ინსეფშენ ჯეორჯია“-სთან, რომლის მიზანია თანამშრომლობის განვითარება, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კვლევითი თანამშრომლობის განცითარების და ერთობლივი პროექტების, გამოფენების, კონფერენციების და სხვა საქმიანობების ერთობლივი განხორციელება. ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმში აღინიშნა ზაქარია ფალიაშვილის 150 წლის იუბილე, 4-წლიანი რეაბილიტაციის შემდეგ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-

მემორიალური მუზეუმი გაიხსნა. ასევე, განხორციელდა შესასვლელი კარის დამზადება-მონტაჟის სამუშაოები, 130 ერთეულით გაიზარდა სამუზეუმო ფონდები (შეძენილი იქნა სხვადასხვა ტიპის ეპოქალური და ტიპოლოგიური ნივთები, მიმდინარეობდა მათი რეგისტრაცია, აღიცხვა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადება საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად) და სხვა. მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების მიხედვით სულ ძირითად შემოსულობათა წიგნებში რეგისტრირებულია 848 დასახელების 1271 ექსპონატი, საინვენტარო წიგნებში გადატანილია 180 დასახელების 212 ექსპონატი, აღწერილთა ელექტრონული ვერსია მომზადებულია 1434 დასახელების 1456 საფონდო ერთეულზე, დროებითი შემოსულობათა ნომერი მიენიჭა 832 დასახელების 861 საფონდო ერთეულს. მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების მიერ ჩატარდა 60 ღონისძიება, მათ შორის 40 საგანმათლებლო ღონისძიება, რომელსაც დაესწრო 392 მონაწილე. მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებსა და ბინა-მუზეუმებში ვიზიტორებისა და დამთვალიერებლების რაოდენობამ შეადგინა 3306.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - გასაახლებელი და აღსაჭურვია სამუზეუმო სივრცეები

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 2 ობიექტის პროექტირება-რეაბილიტაცია, 6 ობიექტის აღჭურვა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1 ობიექტის რეაბილიტაცია და აღჭურვა

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოხდა ნაკლები ობიექტის რეაბილიტაცია-აღჭურვა

08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება დაფინანსებულია 1,078.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,286.1 ათასი ლარის 83.9%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

08 04 01 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი”

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

2021 წლის გეგმა - 609.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია საკონცერტო ორკესტრის ფუნქციონირების ხარჯები. ბიგ-ბენდმა კონცერტები გამართა სხვადასხვა ლოკაციებზე საერთაშორისო პროექტის „თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ ფარგლებში. ასევე მონაწილეობა მიიღო ჯაზ ფესტივალის, საპატიო თბილისელების დაჯილდოვების, პროფესორ საბთაი ცურისათვის კავკასიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მინიჭების ცერემონიალის, საახალწლოდ ორგანიზებულ ღონისძიებებში, თბილისიის მერიის საიმიჯო კლიპის გადაღების პროცესში და სხვა. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში საკონცერტო ორკესტრი ნაწილობრივ დისტანციურად მუშაობდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ორკესტრი ყოველწლიურად საშუალოდ 30-მდე ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა საშუალოდ 40-მდე ღონისძიების ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა იქნა მიღებული 20-მდე ღონისძიებაში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემცირება განაპირობა ქვეყანაში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ.

08 04 03 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი

2021 წლის გეგმა - 316.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 284.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი პანთეონები და საზოგადეობის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის, ,,ხოჯევანქი" და ახალი პანთეონი) მოვლა-პატრონობის ხარჯები (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯები). ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენის, ახალ პანთეონში საფლავების ვიდეო-აუდიო აპარატურით აღჭურვის, არსებული საფლავების კეთილმოწყობის (22 საფლავი) და შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის მოვლა-შენახვის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - პანთეონებში (მთაწმინდის, დიდუბის, ,,ხოჯევანქი" და ახალი პანთეონი) მოვლილი და კეთილმოწყობილი საფლავები

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებლი შესრულდა (მათ შორის ახალ პანთეონში კეთილმოეწყო 22 საფლავი)

08 04 04 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები

2021 წლის გეგმა - 360.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 184.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 51.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ვიქტორ დოლიძის სახელობის №15 ხელოვნების სკოლის დაზიანებული გათბობის ქვაბის

დემონტაჟის, ახალი ქვაბის შეძენის და მონტაჟის სამუშაოები, მერი ნაკაშიძის სახელობის №17 ხელოვნების სკოლის გათბობის ქვაბის მონტაჟის, გათბობის სისტემის მოწესრიგების, ონკანების შეცვლის და გათბობის ქვაბის რკინის გისოსებში ჩასმის სამუშაოები, სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის დაზიანებული გათბობის ქვაბის შეკეთების სამუშაოები, ალოიზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლისათვის კომპიუტერის და ელექტრო გიტარის ლედ სანათების შეძენის, დავით ანდღულაძის სახელობის №14 ხელოვნების სკოლის შენობაში დაზიანებული ელექტროსადენების მოწესრიგების, გიორგი ცაბაძის სახელობის №25 ხელოვნების სკოლისათვის გათბობის ქვაბის შეძენა, კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის №7 ხელოვნების სკოლისათვის კარის მექანიზმის შეძენა, ხელოვნების სკოლისათვის „აფხაზეთი №1“ 2 შვედური კედლის შეძენა, პეტრე ამირანაშვილის სახელობის №18 ხელოვნების სკოლისათვის საექსპერტო მომსახურების ხარჯები და საკანალიზაციო სისტემის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოების, ხელოვნების სკოლებისათვის (№1, №3, №15, №17, №20, №26, №27, №28, №29) და კოლეჯისათვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენის, №30 ხელოვნების სკოლის ინვენტარის და ინსტრუმენტების გადაზიდვა-დასაწყობების, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №5 ხელოვნების სკოლის, №23 და №30 ხელოვნების სკოლების საექსპერტო მომსახურების ხარჯები, მზიურის პარკში მდებარე შენობისათვის ელექტრონული მართვის ფარდა-ჟალუზის და ავეჯის, სულხან ცინცაძის სახელობის №16 ხელოვნების სკოლისათვის სკამების და მაგიდების შეძენის, ობიექტებში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 24.2 ათასი ლარი გარდაცვლილი ქართველი მსახიობის, კინორეჟისორისა და სცენარისტის გიორგი შენგელაიას საფლავის კეთილმოწყობის ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 4 ობიექტი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 5 ობიექტი, მცირე სარემონტო სამუშაოები - 5 ობიექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 27 კულტურის ობიექტისათვის ფუნქციონირების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებები.

08 05 კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური,

2021 წლის გეგმა - 6,574.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,341.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 96.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის გადაქცევა რეგიონის კულტურის ცენტრად, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული აქტივობების განხორციელების შედეგად, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 3,393.1 ათასი ლარით დაფინანსდა სამსახურის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები, მათ შორის: სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით 5 ღონისძიება, თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობის მიზნით 44 ღონისძიება, ფესტივალების, კონკურსების, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით 129 ღონისძიება. ასევე, დაფინანსდა ა(ა)იპ თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ფუნქციონირების და ფესტივალის ღონისძიებების (მათ შორის საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, დასრულდა თბილისის საჯარო სკოლების (177 სკოლა) ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლების პროცესი, მადრიდის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“, საკუთარი სტენდით იყო წარმოდგენილი, სადაც გაიმართა რამდენიმე საქმიანი შეხვედრა, „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ მხარდაჭერით, მწერალთა სახლის ორგანიზებითა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, საქართველო

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ლიტერატურული პროგრამით წარსდგა) ხარჯები - 2,679.6 ათასი ლარით, ა(ა)იპ საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი „პიანისტთა თბილისის VII საერთაშორისო კონკურსის“ ჩატარების მიზნით - 14.8 ათასი ლარით, ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრი „29-ე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „შემოდგომის თბილისი“ განსახორციელებლად („შემოდგომის თბილისი“ სატელევიზიო ფორმატში ვიდეო გადაღება-ჩაწერა) - 191.1 ათასი ლარით, ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი „თბილისის საგუნდო მუსიკის XI საერთაშორისო ფესტივალის“ ჩასატარებლად 63.1 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 407.2 ათასი ლარი 2021 წლის 1-15 იანვარს, საახალწლო კონცერტების ორგანიზების და საბავშვო ჟურნალის „დილა“ გამოცემის უზრუნველსაყოფად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა 185 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 3500 მონაწილე საშუალოდ წლის განმავლობაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 173 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 3500 მონაწილე.

08 06 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 15,439.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 19,264.0 ათასი ლარის 80.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 06 01 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სპორტული ცენტრები

2021 წლის გეგმა - 5,118.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,079.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები, მატერიალურად წახალისებული მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 30 სპორტული ფედერაცია: ბეისბოლის, ჭადრაკის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, ფარიკაობის, ტაეკვონდოს, მძლეოსნობის, სროლის, უშუს, მაგიდის ჩოგბურთის, უძლიერეს მამაკაცთა, კრივის, მშვილდოსნობის, დარბაზის ჰოკეის, ტაილანდური კრივის და კიკბოქსინგის, სპორტული ცოცვის, გირის სპორტის, მას-რესლინგისა და ძალისმიერი ფიტნესის, საწყლოსნოს, ქართული ჭიდაობის, ნიჩბოსნობის, ათლეტიზმის, ხუთჭიდის და ტრიატლონის, ჭიდაობის, კალათბურთის, ნარდის, საავტომობილო სპორტის, დრიფტის და დრაგის, ამერიკული ფეხბურთის, ველოსპორტის და კენდოს, იაიდოს და ჯოდოს ფედერაცია, საქართველოს 29 სპორტული ფედერაცია: საბრძოლო ხელოვნებების, სამთო სირბილის, ჭიდაობის, ძიუდოს, კრივის, უძლიერეს მამაკაცთა, ფრენბურთის, საწყლოსნო, ხელბურთის, ჩოგბურთის, ათლეტიზმის, ველოსპორტის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, სავატეს, ტანვარჯიშის, მინი გოლფის, ბადმინტონის, გირის სპორტის, მასრესლინგის და ძალისმიერი ფიტნესის, ფარიკაობის, ეტლით ფარიკაობის, ფეინთბოლის, სამბოს, ყინულის ჰოკეის, კარატეს, ძალოსნობის, კონტაქტური კარატეს, ჭადრაკის, მკლავჭიდის და ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია. ასევე, დაფინანსდა: ა(ა)იპ "საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "სპორტული კლუბი დიდუბე 2014", ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი "ცხუმ-აფხაზეთი", ა(ა)იპ "სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი კოლხი", ა(ა)იპ "კავშირი მშვიდობის თასი - საქართველო", ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ნიკე", ა(ა)იპ "საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია", ა(ა)იპ "სპორტის მართვის მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების ასოციაცია", ა(ა)იპ "კასტირიონი", ა(ა)იპ "საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი", ა(ა)იპ "ჩოგბურთი", ა(ა)იპ "7X7 ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "ახალგაზრდული მედია კავშირი", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ეროვნული მინი ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ ქ. თბილისის ბადმინტონის ქალთა სპორტული კლუბი „ვუმენს ფაუარ“, ა(ა)იპ "საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის

აკადემია", ა(ა)იპ "გრანდ ავლაბარი", ა(ა)იპ "ფენიქსი 2020", ა(ა)იპ "საფეხბურთო კლუბი კრწანისი", ა(ა)იპ "აფხაზეთის ძიუდოს აკადემია", ა(ა)იპ "ორიონი 1", ა(ა)იპ "ს.კ. გოლიადორი 2017" და ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ს.ტ.უ. ყოჩები", ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ავჭალა“, ა(ა)იპ რაგბის კლუბი „წიქარა“, ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ლაშარი“, ა(ა)იპ „თბილისი ბასკეტ“, ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი „არენა 76“, ა(ა)იპ ხელბურთის კლუბი „პეგასი“, ა(ა)იპ „თბილისის ჯიუ-ჯიცუს ქალთა სპორტული კლუბი საკურა“, ა(ა)იპ „ქალთა ქროსფიტისა და მას-რესლინგის კლუბი შავი მამბა“, ა(ა)იპ „საკალთბურთო კლუბი ბასტიონი“, ა(ა)იპ „ქალთა და მამაკაცთა ფრენბურთის კლუბი „თბილისი“, ა(ა)იპ ქალთა სპორტული კლუბი „ატალანტა“, ა(ა)იპ „თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ქალთა კლუბი“, ა(ა)იპ „საქართველოს სპორტის ქვიშის სახეობათა ეროვნული ასოციაცია“,

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო–საწვრთნო შეკრებები, თბილისის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პირველობებში და ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში, საერთაშორისო ტურნირში. სულ დაფინანსდა 175 პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 22572 ბენეფიციარმა (მ.შ 16141 კაცმა, 6431 ქალმა), კერძოდ:

თბილისის თასის გათამაშებები, პირველობები და ჩემპიონატები: ჭადრაკში, ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, სასტენდო და პნევმატური იარაღიდან სროლაში, უშუში, მაგიდის ჩოგბურთში, კრივში, მშვილდოსნობაში, ტაილანდურ კრივში და კიკბოქსინგში, ცურვაში, ხუთჭიდში და ტრიატლონში, კალათბურთში, ნარდში, ქართულ ჭიდაობაში, სინქრონულ ცურვაში, ველოსპორტში, სწრაფ ცოცვაში, მას-რესლინგში და ძალისმიერ ფიტნესში, ტრადიციულ სახეობებში და მინი გოლფში. ასევე, თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თასის გათამაშებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში: კრივში, მშვილდოსნობაში, დარბაზის ჰოკეიში, ქართულ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, შერეულ საბრძოლო ხელოვნებებში, მაგიდის ჩოგბურთში, დრიფტში, ფრენბურთში და ძალოსნობაში. თბილისელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში

საქართველოში და საზღვარგარეთ: უძლიერეს მამაკაცთა დისციპლინებში, კრივში, წყალში ხტომაში, საავტომობილო სპორტში, ძიუდოში, ამპუტანტთა ფეხბურთში, პარაწოლჭიმში, ჩოგბურთში, მინი ფეხბურთში, ათლეტიზმში, წყალბურთში, ხელბურთში, ფარიკაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, აკრობატიკაში, პარაწოლჭიშმი, ბადმინტონში, მას-რესლინგში, კენდოში და კიკბოქსინგში.

განხორციელდა თბილისის ბეისბოლის/სოფტბოლის სპორტული სექციებისთვის, საკალათბურთო კლუბ „ცხუმ-აფხაზეთისთვის“, ძალისმიერი ფიტნესის, მას-რესლინგისა და ქროსფიტის თბილისის ნაკრები გუნდებისთვის და ქალთა სპორტული კლუბი „ვუმენს ფაუარ“-ისთვის სპორტული დარბაზის იჯარის დაფარვა, გაიმართა სახელობითი ტურნირები: ფარიკაობაში, სასტენდო სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, დარბაზის ჰოკეიში, ქართულ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, უძლიერეს მამაკაცთა დისციპლინებში, ჭადრაკში, სამჭიდსა და ოთხჭიდში. დაფინანსდა სასწავლო-საწვრთნო შეკრებები: მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, ბეისბოლ/სოფტბოლში, კრივში, ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ტაეკვონდოში, უშუში, ეტლით ფარიკაობაში და ფარიკაობაში. ასევე, დაფინანსდა: ქუთაისში სპორტულ ტანმოვარჯიშეთა გუნდის მონაწილეობა რესპუბლიკურ პირველობაზე "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები", ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პირად-გუნდურ ღია პირველობაზე ძალოსნობაში თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა (17 წლამდე), ა(ა)იპ "თბილისის ძალოსნობის ფედერაციის" ძალოსნობის დარბაზის (ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ბ.) კომუნალური ხარჯების დაფარვა, ბათუმში აჭარის ღია პირველობაზე დარბაზის ჰოკეიში თბილისის ჰოკეის მამაკაცთა გუნდის მონაწილეობა, ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის მომზადება ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მონაწილეობისთვის, "თბილისის სათავგადასავლო გარბენი", სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატი "თბილისის ლიგა 2"-ში სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი "კოლხი"-ის მონაწილეობის საწევრო გადასახადის დაფარვა, ფეხბურთის ასაკობრივი ჩემპიონატი "მშვიდობის თასი - 2021", ბუდაპეშტში, ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის შესარჩევ სალიცენზიო-საკვალიფიკაციო ტურნირში მწვრთნელ ოთარ ტატიშვილის მონაწილეობა, სამოყვარულო ფეხბურთში "თბილისის ლიგა 2021", ქართული სპორტის ტრადიციული სახეობებისა და

თამაშების მწვრთნელთა სასწავლო სემინარები, "თბილისის სასკოლო ლიგა 2021", შემაჯამებელი "სპორტფოტო 2020 - Sportphoto 2020", სამთო სირბილში "ლისი თრეილ რეის" (თბილისის თასის მეორე ეტაპი), 7X7 ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატები თბილისის "MASTER LEAGUE", "MASTER LEAGUE-2", "MASTER LEAGUE-3" და "თბილისის მერიის თასი", სამთო სირბილში "ჩილი ჭილი რან"-ის (თბილისის თასის მესამე ეტაპი), პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა"-ს ფარგლებში ჯომარდობის, პეინტბოლის, მშვილდოსნობის და ზიპლაინის აქტივობები, საგურამოში გასვლითი სამუშაო შეხვედრა თემაზე "სპორტი თანამედროვე ეპოქაში-მიზნები, გამოწვევები და შესაძლებლობები", შშმ პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაას ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებები, ბაქოში ასაკობრივ ჯგუფებში FIG-ის 28-ე მსოფლიო ჩემპიონტზე თბილისელი მწვრთნელის მონაწილეობა, ყაზბეგის რაიონში დაბა სტეფანწმინდაში საერთაშორისო ტურნირ GFC 13-ში საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაციის ნაკრების და საჩვენებელი ჯგუფის მონაწილეობა, ბათუმში აჭარის ღია პირველობაზე ბატუტზე ხტომებში თბილისის ორი გუნდის მონაწილეობა, იმერეთის ღია პირველობაზე თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა მაგიდის ჩოგბურთში, ხელვაჩაურის კომპლექსური სპორტული სკოლის დარბაზში იუნესკოს მიერ ქართული ჭიდაობის მსოფლიო აღიარების დღისადმი მიძღვნილი ტურნირზე თბილისის ქართული ჭიდაობის ნაკრები გუნდის მონაწილეობა, "თბილისი ჰილს სამთო გარბენი" (თბილისის თასის მეოთხე ეტაპი), GFC (Georgian Fighting Championship - ქართული საბრძოლო ჩემპიონატი), მედია-ტურნირი ტექბოლში, ბაკურიანში ეტლით თხილამურის ჩემპიონატში - „ბაკურიანი 2022“ თბილისელი შშმ ჯარისკაცების, ვეტერანებისა და შშმ მამაკაცების მონაწილეობა.

თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა 49 სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, ინვენტარით და ეკიპირებით ისარგებლებს 5794 ბენეფიციარი (მ.შ. 4194 კაცი, 1600 ქალი). კერძოდ: ა(ა)იპ "თბილისის ფარიკაობის N1 ფედერაცია", ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი "ცხუმ-

აფხაზეთი", ა(ა)იპ "თბილისის ბეისბოლის ფედერაცია", ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ნიკე", ა(ა)იპ "სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი კოლხი", ა(ა)იპ "გრანდ ავლაბარი", ა(ა)იპ სპორტული კლუბი "დიდუბე 2014", ა(ა)იპ "საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის აკადემია", ა(ა)იპ "თბილისის ჭიდაობის ფედერაცია", ა(ა)იპ „საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ ,,ჩოგბურთი", ა(ა)იპ „საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ „ფენიქსი 2020", ა(ა)იპ „აფხაზეთის ძიუდოს აკადემია", ა(ა)იპ „თბილისის ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაცია", ა(ა)იპ „ორიონი 1", ა(ა)იპ ,,საფეხბურთო კლუბი კრწანისი", ა(ა)იპ „საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი", ა(ა)იპ „ს.კ. გოლიადორი 2017", ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ს.ტ.უ. ყოჩები", ა(ა)იპ „გირის სპორტის, მას-რესლინგის, ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის, (ძალისმიერი ფიტნესის) თბილისის ფედერაცია", ა(ა)იპ „საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია", ა(ა)იპ „თბილისი-ბასკეტი", ა(ა)იპ „ხელბურთის კლუბ პეგასი", ა(ა)იპ „ქალთა ქროსფიტისა და მას-რესლინგის კლუბ შავი მამბა", ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ლაშარი", ა(ა)იპ „კავშირი თბილისის კრივის ფედერაცია", ა(ა)იპ „საკალათბურთო კლუბი არენა-76", ა(ა)იპ „ტაეკვონდოს თბილისის საქალაქო ფედერაცია", ა(ა)იპ „საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ „ახალგაზრდული მედია-კავშირი", ა(ა)იპ „საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაცია", ა(ა)იპ „ბასტიონი", ა(ა)იპ „ქალთა სპორტული კლუბი „ატალანტა", ა(ა)იპ „ქალთა და მამაკაცთა ფრენბურთის კლუბი "თბილისი", ა(ა)იპ ,,თბილისის ნარდის ფედერაცია", ა(ა)იპ „თბილისის ამერიკული ფეხბურთის ფედერაცია", ა(ა)იპ ,,თბილისის ველოსპორტის კავშირი", ა(ა)იპ ,,თბილისის უშუს ფედერაცია", ა(ა)იპ ,,თბილისის სროლის სახეობათა ფედერაცია", ა(ა)იპ ,,თბილისის ჯიუ-ჯიცუს ქალთა სპორტული კლუბი საკურა", ა(ა)იპ „თბილისის მშვილდოსნობის ფედერაცია", ა(ა)იპ „თბილისის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაცია", ა(ა)იპ „საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ „რაგბის კლუბი წიქარა", ა(ა)იპ „ რაგბის კლუბი ავჭალა", ა(ა)იპ „ქ. თბილისის ბადმინტონის ქალთა სპორტული კლუბი ვუმენს ფაუარ" და ა(ა)იპ „თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ქალთა კლუბი",

2020 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 5 თბილისელი სპორტსმენი ჭიდაობაში (1 პრიზიორი), კარატეში (1 პრიზიორი) და ძიუდოში (3 პრიზიორი). 2021 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე ოლიმპიურ და პარალიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 15 ფედერაციის 58 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 48 კაცი, 10 ქალი), ხოლო 2021 წლის საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 2 ქალთა გუნდი (40 ქალი),

გარდა ამისა, ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ „წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“,

შრომის ანაზღაურების ნაწილობრი დაფარვის, დეკემბრის კომუნალური ხარჯების და წყლის ქიმიური საშუალებების შესაძენად სუბსიდიის სახით დაფინანსდა შპს „წყალთა სახეობის ცენტრი - ტონუსი“,

რაგბის კლუბი „ხვამლისთვის“ რაგბის სათამაშო ფორმების შესაძენად და სადაზღვევო მომსახურების შესაძენად დაფინანსდა ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“,

კომუნალური ხარჯების დასაფარად დაფინანსდა: ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი",

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2021 წლის განმავლობაში გაგრძელებისთვის დაფინანსდა: ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტულ ცენტრი იმედი“, ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი" და ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიურ მზადების სპორტული ცენტრი“,

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად დაფინანსდა: ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ

„ქალაქ თბილისის მერიის ფეხბურთის ცენტრი იმედი“, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი", ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი“. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 18.0 ათასი ლარი 1981 წლის 13 მაისს თბილისის დინამოს მიერ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვებიდან, 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამარჯვებაში მონაწილე 15 ვეტერანი ფეხბურთელისა და სამი გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების მიზნით. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 18.0 ათასი ლარი 1981 წლის 13 მაისს თბილისის დინამოს მიერ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვებიდან, 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამარჯვებაში მონაწილე 15 ვეტერან ფეხბურთელს და სამი გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახისათვის ფინანსური დახმარება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დაფინანსდა დაფინანსდა 54 პროექტი: (მათ შორის 43 სპორტული ღონისძიება და 11 ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - 200-მდე პროექტის განხორციელება (მათ შორის დაახლოებით 10 სპორტული ორგანიზაციისთვის სპორტული ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 228 პროექტი (მათ შორის 49 სპორტული ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დაჯილდოვდა 2 სპორტსმენი (კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის დაახლოებით 60 თბილისელი სპორტსმენის დაჯილდოება.

მიღწეული მაჩვენებელი - მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, ასევე ოლიმპიურ/პარალიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 2020 წლის ჩემპიონატებში გამარჯვებული 5 თბილისელი სპორტსმენი, 2021 წლის ჩემპიონატებში გამარჯვებული 58 თბილისელი სპორტსმენი, საქართველოს ქალთა

ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 2 ქალთა გუნდი (40 ქალი სპორტსმენი).

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 9 346 ბენეციარი (მათ შორის 7284 კაცი, 2062 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/გაუმჯობესება.

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა მიიღო 28366 ბენეფიციარმა (მათ შორის 20335 კაცი, 8031 ქალი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2020 წელს პანდემიიდან გამომდინარე გარკვეული პერიოდით შეზღდუდული იყო სპორტული ღონისძიებების ჩატარება და ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელებისას დაფიქსირდა დაბალი მომართვიანობა.

08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 2,286.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ–მასწავლებლები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის თვეში საშუალოდ 348 მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს. ესენია: ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, ჭადრაკი, მეკლდეურობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, ბატუტზე ხტომები, ბ/რ ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ფარიკაობა, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, მშვილდოსნობა, ძალოსნობა, ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, მხატვრული ცურვა, აფროსნობა, ძიუდო, კრივი, ხელბურთი, სროლა, ველოსპორტი, რაგბი, ბეისბოლი და სოფტბოლი, ჩოგბურთი, სამბო, ქართული ჭიდაობა, კალათბურთი, კარატე, თანამედროვე ხუთჭიდი, ფუტსალი, ბალახის ჰოკეი, მფრინავი დისკი, უშუ, ბადმინტონი, პარალიმპიური სპორტი - პარაწოლჭიმი, პარაცურვა,

მკლავჭიდი, ხრიდოლი, კიოკუშინკაი კარატე, ფეხბურთი, პანკრატიონი, ტაეკვონდო, ამერიკული ფეხბურთი, კიკბოქსინგი, ამპუტანტთა ფეხბურთი.

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	კაცი
იანვარი	347	70	277
თებერვალი	346	69	277
მარტი	347	69	278
აპრილი	349	70	279
მაისი	349	70	279
ივნისი	349	70	279
ივლისი	349	71	278
სექტემბერი	349	69	279
ოქტომბერი	349	70	279
ნოემბერი	348	69	279
დეკემბერი	350	70	280

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 348 მწვრთნელ – მასწავლებელი (მ.შ. 281 კაცი, 67 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 350 მწვრთნელ–მასწავლებელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 350 მწვრთნელ–მასწავლებელი (მ.შ. 280 კაცი, 70 ქალი).

08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 1,700.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 505.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 29.8%-ია

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდებისთვის შექმნილი სპორტული ინფრასტრუქტურა და არსებულის ჩენარჩუნება, ქუჩის სპორტის განვითარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა

თბილისში, ც. დადიანის ქუჩაზე სკეიტ-პარკის მოედნის მოწყობის სამუშაოები, სამგორის რაიონი, ვარკეთილის ზემო პლატო, ბერიაშვილის ქ. N6-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.19.004.102) და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა, ა(ა)იპ „ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის“ მზიურის მიმდებარედ არსებული ფეხბურთის მოედნის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მომზადდა სკეიტ-პარკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 1 სკეიტ-პარკის მოწყობა, 1 სპორტული მოედნის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და 1 სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი სამუშაოები შესრულდა.

08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, სპორტული ცენტრები.

2021 წლის გეგმა - 8,405.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,922.0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5,053.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 70.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ახალი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრების და სპორტული ობიექტების მშენებლობა, არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები და კომუნიკაციების დაერთება, დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ

მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები და კომუნიკაციების დაერთება, ლილოს დასახლებაში, 107-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე საცურაო აუზის და დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში სპორტული დარბაზის ტრენაჟორებით და სპორტული ინვენტარით აღჭურვა, ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრისთვის“ სამაცივრო დანადგარის შეძენა, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის“ დაზიანებული კედლების და ცხელი წყლის სისტემის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ა(ა)იპ „წყალთა სახეობის ცენტრი - ტონუსის“ საცურაო აუზის ტექნიკური დანადგარების შეძენა, ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და სპორტული დარბაზის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის საინჟინრო ექსპერტიზა, ა(ა)იპ "ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის "გლდანის საცურაო აუზისთვის დანადგარების შეძენა, კულა გლდანელის ჭიდაობის დარბაზის და მუხიანის რაგბის კომპლექსის იატაკების მოწყობა, მუხიანის რაგბის კომპლექსის ტერიტორიის ნაწილის შემოღობვის სამუშაოები, მოედნის დამხაზველი მოწყობილობის და სასუქის შემტანი მოწყობილობის შეძენა, ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრისთვის“ ტურნიკეტების, კომპიუტერების, პრინტერების შეძენა და ვაზისუბნის რაგბის მოედნის რეაბილიტაცია, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის“ სარემონტო სამუშაოები და პარალონის შეძენა, ა(ა)იპ „ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის“ მზიურის მიმდებარედ არსებული ფეხბურთის მოედნის და წყნეთის გზატკეცილზე დახურული ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედნის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მომზადდა 1 სპორტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 4 ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა 2 სპორტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2 ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება ვერ მოესწრო 2021 წელს, დასრულდება 2022 წელს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დასრულდა ერთი სპორტული ობიექტის მშენებლობა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 სპორტულ ობიექტს, დაიწყო და გრძელდება 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობის სამუშოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 3 სპორტული ობიექტის სარემონტო სამუშაოები, 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობის გაგრძელება და 2 სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 4 სპორტული ობიექტის სარემონტო სამუშაოები, 1 ობიექტის რეაბილიტაცია და 1 ობიექტის დემონტაჟი, გრძელდება 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობის სამუშოები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, 3 სპორტული ობიექტის სპორტული ინვენტარით აღჭურვა და გადახდილ იქნა ავანსი ყინულის მოედნის სამაცივრე დანადგარის შესაძენად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 7 სპორტული ობიექტების სპორტული ინვენტარით აღჭურვა.

მიღწეული მაჩვენებელი - 8 სპორტული ობიექტი აღჭურვილია სპორტული ინვენტარით, სამაცივრე დანადგარით.

08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 352.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 351.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული 30 სპორტის სახეობის 18 წლამდე ასაკის თვეში საშუალოდ 234 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი. სპორტული სახეობებია: ფარიკაობა, ფრენბურთი, ბეისბოლი და სოფტბოლი, წყალში ხტომა, ძალოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომები, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ბ/რ ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, კრივი, ცურვა, მხატვრული ცურვა, ნიჩბოსნობა, რაგბი, თანამედროვე ხუთჭიდი, მშვილდოსნობა, მეკლდეურობა, ჩოგბურთი, სამბო, უშუ, ტაეკვონდო, ტაიბოქსი და კიკბოქსინგი, ველოსპორტი, კიოკუშინკაი კარატე.

თვეები	სულ	მათ შორის	
		გოგო	ბიჭი
იანვარი	232	75	157
თებერვალი	236	79	157
მარტი	237	80	157
აპრილი	239	83	156
მაისი	235	84	151
ივნისი	236	86	150
ივლისი	232	88	144
აგვისტო	230	87	142
სექტემბერი	232	88	144
ოქტომბერი	239	79	160
ნოემბერი	235	76	159
დეკემბერი	230	73	157

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩართული 247 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი, მ.შ.165 ვაჟი, 82 გოგონა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 260 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

მიღწეული მაჩვენებელი - 239 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი, მ.შ.160 ვაჟი, 79 გოგონა.

08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი

2021 წლის გეგმა - 1,401.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,294.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა პარასპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ "თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის" ფუნქციონირების ხარჯები: ცენტრში მიმდინარეობდა ინტენსიური საწვრთნელი–სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია თვეში საშუალოდ 214 პარასპორტსმენი და 20 მწვრთნელი.

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	მამაკაცი
იანვარი	217	28	189
თებერვალი	217	28	189
მარტი	217	28	189
აპრილი	217	28	189
მაისი	217	28	189
ივნისი	217	28	189
ივლისი	208	25	183
აგვისტო	208	25	183
სექტემბერი	206	25	181
ოქტომბერი	206	25	181
ნოემბერი	212	25	187
დეკემბერი	222	25	197

ცენტრში ვითარდება 15 პარასპორტული სახეობა, ესენია: ამპუტანტთა ფეხბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობა, პარამკლავჭიდი, პარამშვილდოსნობა, ეტლით მოსარგებლეთა ჩოგბურთი, პარამაგიდის ჩოგბურთი, ბოჩა, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთი, მჯდომარე ფრენბურთი, პარაძიუდო, წოლჭიმი (სპინალური დაზიანების მქონე პირთა

ძალოსნობა), აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების კალათბურთი, ფეხბურთი და პარატაეკვანდო. ასევე, ცენტრში ტარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება. ასევე, შეძენილი იქნა სხვადასხვა სპორტული საქონელი შესაბამისი წარწერით: რაპირის ელექტრო ქურთუკი, საფარიკაო ჩანთა, ხმლის ელექტრო ქურთუკი, საფარიკაო ქურთუკი და შარვალი.

„ინკლუზიური ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში ცენტრი ემსახურება ქ. თბილისის 8 საჯარო სკოლის შშმ მოსწავლეებს და ახორციელებს მათ ტრანსპორტირებას ადაპტირებული მიკრო ავტობუსებით. პანდემიამდელ პერიოდში ცენტრის 7 სატრანსპორტო საშუალება ემსახურებოდა 22 შშმ მოსწავლეს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ონლაინ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა, ამჟამად ცენტრი ემსახურება 2 შშმ მოსწავლეს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს პარაცენტრში 15 სახეობაში მიმდინარეობდა საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, რომელშიც ჩართული იყო 217 პარასპორტსმენი, მ.შ. 189 კაცი, 28 ქალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ 16 პარასპორტული სახეობაში ჩართული 217 პარასპორტსმენი.

მიღწეული მაჩვენებელი - 15 პარასპორტული სახეობა, რომელშიც ჩართულია საშუალოდ 222 პარასპორტსმენი (მათ შორის 197 მამაკაცი და 25 ქალი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილე 3 პარასპორტსმენი ქალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 7 საერთაშორისო ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღო 39 პარასპორტსმენმა (მათ შორის 33 მამაკაცი და 6 ქალი).

08 08 ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია 1,703.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,967.9 ათასი ლარის 96.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

2021 წლის გეგმა - 1,215.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,011.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 83.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ახალგაზრდების ბანაკებში, სარეკრეაციო აქტივობებში და მასობრივ ახალგაზრდულ ღონისძიებებში ჩართულობის ხარისხი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის და ხარისხის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაციის პროექტი - „სოციალური მეწარმეობის სკოლა“, რომლის მიზანი იყო მოწყვლადი ჯგუფების (შშმ პირები, სოც. დაუცველი ახალგაზრდები, ყოფილი ქალი მსჯავლდებულები) დასაქმების ხელშეწყობა, მათთვის პროფესიული განათლების და სოციალური მეწარმეობის უნარების შესწავლის და გამომუშავების გზით, საქართველოს კიბერსპორტის ფედერაციის პროექტი - „თბილისის თასი 2021“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართვა ექსტრემალურ სპორტში, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდასაჭერად, ფეინთბოლის პოპულარიზაციის მხარდაჭერა ახალგაზრდებში და პროექტი - “E - ლიგა (ფიფა 22)“, რომლის მიზანი იყო კიბერსპორტის განვითარება საქართველოში, ახალგაზრდა კიბერმოთამაშეების წახალისება და კიბერსპორტის პროფესიონალურ დონეზე აყვანა, რაგბის ასოციაციის პროექტი - „მარადონას კედელი“, რომლის მიზანი იყო ქუჩის ხელოვნების პოპულარიზაცია და ქალაქის იერსახის გალამაზება, აფხაზეთი-ჩემი სახლის პროექტი - „დებიუტი (მეხუთე გამოცემა)“, რომლის მიზანი იყო ნიჭიერი ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების მოტივირება, ხელშეწყობა, ახალგაზრდობაში კულტურულ-საგანმანათლებლო იდეების დანერგვა და ესთეტიკური ფასეულობების განვითარება, სამოქალაქო ინიციატივა საზოგადოების ჯანმრთელობისთვის

პროექტი - „თბილისის მოხალისე“, რომლის მიზანი იყო მოხალისობრივი საქმიანობით დაკავებული ახალგაზრდების წახალისება და მათი გაერთიანება საერთო მოხალისეებრივი პლატფორმის ქვეშ, ახალგაზრდული ინიციატივების სამოქალაქო ცენტრის პროექტი - „თბილისის თასი მინი ფეხბურთში“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების გააქტიურება და ჩართვა სპორტულ აქტივობებში და პროექტი - „ზამთრის ახალგაზრდული ბანაკი“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების დასვენების და რეკრეაციის ხელშეწყობა, საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის პროექტი - „სტუდენტური ორგანიზაციების გასვლითი ფორუმი“, რომლის მიზანი იყო, დედაქალაქში არსებული სტუდენტური ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების ჩართულობის გაზრდა საერთო ღონისძიებების დაგეგმვაში, პოსტპანდემიურ პერიოდში განსახორციელებელი (მოთხოვნადი) ღონისძიებების გამოკვეთა, ა(ა)იპ „ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის“ პროექტი - „ფეინთბოლი - ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდასაჭერად“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართვა ექსტრემალურ სპორტში, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდასაჭერად, ფეინტბოლის პოპულარიზაციის მხარდაჭერა ახალგაზრდებში და პროექტი - „ფეინთბოლი - თბილისის ჩემპიონატი“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართვა ექსტრემალურ სპორტში, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდასაჭერად, რეკრეაციული ფეინთბოლის პოპულარიზაციის მხარდაჭერა თბილისში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანება) „არტ პროექტის“ პროექტი - „გიორგი ფოფხაძის გამოფენა/გაყიდვა - 2021“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდა მხატვრისთვის საგამოფენო სივრცის მოწყობა და მისი ნამუშევრების წარდგენა საზოგადოებისთვის, შემოქმედებითი ასოციაცია „რევერანსის“ პროექტი - „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება”, რომლის მიზანი იყო ბავშვთა საერთაშორისო დღის სათანადოდ აღნიშვნა პანდემიის პირობებში, ყველა მსურველისათვის ხელმისაწვდომობა და შემეცნებით-გასართობი ღონისძიებების გამართვა, ა(ა)იპ „ლაშქრობის“ პროექტი - „თბილისის გარშემო“, რომლის მიზანი იყო თითოეული მონაწილისთვის სალაშქრო თემაზე, უსაფრთხოებასა და ბუნებაში ქცევის წესებზე თეორიული ცოდნის გაზიარება

(გაიმართა 17 ერთდღიანი ლაშქრობა), „კულტურის და განათლების ფონდი”-ს პროექტი - „თაობა 2021“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების დაინტერესება კინოხელოვნებით და მათი პროფესიული უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობა, „ანიმალაბის“ პროექტი - “თბილისის 4-ე საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი”, რომლის მიზანი იყო ანიმაციის სფეროში თანამედროვე გამოცდილების, სიახლეების გაზიარება და ახალგაზრდების დაინტერესება ანიმაციით, „საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაციის” პროექტი - “ქუჩის ხელოვნების საზაფხულო სკოლა”, რომლის მიზანი იყო შემოქმედებითი ახალგაზრდების გაერთიანება და მათი იდეების რეალიზების ხელშეწყობა, „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი - “სტუდენტური ჩემპიონატი ჯომარდობაში“, რომლის მიზანი იყო სტუდენტებში ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ჯომარდობის, როგორც სპორტის სახეობის პოპულარიზაცია, ა(ა)იპ „ლუმოს მაქსიმას“ პროექტი - Khidi Academy/Special course„ რომლის მიზანი იყო ელექტრონული მუსიკის სფეროში დამწყებ ახალგაზრდა არტისტებს მიეცეთ მაღალი ხარისხის განათლება კვალიფიციური ადგილობრივი და უცხოელი მენტორების მეშვეობით, „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი - საქართველოს“ პროექტი - „თბილისის ახალგაზრდული კონფერენცია 2021“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდებში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება, საერთაშორისო კულტურათშორისი დიალოგის ხელშეწყობა და გამოცდილების გაზიარება, ა(ა)იპ „დავითიანნის“ პროექტი - “ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა“, რომლის მიზანი იყო არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათი თვითრეალიზების ხელშეწყობა, „აისეკ საქართველო” პროექტი - „Youth Speak Forum“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდებში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ა(ა)იპ „საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის“ პროექტი - „სტუდენტური ბანაკი ზამთრის სპორტულ სახეობებში“, რომლის მიზანი იყო ზამთრის სპორტული სახეობების პოპულარიზაცია სტუდენტებში და სტუდენტების ჩართვა სპორტულ აქტივობებში, ა(ა)იპ სტარტაპ ბიუროს პროექტი Global Game Jam Georgia – “გლობალური ციფრული თამაშების შექმნის ბუთქემფი

და კონკურსი“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების თვითრეალიზების ხელშეწყობა მეწარმეობის და ინფორმაციული და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულებით.

გარდა ამისა, დაფინანსდა ა(ა)იპ ,,თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ – 482.1 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გრძელდება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსება, მიმდინარე პერიოდში სახლის მიერ გაწეული კომუნალური, დასუფთავების, ინტერნეტმომსახურების ხარჯების დაფარვა, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოხდა თანამშრომელთა სახელფასო ფონდის (იანვარი-ივნისი, სექტემბერი) შევსება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი აერთიანებს ცხრა ფილიალს, რომლის 36 დასახელების წრესა და სტუდიაში ამჟამად ირიცხება 3200-მდე ბენეფიციარი (მათ შორის 1750 სოციალურად დაუცველი და 130 მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე). ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მომზადდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სრული რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ანაზღაურებულია - 64.5 ათასი ლარი, მცირე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის, ჩუღურეთის, ძველი თბილისის, ისნისა და სამგორის ფილიალებში (შეკეთდა გათბობის ქვაბი, კომპიუტერული ტექნიკა, სველი წერტილებსა და შენობებში არსებული დაზიანებები, ჩუღურეთის ფილიალიდან გატანილ იქნა ნაგვის ნარჩენები).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მხარდაჭერილი იყო 24 ახალგაზრდული ინიციატივა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - მხარდაჭერილი იქნა 26 ახალგაზრდული ინიციატივა და განხორციელების პროცესში დასაქმდა 300-ზე მეტი ახალგაზრდა,

საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებში და მასობრივ ღონისძიებებში 10000-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, შემცირდა მასობრივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მომართვიანობა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში საშუალოდ 1000-მდე ახალგაზრდა მონაწილეობს ბანაკებსა და ლაშქრობებში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა 1500 ახალგაზრდამდე.

მიღწეული მაჩვენებელი - ბანაკებსა და ლაშქრობებში მონაწილე 900 ახალგაზრდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების დაწესების გამო შემცირდა საბანაკე ტიპის პროექტების მომართვიანობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - საჭიროა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სამგორის ფილიალი) სრული რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სამგორის ფილიალი) რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 08 02 თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

2021 წლის გეგმა - 752.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 691.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 91.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მასობრივ ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა, ცენტრის პროგრამების ბენეფიციართა რიცხვის გაზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, ცენტრის ორგანიზებით და მხარდაჭერით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში დასრულდა განაცხადების მიღება, „ერასმუს + ახალგაზრდებისთვის“ და "ევროპის სოლიდარობის კორპუსი“ ფარგლებში საერთაშორისო მოხალისეობრივ პროგრამაზე. მიმდინარე პერიოდში ჩატარდა 3 საინფორმაციო შეხვედრა, ახალგაზრდებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ პროგრამის მომდევნო ეტაპებთან დაკავშირებით, ევროკავშირის პროგრამა „Erasmus+“ის გრანტის საფუძველზე განხორციელებული პროექტის - „UPGRADE-Increasing Capacity of Participatory Youth Work“ ფარგლებში მომზადდა პუბლიკაცია ინგლისურ ენაზე „მონაწილეობრივი ახალგაზრდული საქმიანობა“ (Participatory Youth Work). აღნიშნული პუბლიკაცია აღწერს და ანალიზს უკეთებს ახალგაზრდული საქმიანობის ინსტრუმენტებს და მოიცავს წარმატებულ პრაქტიკას. ასევე, გაიმართა დახურვის ღონისძიება (მათ შორის აპარატურის დაქირავება, ტრენერების ანაზღაურება და სასტუმროს ხარჯები), ევროსაბჭოს მხარდაჭერითა (მიღებული გრანტი) და თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების ორგანიზებით ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ, რომლის მიზანი იყო კომპასის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს მეთოდების გაცნობა და პრაქტიკაში გამოყენება. ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება შემოქმედებითი გზით და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ესპანეთში „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებას“, „ევროპის ახალგაზრდული ბარათის ასოციაციასა“ და „ბალეარის ახალგაზრდული ინსტიტუტს“ შორის, რომლის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება, სამომავლო სამოქმედო გეგმის დასახვა (ორგანიზაციებმა გაუზიარეს გამოცდილება ბარათის საწყის ეტაპზე დანერგვასა და გავრცელებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სიღრმისეულად განიხილეს კომერციულ ბანკებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობა და ბარათის მფლობელთა

პირადი ინფორმაციის დაცვის და შენახვის მექანიზმები), ცენტრალური აზიის ევროპის ფონდის ორგანიზებითა და USAID-ის ხელშეწყობით განხორციელდა სასწავლო ვიზიტი (ვიზიტით მყოფი ყაზახი და უზბეკი ახალგაზრდები), რომლის მიზანი იყო ახალგაზრდულ სფეროში გამოცდილების გაზიარება, ძირითადი მიმართულება: სოციალური მეწარმეობა, ლიდერობა, მედია პროექტები, მოხალისეობა, გენდერული თანასწორობა, ინკლუზია, გარემოს დაცვა, ინოვაციური ჰაბები და ახალგაზრდული პოლიტიკის მართვა, გარდა ამისა, გადახდილია ევროპის ახალგაზრდული ბარათის საწევრო გადასახადი - 14.4 ათასი ლარი (თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება 2020 წლის გაზაფხულიდან არის ამ გაერთიანების წევრი).

არაფორმალური განათლების პროგრამის და ტრენინგ ცენტრის ფარგლებში დაგეგმილია წლის განმავლობაში საგანმანათლებლო ტრენინგ-კურსების ჩატარება, რომელიც მოიცავს შემდეგ თემატიკას (ტრენინგ კურსების შერჩევა ეფუძნება ახალგაზრდების დამოკიდებულებისა და საჭიროების კვლევას): „პროექტის მართვა“, „ლიდერობა“, „კონფლიქტების და სტრესის მართვა“, „სოციალური მეწარმეობა და ინოვაცია“, „მოხალისეობრივი საქმიანობა“, „კომუნიკაციის მენეჯმენტი“ და „ვებ დეველოპმენტი“. ცენტრი აქტიურად იყო ჩართული, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭრით მიმდინარე კვლევის „სტუდენტების ხელმისაწვდომობა სასწავლო ლიტერატურაზე“ მიზნობრივი აუდიტორიის მობილიზებაში. აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობდა უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციის და სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ცენტრსა და World Vision საქართველოს შორის შედგა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო საქმიანობის ურთიერთგაცნობა, გაზიარება და მომავალ თანამშრომლობაზე შეთანხმება. World Vision საქართველო ახორციელებს პროექტს - გაეროს ლტოლვილთა საბჭოს (UNHCR)-ის დაფინანსებით, რომლის ფარგლებში, იგეგმება ახალგაზრდული კლუბების შექმნა, თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდული კლუბების კოორდინატორები, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ეწვივნენ ცენტრების გაერთიანებას, „ლიდერთა გენდერული თანასწორობის სკოლა“ (Gender Equality Liedership School) - ასოციაციასთან

„დრონი“ თანამშრომლობის ფარგლებში, გუდაურში, ჩატარდა გენდერული თანასწორობის სკოლა, რომელშიც 6 უნივერსიტეტიდან - 35 ახალგაზრდა მონაწილეობდა. 7 დღის განმავლობაში ესწრებოდნენ ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს, პროექტი - „ახალგაზრდების მიგრაცია“ (ტვინების და ტალანტების გადინება) - ასოციაციასთან „დრონი“ თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა პროექტი. რომელშიც მონაწილებდა 32 ახალგაზრდა შემდეგი ქვეყნებიდან: საქართველო, ბულგარეთი, უკრაინა და საფრანგეთი. მონაწილეემა, მიგრაციის თემაზე გადაიღეს ფილმი, მოაწყვეს ფოტო-გამოფენა, ჩაატარეს ექსკურსიები და ა.შ, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტთან არსებული მემორანდუმის ფარგლებში ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა შეხვედრა ახალგაზრდებთან, თემაზე: რა სურთ ახალგაზრდებს ?!“, რომლის მიზანი იყო არაფორმალურ გარემოში ახალგაზრდების საჭიროებათა იდენტიფიცირება და თვითრეალიზების ხელშეწყობა, აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით, 2021 წლის დეკემბერში არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები ახალგაზრდებისთვის ონლაინ პლატფორმის გამოყენებით (ტრენინგ-კურსების თემატიკა: „ლიდეროობა", „კონფლიქტებისა და სტრესის მართვა“, „კომუნიკაციის მენეჯმენტი“ და „პროექტების მართვა“), დასწრებისა და აქტიური ჩართულობიდან გამომდინარე, კურსის დასრულების სერტიფიკატი გადაეცა 100 ახალგაზრდას.

პროგრამა მერიასთან ერთად - ცენტრი აქტიურად იყო ჩართული კოვიდ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის აქტივობებში. კერძოდ, ადმინისტრირება გაუწია მოხალისეთა პლატფორმას (Stop Covid 19, რომელიც ფუნქციონირებდა, როგორც სატელეფონო (ქოლ-ცენტრი) ცენტრის სახით) და დააფინანსა 6 ჯგუფის (თითოეულში 10-15 ადამიანი) ტრანსპორტირების ხარჯები. ასევე, ცენტრმა ახალგაზრდულ ორგანიზაციებს მათ შორის თბილისში არსებულ ხუთ სპორტულ კლუბს მხარი დაუჭირა ტრანსპორტით უზრუნველყოფაში, ბაკურიანში ჩატარდა ზამთრის სკოლა, რომელშიც 300-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. კერძოდ, კოვიდ 19-ის პლატფორმაში ჩართულმა მოხალისეებმა, ცენტრის მხარდაჭერით „საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ“ უნივერსიადა 2021-ის ფარგლებში ჩატარებულ ჯომარდობის ჩემპიონატზე

უმასპინძლა თბილისში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან 6000-მდე სტუდენტს.

მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით ახალგაზრდულმა ასოციაციამ „დრონი“ განახორციელა პროექტი - „თბილისის ქუჩის ხელოვნება“, რომელიც მიმართული იყო თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის ზრდაზე და მათი, როგორც აქტიური მოქალაქეების როლის გაცნობიერებაზე, პროექტის ფარგლებში დედაქალაქში არსებულ რამდენიმე ლოკაციაზე, პროფესიონალი და არაპროფესიონალი ქუჩის მხატვრების მიერ მოიხატა კედლები. პროექტში ჩართული იყვნენ, როგორც ქართველი ისე უცხოელი მოხალისეები,

ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში საგანმანათლებლო პროცესი (კურსების თემატიკა: ინგლისური ენა, ხელნაკეთი ნივთების დამზადება, გრაფიკული პროგრამირება, IT ინჟინერია, მუსიკა, ჭადრაკი) მიმდინარეობდა აქტიურად, არსებული კოვიდ რეგულაციების დაცვით, ძირითადად დისტანციურ რეჟიმში. მიმდინარე პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 250 მსმენელს,

პროექტი „თბილისის მეგობრობის სახლი“ - „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის" ფარგლებში სწავლება მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში (კვირაში სამჯერ, გაკვეთილის ხანგძლივობა 1 საათი) სახელმწიფო ენის შემსწავლელ უფასო კურსებზე (აღნიშნული კურსის კონტიგენტი, როგორც ადგილობრივი დიასპორის წარმომადგენლები, (სომეხი, რუსი, პოლონელი, აზერბაიჯანელი, ლატვიელები, უკრაინელები, ბელორუსები) ასევე, სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ბოლო პერიოდში დამკვიდრებული ადამიანები არიან), ბენეფიციართა რაოდენობა 240 მსმენელს შეადგენს. რომელნიც თანმიმდევრობით გადიან პრეტესტს და ჯგუფის შევსებისთანავე (მაქსიმუმ 10-15 მოსწავლე, 15 ჯგუფი) იწყებენ სწავლებას. აღნიშნული პროექტი ხორციელდება სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან ერთად. ონლაინ რეგისტრაცია უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. პროექტის „თბილისის მეგობრობის სახლი“ ფარგლებში გაიმართა ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდა წარმომადგენლების საქმიანი შეხვედრა, გამოცდილების გაზიარებისა და ახალი პროექტების შემუშავებისათვის, „თბილისის მეგობრობის სახლის“ წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საკრებულოსთან არსებულ ეროვნულ

უმცირესობათა საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო შეხვედრაში, გამოცდილების გაზიარებისა და ახალი პროექტების შემუშავების მიზნით.

მიმდინარე პერიოდში განახლდა **პლატფორმა www.youthtbilisi.ge**, რომელიც აერთიანებს ცენტრის ბაზაზე არსებულ ელექტრონულ სერვისებს trainers.ge და youth.municipal.gov.ge. პლატფორმა ემსახურება დედაქალაქში მოქმედ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს, მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებულ ახალგაზრდებს, მასპინძელ ორგანიზაციებს, ტრენინგ-ცენტრებს, რომლებიც პორტალის საშუალებით უკავშირდებიან ახალგაზრდულ ცენტრს და აგზავნიან მოთხოვნას პროექტის მხარდასაჭერად სხვადასხვა რესურსის მოთხოვნის მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის სივრცის დათმობა, განხორციელებული ღონისძიება/აქტივობა - 30, გადამზადდა თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების და თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების 483 წარმომადგენელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის სივრცის დათმობა, განსახორციელებელი ღონისძიება/ააქტივობა - 100, გადამზადდება თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების და თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების 1000 წარმომადგენელი.

მიღწეული მაჩვენებელი - ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის სივრცის დათმობა, განსახორციელებელი ღონისძიება/ააქტივობა - 30, გადამზადდა თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების 483 წარმომადგენელი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ვერ განხორციელდა ტრენინგები და სასწავლო კურსები, ახალგაზრდული ჯგუფები და ორგანიზაციები ვერ ახორციელდებდნენ აქტივობებს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 80 ახალგაზრდა გადამზადდა, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლეა 120 ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 400 ახალგაზრდის გადამზადება, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლე 450 ახალგაზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 80 ახალგაზრდის გადამზადება, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლე 250 ახალგაზრდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ვერ განხორციელდა გადამზადების პროგრამა, ასევე, ვერ ხერხდებოდა საკლასო სწავლების განხორციელება.

3.საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩართული 7800 ახალგაზრდა

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში მონაწილე 16000 ახალგაზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩაერთო 7800 ახალგაზრდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ვერ განხორციელდა დაგეგმილი აქტივობები.

08 09 შემოქმედებითი თბილისი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 880.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 862.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რეწვისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება, შემოქმედებითი ინდუსტრიის მოგებასა და ეკონომიკის გაძლიერებაზე მიმართვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 86 პროექტი (შემოქმედებითი ინდუსტრიების ოთხ მთავარ მიმართულებაში:

საგამომცემლო საქმიანობა, დიზაინი და რეწვა, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, ვიზუალური ხელოვნება), მათ შორის: „რადიო ელექტრონავტები“, „თბილისის გზამკვლევი“, „ხმების ქალაქი“, „ჩემი ცხოვრების გზაზე“, „სამი სახლი“, „კომედიანტის ნაჯღაბნი“ (ორტომეული) ნაბეჭდი წიგნები, ,,33 ამბავი ქართული წიგნის შესახებ", „თექის ხელსაქმის კოლოფი მოზარდებისათვის და უცხოელი ტურისტებისათვის“, ,,თბილისის ვიდეო პერფომანსის ფესტივალი", ,,თბილისის პოლაპარაკე ქანდაკებები", „სიზმარი“, „ქართული დეტალი“, „შეიცან თავი შენი“, „მეხსიერების გაცოცხლება“, ,,თანამედროვე ქართული ხელნაკეთი სამკაული", „ვაჟა-ფშაველა 160“, „პირველი არჩევნები დედაქალაქში“, „ჩიტების სოფელი“, „ქართული ხელნაკეთი შემოქმედება ტურიზმის განვითარებისათვის“, „თბილისის შესახებ მხატვრული ტექსტები და მემუარები“, ,,გიორგი გურჯიევი და თბილისის ახალი და უცნობი ტურისტული ვიდეომეგზური", ,,ქართული სამეცნიერო ფანტასტიკური მოთხრობების ანთოლოგია", „მოქანდაკე ნიკოლოს კანდელაკი, „ატარე შენი ისტორია“, „თბილისის ეზოები“, წიგნი - „ბიძინა კვერნაძე“ ბეჭდური ვერსია, წიგნი-ალბომი - „კირილე ზდანევიჩი 1892-1969 ფურცლები არქივიდან. დღიურები, მოგონებები, წერილები“ ბეჭდური ვერსია და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა 51 პროექტი, 250-მდე ქართველი ხელოვანის ჩართულობით საშუალოდ წლის განმავლობაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა (საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების ნაწილობრივ/სრულად დაფინანსება).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 86 პროექტი, 300-მდე ქართველი ხელოვანის და 10-მდე უცხოელი ხელოვანის ჩართულობით.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიზღუდა ხალხმრავალი ღონისძიებების, მოწვეული სტუმრების რაოდენობა, ხოლო უცხოელი ექსპერტებისა და მონაწილეების დაგეგმილი მაჩვენებლის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

08 11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 201.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 207.0 ათასი ლარის 97.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 11 01 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 99.9%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდების კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა, შშმ პირების სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვა და მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციაში დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ღონისძიებების (მინი ფეხბურთში და ქუჩის კალათბურთში) ნაწილობრივი დაფინანსების ხარჯები, რამდენადაც ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, აღნიშნული ღონისძიებები გადაიდო და კონტრაქტორ ორგანიზაციას აუნაზღაურდა იმ მომენტისთვის გაწეული ხარჯები.

08 11 02 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შშმ პირთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებების ფარგლებში მონაწილე შშმ პირთათვის სასაჩუქრე ვაუჩერების (20 ერთეული) შეძენა და სხვა.

08 11 04 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 5.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული ოჯახების 50 ბავშვებისათვის კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ჩატარდა 1 სპორტული და 1 კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 2 კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 1 კულტურულ- გასართობი ღონისძიება.

08 11 05 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 11.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება 13 სახის სპორტული და კულტურული ღონისძიება, მათ შორის 2020 წელს ჩატარდა 1 კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 1 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 11 06 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 44.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 43.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თავისუფალი ჭიდაობის, მინი ფეხბურთის, მინი ფრენბურთის, კალაბურთის ტურნირის ორგანიზება, ბურთებისა და თასების შესყიდვა, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების, სამხატვრო გამოფენისა და ბავშვთა გასართობი ღონისძიებების ორგანიზება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს ჩატარდა 6 სპორტული და 3 კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 7 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის: 4 სპორტული და 3 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 11 07 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 85.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 82.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის ახალგაზრდობის ჩართულობა და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფეხბურთის და ფრენბურთის ტურნირებში მონაწილეობისთვის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოზარდებისათვის, მრავალშვილიანი ბავშვების გუნდისათვის და ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდისათვის სპორტული ინვენტარის, ბავშვთა საერთაშორისო დღის ფარგლებში საჩუქრად

გადასაცემი 80 ცალი წიგნის შეძენის, N202 საჯარო სკოლის უსინათლო მოსწავლეთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო ღონისძიების „გაიცანი ილია“ ორგანიზების და რაიონის ტერიტორიაზე საახალწლო-საბავშვო კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები. ასევე, მინიფეხბურთის ტურნირის „ისნის თასი 2021“, მინი-კალათბურთის ტურნირის, გოგონათა და ვაჟთა შერეულ გუნდებს შორის სამდღიანი ტურნირის და კიკბოქსინგის ერთდღიანი ტურნირის ორგანიზების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწიურად იმართება საშუალოდ 10-მდე სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 15 სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის: 6 სპორტული, 4 საგანმანათლებლო და 5 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 10 კულტურულ, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიება

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეზღუდული იქნა კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

08 11 08 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 27.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 24.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია გამგეობის საქმიანობის ანგარიშის წარდგენის, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი

მიძღვნილი ღონისძიების მოწყობის და სპორტული ღონისძიების (ფეხბურთისა და კალათბურთის შეჯიბრება) ჩატარების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 20-მდე სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო - სპორტული აქტივობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 9 კულტურულ-საგანმანათლებლო და 9 სპორტული ღონისძიება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 3 სხვადასხვა ღონისძიება

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეზღუდული იქნა კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

08 11 09 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 24.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ტურნირი, მინი ფეხბურთის შვიდდღიანი ტურნირი, კიკ-ბოქსინგში ტურნირი და წიგნის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 9 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 3 სპორტული და 1 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 11 10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2021 წლის გეგმა - 3.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 3.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ღონისძიება კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლის აღსაზრდელთათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 10 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩატარდება 1 ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 12 თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტი“

2021 წლის გეგმა - 439.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე ცეკვის/ბალეტის პოპულარიზაცია, მრავალფეროვანი რეპერტუარი, ქართული თანამედროვე ბალეტით დაინტერესებულ პირთა გემოვნების ამაღლება, საერთაშორისო კავშირების დამყარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია საბალეტო დასის ფუნქციონირების (მათ შორის შეძენილ იქნა მცირეფასიანი ინვენტარი) და შენობის იჯარის ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ბალეტის დასმა მონაწილეობა მიიღო ევროვიზიის

სიმღერის კონკურზე საქართველოს წარმომადგენლის ვიდეორგოლში, პანდემიის შეზღუდვებიდან გამომდინარე, ორბელიანების სასახლიდან დასმა წარმოადგინა თანამედროვე ბალეტის „დოვინ-დოვენ-დოვლი...“ ვიდეო პრემიერა, ხოლო გიორგი ალექსიძის ოჯახის ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვების შემდეგ, ორბელიანების სასახლის გალაქტიონის დარბაზში წარმოდგენილ იქნა თანამედროვე ბალეტი გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაზე „დოვინ-დოვენ-დოვლი“, რომელიც დასრულდა გიორგი ალექსიძის მინიატურით, გალაქტიონის მიერ წაკითხულ ლექსზე - „მთაწმინდის მთვარე“, დასმა წარმოდგენით უმასპინძლა პროექტის - „თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში იუნესკოს დელეგაციის სტუმრებს, რუსთაველის თეატრის სცენაზე შედგა თანამედროვე ბალეტის „ბეატრიჩი“ მსოფლიო პრემიერა (პროექტის ფარგლებში პრაქტიკა გაიარეს დასის საგანმანათლებლო მიმართულების სტუდენტებმა), მესტიაში „სვანეთობა 2021“ ფარგლებში წარმოდგენილ იქნა მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი „მეტრონომი“, პროექტის - „მალტის კულტურის დღეები საქართველოში“ ფარგლებში რედისონ წინანდლის ამფითეატრში გაიმართა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული წარმოდგენა „ძველებური ცეკვების“ განახლებული ვერსია, რომელიც ბაროკოს მუსიკასა და თანამედროვე ქორეოგრაფიას მოიცავს, შედგა მარიამ ალექსიძის მონო ქორეოგრაფიული ვიდეო-წარმოდგენის „მარიჯანის ოთახი წაღვერში“ ონლაინ პრემიერა. ასევე, დასმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტში და თანამედროვე მულტიმედიურ წარმოდგენაში „12 პაემანი“, ქალაქ ბათუმში წარმოდგენილ იქნა ბალეტი „ბეატრიჩი“, დასმა მონაწილეობა მიიღო თბილისის ბაროკო ფესტივალში. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით დასი გადასული იყო ნაწილობრივ დისტანციურ მუშაობაზე, ხოლო სექტემბრიდან აღდგენილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამები: თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი კურსები და სამოყვარულო კლასები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა 36 სხვადასხვა პროექტი, მათ შორის: 10 ღონისძიება, 6 შემეცნებით-საგანმანათლებლო ვიდეო-პროექტი, 7 ვორკშოპი, თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი - 13 ვიდეოკლასი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 30-მდე პროექტის განხორციელება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 17 პროექტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ნაწილობრის შეზღუდული იქნა კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

08 13 ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 122.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 106.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინკლუზიური განათლების მიმართულებით შემეცნებითი და შემოქმედებით პროექტების ხელშეწყობა, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჩართვა და ადაპტაცია სოციალურ გარემოში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარუფლებიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი პროექტები: „გაზაფხულის ფერები“, „საბავშვო მწერლების ონლაინ შეხვედრა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან“, „სტრესის მართვა კოვიდ 19-ის დროს“, ,,ინკლუზიური კონცერტი", ,,ფიროსმანის საზაფხულო კურსები შშმ მოზარდებისათვის", „სიუჟეტური და სამაგიდო თამაშების შექმნა“, „ირაკლი გიორგაძის პერსონალური გამოფენა“, „ჩემი შობის ანგელოზი“, „საშობაო ზღაპარი“, „მოდი ერთად ვისწავლოთ“, „გრაცია და მისი მეგობრები“ და სხვა. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრის“ მიერ ჟურნალის

„სინათლე“ ბრაილის შრიფტით გამოცემის უზრუნველსაყოფად გაწეულია - 22.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს განხორციელდა 7 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 100-მდე შშმ პირი საშუალოდ წლის განვალობაში.


დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 15-მდე პროექტი, 350-მდე შშმ პირის ჩართულობით


მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 12 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 100-მდე შშმ პირი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ეპიდემილოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით შემცირდა შშმ პირთა ჩართულობა.

- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**







09 01 თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: უსაფრთხოების საქალაქო სამსახური

2021 წლის გეგმა - 708.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 704.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაცული მუნიციპალური ქონება, მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვისა და ვანდალიზმის პრევენციის გაძლიერების მიზნით, ვიდეო სათვალთვალო სისტემების დანერგვა-განვითარება, ქსელში ჩართული კამერები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებისა და საგანგებო სიტუაციის დროს, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დაცვის თანამშრომელთა 24 საათიანი მორიგეობისთვის შეძენილია 2912 ულუფა საკვები. გაწეულია თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების/ ობიექტების, ბაღების, პარკებისა და სკვერების ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა (169 კამერა) მათ შორის: ა. წერეთლის №1-ში მდებარე სკვერის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები (26 ცალი), ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე სკვერში, ვახტანგ მოსიძის ქუჩაზე სულხან-საბას ბაღში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის № 11-ში მდებარე სკვერში (41 ცალი კამერა), ვაჟა- ფშაველას გამზირზე ,,გელოვანის პარკი“, ,,ვარკეთილის ცენტრალური პარკი“, ,,რიგის ბაღი“, ორთაჭალის № 73 -ში მდებარე სკვერში (102 ცალი კამერა), ხელის რადიო სადგურების (25 ცალი), საბაზო რადიო სადგური (10 ცალი), ერთი ცალი ვიდეო ჩამწერი მოწყობილობის (სერვერი), სერვერული ინფრასტრუქტურის მოწყობილობების Lenovo D3284 (S/N: J346KG5) და Lenovo SR630 (S/N:S4AHM302) სამწლიანი მხარდაჭერისა და საგარანტიო სერვისის შეძენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2020 წელს დაცულია 67 მუნიციპალური ობიექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ქსელში ჩართულია 125 ხელის რადიო სადგური (რაცია) და 1 ცალი საბაზო რადიო სადგური.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით ჩაირთვება 15 ცალი ხელის რადიო სადგური (რაცია) და 10 ცალი საბაზო რადიო სადგური

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ვიდეო სათვალთვალო სისტემების გაძლიერების მიზნით, ქსელში ჩართული კამერების რაოდენობაა 667 ცალი (მ.შ. 569 ცალი შეძენილი, 98 ცალი გადმოცემული).


დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით ჩართული იქნება 180 ცალი კამერა.

მიღწეული მაჩვენებელი - დამატებით ჩაირთო 169 ცალი კამერა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პროექტების საბოლოოდ ოპტიმიზაციის შედეგად შემენილ იქნა 11 ცალი კამერით ნაკლები.

09 02 ცხოველთა მონიტორინგი საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3,806.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3,753.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.6%-ი და 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 182.3 ათასი ლარით ნაკლებია. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 93.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 5.5%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: საკანალიზაციო სისტემის კაპიტალური რემონტი, დასრულდა ახალი საკატის შენობის სარემონტო სამუშაოები, შესყიდული იქნა 3 ერთეული ავტომანქანა ოპერატიული ეკიპაჟებისათვის, გენერატორი, ჯალამბარი, სამხრე კამერები, ცეცხლმაქრები და სხვა.

ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე სააგენტოში შემოვიდა 58956 შეტყობინება, მათ შორის 56784 სატელეფონო და 2172 წერილობითი, რის შედეგადაც დაჭერილი და თავშესაფრის

ტერიტორიაზე გადაყვანილ იქნა 10388 ცხოველი და 314 ქვეწარმავალი, ეკიპაჟებმა სამაშველო ოპერაციების შედეგად 400-მდე ცხოველი გადაარჩინეს,

მუნიციპალური თავშესაფრიდან გაჩუქდა 781 ცხოველი (გაჩუქების აქცია 3-ჯერ გაიმართა), მიეკედლა 2095 ცხოველი, პატრონს დაუბრუნდა 129, ბუნებრივ არეალში გაშვებულ იქნა 4652 ცხოველი და სხვა თავშესაფრებში გადაყვანილ იქნა 191 ცხოველი, მიმდინარე პერიოდში შესაბამისი მომსახურების გაწევის მიზნით გადაიყვანეს 10388 ცხოველი, აქედან ცხოველებს ჩაუტარდა 5992 ქირურგიული ოპერაცია, მათ შორის 3749 სტერილიზაცია, 1985 კასტრაცია და 258 სხვა სახის ოპერაცია,

ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით განხორციელდა 145 ობიექტის დამუშავება ქვეწარმავლების საწინააღმდეგო პრეპარატებით (რეპელენტი), დამუშავებული ობიექტების საერთო ფართობმა შეადგინს 229970 კვ.მ. ოპერატიული ეკიპაჟების მიერ გამოწერილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 510 ოქმი და გაწეული იქნა 1359 ფასიანი მომსახურება,

თბილისის ტერიტორიაზე განთავსდა მიუსაფარი ძაღლებისათვის 20 ცალი ძაღლის სახლი, მოსახლეობის ვეტერინართან კონსულტაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სააგენტოს ვეტერინარებმა დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა მისამართზე ძაღლების მეპატრონეებს უფასო კონსულტაცია შესთავაზეს, ხოლო ცოფის ვირუსის პრევენციის მიზნით სააგენტო პერიოდულად ახორციელებდა ქუჩის ბინადარი ძაღლებისა და კატების მასობრივ ანტირაბიულ (ცოფის საწინააღმდეგო) ვაქცინაციას (ვაქცინაცია ჩაუტარდა 7400-მდე ცხოველს).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროა ავტომობილების, მოპედების შეძენა და არსებული მატერიალურ/ტექნიკური ბაზის განახლება,

დაგეგმილი მაჩვენებელი - ძროხების გადასაყვანი მეორადი მანქანის შეძენა, სხვადასხვა სახის ტექნიკა/ინვენტარის შეძენა,

მიღწეული მაჩვენებელი - 3 ცალი ახალი ავტომობილის შეძენა ოპერატიული ეკიპაჟებისათვის.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვერ მოხერხდა პირუტყვის გადასაყვანი მეორადი ავტომობილის


შეძენა, რადგან ვერ იქნა მოძიებული საქონლის ინვოისები. კონსოლიდირებული ტენდერის ვერ გამოცხადების გამო ვერ იქნა შესყიდული კომპიუტერული ტექნიკა და ასლგადამღებები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროა მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულება და ახალი ვოლიერებისა და საკატის მშენებლობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულება და ახალი ვოლიერებისა და საკატის მშენებლობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა ახალი საკატის, არსებული ვოლიერების და თავშესაფრის განყოფილების შენობის სარემონტო საუშაოები.

❖ **ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები**



10 01 ქ.თბილისის საკრებულოსათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 13,870.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 13,765.4 ათასი ლარი (მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების

ფონდის ხარჯები - 47.3 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.2%-ია, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 6,524.7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 6,205.3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 73.3 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 832.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 129.7 ათასი ლარი.


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 58,010.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 50,881.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.7%-ია. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 26,815.4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 19,786.8 ათასი ლარი, გრანტები - 20.9 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 365.9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 358.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები - 3,534.1 ათასი ლარი. ამასთან, წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონის გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (10 02) დაფინანსებულია 13,126.1 ათასი ლარით (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 298.1 ათასი ლარი), საფინანსო საქალაქო სამსახური (10 03) – 878.2 ათასი ლარით (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, პროცესის ხარჯები და სხვა - 34.9 ათასი ლარი), ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (10 04) – 626.1 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (10 06) – 733.5 ათასი ლარით, მუნიციპალური ინსპექცია (10 07) – 5,384.2 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (10 09) – 515.9 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური (10 10) – 1,330.1 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (10 12) – 1,531.8 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (10 13) – 5,577.8 ათასი ლარით (მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯები - 5.7 ათასი ლარი), ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (10 37) – 747.9 ათასი ლარი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (10 43) – 1,206.2 ათასი ლარი (მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯები - 104.7 ათასი ლარი), გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (10 44) – 693.0 ათასი ლარი, გლდანის

რაიონის გამგეობა (10 27) – 1,755.3 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (10 28) – 1,744.7 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (10 29) – 1,498.5 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (10 30) – 1,347.7 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (10 31) – 1,713.8 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (10 32) – 1,561.1 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (10 33) – 1,866.0 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (10 34) – 1,812.2 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (10 35) – 3,315.9 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (10 36) – 1,915.5 ათასი ლარი.

10 18 სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 6,836.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 6,604.1 ათასი ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 2,190.3 ათასი ლარი), რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.6% და 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3,763.5 ათასი ლარით მეტია (2020 წლის 15 ივლისს დასრულდა სსიპ ურბანული განვითარების სამსახურისა და სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს შერწყმის პროცესი). სააგენტოსთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 94.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 2.5%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: მომზადდა და შესაბამისი მომართვის საფუძველზე სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს გადაეცათ სამსახურის

მფლობელობაში არსებული სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული 46 ვიდეო ჩანაწერი სხვადასხვა სახის სამართალდარღვევათა შესახებ;

განხილულ იქნა და შესაბამისი რეაგირება მიეცა ,,ცხელ ხაზზე“ შემოსულ 125 წინადადებასა და შენიშვნას;

საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების თანამშრომლები, შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრისა და თბილისის მერიის სხვა სამსახურების თანამშრომლებთან ერთად, აქტიურ მონაწილებას იღებენ დედაქალაქის მასშტაბით საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური ზოლებისა (ე.წ. BUSLANE) და სიჩქარის ვიდეო კონტროლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის კვლევისა და დაგეგმვის პროცესში;

მომზადდა ტექნიკური დავალებები მგზავრთა აღრიცხვის სისტემისთვის, ვიდეოკამერებისთვის, სერვერებისთვის შუქნიშნებისთვის და ქალაქის ავტოტრანსპორტის მოძრაობის ანალიზისა და ვიზუალიზაციის პროექტისთვის. ასევე, სააგენტოს ფარგლებში და/ან მის დაინტერესებაში მყოფი სატრანსპორტო და ურბანული მიმართულების ლოკალური და საერთაშორისო პროექტების საბაზისო სივრცული მონაცემები;

დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე, საგზაო მოძრაობის ეფექტური ორგანიზების მიზნით უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადების გამოკვლევა, რის შედეგადაც მუშავდებოდა მოძრაობის ორგანიზების ახალი სქემები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში მომზადდა ჭავჭავაძის გამზირის, ატენის ქუჩის, გლდანის (ვეკუა-ხიზანიშვილის), კოსტავას ქუჩის (ფილარმონია-პირველი რესპუბლიკის მოედნის კვეთა), ყიფშიძის ქუჩის (ახალი გზა), მცხეთის ქუჩის, მარჯვენა სანაპიროს (ვახუშტის ხიდის მარჯვენა პანდუსის კვეთა), თამარ მეფის გამზირის, თამარაშვილის გამზირის, მარჯვენა სანაპიროს (ცირკის მიმდებარედ), წყნეთის გზატკეცილი-ჩოლოყაშვილის გამზირის, ჭავჭავაძე-ავალიშვილის, ბაგები-უნივერსიტეტის ქუჩის, გობრონიძე-შენგელიას, დათუაშვილი-ამაშუკელის, მარჯვენა სანაპირო-ლაგუნას, ქერჩი-ხიზაბავრა-შეშელიძის, გამრეკელი-ცინცაძის ქუჩების მოდელირებები, რომელთა მიხედვითაც აღნიშნულ ქუჩებზე ძირეულად შეიცვალა მოძრაობის მიმართულებები (გაჩნდა სპეციალური ზოლები სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის, მათ შორის საერთო ნაკადის შემხვედრი მიმართულებითაც).

აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთა ეფექტურ მომსახურებას;

შეთანხმებული იქნა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ჩასატარებელი სხვადასხვა სახის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოსიარულეთა საგზაო მოძრაობის ორგანიზების 524 ცალი დროებითი და 1971 ცალი მუდმივი სქემა. წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რამდენჯერმე ჩატარდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების შემოწმება - დათვალიერება. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი წერილები დაეგზავნათ მიმწოდებელ კომპანიებს და შესაბამის სამსახურებს შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებულია შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტები;

ორგანიზაციების და კომპანიების წერილობითი თხოვნის საფუძველზე დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიმდინარე პერიოდში შერჩეული იქნა არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთის გადამტანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის 610 მარშრუტი;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე გაიცა 378 საჯარიმო ქვითარი–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მოხდა მათი დაფიქსირება/აღრიცხვა საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში;

საანგარიშო პერიოდში ვიდეოფირით ან/და ფოტოფირით დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ჯამში გამოწერილი იქნა 26 050 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. აგრეთვე, სამსახური მონაწილეობას იღებს ახალი, ინტეგრირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების ოპერირებისათვის საჭირო ღონისძიებებში. კერძოდ, ახორციელებს M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების მიერ გავლილი კილომეტრაჟის ყოველთვიურ

კონტროლს. ასევე, ახდენს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალ მარშრუტებზე მოძრავი შემადგენლობების რაოდენობების კონტროლს;

საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომლების მიერ განხილულ იქნა 1224 პროტესტი/საჩივარი 1521 საჯარიმო ქვითრის და 650 საურავის დადგენილების გაუქმების თხოვნით; განუხილველად დარჩა 134 პროტესტი/საჩივარი, 189 საჯარიმო ქვითრისა და 19 საურავის დადგენილების გაუქმების თხოვნა; დაკმაყოფილდა 322 პროტესტი/ საჩივარი, 455 საჯარიმო ქვითარი, 75 საურავი; არ დაკმაყოფილდა 749 პროტესტი/საჩივარი, 857 საჯარიმო ქვითარი, 526 საურავი. მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ან იურიდიული პირის საკუთრებაში მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის გაცემის საკითხზე განხილული იქნა და პასუხი მომზადდა სამსახურში შემოსულ 529 განცხადებაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაცემულ იქნა 298 საცნობი ნიშანი, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე - 1 საცნობი ნიშანი;


განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების მართვის სამსახურებში ჩატარდა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება და დამტკიცდა: განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება - 61; განაშენიანების რეგულირების გეგმა/კორექტირებული პროექტი - 108; სააგენტოს სამუშაო პროცესის შეუფერხებელი და ოპერატიული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, სივრცულ მონაცემთა ბაზებში დამატებული და/ან დაკორექტირებულია 1000-ზე მეტი ობიექტი (საჩივარი, წერილი, შეზღუდვის ფენა, საინფორმაციო და სარეკომენდაციო ობიექტები);

ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 2,190.3 ათასი ლარი საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, M2 კატეგორიის ავტობუსებით, სამედიცინო პერსონალისა და საკარანტინე ზონებში მყოფი მოქალაქეების სხვადასხვა რეგიონში გადაყვანისათვის, გაწეული მომსახურების ხარჯების

ასანაზღაურებლად, მათ შორის: შპს „კაპიტალ გრუპი“ – 408.2 ათასი ლარით, შპს „თბილ ლაინი“ – 834.5 ათასი ლარით, შპს „თბილ ქარი“ – 431.0 ათასი ლარით და შპს „ფაბლიქ ქარი“ – 516.5 ათასი ლარით.

10 20 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1,920.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1,860.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.9% და 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 314.1 ათასი ლარით მეტია. სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.9%,

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სამსახურის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 666.6 ათასი ლარი). მიმდინარე პერიოდში სულ შემოსულია 25758 განაცხადი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2020 წელი - 25854) შედარებით 96-ით ნაკლებია. აქედან, მშენებლობის ნებართვა (ყველა სტადიის და ქმედების) გაცემულია 5212 განაცხადზე.

10 21 სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1,918.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1,881.1 ათასი ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 7.7 ათასი ლარი), გეგმიური მაჩვენებლის 98% და 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 990.9 ათასი ლარით მეტია. სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“

მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 67.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 31%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 2,048.9 ათასი ლარი, სააგენტო ჩართულია და წარმატებით ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებების შესასრულებლად საჭირო ასიგნებების გამოყოფას საკუთარი სახსრებიდან). ასევე, სააგენტოს საბიუჯეტო სახსრებიდან ქალაქ თბილისის მუნციპალიტეტის მთავრობის 28.04.2021წლის N21.565.654 განკარგულების შესაბამისად, შპს „აევ“-ს მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, კომპენსაციის სახით გადაერიცხა - 264.3 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნციპალიტეტის მთავრობის 30.12.2020წლის N20.1644.2039 განკარგულების შესაბამისად, შპს „თენთი 2“-ს მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, კომპენსაციის სახით გადაერიცხა - 86.0 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნციპალიტეტისათვის მიწის შეძენა - 594.3 ათასი ლარი (მათ შორის: ფ/პ ეკა მათიაშვილს გადაერიცხა - 350.5 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 17.11.21წლის N33 სხდომის ოქმის საფუძველზე და ფ/პ გიორგი ქელდიშვილს - 243.8 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 13.10.21წლის N21.1416.1610

განკარგულების შესაბამისად, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 11.02.2021წლის N21.150.184 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს თბილისის კარდიოლოგიურ საავადმყოფოს შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის (კომუნალური ხარჯების გადახდის მიზნით) სუბსიდიის სახით გადაერიცხა 5.3 ათასი ლარი. გარდა ამისა, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 7.7 ათასი ლარი გადაერიცხა შპს „ჯეოლენდის“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 30.11.21წლის N1-750 ბრძანების შესაბამისად, ავარიული სახლების ტექნიკური მომსახურების (აზომვითი ნახაზების შედგენა) გაწევისათვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება შემოსულობების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, გადასახდელების პროგრამული კლასიფიკაციის და სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლების მიხედვით წარმოდგენილია დანართი N1-4.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
გაიოზ თალაკვაძე